

კვირის პალიტრა

პეპსი

სვ



N31 (216) 29/VII.-4/VIII.2004.
ფასი 60 თ.

1168
2004

რა ხერხებს
მიმართავს
ფორმაში
ჩასადგომად
მალხაზ ქვრივიშვილი

როგორი გზაა
ამ ჯაფხულს

უსაფრთხო გარეჯვა —
10 აუცილებელი ნესი

სოფლის გუარგული ქალი-ქვა და საგლეხევის იღუბალი აგებენ



კრისტინე ყიფშიძე —
„ჩემი უესდობა ის იყო,
რომ ქმარს სრული
თავისუფლება მივესი...“



რამ
განაწყენა
გიორგოშვილი

პროსპერდების

უსწრითობი უყრინალო

ტელევიზია

ტელევიზია

სამაგრი

ტელევიზია



ყველაზე გასართობი ჟურნალები

ზღვა, მზე და უსაფრთხო დასვენების წესები



ამ ზაფხულს მზის სხივებისგან განსაკუთრებით უნდა დავიცვათ თავი, რადგან როგორც ასტროლოგები ამბობენ - „წელს მზე აქტიურია, მის ზედაპირზე აფეთქებები ხშირია“. წლებადღელ „აქტიურ მზეს“ განსაკუთრებით ის ადამიანები უნდა მოერიდნენ, ვისაც ჭარბად აქვს მუქი ფერის ხალი...

50

მინიატურები

„მშვიდობით, უკან მოხედავა კნელია“
 ანუ ღია წერილი
 დილ მხედარბეგთაშვარს 3

ტკივილი
 ჩვენი კოლეგა და მეგობარი 4

საქართველო
 „ჩემი შორეული წინაპრები
 ქართველები იყვნენ...“ - ამბობს
 ორჟონელი ოსი გლეხი 5

სახალგაფო
 „ვეფხისტყაოსნის
 რათა შევინარჩუნოთ მშვიდობა“ 6

ერთი კითხვა 8

საპატარავლო
 • „ვერს კი წარმოიღებენ, რამდენად
 კვირფასი ხარ ჩემთვის“ 10
 • ნინა: „მამაკაცი უნდა იყოს
 თავდაჯერებული!“ 12

კრიმინალი
 • მკვლელობა „რუსულ ლოტოში“ 14
 • რას შეეწირა ალაფიანის სისოცხლე -
 მეგობრის მიერ მოქმედებულ დანას
 თუ ამიერიდან არაპროფესიონალიზმს? 15
 • ოთხი შვილის დედა 6 წელს
 ბისოქსის მიღება გააბარებს 16

ჭორ-მართალი
 მებაჟე თუ მომღერალი? ანუ ბიო
 სუბიშვილი ახალ ამალუას ირჩევს 18

თემა
 როცა მამა ოჯახიდან მიდის... 20

ნარკოტიკი
 გვიად სიკოლია:
 შრანგებამ მიტხრეს -
 შენ თბილისში გვჭირდება... 23

მსახიობი
 მუღღღღა შეყვარებულ ნატო მურვანიძეს
 სტანაგა მის წინ ღმრთობას საკუთარი
 რეალიზაციის აპიწყლებოდა... 25

გზავნილება
 „არ ღაიჯაროთ, თითქოს
 საგაფხულო რომანი ღროუბითია“ 27

ჯანმრთელობა
 • საგამოსლო სივებ-სხელება 30
 • ალერგიული ალაფიანის აუთიაჰი 31
 • მელდინის სიახლენი 31

მოდა
 ღია ფერები და ყვავილებით
 მოჩითული ქსოვილი 32

„ნაღმსრივად შეყვარებული არასოდეს ვერფილვარ“

„ისე ველავდი, აღარც მახსოვს როგორ გავემზადე და რამდენ ხანში მივედი პაემანზე... ნურც ერთ ჩემს თაყვანისმცემელს ნუ ეწყინება, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემს ცხოვრებაში პირველად ვარ შეყვარებული...“



49

როცა მამა ოჯახიდან მიდის...




15 წლის მარიამი მამას ფიქრებში ესაუბრება, რჩევას ეკითხება, თავის ბავშვურ დარდს უზიარებს. მარიამი პირველი ჯგუფის ინვალიდია, დედის დახმარების გარეშე გადაადგილება არ შეუძლია. ამიგომ ყოველთვის გელეფონის გვერდით მის: ხომ შეიძლება, მამამ დაურეკოს და ყურმილი სხვამ აიღოს?!

20

რა ხერხებს მიმართავს ფორბაუნი ჩასაღობად თბილისში დარჩენილი მღსნუჰ ქვრივიშვილი


„თითქმის ყველა დასვენებისას პატარ-პატარა რომანტიკული თავგადასავლები მქონდა... ეს იყო აღრე, მაგრამ ახლა, დასასვენებლად წასულს, სულ სხვა ინგერესი მაქვს - მართლა დასვენებისთვის მივდივარ და არა ნერვების მოსაშლელად და გრძნობების ასაფორიაქებლად.“



46

ტაპარი	
რა არის მოსახსენებელი?	34
ლეგენდა	
სოფლის მფარველი ქალქვა და სამგლეთხევის იღუპალი ამბები	35
ანტიფაქტისანიტი	
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გორა ღვალის უბის წიგნაკიდან	36
ფაქტობრივები	
„მევირალა კონკია“ მსოფლოდ კორტზე გამოსვლისას ხმაურებს...	38
სპორტული მოზაიკა	40
ავტო	41
რომანი	
რუსულან ბერიკე.	
მბატებლის ინსტინქტი (ბაბრქელეა)	42
როგორ ვინჯვენათ	
რა ხერხებს მიმართავს ფორმაში ჩასაღვრებალ თბილისში დარჩენილი მალხაზ ჰვრივიშვილი	46
თამადა	
გობი დოლიქის თამაღობისას ჩვეულებრივი ვაგა ყანნს ურჩევინია	47
ჰირველი ჰაჰვანი	
„ცალმხრივად შეყვარებული არასოდეს ვყოფილვარ“	49
საზონი	
გღვა, გგე და უსაფრთხო დასვენების წესები	50
ვარსკვლავების შექმნელი	
ღონ კოკოლა და მისი კინომაჰარია	53
გომონდი	55
ანე უყვართ საქართველოში	
ღაგვიანებული ბრანობის ხიბლი და სკანდალური ქორწინება	57
კოროსკოვი	
კვირის (2-8 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი	60
სკანვორდი	61
იუმორი	62
ტესტი	
● რამდენად მგალ ხართ მოულოდნელობისთვის?	
● გჩვევიანთ თუ არა ეშმაკობა?	63
კალენდოსკოვი	
ჰრქელ-ჰრქელი ამბები	64

სოფლის მფარველი ქალქვა და სამგლეთხევის იღუპალი ამბები




ქალმა გაქვავება დაიწყო. ამასობაში, ჟინმორეული ურჯულოებიც მიუახლოვდნენ ახალგაზრდა ქალს და რადგან წადილი ვერ შეისრულეს, ვიდრე ქვად იქცეოდა, თავი და ხელ-ფეხი წაასხიპეს, ხოლო გულმკერდი ხმლებით დაუსერეს...

35

გობი დოლიქის თამაღობისას ჩვეულებრივი ვაგა ყანნს ურჩევინია

„გამოვეყოფი ორ სადღეგრძელოს, ეს არის ქართველი ქალის სადღეგრძელო და ქართული გენის სადღეგრძელო... დაკვირვებული ვარ, რომ ჩემს სტუდენტებს უფრო მეტ ცოდნას სუფრასთან ვაძლევ, ვიდრე ლექციაზე“.



47

„მევირალა კონკია“ მსოფლოდ კორტზე გამოსვლისას ხმაურებს...



„სერენა, ბოდიშს გიხდი იმის გამო, რომ ამ შეჯიბრზე გზა გადაგიჭერი. მაპაგიე, მაგრამ დღეს აუცილებლად უნდა მომეგო“, – უთხრა სერენას აღელვებულმა მარიამ, რომელსაც ამ დროს ხელში უმბლდონის გურნირის მთავარი ჯილდო – Rosewater Dish ვჯირა.

38

მცაცვებლის ისხინქვი

„ჩემო მეგი! – ეწერა ფურცელზე – ვფიქრობ, ეს დოკუმენტები ანდრო სვანიძის საქმეში გასარკვევად საფუძვლიანად დაგეხმარებათ. უმორჩილესად გთხოვთ, ჩემი სახელი არსად ახსენოთ“...

– რა უცბად გეცვალა ფერი? – დამცინავად შეათვალეირა კახამ სარკეში, ამჯერად უკანა სავარძელზე მოკალათებული მეგი.



42

გარეკანზე: გიორგი შორჭოლიანის კოლაჟი
საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გაჰოლის კვირაში ერთხელ, სუთუაბათობით გაჯეთ „კვირის კალიტრის“ დამატება
შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ეთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com
შურნალი იბეჭდება გამოცემლობა „კოლორში“

„მშვიდობით, უყან მოხედვა ძნელია“ ახუ ტია წერილი დიდ მხედართმთავარს



ეპ, რამდენი კარგი კაცი ტოვებს ჩვენს ქვეყანას!...
თუ ამ წინადადებაში სიტყვას — კარგი — ბრჭყალებში
ჩასვამთ და ბოლოდროინდელ მოვლენებსაც გაიხსენებთ, მიხვდებო-
თ, რომ ზემოხსენებულ წინადადებაში გამოთქმული დარდი, კონ-
ფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობო ძალების სარდალთან,
„ტოვარიში“ ნაბზლოროვთან განშორებას ეხმადანება.

საერთოდ, ასეთ დროს, კაცზე ცუდს არ ამბობენ და არც მე
დავარდვებ ამჯერად ტრადიციას, ამიტომაც შევეცდები, რუსი
გენერლის ყველა ქმედება გაგამართლო და ჩემი „ფხიზელი“
თვალთ დანახული რჩევებიც მიეცე ზოგჯერ არაფხიზელ სვი-
ატოსლავს, ვინმე მის „ადვილმონაცვლეს“ (ალბათ, არც ის
იქნება დიდი ხვითო, მაგრამ მაინც) გამოადგეს.

მაშ ასე... რომ ატყეხთ ერთი ამბავი — რა უნდოდა გენერალს
სოკოების საკრეფადო? — იცით კი, რაში იყო საქმე?... არ იცით,
ხოშ?... ჰოდა, აბა მისმინეთ. ამას წინათ, ბატონი... უკაცრავად
„ტოვარიში“ სვიატოსლავი დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც
იქნა, დაუთანხმებიათ და ერთ სუფრასთან მიუწვევიათ (ბოროტი
ენები ამბობენ, „ამხანაგი“ გენერალი სწორედ იმ სუფრასთან
დათვრა პირველად... რა თქმა უნდა, წინადღის შემდეგ...) იმ
სუფრასთან ერთი მჭევრმეტყველი ქართველიც მჯდარა, რომელ-
საც ასეთი ამბავი მოუყოლია: ჩემმა მეგობარმა ღამის 3 საათზე
ღამიერა და მითხრა — ვიცი, დაგაინტერესებს, ისეთი ამბავი
ჩამოგიტანო, — და გაუგრძელა: 98 წლის მოხუცი ტყეში
სამუშაოდ — შემის საჭრელად წასულა, გზა აპბნევია, თან
წალბებული საგზალი დაუკარგავს და იძულებული გამხდარა,
ღამე იქ გაეთია. გამთენიისას მოშივებია საწყ-
ალს და იქვე ამოსული, მისთვის მანამდე უცნო-
ბი ჯიშის სოკო უჭამია, რომელსაც მის მამაკა-
ცურ პოტენციაზე ისე უმოქმედია, რომ გზ-
ისთვისაც მაშინვე გაუგნია, შინ დაბრუნებული
კი, ცოლთან ჩაკეტილა „სპალნაში“ და... მეხ-
უთე დღეს შვილებმა ძლივს გამოჰკლივდეს თურმე
დღეა „ხელიდან“... ჩვენთვის ნაცნობ მჭევრმეტყვე-
ელ ქართველს, რომელიც ხალხურ თქმულებებ-
სა და ლეგენდებს აგროვებს მეგობრისთვის უს-
აყვედურია: ამ ამბის ნაცვლად, ნეტავ, ის სოკო
ჩამოგეტანაო, — და სუფრაზე საერთო მხიარულე-
ბაც მოჰყოლია თურმე ამ ამბავს... ბატონ სვი-
ატოსლავს, როგორც ბოროტი ენები ამბობენ,
სოკოს ამბავი გულში ჩარჩენია და ჩუმ-ჩუმად
დაუწვია იმის გარკვევა, თუ სად იხრდებოდა ის
ჯიშო... მაშინვე მიუხვდნენ თურმე, მისი თან-
ამებინანები გენერალს ჩანაფიქრს და იქითკენ
მოუსწავლებიათ, საითკენაც ოქრუაშვილის „სამ-
ფლობელოები“... აი, ამის შემდეგ გამოტყდა
ბატონი გენერალი — სოკოს საკრეფად ვიყავი... ვისი ბრალია,
რომ გაბრწყინდა რუსი გენერალი? — ვისი და ზოგიერთი ვაი-
ქართველის და... ვაი-ოსის!..



კიდევ, მაგრამ როგორც ნამდვილ გენ-
ერალს შეეფერება, ჭიქა მაინც არ
გაგივლიათ ხელიდან... ვიცი, რომ გუ-
ლის სიღრმეში ყოველთვის საქართვე-
ლოს ერთიანობას უჭერდით მხარს,
რასაც ალგეორიულად გამოხატავდით კიდევ ყოველ სადღეგრ-
ძელოში, როცა ამბობდით: ქართული ჭაჭა და ოსური ლული ისე
უხდება ერთმანეთს, რომ ამათი დამორება არ იქნება... შიდა
ქართლის გუბერნატორის წყალობით კი, რომელმაც ისევე იცის
რუსული, როგორც თქვენ — ქართული, ჩვენი ენაც კი შეგისწავ-
ლიათ; ბოლოს, ისე კარგად გამოვლიდათ „დიპლომატი“, რომ თუ
ადრე, საინფორმაციო პროგრამებში ჯერ თქვენი ინტერვიუ მიღ-
იოდა და შემდეგ თარგმნიდნენ ჟურნალისტები, მერე პირიქით
ხდებოდა: ჯერ ჟურნალისტები საუბრობდნენ და მერე თქვენებ-
ურად თარგმნიდით...

ჩვენი ხალხის თვალში კი ერთიორად მაშინ ამაღლით, როცა
ქართული ჰუმანიტარული დახმარების მსგავსად, ისე კონტად
და იმხელა ოდენობით დაგეგმეთ რუსული ფქვილის „დესანტის
გადმოსხმა“, რომ ალბათ მთელი წელი ეყოფათ ოსებს — ხაბი-
ზინების, ხოლო ქართველებს — ხაჭაპურების საცნობად...


ეპ, „ჩვენი ძმაო“, აღარ გაცალეს, თორემ, ყველამ კარგად ვიცით,
ქართული კონცერტებისა და ესტრადის მომღერლების მსგავსად,
მაშ რასპუტინას, ვალერი ლეონტიევისა და კობზონის (უპ,
სახელი დამავიწყდა, თქვენ კი უნდა გახსოვდეთ, მგონი, რაღაც
სოსოს მსგავსია...) ჩამოყვანას აპირებდით... ან იმას ვინ დაგივი-
წყებთ, თქვენი სიკეთის დაუნახავმა ოქრუაშვილ-
მა რაკეტების შემოტანაზე დავა რომ დაგიწყით
და თქვენებური კეთილი ღიმილით გვამშვიდებ-
დით — კაი საქმისთვის გვენდოდა და ვერ
გავგივსო?...
ცოტა ხანი იყავი ჩვენთან, იმდენად ცოტა ხანი,
რომ გვარიც კი ვერ გავარკვიეთ წესიერად შენი,
ჩემო სვიატოსლავ: ხან ნაბზლოვს გემახდით,
ხანაც — ნაბზლოვს. შენ კი ორივეზე ერთ-
ნაირად რეაგირებდი და მაინც ღიმილით ხვდე-
ბოდი და ეფერებოდი აბეზარ ქართველ ჟურნალ-
ისტებს — „ნეკულტურნიე ვი მოიო“... ერთხელ
წამოგცდა კიდევ: რა მნიშვნელობა აქვს, როგორ
მომმართვენი? „ნაბზლოვი“ და „ნაბზლოვი“,
სულერთია ჩემთვისო... სწორედ ამან გამაბედინა,
სიმართლე მეტყვა შენთვის, ჩემო სლავიკა:
ჩვენთვისაც სულერთია, ვინ იქნება შენი შემცვ-
ლელი და რა ინსტრუქციებით გამოუშვებ... ერთს
გთხოვთ (და გირჩევთ კიდევ) მხოლოდ: „დიდ
რუსეთში გადაეცით, რომა“... წაიყვანონ ჩვენი
„ელუარდ მეორე“ და მივხედავთ ჩვენს თავს შენი სათაყვანებელი
ორი ერის შვილები. აბა, მშვიდობით იყავ, ჩემო სვიატოსლავ!..

P.S. გენერალ ნაბზლოვის ვაცელების ცერემონიას უამრავი
ხალხი ესწრება:
ოსი მოხუცი კაცი:
— ლენინი მომიკითხე, შვილო...
ქართველი მოხუცი კაცი:
— დღეა მომიკითხე, შვილო... თავს მოვიკლავ, მაინც ვიპოვი იმ
სოკოს და ჩამოგაკითხავ-თქო...

პროპოზიტი

ამიტომ გადავწყვიტე, ზოგიერთი ჩემი „უმადური“ თანამემამუ-
ლის საქციელი გამოვასწორო და არა მარტო ჩემი, არამედ
მთელი ქართველი ერის სახელით, მომეწერა მადლიერების წერ-
ილი თქვენთვის — „XXI საუკუნის ტოტლებენისთვის“. აი,
ისიც:
„ბატონო გენერალო,
ო, რა მოულოდნელად ჩამოჰკრა ჩვენი განშორების ზარმა —
როცა უფროსობისგან ბრძანება მიიღეთ, ახალ სამსახურში გადა-
სვლის თაობაზე!.. მწუხარებისა და სიმთვრალისგან შებარბაცდით

ჩვენი უმცროსა და მკვობარი



...გასაოცარი სითბოთი გვხიბლავდა. გამორჩეულად ეფერებოდა ქართულ სიტყვას. წერდა კიდევ – სიტყვებს ლამის ღირსება აყვარეთ და ის კი ველარ შეგვიგნია, მათ გარეშე თავადვე ვრჩებით პატივყარილიო.

ეს სტრიქონები ერთ-ერთი „რედაქტორის სვეტიდანაა“, რომლითაც ქალბატონი ლალი დროდადრო ეხმიანებოდა თავის ერთგულ მკითხველს:

„იყო სიტყვა და მას „მამული“ ერქვა – წინაპართა მამული, მომავლის მამული, მამული საფურეგელი და საფლეგრძელელები...“

წინაპარი რომ ვთქვით, ღირსია ხსენებისა, რიფისა და კრძალოვისა, თავის მოფრეკისა და ყურის გფენისა...“

რიფი რაღაა და საოჯარი ნიფია სხვათა უკან დგომისა, კართა მოდგმის დიდი ნიშატი...“

კარე ვახსენეთ და აი, აქ ითქვა დიდი სათქმელი – კარობა დავიბრუნოთ, ვისაერ კიდე გვირემს ძარღვი ქართველის...“

ქართველი რასაერ ნიშნავს, დღევანდელემს ჰერ კიდე გვახსოვს, მაგრამ ხომ უნდა გადავრეთ ვედრენასავით იმ მოყვასს, საუკუნის შემდგომ მოსულის – რანი ვიყავით, რაჭომ გვერქვა ქართველი...“

ეს გახლდათ ქალბატონი ლალის ცხოვრებისეული კრედო, რომელიც განსაკუთრებული სიმძაფრით „კვირის პალიტრის“ ფურცლებიდან იგრძნობოდა. იმ პროფესიონალური პუბლიკაციებიდან, რომლებიც ეპოქის სიზარულისა

და ტკივილის ამსახველი იყო პირველ ყოვლისა და ამასთანავე, იმის თვალნათელი მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს ქართული გაზეთი, რომელსაც სათაურიც თავადვე შეურჩია, პალიტრის ფერებით ააფერადა მისი თითოეული გვერდი, თითოეული რუბრიკა, თითოეული წერილი, რომელთაც დღემდე ეტყობა ქალბატონი ლალის უზადო და დახვეწილი გემოვნება...

ძნელია, წარსულში ილაპარაკო იმ ადამიანზე, რომელიც ჩვენი ჟურნალის მთელი კოლექტივისთვის ძალზე ახლობელი და ძვირფასი იყო. მით უმეტეს – „გზა“ ხომ ქალბატონი ლალის შემწეობით დაარსდა – შვილობილივით „მოკალათდა“ ჩვენი ჟურნალი „კვირის პალიტრის“ ფრთებქვეშ და არასოდეს მოჰკლებია მისი მთავარი რედაქტორის ყურადღება. უდიდესი პროფესიონალიზმი იგრძნობოდა მის საქებად სიტყვებსა თუ საქმიან შენიშვნებში...

ამ რამდენიმე წლის წინ, „კვირის პალიტრამ“ განახორციელა უჩვეულო პროექტი – „წერილი მომავალში“. ჩვენმა ათასობით თანამემამულემ წერილები მისწერა თავ-თავის ახლობელს – 2, 5, 10, 50 და 100 წლის შემდეგ! წერილები თარიღების შესაბამისად ცალ-ცალკე ყუთებში დაილუქა... განსაზღვრული დროის შემდეგ, პროექტის მონაწილეთა გულისთქმას წაიკითხავს მათი შვილი, შვილიშვილი, შვილთაშვილი, ახლობელი ადამიანი... წერილები გაუგზავნეს მომავალ პატრიარქს, პრეზიდენტს, საკუთარ თავს...

ქალბატონმა ლალამ თავად გაგვიმხილა, რომ ამ პროექტის ჩვეულებრივი მონაწილედ იყო და წერილი მომავალში გაუგზავნა „კვირის პალიტრის“ მთავარ რედაქტორს... 100 წლის შემდეგ. ამის იმედიანი განწყობა გაგვიმჟღავნა, რომელსაც შვილივით ძვირფასი გაზეთის მიმართ განიცდიდა...

ჩვენც გვინდა, უსათნოესი ქალბატონის, მეგობრისა და კოლეგის, ლალი გუნთაიშვილის ნასათუთეგმა და შვილივით ნალოლიაკებმა გაზეთმა საუკუნეს გაუძლოს... 100 წლის შემდეგ კი, დარწმუნებული ვართ, გაზეთის მომავალი მთავარი რედაქტორი თავისი არცთუ ისე შორეული წინაპრის გულითად სტრიქონებს წაიკითხავს და მასში ავტორის მიერ გამოხატული დიდი სიყვარული, სითბო და დალოცვა აღაფრთოვანებს... ყველაფერი იმით, რითიც ესოდენ განებივრებული ვიყავით ქალბატონი ლალისგან...

უფალს შევთხოვთ, სასუფეველი დაგიმკვიდროთ მარადისობაში, ჩვენო უსათნოესო ქალბატონო ლალი...

ხუთშაბათს, 29 ივლისს, დღის 3 საათზე, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრიდან (ვორონცოვზე) უკანასკნელ გაზეთ გაგაცილებთ გაზეთ „კვირის პალიტრის“ მთავარ რედაქტორს, ქალბატონ ლალი გუნთაიშვილს — ჩვენს უასლოეს მეგობარსა და კოლეგას.

არ მესმის, რატომ არის საჭირო თვითგამოცხადებული ოსეთის ტერიტორიაზე მოსახვედრად უამრავი ბლოკ-საგუშაგოს გავლა, რუსი გენერლის კეთილი ნება და პრეზიდენტ კოკოითის მიწვევა, როდესაც შიდა ქართლის ნებისმიერი სოფლის შარაგზა უმტკივნეულოდ მიგიყვანს „კეთილ მეზობელთან“... უკვე მრავალი წელია, ოსებსა და ქართველებს შორის მიმოსვლა შემოვლითი გზებით სორციელდება, თუმცა ჯერ არც ერთ მათგანს იმის შეგრძნება არ დაუფლებია, რომ არალეგალურად კვებდა არარსებულ საზღვარს. არადა, უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში, საქართველოში არალეგალურად შემოტანილი ნარკოტიკების დიდი ნაწილიც სწორედ ამ გზებით შემოდიოდა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან გატაცებული ავტომანქანებიც აქედან გაჰყავდათ ჩრდილო ოსეთში.

„ჩემი შოხეური წინაქიები ქაჩოვერები იყვნენ...“

— *ამბობს ორჭოსანელი ოსი გოგონა*

ივა ტუხიაშვილი

კონფლიქტის ზონაში დღეს შექმნილი ვითარების მიუხედავად, როგორც ჩანს, პრეზიდენტი კოკოითი საკუთარი სახელმწიფოს საზღვრების დაცვას მაინც ვერ ახერხებს, რასაც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩემი არალეგალური მოგზაურობაც ცხადყოფს. ერთი ოსური „დაბო ხორხ“ — ანუ „გამარჯობა“ — საკმარისი აღმოჩნდა, რომ სოფლის „ბირჟაზე“ ჩამომსხდარი რამდენიმე მამაკაცი ქართულად ამელაპარაკებინა. მაშინ, როდესაც ჩვენგან სულ რაღაც 3-4 კილომეტრის დაშორებით ნაბზღორივის საგუშაგო და დე ფაქტო-ხელისუფლების რაიონული შტაბი იყო განლაგებული.

რესპონდენტების თხოვნით, მათ ვინაობას არ ვავამხელ, გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ისინი ცხინვალის რაიონის სოფელ ორჭოსანის მკვიდრნი არიან.

— რაღაც არ იგრძნობა, რომ კონფლიქტის ზონაში ცხოვრობთ? **შუახნის მამაკაცი:**
— ახლა შედარებით სიმშვიდეა;

დროდადრო, ოსური სამხედრო პატრული თუ შემოუვლის სოფელს. ძირითადი სამხედრო შტაბი წინაგარაშია და სწორედ ისინი აკონტროლებენ ამ ტერიტორიებს. ომი არავის გვინდა. ჩემი ერთი შვილი თბილისში ცხოვრობს, მეორე კი — ცხინვალში. არეულობა რომ დაიწყოს, გამოდის, რომ ერთ-ერთ შვილს უნდა შეველიო. ჩვენი თაობის ადამიანებს ბევრი ქართველი მეგობარი და შეძენილი ნათესავი გვყავს, ამიტომ კონფლიქტის კვლავ გაღვივება ჩვენთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება. ახალგაზრდა თაობაზე თავს ვერ დავდებ, ისინი ისეთ პერიოდში აღიზარდნენ, როდესაც ოსებში ქართველობა, ხოლო ქართველებში ოსობა საძრახისად ითვლებოდა. ამიტომ მათ თუ ხელში იარაღი დააჭვრინეს, შესაძლოა, უკან არ დაიხიონ.

— როგორც ვიცი, ცოტა ხნის წინ, მოსახლეობას იარაღი დაგირგდათ. ვისგან უნდა დაგეცვათ თავი?

— იარაღი მართლაც, დაგვირგეს, რუსული წარმოების ავტომატები, რომ-



ოჯახზე 50 კილოგრამიანი ფქვილის გომარა და 14 ცალი ხორცის კონსერვი დაგვირიგეს

ლებიც როგორც გვითხრეს, ოსეთის ტერიტორიაზე რუსებმა შემოიტანეს. მაგრამ 3 დღეში, ისევ ჩამოგვართვეს. ხომ იცით, სოფლის ახალგაზრდები უსაქმურობისგან სმირად სვამენ?... ჰოდა, მთვრალეები ქუჩაში იარაღით დადიოდნენ. ერთი სამწუხარო ინციდენტიც მოჰყვა მოსახლეობისთვის იარაღის დარიგებას.

— რა ინციდენტი?
— გაგიკვირდებათ, მაგრამ ორჭოსანშიც და ბევრ სხვა მეზობელ სოფელში ზაფხულობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დამსვენებლები ჩამოდიან. მაგალითად, სოფელ ხურვალებში ცნობილი ფეხბურთელის ვოვა გუცაევის მამა გაბრო გუცაევი ცხოვრობს. ვოვას საკმაოდ კარგი სახლი აქვს ხურვალებში და რამდენადაც ვიცი, ახლაც იქ ისვენებს. სამწუხარო ინციდენტი კი, სოფელ აბრევიში მოხდა. ოსი ეროვნების ბიძაშვილებთან რუსთავიდან დასასვენებლად ქართველი ბიჭი იყო ჩამოსული. სწორედ მაშინ ურიგებდნენ იარაღს მოსახლეობას და იარაღის ხელში აღება ამ სტუმარ ბიჭსაც შესთავაზეს. მას უარი უთქვამს: ვის, ქართველებს ვესროლოო?! ამ სიტყვების გამო სტუმარი მძიმედ დაუჭრიათ და როგორც ვიცი, ახლაც ქალაქ რუსთავის საავადმყოფოში მკურნალობს.

— მიხეილ ქარელმა რომ საჩუქრად სასუქი მოგიტანათ, რატომ არ მიიღეთ?

— მართალია, სააკაშვილი საქმის გამკეთებელი კაცია, მაგრამ „ქოქითე მახნისთერუმ“ — ანუ „კოკოითია ჩვენი უფროსი“... შიშის ფაქტორი მოსახლეობაში ნამდვილად არის. ვინ გარისკავდა და აიღებდა ქართველების საჩუქარს?! არც ერთ ოჯახს არ მიუღია ქარელის დახმარება. ტელეკამერების დასანახად რამდენიმე ტომარა გადმოაგდეს მანქანიდან. მაყვალამ (ქალბატონი, რომელიც ქარელსა და სოფლის მეურნეობის მინ-



ორჭოსანელი ქართველების საფლაგები

ისტრს გაუმასპინდლა. — ავტ.) კი, იმიტომ გამოიტანა პურმარილი, რომ სოფელში დღეობა გვექონდა და ჩვენში სტუმრის გამასპინძლება წესად ითვლება.

— **სამაგიეროდ, პუტინის დახმარება ხომ მიიღეთ, რომელიც ჩვენმა პრეზიდენტმა განაბაჟა?**

— ამისთვის სააკაშვილსაც მაღლობა და პუტინსაც... ჩვენთან ზოგს მოსწონს სააკაშვილი და ზოგს არ მოსწონს. მათი დახმარება კი, ძალიან გამოგვადგა. ეს იყო 50-კილოგრამიანი ფქვილის ტომარა და ოჯახზე 14 ცალი ხორცის კონსერვი (ბელორუსული წარმოების ეს კონსერვი მკირაწლოვანი ბავშვებისთვის ყოფილა განკუთვნილი. — ავტ.).

— **კოკოითი თუ გქმარებთ ხოლმე?**

— ვერ გეტყვით, რომ კოკოითს ამ ხნის განმავლობაში ჩვენთვის რაიმე სასიკეთო გაეკეთებინოს. ორჭოსანში მხოლოდ ერთხელ არის ნაშეფი და ისიც — საარჩევნო პერიოდში. ხმაც მივეცი, აბა, რა უნდა გვექნა?... მისი მოგვარებებიც ცხოვრობენ ჩვენს სოფელში, მაგრამ არც მათთვის გაუკეთებია რამე. ჩვენ, შვილო, გლეხები ვართ. თავს საკუთარი მოყვანილი პროდუქტით ვირჩენთ. სოფლის ნობათი გასაყიდად გორში მიგვაქვს ხოლმე. ჩვენი სოფლიდან გორამდე დაახლოებით 20 კილომეტრია, ცხინვალამდე კი — ორჯერ უფრო მეტი. ამიტომ სააკაშვილიც გვიანდა და კოკოითიც.

— **ეგ როგორ? გინდათ, რომ ერთდროულად ორი პრეზიდენტი გყავდეთ?**

— თუკი ორ-ორი პასპორტი გვაქვს და ორი ქვეყნის მოქალაქეები ვართ ერთდროულად, რატომ არ შეიძლება, რომ ორი პრეზიდენტი გყავდეს?! ჩამართვან ერთმანეთს ხელი და მეგობრულად იცხოვრონ და ჩვენც სიმშვიდისა და მოსვენების საშუალება მოგვცენ.

— **ორი პასპორტი საიდან გაქვთ?**

— ერთი საქართველოს პასპორტია, სადაც მიწერია, რომ საქართველოს მოქალაქე ვარ, ხოლო მეორე — რუსეთის პასპორტია, რომელიც სულ ახლახან გავეიკეთა ჩვენმა ხელისუფლებამ. როდესაც გორში მივდივარ, ქართული პასპორტი მიმაქვს, ხოლო ცხინვალში რუსული პასპორტით დავდივარ (იცინის)... ჩვენს სოფელში რამდენიმე სავაჭრო ჯიბურია, სადაც ლარებსაც იღებენ და რუსულ რუბლებსაც.

— **პენსია რამდენი გაქვთ?**

— ვინც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეა ჩაწერილი, პენსია 3.000 რუსული რუბლი აქვს, მაგრამ ჩვენ შორის არიან ისეთებიც, ვისაც ბინები გორსა და თბილისში აქვთ და შესაბამისად, იქ არიან ჩაწერილები და პენსია 21 ლარი აქვთ.

— **თქვენი სოფლის სკოლაში სწავლა ოსურ ენაზეა?**

— ეს ძირითადად, რუსული სკოლაა: თითქმის ყველა სახელმძღვანელო რუსულ ენაზეა, კვირაში 1-2 საათი ქართული ენის გაკვეთილებს ეთმობა, შედარებით მეტი კი — ოსურს.

— **ხანში შესული ვაჟაპაცია:**

— ძალიან ბევრ ოსში ქართული სისხლი ჩქეფს. ჩემი შორეული წინაპრები ქართველები იყვნენ — თავის დროზე, ნოყიერმა მიწამ გადმოიყვანა საცხოვრებლად ამ ადგილებში. ოსებს იმთავითვე ვერ აუტანიათ ქართული გვარის მეზობელი და ჩემი წინაპარი იძულებული გამხდარა, გვარი გადაეკეთებინა. მაგალითად, მელაძეები ახლა დრიაევიები არიან და ა.შ. ქართველებს ჩვენს სოფელში სოფლის სასაფლაოზე არ მარხავდნენ და მათ სასაფლაო ცალკე აქვთ მოწყობილი, სადაც მხოლოდ რამდენიმე ძველი მიცვალებულია განისვენებს. ჩვენს სოფელში აფხაზეთიდან ლტოლვილი სირბილაძეებიც ცხოვრობენ და ოსური ენაც ისწავლეს. რას იზამ, შვილო, რომ გაგიგონია — სადაც წახვალ, იქაური ქული უნდა დაიხურო.

— **კოკოითზეც ხომ ამბობენ, ქართველი ცოლი ჰყავსო?**

— დანამდილებით ვიცი, რომ მისი მეუღლე წარმოშობით სამეგრელოდან არის, მაგრამ ქართველებისადმი სიძულვილი რამ ჩაუნერგა ამ კაცს, ვერაფრით გაშიგა. ზოგჯერ ჩვენში ვლაპარაკობთ ხოლმე: ნუთუ, ასლანზე მაგარია, რომ არ გადადგებო?... მაგრამ ახლა ხმა მოგვივიდა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს დაღუპული ძმები დაუფიცია კოკოითს — ჩემი ნებით არ გადავდგები.

— **ოფიციალური ინფორმაცია საიდან მოგეწოდებათ? ცხინვალის ტელევიზიას უყურებთ ხოლმე?**

— ცხინვალის ტელევიზიას მაუწყებლობის ფართო დიაპაზონი არა აქვს, ჩვენთან ძირითადად, ქართული ტელეარხები აჩვენებს, ახალ ამბებსაც იქიდან ვივებთ ხოლმე. მაგრამ იცოდეთ, რომ კონფლიქტის ზონაში ან თუ გნებავთ, სამხრეთ ოსეთში, რომ იტყვიან — როგორც ქუხს, ისე არ წვიმს...

P.S. წამოსვლა რომ დავაპირე, ოსებმა „დღეობაზე“ დამპატივეს, რომელსაც ისინი ღვთისმშობელს სწირავენ და სექტემბრის ბოლოს აღნიშნავენ, მაგრამ „დღეობისთვის“ მზადება უკვე ახლა იწყება. როგორც კი ხორბლის მოსავალს აიღებენ, ოსურ ლუდს გამოხდიან და შემდეგ, სწორედ ამ სახმლით შესვამენ მთავრობის სადღეგრძელოს.

„ვეფხისტყაოსნის, რათა შევინარჩუნოთ გუვიდობა“


rogor oficrad
mogvevlineba
akademiaSi
wleuls
Caricxuli
177 kursanti?

ნანა ქიბიშაური

— ბატონო გიორგი, ჯერ თქვენ შესახებ მოგვანოდეთ მცირე ინფორმაცია, შემდეგ კი აკადემიის პროგრამების, მისი პირველი და წელს ჩარიცხული კურსანტების შესახებ ვისაუბროთ...

— ამ აკადემიის კურსანტი მეც გახლდით და სასწავლო პროგრამა ექსტერნად გავიარე. ძირითადი სამხედრო განათლება კი, გერმანიაში მივიღე. დავამთავრე ბუნდესვერის საერთო საჯარისო დაზვერვის სკოლა. 2001-2002 წლებში ვიყავი სპეცდანიშნულების ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი, 2002-2003 წლებში, მე-11 მექანიზებული ბრიგადის მეთაური, 2003-2004 წლებში — ნატოსთან ინტეგრაციის სამმართველოს უფროსი. აპრილიდან, თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორის თანაშემწე, ივლისიდან კი — აკადემიის შტაბის უფროსად დავინიშნე. რაც შეეხება თავდაცვის ეროვნული აკადემიის ისტორიას, ის 1993 წელს შეიქმნა. პირველი ერთწლიანი კურსი ექსტერნად გაიარეს იმ სამხედრო პირებმა, რომელთაც საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ მიღებული. შემდეგ განხორციელდა ოთხწლიანი სტანდარტული პროგრამა, რომელიც მანამდე, ყოფილ საბჭოთა კავშირში მოქმედებდა. ამ პროგრამის შესაბამისად, კურსანტი იღებდა ისტორიკოსის განათლებას და პარალელურად ეუფლებოდა სამხედრო პროფესიას. 1995 წლიდან დაიწყო სამთვიანი პროგრამა, რომელიც ოფიცრებსა და ზემდეგებს ამზადებდა. 2000 წლიდან ამოქმედდა ინგლისური პროგრამა, რომელიც უმაღ-

საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში მისაღები გამოცდები დამთავრდა. წლეულს ამ უმაღლეს სასწავლებელში განაცხადი 700-ზე მეტმა აბიტურიენტმა შეიტანა. 177 მათგანი აკადემიის კურსანტი გახდა. როგორც აკადემიაში გვითხრეს, ასეთი მაღალი კონკურსი ამ სასწავლებელში დიდი ხანია, არ ყოფილა და ის მის მესვეურთა მიერ სწორად წარმართული საინფორმაციო მუშაობისა და სახელმწიფოს უმაღლესი მთავარ-სარდლის პოზიციის შედეგია: მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტობის პირველსავე დღეებიდან, ქვეყნის განვითარებისთვის პრიორიტეტულად სამხედრო სფერო გამოაცხადა, ყველა მიხვდა, რომ მასში მართლაც, ძირეული გარდაქმნები დაიწყებოდა და ქართული ჯარის აღმშენებლობის პროცესს რეალურად ჩაეყრებოდა საფუძველი. რა წვლილს შეიტანს ამ საქმეში საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია და მის მიერ მომზადებული ოფიცრები? — ვესაუბრებით ეროვნული აკადემიის შტაბის უფროსს კაპიტან ბიორგი ბლიაძეს.



გიორგი ბლიაძე: სამხედრო საქმით მაღალი ინტელექტის მქონე ახალგაზრდობა დაინტერესებული...

ლესი განათლების მქონე სამხედრო მოსამსახურეებსა და საჯარო მოხელეებს აძლევდა საშუალებას, მიეღოთ ოფიცრის წოდება. წელს დამთავრდა რუსული ვარიანტის 4-წლიანი პროგრამა და გრძელდება 2 წლის წინ დაწყებული ქართულ-თურქული პროექტი „4+1“, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ კურსანტი იღებს სამოქალაქო განათლებას — ბაკალავრის დიპლომს, ოთხი წლის შემდეგ კი მას ეძლევა ლეიტენანტის წოდება და ერთწლიან სამხედრო მომზადებას სამხედრო სკოლაში გადის. აკადემიის დარსების პირველ წლებში, სამხედრო განათლების მიღებით დაინტერესებული იყვნენ ძირითადად ადამიანები, რომელთა ახლობლებიც სამხედრო პირები იყვნენ, მაგრამ ამ კურსდამთავრებულთა 70% დღეს სხვა საქმიანობითაა დაკავებული.

— წლეულს ერთ ადგილზე 5 აბიტურიენტი მოდიოდა. თქვენი აზრით, მაინც რამ გამოიწვია ახალგაზრდების დაინტერესება სამხედრო განათლების მიღებით?

— ეს აიხსნება იმით, რომ ნოემბრის შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში ძირეული გარდაქმნები მოხდა და შეიარაღებული ძალების პოპულარიზაცია უმაღლესმა მთავარსარდალმა დაიწყო. შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე ცვლილებები მას-

მელიამიც ფართოდ გაშუქდა და ამანაც შეასრულა გარკვეული როლი. წელს პირველად ჩატარდა სარეკლამო კამპანია, ვერტმფრენიდანაც კი ჩამოიყარა საინფორმაციო ფურცლები და ამ ყველაფერმა ერთად გამოიწვია ის, რომ წელს გამსვლელი ქულა 28-ს აღწევდა. ჩატარდა ჩათვლა ფიზიკურ მომზადებაში და ტესტირება სახელწოდებით — „ზოგადი უნარი“.

ამ თაობამ საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა და შემოიძლია თამამად ვთქვა, რომ დღეს, სამხედრო საქმით მაღალი ინტელექტის მქონე ახალგაზრდობა დაინტერესებული.

— მისაღები გამოცდები წარმოუდგენელია, განაწყენებული მშობლებისა და მათი პრეტენზიების გარეშე...

— ჩვენი მისამართითაც იყო პრეტენზიები. იყვნენ ისეთი აბიტურიენტები, რომელთაც ორძელზე ერთხელ აზიდვაც კი ვერ შეძლეს და სანამ ეს მათ მშობლებს თავიანთი თვალთ არ დავანახვეთ, ვერ დავარწმუნეთ, რომ მათი შვილების შესაძლებლობებს ჩვენი ინსტრუქტორები სწორად აფასებდნენ. გამოცდებს თვალყურს ადევნებდნენ მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე — დამკვირვებლები ძალოვანი უწყებებიდან და მშობლები, რომლებიც მხოლოდ იმ გამოცდებზე იყვნენ დაშვებული, რომლებშიც მათი შვილები არ მონაწილეობდნენ. საბოლოოდ ყველამ აღნიშნა, რომ ეროვნულ აკადემიაში მისაღები გამოცდები ობიექტურად ჩატარდა.

— ვინ შეადგინა „ზოგადი უნარის“ ტესტი — სამხედროებმა?

— არა, ეს ტესტი არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ცენტრმა“ მოამზადა, რომელმაც მის კონფიდენციალურობაზე იკისრა პასუხისმგებლობა.

— აკადემიაში სიის ნაცვლად, გამოიკრა ჩარიცხულ აბიტურიენტთა ნომრები. ვერ მოასწარით გვარსახელის ნომრებთან იდენტიფიცირება თუ ნომრის პატრონების ვინაობა ბოლო დღემდე, საგანგებოდ იყო გასაიდუმლოებული?

— მათ, ვინც ტესტი შეაფასა, არ იცოდნენ, თუ ვის ნამუშევარში წერდნენ ქულას. ნომრის და გვარ-სახელის იდენტიფიცირება შემდეგ მოხდა და ახლა უკვე ჩვეულებრივი სიაა გამოკრული. ვფიქრობ, ამ მეთოდმა, ყველა მოსაზრებიდან გამომდინარე გაამართლა.

— გოგონებს არ აქვთ სურვილი, მიიღონ სამხედრო განათლება?

— რამდენიმე გოგონამ უკვე დაამთავრა კიდეც სამხედრო აკადემია და მიიღო უფლება, ოცმეთაურად იმსახუროს. წლეულსაც ბევრს ჰქონდა სურვილი, ჩარიცხულიყო აკადემიაში, მაგრამ სამწუხაროდ, მათი მიღება ვერ მოხერხდა, რადგან შესაბამისი პირობების შექმნა ვერ მოვასწარიო: მოგესვენებთ, გოგონებს ცალკე ყაზარმა და განსხვავებული პირობები სჭირდებათ. თურქ ინვესტორებთან უკვე შევთანხმდით და ისინი მალე დაიწყებენ შენობის ერთი ნაწილის გარემონტებას და საგაისოდ გოგონებისთვის ცალკე ყაზარმა გვექნება.

— ასაკობრივი ცენზი არ არის დანესებული?

— მამაკაცებისთვის არის: აკადემიაში ჩაბარება 17-დან 22 წლამდე ახალგაზრდებს შეუძლიათ. გოგონების ასაკს კი შესაბამისი კომისია განსაზღვრავს. ამ პრობლემას გადაწყვეტს დოკუმენტი, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ



...ისინი მალე დაიწყებენ შენობის ერთი ნაწილის გარემონტებას და საგაისოდ გოგონებისთვის ცალკე ყაზარმა გვექნება

პროექტის სახით არსებობს და დამტკიცების შემთხვევაში, გაისად ამოქმედდება.

— არ უჭირთ ქართველ ბიჭებს სამხედრო დისციპლინის დაცვა?

— სამხედრო პირი წესს უნდა ემორჩილებოდეს. ის დრო, როცა ქართველები საბჭოთა ჯარში სამსახურის პერიოდში, წესებს არ ემორჩილებოდნენ და ამით ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, მეგობრებთან თავს იწონებდნენ, წარსულს ჩაჰბარდა. აქ ყველა ქართველია და ქართულ ჯარში ვერავინ ვერავის დაჩაგრავს. აქ არავის უნდა ჰქონდეს ბელადობის პრეტენზია. ლიდერობას კი, როგორც დისციპლინას, ისე ვასწავლით. სწავლების პარალელურად ტარდება კურსანტთა ფსიქოლოგიური გამოკვლევები და დგება თითოეული კურსანტის პირადი საქმე, სადაც მისი ქცევისა და ხასიათის შესაბამისად, ამ პიროვნების შესახებ მთელი ინფორმაცია დაგროვდება.

— რაც შეეხება არაქართველ აბიტურენტებს — ისინი ადრე რატომღაც უგამოცდოდ, გამონაკლისის წესით ირიცხებოდნენ სასწავლებელში. ახლა როგორ იქნება მათი საქმე?

— მათ უნდა გაიარონ ისეთი ტესტი, რომელიც ქართული ენის ცოდნას არ საჭიროებს. შემდეგ ჩაირიცხებიან აკადემიის მოსამზადებელ კურსზე, შეისწავლიან ქართულ ენას, საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას. მომდევნო წლიდან კი, პირველ კურსზე უგამოცდოდ ჩაირიცხებიან.

— რას აძლევს აკადემიაში გატარებული ოთხი წელი კურსანტს? როგორები არიან თქვენთან პირველად მოსული ახალგაზრდები და როგორები დაბრუნებულნი აკადემიას?

— ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ აკადემიის კურსდამთავრებული იყოს სწორედ ისეთი, როგორი სამხედრო პირიც დღეს საქართველოს სჭირდება: პატრიოტი, განათლებული და კარგად მომზადებული. ჩვენი აკადემიის კურსდამთავრებულები ის სამხედრო პირები იქნებიან, რომლებიც უპასუხებენ ჩვენი საზოგადოების საკადრის მოთხოვნებს; იყვნენ პროფესიონალები და გამოირჩეოდნენ ღირსების გრძნობით. ჩვენც, ისევე, როგორც ყველა სამხედრო, ვემზადებით ომისთვის, რათა შევინარჩუნოთ მშვიდობა. ამას კი კარგად მომზადებული სამხედრო კადრების გარეშე ვერ შევძლებთ.

„პროკურორების უემონეზა გაგრძელდება“

— რატომ არ გაამხილა პროკურატურამ ნარკოტიკების მოხმარების გამო თანამდებობიდან გათავისუფლებული პირების ვინაობა და გაგრძელდება თუ არა თქვენს უწყებაში „წმენდის“ პროცესი?

პალერი ბრივალაშვილი, თბილისის პროკურორი:

— ამ ეტაპზე, შემოწმება ყველა რაიონის პროკურატურის თანამშრომლებმა გაიარეს. მათ შორის, ნარკოტიკების მოხმარებელი მხოლოდ შვიდი ადამიანი აღმოჩნდა. ოთხ მათგანს ნარკოტიკების მოხმარების ფაქტი შემოწმებისას დაუდგინდა, ორმა შემოწმებას შეგნებულად აარიდა თავი, რადგან ნარკოტიკების აქტიური მოხმარებელი გახლავთ. ერთი თანამშრომელი კი, უახლოეს დღეებში, დამატებით შემოწმებას გაივლის. ბუნებრივია, შემოწმების პროცესი ერთჯერადი არ იქნება. დროა, სამართალდამცავი სტრუქ-

ტურები გათავისუფლდნენ იმ პირებისაგან, რომლებიც თავად ეწვეიან კანონსაწინააღმდეგო ქმედებას და ნარკოტიკული ნივთიერების მუდმივი მოხმარებლები არიან. ჩვენ, მუნდირის დაცვის თვალსაზრისით, შევევლო, მათი მხილების ფაქტი არ გავკენმაურებინა, მაგრამ ნებისმიერმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ კანონის უზენაესობა, როგორც პროკურორზე, ასევე რეგულაციებზე ერთნაირად ვრცელდება. პროკურატურაში დაწყებული რეფორმის მთავარი არსი სწორედ ამაში მდგომარეობს. რაც შეეხება მათი ვინაობის არგამხელას, ეს მათი ოჯახის წევრებმა ითხოვეს, ამიტომ მე მხოლოდ მათი თანამდებობების დასახელებით შემოვიფარგლე. აღნიშნული პირები ჯერჯერობით, მხოლოდ ადმინისტრაციულ სასჯელს დაექვემდებარებიან, გამოკვების შემთხვევაში კი, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

„რამდენიმე თვეში, გასაყიდ მობილტოს ახალი ნუსხა გამოქვეყნდება“

— როგორც ამბობენ, პრევატიზაციის შედეგად ბიუჯეტში პირველ ეტაპზე, 61 მილიონი ლარი შევა. კონკრეტულად რა სანარმოების ხარჯზე და ზოგადად, რომელი ობიექტები იწვევს განსაკუთრებულ ყურადღებას?

ქახა ბენდუშიძე, ეკონომიკის მინისტრი:

— ქვეყნის ბიუჯეტში პირველ ეტაპზე, ალბათ 61 მილიონი შემოვა. ძირითადად, ეს „თბილავიამშენის“ ხარჯზე იქნება. გარდა ამისა, გაიყიდება სხვა ობიექტებიც. რაც შეეხება აჭარაში მიმდინარე პრევატიზაციის პროცესს, ინვესტიციების შემოსვლის შემდეგ, ქვეყნის ბიუჯეტში სოლიდური თანხები იქიდანაც შემოვა. თუმცა საერთოდ, ამის შედეგად შემოსული ფულის ერთი მესამედი რეგიონში უნდა დარჩეს და აჭარის განვითარებას მოხმარდეს. ამ ეტაპზე, ობიექტების მყიდველთა ვინაობას ვერ დავასახელებ. განსაკუთრებულ ინ-



ტერესს „საქართველოს ტელეკომის“, „ელექტროკავშირის“ და ჰესების მიმართ იჩენენ. 300-ზე მეტი ობიექტი უკვე მზადაა გასაყიდად. რამდენიმე თვის შემდეგ კი, ახალ საწარმოთა ნუსხას გამოქვეყნებთ. იმედი გვაქვს, პრევატიზაციის პროცესი წელიწად-ნახევარში დასრულდება და ამით მოგებული უდავოდ ქვეყანა და მისი მოსახლეობა დარჩება.



ნინა: „მამაკაცი უნდა იყოს თანუდაჯერებელი!“

„ნინა, ნინა, ჩემო ნინა, გათხოვება ხომ არ გინდა?“ — ძველი ლექსის ეს სტრიქონი ამეგვიატა, როდესაც დღევანდელ „საპატარ-ძლოსთან“ — მომღერალ ნინა წკრილაშვილთან ინტერვიუ ჩავენერე. რომ გითხრაო, გათხოვება ძალიან უნდა-მეთქი, ტყუილი იქნება, თუმცა, თუ სასურველი მამაკაცი შეგვდა, ოჯახს დიდი სიამოვნებით შექმნის... ვინ დაეხმარა მას საკუთარი სტუდიის მონყოლაში და რა მოთხოვნებს უყენებს პოპულარულ მომღერალ შვილს ბიზნესმენი მამა — მისი საუბრიდან შეიტყობთ.

გრამ თუ ვიფიქრე, მერე მტრისას... მაქსიმალურად ვცდილობ, ხშირად არ ვიბუზ-ლუნო, არ მასსოვს, ჩემი ბუზღუნით შე-მეწუხებიან ვინმე. არც ჭირვეული ვარ, თუმცა, ყველას ჰგონია, რომ ჩემი კაპრი-ზები მაქვს, მაგრამ ეს ასე არ არის. ამასთან, ძალზე დამთობი ვარ და სიჯიუტე საერთოდ არ მახსიათებს. არ მჩვევია ხშირად ტირილი. ვტირი მხოლოდ მა-შინ, როცა ძალზე ცუდად ვარ, ოღონდ — ფიზიკურად კი არა, არამედ სულიერად. ფიზიკურად ძალზე ჯანმრთელი ვარ და სულ 2-3 შემთხვევას თუ გავიხსენებ, როდესაც სიცხე მქონდა. ხანდახან შინა-გან სიცარიელეს ვგრძნობ და სწორედ მაშინ ვტირი.

ბა ჯობს, რადგან არავის სჭირდება შენი რომანტიკულობა და სენტიმენტალიზმი...

— **გულგატეხილი ადამიანით საუბრობ...**

— არა, გულგატეხილი ნამდვილად არ ვარ. უბრალოდ, სამწუხაროა, რომ ოჯახი დამენგრა. განსაკუთრებით ეწუხვარ შვი-ლის გამო. მაგრამ როგორც ჩანს, ესეც ბედისწერა იყო.

— **გამოდის, რომ ბედისწერის გვერა?**

— კი, ძვერა, რადგან დაგვიბოლო საქმე არასოდეს გამოდის. უცებ კი, ისეთი რა-ღაცეები ხდება, რასაც სულაც არ მოველი და ცხოვრებას ძირფესვიანად ცვლის...

— **ყოფილ მეუღლესთან თუ ურ-თიერთობ?**

— სკანდალით არ დავცილებივართ ერთმანეთს, მაგრამ მხოლოდ აუცილე-ბლობის შემთხვევაში ვკონტაქტობთ, მა-შინ, როდესაც ბავშვთან დაკავშირებით გვაქვს გასარკვევი ესა თუ ის საკითხი.

— **შენი, როგორც მომღერლის კარიერა სწორედ მას შემდეგ დაი-წყო, რაც მეუღლეს გაეყარე?**

— ბავშვობიდან ვმღერი. ჩემი სიმღე-რები ჩაწერილია ფირფიტაზეც, მაგრამ შემდეგ გავთხოვდი, სიმღერისთვის ვეღარ ვიცლიდი. შემდეგ, როდესაც ოჯახი და-მენგრა, დეპრესიულ მდგომარეობაში აღ-მოვჩნდი. სიმღერა კი დამეხმარა იმაში, რომ ამ ყოფისთვისთვის დამეღწია თავი.

— **საკმაოდ სექსუალური ქალის იმიჯი გაქვს. შეგნებულად აირჩიე?**

— არა, ეს რაღაცნაირად, თავისთავად გამოვიდა. უბრალოდ, აღნაგობა და ფორმე-ბი მაქვს ისეთი, რომ როგორი ტანისა-მოსიც არ უნდა ჩავიცვა, საღამოს კაბა იქნება ეს თუ ჯინსის შარვალი, მანც სექსუალურ იერს მძლევს. ასეთი იმიჯი ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა. ახლა ზაფხულია და ბუნებრივია, თავისუფალი ტანისამოსით დავდივარ. თუ დახურუ-ლყელიანი მისური არ მაცვია, ძალაუნებ-ურად, სექსუალური გჩანვარ.

— **რადგან დეპრესიიდან უკვე გამოხვედი, მეორედ გათხოვებაზე როგორი აზრის ხარ?**

— ცხოვრებაში რაც ხდება, ყველაფერი ღვთის ნებაა. თუ შემხვდება სასურველი

მარი ჯაფარიძე

— **ჯერ შენი ოჯახი გაგვაცანი.**

— მყავს მამა, ზურაბ წკრილაშვილი, რომელიც საკმაოდ სერიოზული ადამი-ანია, აქვს თავისი ბიზნესი, არის კერძო სასტუმროებისა და რესტორნების მფლო-ბელი; მყავს დედა, და, რომელიც გათხო-ვილია და ცალკე ცხოვრობს და 20 წლის ძმა. მყავს 6 წლის შვილი სანდრო დადიანი, რომელიც მეორე კლასის მოს-წავლავა.

— **ეი. ერთხელ უკვე იყავი გა-თხოვილი.**

— დიახ. 13 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი მომავალი მეუღლე შემიყვარდა. 17 წლის ასაკში გავთხოვდი. 6 წელი ვიცხ-ოვრეთ ერთად და შემდეგ გაეყარეთ.

— **ახლა რამდენი წლის ხარ?**

— 26-ის.

— **დაგვისასათუ საკუთარი თავი, მაგრამ მხოლოდ საქებარი სიტყვე-ბით არა, უარყოფითი მხარეებიც გაგვიმზილე.**

— თავის ქება მანც არ მეხერხება. ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ არ ვარ ბოროტი და შურიანი. არასოდეს ვუსურ-ვებ სხვას ცუდს. თუ ვინმეს ჩემი თანადგო-მა სჭირდება, მზად ვარ, დღისა და ღამის ნებისმიერ დროს დავეხმარო. არ ვარ ზარმაცი. ხანდახან კი მეზარება რაღაც-რაღაცების კეთება, მაგრამ თუ ის საქმე მნიშვნელოვანია, არაფრის დიდებით არ გააფუჭებ. ცუდი თვისება ისაა, რომ ღამით ჭამა მიყვარს. ზოგჯერ, ძალზე დეპრესიუ-ლი ვარ. შემიძლია, ბევრი მოვითმინო, მა-

— **საოჯახო საქმე თუ გეხერხება?**

— კი, ყველანაირი საოჯახო საქმე მეხერხება. იყო დრო, როდესაც ცალკე ვცხოვრობდი ქმარ-შვილთან ერთად და ყველაფერს მე ვაკეთებდი. ახლა მასთან და შვილთან ერთად ვცხოვრობ, მაგრამ დრო არ მრჩება საიმისოდ, რომ საოჯახო საქმე ვაკეთო. თუ დამჭირდება, ყველაფერს ვაგაკეთებ.

— **სტუმრებთან განსაკუთრე-ბით რომელი კერძით შეგიძლია მოინონო თავი?**

— ძალზე კარგად გამოდის სალათე-ბი, ვაცხობ გემრიელ მჭადს, რადგან მე თვითონაც ძალიან მიყვარს და კიდევ ვამზადებ „ფრანგულას“, რომელიც კეთ-დება კარტოფილით, ზორციითა და მაიონ-ეზით. ნამცხვრების ცხობა არ მეხერხება, მაგრამ ეს დიდ პრობლემას არ წარმოად-გენს, რადგან ნებისმიერ მაღაზიაში შეი-ძლება გემრიელი ნამცხვრის შექმნა, თანაც, ტკბილეული ისე მიყვარს, რომ ყველანაირ კერძს მირჩევნია. ასევე ძალზე მიყვარს შოკოლადი. ყოველდღე რომ არ ვჭამო, ვერ გავძლებ.

— **გამიგონია, რომ შოკოლადის მოყვარული ადამიანები ძალზე სექსუ-ალურები და სენტიმენტალურები არიან...**

— სექსუალურობის რა მოგახსენოთ, ამის შემთხვევად მე არ გამოვდები, მა-გრამ სენტიმენტალური კი ვარ, პერიოდუ-ლად. საერთოდ მიმაჩნია, რომ სენტიმენტა-ლურობა დიდი სისულელეა. რომანტიკუ-ლი ვარ, მაგრამ მივხვდი, რომ რეალისტო-

მამაკაცი და იმდენად ძლიერად შემეყვარდება, რომ თავს დაგკარგავ, ვფიქრობ, გავთხოვლები, რადგან მთელი ცხოვრება მარტო ყოფნა ძალზე ძნელია. თუმცა, არც გათხოვებაში „ყრია“ რაიმე სასიკეთო...

— ბოიფრენდზე რას ფიქრობ?

— XXI საუკუნეში ბოიფრენდის არსებობა აღარავის უკვირს, მაგრამ ჩემი ოჯახისთვის ეს ძალზე მიუღებელია. ვერ წარმოიდგენთ, როგორი მკაცრი მამა მყავს. ის სამივე შვილზე თანგადაყოლილია, როგორც იტყვიან, გიჟი მამაა, მაგრამ ვერ აიტანს ჩვენს უღირს საქციელს. მე რომ მოვიწადინე, დამეხმარა და საკუთარი სტუდია მომიწყო, მომცა მუშაობის საშუალება, მეხმარება ფინანსურად, მაგრამ გარკვეული მოთხოვნებიც აქვს: ეს არ ჩაიცვა, ღამით გვიან შინ არ მოხვიდე, იქ არ წახვიდეო და ა.შ. მეც მიმაჩნია, რომ გართობაც, წასვლა-მოსვლაც, „ტუსოვკებზე“ სიარულიც დასაშვებია, მაგრამ ყველაფერში ნორმა უნდა იცოდეს. აუცილებელი ხომ არ არის, რომ ყველაფერი თავზე დაიშხო?.. ხომ შესაძლებელია, რომ ცოლა მოკრძალებულად ატარო დრო და ისიამოუნო?! რადგან მამა ასე ზრუნავს ჩემზე, მეც არ მინდა, გული ვატყინო და ისე მოვიქცე, რომ მისი საყვედური დავიმ-

სახურო და მის სახელს ჩრდილი მიგაყენო. გამოდის, რომ ისევ პირველი ვარიანტი — გათხოვება სჯობს, მაგრამ ვერც ქმრის კონტროლსა და ზედმეტ მოთხოვნებს ავიტან.

— ამჟამად შენი გული თავისუფალია?

— კი, ნამდვილად ასეა. რატომღაც არავინ მიყვარდება და რა ვქნა?..

— ალგვინერე შენთვის სასურველი მამაკაცის ტიპი.

— რატომღაც, შავგვრემანი მამაკაცები უფრო მესიმათითურებიან, მაგრამ შესაძლოა, ქერა კაცითაც მოვიხიბლო. რაც მთავარია, არ უნდა იყოს უსაქმური, უნდა იყოს შეგნებული, თბილი და მოსიყვარულე. ვერ ვიტან უკულტურო ამიანებს და ძალზე მეცოდებიან ასეთები. რაც შეეხება მატერიალურ მხარეს — არ არის სავალდებულო, რომ მილიონერი იყოს, მაგრამ მთლად ნულზეც არ უნდა „იჯდეს“; სულ მცირე შემოსავალი მაინც უნდა ჰქონდეს, რომ საკუთარი თავი სივარჯისა და სამგზავრო ფულით უზრუნველყოს, რადგან მიმაჩნია, რომ მამაკაცისთვის დამამცირებელია, როდესაც სივარჯის ფულს ცოლს სთხოვს. ასევე მიმაჩნია, რომ

მამაკაცი უნდა იყოს თავდაჯერებული და უნდა ჰქონდეს შენარჩუნებული თავისი ფუნქცია.

— ახლა ის დრო მოვიდა, რომ შენი მზითვი ჩამოგვითვალო...

— პირველ რიგში, ჩემი მზითვი, ჩემი შვილია, შემდეგ — ჩემი სტუდია, ჩემი „ბემ-ვე“ და სახლი.

— ორიოდ სიტყვით პატარა სანდროზეც გვიამბე და თან ისიც გვითხარო, როგორი დედა ხარ?

— ცუდი დედა ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ვერც იმით დავიკვივნი — სამაგალითო დედა ვარ-მეთქი, რადგან ჩემს სამუშაოს ძალზე ბევრი დრო მიაქვს და ბავშვს ხშირად უწევს ძიძასთან ყოფნა. ხშირად ვიგვიანებთ სკოლაში და ეს ჩემი ბრალია. მშობელთა კრებაზე ამის გამო საყვედურიც გამომიცხადეს და ძალზე შემრცხვა. პირობას ვლებ, რომ სექტემბრიდან საერთოდ აღარ დავიგვიანებთ. ნამდვილად კარგი შვილი მყავს და საოცარი სიამაყით ავივსე, როდესაც მასწავლებელმა ის ძალზე აქო და თანაც, მის თვისებებს გაუსვა ხაზი. ძალზე ღიდი სურვილი აქვს, რომ ფეხბურთელი გამოვიდეს და ჩემი ნატვრაა, მისგან მსოფლიო ღონის ფეხბურთელი დადგეს. მე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ე ზ ა

მივმართავთ ჩვენს მოგვარე, მჭედლიშვილებს და ვამცნობთ, რომ ყალიბდება მოგვარეთა საზოგადოება — „გრადემლი“, სადაც გაერთიანებულნი უნდა იქნნენ რესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები მოგვარეები და თანამოგვარენი.

კაცთა მოდგმა ძველი დროიდან გვარებს ტყუილად არ არიგებდა; ჩვენ ერთ-ერთ უკეთილშობილეს შემოქმედთა — „მჭედელთა“ წარმომოხისანი ვართ და დღევანდელი კაცობრიობის უდიდესი ტექნიკური განვითარების ჩანასახი ჩვენს გვართანაა დაკავშირებული.

წინაპართა შემოქმედების ტექნიკური მოხმარების ძირითად საშუალებას წარმოადგენდა ზეციდან მოტანილი პრომეთეოსის ცეცხლი, მიწაზე მყარად დაყრდნობილი გრადემლი და მრავალფეროვანი შემოქმედების შრომის იარაღი — ურო.

მჭედელთა შრომის ომების დროს ხმლებს ჭედდენ და მშვიდობის დროს გუთანს; დღეისათვის კი ჩვენ უარგყოფთ ყოველგვარი საომარი იარაღის შექმნას და ჩვენი შემოქმედებითი საქმიანობა დაკავშირებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ კაცთა მოდგმისათვის საკეთილდღეო საგნების წარმოებასთან.

ჩვენი იდეა და სურვილი წარმოადგენს რესპუბლიკისა და მთელი მსოფლიოს მოგვარეთა ორგანიზაციის შექმნას, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ რა ასოებითაც (ანბანით) არ უნდა იწერებოდეს ჩვენი გვარი, ჩვენ ერთი გვარისა და ოდითგანვე ერთი ჯილაგისანი ვართ. ჩვენ მართლაც ბევრნი ვართ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს ბედი კი მხოლოდ ჩვენ გვერგო წილად და ჩვენი შესაძლებლობანი უდიდეს საინტერესო მოქმედებათა უსაზღვროებასთან იქნება დაკავშირებული.

თუ შეგკავშირდებით, გკეროდეთ, რომ მამა-პაპათაგან გარდამოსახულ გენთა ტალანტს უნარი ექნება მსოფლიოს ხალხებთან ერთად ვიმოღვაწიოთ კაცობრიობის იდეალური ცხოვრების მოწყობის ფორმულის შემუშავებაში; ჩავერთოთ სამყაროს შესწავლისა და მისი შემეცნების სივრცეში.

თანამოგვარეთა კავშირის სიმრავლემ, მისმა ძალამ, ენერგიამ და უანგარობამ შესაძლებელია შექმნას უდიდესი სიმდიდრის წყარო, რომელიც ყოველივე თქვენგანს მოუტანს მხოლოდ და მხოლოდ სიკეთეს და ბედნიერებას; მოგცემთ იმედის რწმენას, რომ თქვენ არასოდეს არ იქნებით მიტოვებული განსაცდელსა თუ გაჭირვებაში და მხარდაჭერას პოვებთ ყველა თქვენს საკეთილდღეო საქმიანობაში.

დაგროვილი სიმდიდრის წყარო საშუალებას მოგცემს ავაშენოთ ერთობლივი საწარმოები; საბავშვო და სამედიცინო დაწესებულებები; სასტუმროები და დასასვენებელი სახლები; შევქმნათ კულტურული და სპორტული ორგანიზაციები; განვავითარებთ ტურიზმს; დავენმარებთ ღარიბებს, ობლებს, ავადმყოფებს და ინვალიდებს; მაღალი დონით შევქმნით საკუთარი ინფორმაციის საშუალებებს და საერთოდ ყველა ჩვენი კეთილსაქმიანობის ძირითადი და მთავარი შინაარსი იქნება ზოგადსაქოცობრიო იდეალებისაკენ სწრაფვა.

თანამოგვარენო, გთხოვთ, გაერთიანდეთ მოგვარეთა საზოგადოებაში და მხარი დაუჭიროთ მის შექმნას, განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას.

საკონტაქტო ტელეფონები: 893-10-93-67 დალი; 899-16-86-72 ზურაბი. ☒

და სანდრო ვმეგობრობთ, ერთმანეთისგან დაფარული არაფერი გვაქვს...

— და ის ალბათ ამაყობს ლამაზი და პოპულარული დედით?

— კი, ნამდვილად ასეა. ძალზე უხარია, როდესაც ტელევიზორში მხედავს და ალტაცებული ხტის ხოლმე. ის ამ დროს, ძალზე საყვარელი და სასაცილოა.

— მონქროგებული ადამიანი ხარ?

— საერთოდ — კი, მაგრამ ძალზე დაბნეული ვარ. განსაკუთრებით, ბოლო დროს. ხან თავს ვურტყამ რამეს, ხან ფეხი მიბრუნდება და ვეცემი ხოლმე. ამას წინათ კი, სახლის კარი გამოვიჯახუნე და შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ბინისა და მანქანის გასაღები შიგნით დამრჩა. შემდეგ მივაკითხე სახანძრო განყოფილებას, წამოვიყვანე მეხანძრეები, სახურავიდან ჩავიდნენ და კარი ისე გამიღეს. ამ რამდენიმე დღის წინ კი, მაღაზიის ვიტრინას ისეთი ძალით დავეჯახე ცხვირით, რომ მეგონა, უკნიდან რაღაც ჩამარტყეს. თვალებიდან ნაპერწკლები გადმოძვკვივდა და ცხვირზე კეხი გამიჩნდა.

— პროფესიით ვინ ხარ?

— დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტი ფრანგული ენის სპეციალობით, შემდეგ — მაგისტრატურაც. ვაპირებდი ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებას, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან მივხვდი, რომ ლექტორობა ჩემი საქმე არ არის.

— წყენას იოლად იფინებ?

— კი, იოლად მაიწყდება, როდესაც ვინმე მაწყენინებს, მაგრამ ჩემს უმაყოფილებას მაინც გამოვხატავ ხოლმე. თუ ეს ადამიანი ძალზე ახლობელია, მაშინ ვჩუმდები და ვცდილობ, დავივიწყო. ამის წყალობით ხშირად დავრჩენილვარ მოგებული, რადგან შემდეგ, მიმხვდარან, რომ გული მატკინეს და ბოდიშიც მოუხდიათ. ერთადერთი, რასაც ადამიანებს ვერ ვაპატიებ, ეს არის დალატი. ვერც მეგობრისგან და ვერც საყვარელი ადამიანისგან დალატს ვერ ავიტან...

— ეჭვიანი თუ ხარ?

— უზომოდ ეჭვიანი ვარ, შეიძლება ითქვას, რომ ავადმყოფურად ეჭვიანი. თუმცა, ჩემი ეჭვების გამო არ დავიწყებ ვინმეს შემოწმებას, მისი ამბის გაკითხვ-გამოკითხვას. ასეთ დროს, საკუთარ გულს ვასკდები და „ვიჭამ“ ხოლმე...

მოგეწონათ დღევანდელი „საპატარძლო“? მაშ, თუ მასთან დაკონტაქტების სურვილი გავიჩნდათ, შეგიძლიათ დამირეკოთ ან დამიემისიკოთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45-68-61. ნინა შემპირდა, რომ ყველა გამოხმაურებას ყურადღებით გაეცნობა და... ვინ იცის...

მკითხველებისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის?.. ალბათ გახსოვთ, ერთ-ერთმა მათგანმა „მის სამყაროს ხანუმას“ ტიტული მიბოძა, ახლა კი ბათუმიდან შემეხმინან და სპონსორობას შემპირდნენ: „მარი, გაისად რომ „ხანუმი“ კონკურსი ჩატარდება, ჩვენ ვითავებთ სპონსორობას, სწორედ რომ საკადრისად გამოგპრანჭავთ და დარწმუნებული ვართ, რომ გაისადაც გვასახელებ. სიყვარულით — ბათუმელები“.

ახლა კი, ნინა ნომრის საპატარძლოს — იბ ჩანტლაძის სახელზე მოსულ გამოხმაურებებს გავეცნოთ.

„ვემცე იმ წამშიღვინ, მადღენად ძვირფასი ხამ ჩეძივის“

მარი ჩაუარძიპე

„იას გადაცემით, რომ ძალიან მიყვარს. მართლა მაგარი გოგოა და დიდი სიამოვნებით ვაეცინობდი, მიუხედავად იმისა, რომ 2 წლით უმცროსი ვარ. უთხარით, რომ „იმენა“...“

„ვეხმარები იას. ვარ 23 წლის, ბინიანი და მანქანიანი, სიმპათიური ბიჭი. თანაც ძალიან მიყვარს და მინდა მასთან შეხვედრა“.

„გამარჯობა, ია. იმეღია, რომ შევხვდებით. მინდა, პატარა ლექსი მოგიძღვნა: „მიღისხარ და ირხევი ნაზად, ქარში ასვეტილ ალვის რტოსავით. შენს ლამაზ თვალებს დავემორჩილე შენი მგოსანი. მე შენ გიმღერი, შენ კი ვერ ხვდები, თუ თვალს მარიღებ, არ ვიცი, განგებ. მე ახლაც მხიბლავს ღიმილი შენი, რომელიც რაღაც საოცრად გშენის“... ლევანი“.

„გარანტიას გაძღვეთ, კაი ტიპი ვარ. ია მართლაც, ძალიან მომწონს. მივესალმები მის გამოჩენას „საპატარძლოს“ რუბრიკაში. თუ ამჯერად არაფერი გამომივა, მომდევნო „პატარძალს“ დაველოლები“.

„ია, საუკეთესო ადამიანი ყოფილხარ და ცოლიც შესანიშნავი იქნები. ველი შენს ზარს“.

„დარწმუნებული ვარ, ბევრი მამაკაცი მონიღომებს იას ვაცნობას. ერთ-ერთი მათგანი მე ვარ. გთხოვთ, გადასცეთ, რომ მიყვარს. ნიკა“.

„გოგო, რა დღეში ხარ? ამას რას ხედავს ჩემი თვალები? ისე გაგიხდა საქმე, რომ „გზა“ გამაჭანკლობს?.. დამირეკე, ვიმეღი. ვიზო“.

„კარგია, იას თაყვანისმცემლებს აზრის გამოთქმის საშუალება რომ გვეძლევა. მერე რა, თუ არ დამირეკავს? იმას რომ ვეჭვები, რომ ძალიან მიყვარს, მას ხომ ესიამოვნება?“

„რაიონიდან გიკავშირდებით. ია, ძალიან კარგი გოგო ხარ. მე შენში სულიერი სილამაზე დავინახე. არა მგონია, გამოიხმარო, მაგრამ მაინც შეეცხმინე. სიყვარულით. აჩი.“

„ია, დამეთანხმები, რომ ამ გზით ოჯახის შექმნა მეტად ძნელია. უბრალოდ, მინდა მოგაწვდინო ჩემი ხმა. ძალიან მომწონხარ, როგორც მომღერალი და როგორც პიროვნება. ზაზა“.

„ძალზე დამამშვიდებელი ხმა და გარეგნობა გაქვს. შენს ნიჭს ძალზე ვაფასებ. თუ გამიცნობ, მიხვდები, რომ ზუსტად ისეთი ვარ, როგორიც შენ მოგწონს. მამუკა“.

„დიდი ხანია ვნატრობდი, რომ ამ რუბრიკაში ია მენახა. აი, ამიხდა კიდევ სურვილი. ძალიან მიყვარს და იმეღია, ვაეცინობ. რა თქმა უნდა, თუ ამ მესიჯს წააკითხებთ. იკა“.

„ძალიან მომწონს შენი შემოქმედება და ვფიქრობ, რომ სწორედ ისეთი გოგო ხარ, როგორც ცნებობენ მამაკაცები. ვისურვებ წარმატებულ არჩევანს“.

„ია, კარგი, ძალიან კარგი და კიდევ 1000-ჯერ კარგი ხარ. შორიდან გეტრფი და მიყვარხარ. იკა“.

„სწორედ შენზეა ნათქვამი — რა დედამ გუბოლა?!. მიყვარხარ და მევახები. ვიო“.

„არ დავმალავ, რომ ყველაზე მეტად შენმა გულანდობილბამ მომხიბლა. გამოემხმარე, შემამოწმე, როგორი ვარ და რა შემიძლია. მერე თუ მოგეწონები, ხელსა და გულს გთხოვ და უარი არ მითხრა. P.S. ისე, შეუძომწმებლადაც თანახმა ვარ, პირდაპირ „ზავსში“ წავიდეთ და ჩვენი ქორწინება დავაკანონოთ. კობა“.

„ია, მინდა უდიდესი პატივისცემა გამოვხატო თქვენი პიროვნებისადმი.“

ვისურვებ წარმატებებს. უმოკლეს დროში გვენახო საპატარძლო სამოსში. გია“.

„იას ბავშვობაში კარგად ვიცნობდი, მიყვარდა კიდეც, მაგრამ მისგან ცივი უარი მაქვს ნატყვეცი. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, არც ახლა გამიმართლებს, მაგრამ მინდა, ბედნიერება ვუსურვო“.

„ია მშვენიერი გოგონაა, ლამაზი, განათლებული. თუ მას კარგი მზითვიც მოჰყვება, უარი რატომ უნდა ვთქვა? მართალია, მდიდარი არ ვარ, მაგრამ სამაგიეროდ, ყველა დანარჩენ მოთხოვნას ვაკმაყოფილებ. მალხაზი“.

„გურული ხარ, ცა? იმფერი კაი ბიჭი გაგაცნო, იგი კი არ გეგონოს, ვინცხა... ჰალსტუხიანი ბიჭია, დოურეკე, მოუსმინე და რა იცი, რა ხდება!“

„ჩემო ძვირფასო, შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა!.. საოცრად ლამაზი პატარძალი იქნები. უკვე მიყვარხარ“.

„გამუდმებით ვკითხულობ „გზას“ და პირველ რიგში, სწორედ ამ რუბრიკას. უკვე ბევრი „საპატარძლო“ გვაყვადო მოწვეული და დაეფიცებ, რომ ია პირველია, ვინც ჩემი სერიოზული დაინტერესება გამოიწვია. ვეხმებიან და ვნახოთ, რა იქნება“.

„დედოფალო, სად იყავი, რომ არ ჩანდი? ასეთ ლამაზ გოგონას სად გმალავდნენ? იქნებ, იმიტომ, მე რომ არ მეპოვე? იქნებ, ბედისწერაა?...“

„იას, ჩემს სიხარულს! დიდი სიყ-

ვარული მინდა გამოვხატო. გთხოვ, მომცე საშუალება, რომ მოგესიყვარულო. არა მარტო შენმა გარეგნობამ, არამედ შენმა შინაგანმა სილამაზემ, ქალურობამ მომხიბლა. მინდა შენთან სიახლოვე. მე შენ აუცილებლად დაგიპყრობ!“

„გამარჯობა, ია. აღფრთოვანებული ვარ შენით. შენში თავმოყრილია, როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური სილამაზე, რაც ძალზე დიდ იშვიათობას წარმოადგენს. მომწონხარ. მერაბი“.

„მარი მე 19 წლის ვარ. ძალიან მომეწონა თქვენი საპატარძლო. იას სწორედ ჩემნაირი ხასიათი ჰქონია. არ ვიცი, მოსწონს თუ არა თავისზე უმცროსი ასაკის მამაკაცები, მაგრამ ჩამიწვევთ საქმე და მალაჩინი ჩემზე იყოს“.

„ეჰ, მზე რატომ არ ვარ? დრუბლებში სადმე მე დავტოვებდი სამყაროს, ფართოს, თვალს დავხუჭავდი ყველაფერზე, რომ შენს თვალებში მეცქირა მარტო“...

„ია, მართლაც, მშვენიერი „საპატარძლო“ ხარ, მაგრამ შენს შებმას არ ვაპირებ. უბრალოდ, მინდა ვისურვო მილიონი ბედნიერი დღე“.

„მე შენდამი სიყვარულის ყველაზე დიდი სტაჟი მაქვს, ჩემო ია. ვერც კი



წარმოიდგენ, რამდენად ძვირფასი ხარ ჩემთვის. მომეცი საშუალება, რომ შეგხვდე. თუ არ შემხვდები, მე შეგხვდები“.

„იას. ვარ 27 წლის, ვცხოვრობ მარტო, ფული არც ბევრი მაქვს, არც ცოტა. ჩემს თავზე პასუხისმგებელი ვარ. შენ კი გაქვს რამე. სათნოების გარდა?“

„ია, კარზე მომდგარ ბედზე უარს ნუ იტყვი. ვიო“.



მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!



ს ტ ი ვ ე ნ ე ი ბ ი!



19 სექტემბრიდან ყოველ კვირა დღეს ტელეკომპანია „მგებე“, „ეგალონი“ – ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი.

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი „რეიგინგი“, შეავსეთ „ცოდნის კუპონი“ და ჩაერთეთ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტში.

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა კურთხევით ხორციელდება.



შეხვედრამდე „მგებე“



გაკვლეობა „ჩუსულ ლოტოში“

ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ყოფილი რესტორნის შენობაში, დაახლოებით 3 წლის წინ, სათამაშო ბიზნესს ეწეოდნენ. „რუსულ ლოტოში“ ყოველ საღამოს ლატარიას ათამაშებდნენ. გათამაშებაში ხშირად მონაწილეობდნენ ადგილობრივები, მათ შორის, მეგობრები — ვიტალიკ გრაჯოვი და ზაურ ასკეროვი. აღნიშნული დაწესებულებისთვის, როგორც ამბობენ, ხმაური და აურზაური იშვიათობას არ წარმოადგენდა, მაგრამ ერთ საღამოს, დარბაზიდან საშინელი წივილ-კივილისა და მტვრევის ხმა გაისმა. ის დღე — 2001 წლის 3 ოქტომბერი „რუსულ ლოტოში“ ტრაგიკულად დასრულდა: თამაშის მონაწილეების — გრაჯოვისა და ასკეროვის წყენას ერთ-ერთი ახალგაზრდის — პაატა ქორიძის სიცოცხლე შეენირა.



ოვი შენობიდან ძალით გაიყვანეს.

განაჩენის მიხედვით, დარბაზიდან გაბეჭდულებმა, ახლა ეზოში განაგრძეს ჩხუბი. შენიშნეს თუ არა ერთ-ერთი წამყვანის — ზაზა ელისაშვილის ძმა — ემზარი და მასთან ერთად მყოფი პაატა ქორიძე, მაშინვე, ძველი საბაბით, მათთან კონფლიქტი განაახლეს. ჩხუბის დროს, გრაჯოვმა ჯიბიდან დანა ამოიღო და ქორიძეს რამდენჯერმე ჩაარტყა სხეულში. ერთ-ერთი დაზიანება გულმკერდის არემი მიაყენა, რის შედეგადაც აორტა გადაუჭრა. ამან მწვავე სისხლნაკლებობა გამოიწვია და ქორიძე საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ვიტალიკ გრაჯოვი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და მიიმალა.

ვიტალიკ გრაჯოვი და ზაურ ასკეროვი, როგორც გამოძიების მასალებიდან ირკვევა, იმ საღამოს, დაახლოებით 7 საათისთვის მივიდნენ „რუსულ ლოტოში“. თუმცა, ამჯერად არა სათამაშოდ, არამედ წამყვანებთან საქმის გასარჩევად. დარბაზში შესვლისთანავე, წამყვანებს: ნ. ხელისუფალს, დ. მღებრიშვილს, ზ. ელისაშვილსა და ვ. ბესელიას უსაყვედურეს — თამაში წინაღედეს გამოცხადებული განრიგის მიხედვით რატომ არ დაიწყეთ? საშინელი აყალმაყალი ატეხეს, დაიწყეს ყვირილი, ლანძღვა-გინება, გადაატრიალეს სკამები, იატაკზე დაყარეს სათამაშო შეტონები და წამყვანებს თამაშის ჩატარების საშუალება არ მისცეს. უფრო მეტიც, საქმის მასალების თანახმად, სიტყვიერ შეურაცხყოფასთან ერთად, მათ მოკვლითაც ემუქრებოდნენ.

მომხდარ ფაქტზე იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე რაიონულ პროკურატურაში. მოგვიანებით, სამართალდამცავებმა იგი დააკავეს, მაგრამ გრაჯოვმა დანაშაული არ აღიარა და განაცხადა, რომ ქორიძის მოკვლის განზრახვა მას არ ჰქონია. გრაჯოვის თქმით, იმ საღამოს ჩხუბისას ის თავს იცავდა, ამ მიზნით იქნევდა დანას და სწორედ იმ მომენტში დაიჭრა ქორიძე.

პროკურატურამ, ისევე, როგორც უზენაესმა სასამართლომ, გრაჯოვის სიტყვები არ გაიზიარა. სასამართლო პროცესზე განსასჯელი საქმის დამატებით მიებაში დაბრუნებას ითხოვდა. აცხადებდა, რომ წინასწარი გამოძიებისას, მისი უფლებები უხეშად დაირღვა, კერძოდ — არ ჰყავდა არც თარჯიმანი, არც ადვოკატი. ხოლო რაც შეეხება მის ჩვენებებს — გრაჯოვის თქმით,

როგორც მოგვიანებით გაარკვია, ისინი არასწორად იყო ოქმში შეტანილი. განსასჯელი 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძობით) წარდგენილ ბრალდებას არ ეთანხმებოდა, მაგრამ იგი მაინც, აღნიშნული მუხლით დამნაშავედ ცნეს და 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელისრულების დაწესებულებაში მოხდით.

განაჩენით უკმაყოფილო მსჯავრდებულმა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა საჩივროთი საკასაციო პალატას მიმართეს. პრეტენზია გამოთქვეს იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არ დაჰკითხა ყველა ის მოწმე, რომელთა ჩვენებებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭეშმარიტების დასადგენად. თუმცა, როცა პალატა საქმის მასალებს გაეცნო, აღმოჩნდა, რომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე, ბრალდებულის სახით გრაჯოვის დაკითხვის ოქმს ხელს აწერენ: თარჯიმანი ი. ახივეი და ადვოკატი ვ. მამედოვი, ასევე პროკურორი ვ. იოსავა. აქედან გამომდინარე, პალატამ დაასკვნა, რომ გრაჯოვის უფლებები არ დარღვეულა და ამ მოტივით განაჩენის გაუქმების საფუძველიც არ არსებობდა. თავად გრაჯოვმა ოქმზე დაფიქსირებულ ხელმოწერებზე თქვა, რომ ისინი პროკურატურამ გააყალბა. მოსამართლეებმა კი მიიჩნიეს, რომ მსჯავრდებული ყველაფერს პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით იგონებდა.

„ამას გარდა, სასამართლო კოლეგიამ დაჰკითხა ყველა პირი, რომელთა ჩვენებებსაც გრაჯოვის ბრალულობის საკითხის დასადგენად მნიშვნელობა ჰქონდა. თანაც, დაცვის მხარეს თავის დროზე არ დაუყენებია შუამდგომლობა დამატებით მოწმეთა დაკითხვის თაობაზე. საკასაციო ინსტანციას არც იმის უფლება აქვს, ახალი ფაქტები დაადგინოს ან დამტკიცებულად არ ჩათვალოს განაჩენსა თუ გასაჩივრებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოყვანილი გარემოებები. მიგვაჩნია, რომ ფაქტებს სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა და გრაჯოვის ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების მიხედვით აქვს სასჯელი განსაზღვრული“, — განაცხადეს მოსამართლეებმა.

პალატამ განაჩენი უცვლელად დატოვა.

რას შეეჩივრა აღაპიანის სიხოსხლე – ზეოზლის მიერ მოქმედ ღანას თუ ექიმების აკაკოფუნისიონალიზმს?

ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტს, 24 წლის ლევან თოდუას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს იმის გამო, რომ მან ურთიერთშელაპაარაკებისას, დანით თავისივე მეზობელი — ლევან საჯაია დაჭრა. ქროლობა საბედისწერო აღმოჩნდა. მართალია, დაჭრილი საჯაია საავადმყოფოში დროულად მიიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს. ზედზედ ორი უშედეგო ოპერაციის შემდეგ, საჯაია საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცავებმა მის სიკვდილში თოდუა დაადანაშაულეს. მიიჩნიეს, რომ მან სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი) ჩაიდინა.

მსჯავრებული და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი ამ პოზიციას კატეგორიულად არ დაეთანხმნენ. მათი თქმით, ყველაფერში დამნაშავე, სენაკის საავადმყოფოს ექიმები არიან, რომელთა არაპროფესიონალიზმმა და არასწორად წარმართულმა მკურნალობამ განაპირობა ასეთი სავალალო შედეგი. ადვოკატმა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას მიმართა საჩივრით და განაჩენის გაუქმება და თოდუას პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლება მოითხოვა.

დანაშაული 2002 წლის 5 სექტემბერს, ქალაქ სენაკში მოხდა. ლევან თოდუა და ლევან საჯაია, რომლებიც ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ, აღნიშნულ დღეს, ასევე მეზობლის – ი. კინწურაშვილის მამის დაკრძალვასთან დაკავშირებით გაშლილ სუფრას ემსახურებოდნენ. თავადაც დალიეს რამდენიმე ჭიქა ღვინო, შემდეგ კი, ნასვამებმა ჩხუბი ატეხეს. შელაპარაკებისას, ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. თუმცა, მეზობლების ჩარევის შედეგად, კონფლიქტი მალე განიმუხტა და თოდუა და საჯაია ერთიმეორეს ფიზიკურად არ შეხებოდნენ. მაშინ დაახლოებით საღამოს 8 საათი იყო. ჩხუბის შეწყვეტის მიუხედავად, თოდუა საჯაიასგან მიყენებულ სიტყვიერ შეურაცხ-

ყოფას ვერ ივიწყებდა და განაწყენებული, როგორც სასამართლოს განაჩენში წერია, ანგარიშსწორების მიზნით, სახლიდან დანა გამოიტანა.

პირველი ინციდენტიდან ერთი საათის შემდეგ, დაახლოებით საღამოს 9 საათზე თოდუა საჯაიას სენაკში, ჩხუბის ქუჩის დასაწყისში საქმის გასარჩევად შეხვდა. ჩხუბი ისევ დაიწყო, ამ დროს თოდუას თან ჰქონდა ცალი მხრიდან აღესილი დანა, რომელიც საჯაიას მარცხენა ღუნდულისა და გულმკერდის არეში ჩაარტყა. ექიმების თქმით, დაჭრილს სწორი ნაწლავი და მიმდებარე სისხლძაღვები დაუზიანდა, რაც შეეხება გულმკერდის არეში მიყენებულ ჭრილობას, იგი მსუბუქი ხარისხის აღმოჩნდა. ექიმების მტკიცებით, საჯაიას ზოგადი სისხლნაკლებობა განუვითარდა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია.

ლევან თოდუა პოლიციის განყოფილებაში ბრალის აღიარებით გამოცხადდა. მისი ადვოკატის თქმით, სასამართლომ ამ ფაქტს რატომღაც მნიშვნელობა არ მიანიჭა და იგი განსასჯელისთვის შემამსუბუქებელ გარემოებად არ ჩათვალა. თოდუამ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და აღნიშნა, რომ დანაშაული მან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადატეხებით ჩაიდინა. აქედან გამომდინარე, მისმა ადვოკატმა მუხლის გადაკვლითი ციცილება მოითხოვა. მისივე თქმით, რადგან დასახელებული მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმი თოდუას უკვე მოხდილი ჰქონდა, იგი პატიმრობიდან დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო.

პროკურატურისა და პროცესზე დაკითხული ექიმების მტკიცებით, დაჭრილს სწორი მკურნალობა ჩაუტარდა და იგი მხოლოდ მიყენებული ჭრილობის შედეგად დაიღუპა. ამ საკითხის გასარკვევად კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაც ჩატარდა. კითხვაზე – შესაძლებელი იყო თუ არა ლევან საჯაიასთვის სიცოცხლის შენარჩუნება? – ექსპერტებმა პირდაპირ პასუხს რატომღაც თავი აარიდეს და მიუთითეს, რომ ექიმებს უხეში შეცდომა არ დაუშვიათ. თუმცა, მათ ოპერაციების დროს დაშვებული ხარვეზებიც ვერ გამოორიცხეს. „ავადმყოფ ლევან საჯაიას დიაგნოზი ძირითადად სწორად დაესვა. მკურნალობის ოპერაციული მეთოდის შერჩევაც სწორია, თუმცა ორივე ოპერაცია ჩატარდა რიგი ხარვეზებით. კერძოდ: პირველი ოპერაციის დროს უნდა მომხდარიყო სწორი ნაწლავის რეტროპერიტონიალური ნაწილის რევიზია, ნაწლავის ძლიანობის აღდგენისა და სისხლდენის შეჩერების მიზნით, რაც არ გაკეთებულა. ამის ნაცვლად მოხდა ჭრილობის დატამბონება, რითაც მიზანი ვერ იქნა მიღწეული. მეორე ოპერაციის დროს ღუნდულის არეში არსებული ჭრილობა გაფართოვდა და სისხლდენის შეჩერება ისევ ჭრილობის დატამბონების გზით სცადეს, მიზანს ვერც ახვერად მაღწიეს, რადგან სისხლდენა გრძელდებოდა... აჯამყოფის კონსერვატიული მკურნალობა ძირითადად წარმართულია სწორად“, – აღნიშნულია ექსპერტიზის დასკვნაში. რაც შეეხება ექიმების მიერ დაშვებულ ხარვეზებს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა ეს ტექნიკური სირთულე-

« დ ე ლ ტ ა »
მეტალოპლასტიკის
ქარ-შანჯრაბისა და
ლაპინირებული აბეჯის
დაგეგმვა
ბრტყელი გადასურებები
 მის: მ. ლალიძის ქ. 119 ტ: 92 32 08; 92 14 95.

ბით გაამართლეს. „უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდამოს სისხლმომარაგება თავისებურია, იგი იკვებება სამი სხვადასხვა არტერიით, რომლებიც ქნის სისხლძარღვოვან წნულს. სისხლდენის შეჩერება გარკვეულ ტექნიკურ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რითაც შეიძლება აიხსნას კრილობის დატამპონების გზით სისხლდენის შეჩერების მცდელობის წარუმატებლობა“, – აღნიშნეს ექსპერტებმა. სასამართლო პროცესზე იგივე გაიმეორა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს დირექტორის მოადგილემ ლევან ჩაჩუამ და დასკვნის სისწორეც დაადასტურა.

აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა (მოსამართლეების: მურმან ისაევის, ნუგზარ გაბრიანიძისა და გოდერძი ბორჩხაძის შემადგენლობით) ექსპერტიზის დასკვნას დაეყრდნო და საკითხი არასწორი მკურნალობის შესახებ უსაფუძვლოდ მიიჩნია. „ეს ვერსია დაცვის მხარის შუამდგომლობით, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოების მსჯელობის საგანი გახდა, თუმცა არც ერთმა სასამართლომ იგი არ გაიზიარა. საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი, რომ მსჯავრდებულმა ლევან თოდუამ დანის დარტყმით ლევან საჯაიას მიაყენა სხეულის ისეთი მძიმე დაზიანება, რამაც მწვავე სისხლნაკლებობა, შემდეგ კი მისი სიკვდილი გამოიწვია. ასევე, პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულის ადვოკატის მითითებას იმის შესახებ, რომ თითქოს თოდუამ საჯაიას მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების პირობებში ჩაიდინა. ეს ვერსია საქმის მასალებიდან არ გამოდინარეობს და ეწინააღმდეგება დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. ჩანს, რომ საჯაიას არანაირი თავდასხმა არ განუხორციელებია თოდუაზე და აქედან გამომდინარე არც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებაზე შეიძლება მსჯელობა“, – ნათქვამია პალატის განჩინებაში. საკასაციო საჩივარს არც დაზარალებულის უფლებების მონაცვლემ დაუჭირა მხარი. პალატამ თოდუას სასჯელის ზომა არ შეუმცირა, ხოლო რაც შეეხება შემამსუბუქებელ გარემოებებს – მიუთითა, რომ ყველა ასეთი გარემოება წინა სასამართლომ განაჩინის გამოტანისას მხედველობაში მიიღო. ლევან თოდუა ცოლშვილიანია, ის წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ.

ოთხი უვილის დღეა 6 წელს გისოსებს ეიღეა გააზარებს

„გულწრფელად ვინანიებ დანაშაულს, რომელიც დიდმა გაჭირვებამ ჩამადენინა“

45 წლის თ. ოდიშვილი, ქვრივი და თან ოთხი შვილის დედა თბილისის საოლქო სასამართლომ გაასამართლა და ჩადენილი დანაშაულისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. ოდიშვილს მსჯავრი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შექმნა-შენახვისთვის დაედო. მოგვიანებით, მიღებული საჩივრის საფუძველზე, ოდიშვილის საქმე უზენაესმა სასამართლომ შეისწავლა და სასჯელი მას 6 წლამდე შეუმცირა.

ამის მიზეზი, როგორც პროცესის მონაწილენი აღნიშნავენ, ოდიშვილის უკიდურესი მატერიალური გაჭირვება და მხოლოდ მის კმაყოფაზე მყოფი ოთხი შვილი (მათგან ორი მცირეწლოვანია) გახდა. სამსახურის გარეშე დარჩენილი დედა შვილების გამოკვებას ნარკოტიკების რეალიზაციის გზით შეეცადა. 2003 წლის აპრილში, მან ყაზბეგის რაიონის სოფელ კობში, ვლადიკავკაზელ ვინმე ვასიკოსგან (ოდიშვილი ამბობს, რომ მის შესახებ მეტი არაფერი იცის) 70 ათას რუბლად, 40,58 გრამი ჰერონი შეიძინა. როგორც სასამართლოდამცავები აღნიშნავენ, მის მიერ შექმნილი ნივთიერებიდან, ჰერონის სუფთა წონა 13,784 გრამს შეადგენდა, დანარჩენი კი მინარევი იყო.

ნარკოტიკული ნივთიერება ოდიშვილმა შემდგომი რეალიზაციის მიზნით თბილისში ჩამოიტანა და დიდუბის ავტოსადგურის მიმდებარე ბაზრობაზე ერთ-ერთ ჯიხურში (სადაც მისი და მუშაობდა) შეინახა. ამის შემდეგ, ოდიშვილმა სამედიცინო სასწორი იყიდა და ისიც იმავე ჯიხურში დამალა – ისე, რომ დისთვის არაფერი უთქვამს. დას მან გასაღები სთხოვა – ჯიხურში შევალ, კოლეგოტს გამოვიცვლიო. როცა მართლმდარჩა, შემთხვევით ისარგებლა, სამედიცინო სასწორის გამოყენებით ჰერონი „ჩეკებად“ დააფასოვა (თითოს შემცველობა 1 გრამი იყო) და სარეალიზაციოდ გაამზადა. როგორც მოგვიანებით თავად ახსნა, თითო „ჩეკის“ ღირებულება 100 ლარი უნდა ყოფილიყო. როცა დაფასოებას მორჩა, სასწორი ისევ იქვე, ჯიხურში დამალა, ჰერონი კი, კოლეგოტის ქვეშ ჩაიღო და

მხოლოდ ამის შემდეგ გავიდა გარეთ. გადაწყვიტა, ჯერ დის ნაქირავებ ბინაში წასულიყო, რადგან იქ თავისი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა დატოვებული. მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია: თბილისის შს მთავარი სამმართველოს, ნარკომანია-ნარკობიზნისის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, რომლებმაც ოდიშვილის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მიიღეს, იგი გზაში დააკავეს და იქვე, ახლოს მდებარე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს. სწორედ იქ, დამსწრეების თვალწინ, ოდიშვილს პირადი ჩხრეკა ჩაუტარეს და ტანსაცმლიდან 2 ცალი ვერცხლისფერი ფოლგის ქალაღის შეკვრა და ერთი ასანთის კოლოფი ამოუღეს. ფოლგის ქალაღში, ისევე, როგორც ასანთის კოლოფში, მოკრემისფრო, კრისტალისებური, ფხვიერი ნივთიერება აღმოაჩინეს, შემდეგ გაარკვიეს, რომ „ჩეკებში“ ჰერონი იყო.

თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ განაჩინის გამოტანის შემდეგ, მსჯავრდებულმა ქალმა უზენაეს სასამართლოს მიმართა თხოვნით სასჯელის შემსუბუქების თაობაზე.

„გულწრფელად ვინანიებ დანაშაულს, რომელიც დიდი გაჭირვების გამო ჩავიდინე“, – ასე მიმართა სასამართლოს ოდიშვილმა და სასჯელის შემსუბუქება იმის გამოც ითხოვა, რომ ჰიპერტონიით და გულის უკმარისობითაა დაავადებული. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, ოდიშვილი წარსულში რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში შემინული არ ყოფილა.

სახსრების ტკივილი ამინდის ცვლადობისას

მათრად მოქმედებდა და მათრად მოხერხებულა - ნიშნავს ადამიანის მდგომარეობის გასარკვევას ამინდის მიხედვით. ყველაზე ხშირად მათრად მოქმედებდა ვლინდება სახსრებში ტკივილის გაძლიერებით ართროზით დაავადებულთში. შესაძლებელია თუ არა მათი დახმარება? თანამედროვე მედიცინა საპარტილიანად თვლის, რომ შეიძლება.

სახსრებში მტკრების, ტკივილის შეგრძნება (როგორც წესი, მხრების, იდაყვის, მენჯ-ბარძაყის ან ხერხეშლის არეში), დამახასიათებელია ართროზებით დაავადებულთათვის. მათ სახსრის ხრტილის დეგენერაცია აღენიშნებათ, აგრეთვე, პერიოდული გამწვავება და ე.წ. აქტიურ ფაზაში გადასვლა, რომელიც ავადმყოფს მეტად უსიამოვნო შეგრძნებებს ანიჭებს. სხვა შემთხვევებში ართროზი შესაძლოა, პრაქტიკულად სიმპტომების გარეშე მიმდინარეობდეს. ეს არ ხდის მას უსაფრთხოს, მაგრამ პაციენტს ძლიერ ტკივილსა და ცხოვრების ჩვეული რითმის დაარღვევას გარკვეული პერიოდით თავიდან აცილებს.

ხშირ შემთხვევაში, გამწვავებები თავს იჩენს უშუალოდ ამინდის ცვლილებისას, რაც ავადმყოფს აძულს ამინდის პროგნოზს გულდასმით ადევნოს თვალყურით, თუნდაც ნებისმიერ ფერმერზე უფრო ყურადღებით. უმეტეს შემთხვევაში, გამწვავებას შავრის ტემპერატურის დაწვევა, ნესტიანობის მომატება და ნალექები, აგრეთვე ატმოსფერული ფორტების მოახლოება იწვევს. თანაც, განსაკუთრებით მგრძობიარე პაციენტებმა,



ეს ცვლილებები, შესაძლოა, 72 საათით ადრე იგრძნონ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ართროზის სიმპტომები ამინდის შეცვლიდან მხოლოდ ერთ დღე-ღამეში გაივლის, ავადმყოფები ხანგრძლივი უარყოფითი განცდებისთვის განწირულნი არიან.

მეტეოპათიური სინდრომის (სწორედ ასეა მიღებული ამინდის ცვლილებებთან დაკავშირებული სხ-

ვადასხვა დაავადების გამწვავების აღნიშვნა) გამომწვევი მექანიზმები ჯერჯერობით გარკვეული არ არის. მკვლევართა უმრავლესობის ვარაუდით, მის განვითარებაში ჩართულია გარემოს ცვალებადი პირობებისადმი ორგანიზმის ადაპტაციის რთული მექანიზმი.

სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობებთან ბრძოლა არც ისე იოლია. სახსრებისა და კუნთების ტკივილების სამკურნალოდ რეკომენდებულმა კლასიკურმა პრეპარატებმა - არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებებმა, შესაძლოა, ტკივილი გაგიყუროთ, მაგრამ ხრტილის შეცვლილ სტრუქტურაზე ზემოქმედების უნარი მათ არ შესწევთ. ისინი არ მოქმედებენ ართროზის გამომწვევ მიზეზზე, კერძოდ კი, სასახსრე ხრტილის დეგენერაციაზე. აგრეთვე გვერდითი მოვლენებიც, თავისი უარყოფითი ზემოქმედებით საჭმლის მომნელებელ ტრაქტზე, კუჭის წყლულის რეციდივებსა და სისხლდენებზე - ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

ამ არცთუ ისე უსაფრთხო თერაპიის ალტერნატივა შეიძლება გახდეს ნატურალური ქონდროპროტექტორები. ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს პრეპარატი „მუვ ფრი“ - უმსხვილესი ამერიკული კომპანია „შიფ“-ის მიერ წარმოებული ნატურალური ქონდროპროტექტორი. პრეპარატი სერტიფიცირებულია GMP-ის საერთაშორისო სტანდარტებით და რეკომენდებულია ართროზის ფორმის სამკურნალოდ.

პრეპარატს აქვს გელ-კაფსულების სახე, რომლებიც აბსოლუტურად არ აღიზიანებენ კუჭის ლორწოვანას და თითქმის 100%-ით შეიწოვება სისხლში წვრილი ნაწლავიდან და უზრუნველყოფს მაქსიმალურ თერაპიულ ეფექტს. „მუვ ფრი“ - ნატურალური ქონდროპროტექტორია, რომელსაც რაიმე გვერდითი მოვლენა და უკუჩვენება არ გააჩნია და ამით პაციენტების ფართო კონტინენტისთვის ხანგრძლივი დროით მკურნალობის საშუალებას იძლევა.

„მუვ ფრის“ ეფექტურობა დამტკიცებულია სერიოზული გამოკვლევებით, აგრეთვე, ავადმყოფთა მადლიერებით, რომლებიც პრეპარატით მკურნალობას აგრძელებენ.

დღეს, ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი“ გთავაზობთ „მუვ ფრის“ ახალ, უფრო დახვეწილ ფორმულას - „მუვ ფრი“ სამმაგი ეფექტით.



„მუვ ფრი“

„ჯეოვიტი“ - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფისიალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

მის: ილია შავრავაძის 41 (ვაჰის პარკის პირდაპირ),
 ☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56
 ყოვლდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com



ამას წინათ, მასმედით გაგრცელდა ინფორმაცია — მომღერლები თემურ თათარაშვილი და გიო ხუციშვილი სამსახურიდან დაითხოვესო. ამის მიზეზად მავანნი და მავანნი ორი ამბლუის — მომღერლისა და მეზაჟის საქმიანობის შეუთავსებლობას ასახელებდნენ. რა მოხდა სინამდვილეში — ამას თავად გიო ხუციშვილი გაგვანდობს, რომელიც მისივე თქმით, მალე შესაძლოა, ახალ ამბლუაშიც ვიხილოთ...

მეზაჟი თუ მომღერალი? ახუ ბიო ხუციშვილი ახალ ამბლუას ირჩევს

ლიპა ქაჩაია

— მართალია თუ არა, რომ სამსახურიდან გაგათავისუფლეს?

— საბაჟოზე რეორგანიზაცია მოხდა და თანამდებობა — აღმოსავლეთ საქართველოს საბაჟოს უფროსის მოადგილის პოსტი დამატოვებინეს. სამაგიეროდ, გადავედი სხვა დეპარტამენტში — ახლა კონტროლის სამმართველოში, განყოფილების უფროსის მოადგილე გახლავართ.

— ეი. შეიძლება ითქვას, რომ რეორგანიზაციის მსხვერპლი აღმოჩნდით...

— იცით, რა ხდება?... საბაჟოზე ყოველ წელს ან ორ წელიწადში ერთხელ, კადრების გადახალისება ხდება. მე, 3 წელი ვიყავი ერთსა და იმავე თანამდებობაზე. მოვიდა ახალი თაობა და ჩვენ უბრალოდ, ერთმანეთს ჩავენაცვლეთ. თანაც, ადრე, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ვკურირებდი, ახალ დეპარტამენტში კი, კონტროლის ფუნქცია მთელი რესპუბლიკის მასშტაბით შევალე.

— ამდენი წლის შემდეგ, ალბათ დანიშნურებას ელოდით, რეორგანიზაციის შედეგად კი, დაგაქვეითეს კიდევ. უფროსებზე ნაწყენი დარჩით?

— მიუხედავად იმისა, რომ ამბიციური აღამიანი არ ვარ, გულში წყენამ მაინც დაისადგურა. იმიტომ, რომ ამდენი ხანი რაღაცას ვაკეთებდი, ბევრი სამუშაო ჩავატარე და ჩასატარებელიც მრავალი რამ იყო. გეგმებიც მქონდა დასახული, მაგრამ...

— ეი. გაგრცელებული ინფორმაცია, თითქოს საბაჟო სამსახურიდან საერთოდ დაგითხოვეს, ჩვეულებრივი ჭორი იყო?

— არა, ლაპარაკი ამაზეც იყო, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს და ახალი თანამდებობა შემომთავაზეს. მეც ღავთანხმდი

ამ წინადადებას, რადგან ვფიქრობ, რომ ამ საქმეში საკმაოდ ჩახედილი ვარ (ციოს დამთავრებული აქვს, როგორც კონომიკის ფაკულტეტი, ასევე საბაჟო აკადემიაც. — ავტ.). მართალია, ნაწყენი ვიყავი, მაგრამ ამან მალევე გამიარა. არ მინდოდა, იმ ყველაფრის დაკარგვა, რაც 3 წლის განმავლობაში მქონდა — იმ ურთიერთობების გაწყვეტა, რომლებსაც მივეჩვიე, — თორემ, სამსახურს სხვაგანაც ვიშოვიდი...

— თქვენს სიტყვებში — არ მინდა, ის ყველაფერი დაკარგო, რაც 3 წლის განმავლობაში მქონდაო, — შემოსავალიც ხომ არ გიგულისხმობთ?..

— არა, ამაზე არც მიფიქრია. ხელფასი ძველ და ახალ თანამდებობებზე თითქმის ერთნაირია...

— თუ საიდუმლო არაა, რამდენია თქვენი ყოველთვიური შემოსავალი საბაჟო დეპარტამენტში?

— ხელფასის ზუსტ ციფრს რეორგანიზაციის შემდეგ ვეტყვი, რომელიც აგვისტოს დასაწყისში ისევ დაიწყება. მანამდე კი ვაგვიხელთ, რომ ხელფასის გაზრდას ველოდები. საკმაოდ სოლიდური თანხა — 700 ლარი მექნება. ხელფასის გარდა კი, რომელსაც სახელმწიფო გვიხდის, სოროსის ფონდიც გვაძლევს წამახალისებელ თანხას — 50, ზოგჯერ — 100 ლოლარის ოდენობით.

— აღნიშნეთ, რომ სხვაგანაც

იშოვიდით სამსახურს. მაინც სად დაინწყებდით მუშაობას?

— მართალია, საბაჟოდან არ წამოვსულვარ, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ მალე, სულ სხვა ამბლუაში მიხილოთ. მთელი ცხოვრება რაღაცის ძიებაში ვარ. კინოსარეჟისორო ფაკულტეტზეც მაქვს დამთავრებული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში რეჟო თაბუკაშვილის გვერდით ვამონტაჟებდი ფილმებს; მერე ბიზნესშიც ვცადე ბედი, აფხაზეთის ომშიც წავედი მოხალისედ, კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილედ გახლდით და ა.შ. მოკლედ, დიდი ცხოვრებისეული სკოლა მაქვს გამოვლილი და არც სამსახურიდან გათავისუფლება ან სხვაგან გადაყვანა შემამინებს...

— ეი. შესაძლებელია, კინორეჟისორადაც მოგვევლინოთ?

— რა იცი, ცხოვრება რას გიშვალავს?! თუ დაბრუნდა ის დრო, როდესაც ქართული კინო აღზევებას განიცდიდა, დრო, რომელიც ძალიან მიყვარს და რომელსაც მივტყობი — აუცილებლად გადავიდებ მხატვრულ ან დოკუმენტურ ფილმებს. შესაძლებელია, კინოში ჩემი ცხოვრება ავსახო...

— და თუ არ დაბრუნდა ის დრო, რომელსაც მისტირით?..

— მაშინ რა აზრი აქვს?... სად არის ახლა ქართული კინო?... დღეს სერიალებს იღებენ...

— სერიალები არ მოგწონთ?

— სერიალები არ მიზიდავს, თუმცა მიხარია, რომ დასაქმდნენ ის ჩემი მეგობრები, რომლებიც უმუშევრები იყვნენ. ზოგიერთ სერიალს პროფესიონალის ხელი ეტყობა და მათ რეჟისორის თვალთ ვუყურებ, თორემ ისე, დიდი მოყვარული არ ვარ.

მაიკოს — ჩემს მეუღლეს — ჩემი სამსახურიდან წამოსვლა სამინდოდ გაუხარდა: ახლა მაინც დავისვენებთ ერთად!





ზუკას ხმა თუ არ შეეცვლება, არჩევანის გაკეთება მოუწევს

— საბაჟოზე მუშაობაში მუსიკა ხომ არ გიშლით ხელს ან — ბირიქათ?..

— ერთი მეორეს თითქმის ყოველთვის უშლიდა ხელს. ის სიმღერები, რომლებიც დღეს ეთერში გადის ხოლმე, 4-5 წლის წინ ჩაწერე. ჩემი „ქალაქური სიმღერა“ კი, ღამის 2-3 საათზეა ჩაწერილი... მუსიკისთვის ფიზიკურად არ მრჩება დრო. თანაც, მომღერლობის პრეტენზია არ მაქვს...

— ეი. მუსიკა მხოლოდ თქვენი ჰობია?

— ჰობია, აბა, რა არის?! ბავშვობიდან ვმღერი, მაგრამ არც ერთ ანსამბლს არ მივკვდივებივარ. როცა მომღერლად მომისხენიებენ, მეცინება, იმიტომ, რომ მე თვითონ ასე არ ვთვლი. საქართველოში ნამდვილი მომღერალი ძალზე ცოტაა...

— ზუკას მომღერლობაზე რაღას იტყვი?

— ზუკას ხმა თუ არ შეეცვლება, არჩევანის გაკეთება მოუწევს, მუსიკასა და სხვა პროფესიას შორის. თუ მომღერლობა გინდა, უნდა დაამთავრო მუსიკალური სასწავლებელი, კონსერვატორია, იცოდე ნოტების გარჩევა, რაც სამწუხაროდ, მე არ ვიცი და მხოლოდ სმენის მეშვეობით ვიმასხოვრებ სიმღერებს. უხერხულია, ასეთ დროს, კარგი მუსიკოსი ან მომღერალი გერქვას...

— საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციით, საბაჟოდან თემურ თათარაშვილიც გაათავისუფლეს. ბევრმა იფიქრა, რომ სწორედ სიმღერა იყო ორივე თქვენგანის დათხოვნის მიზეზი. მართლაც, ხომ არავის უთქვამს — თუ მომღერალი ხარ, იმღერე, თუ არა და, სცენას ჩამოშორდი?

— ამას ვერ მეტყობენ, ერთი მიზეზის გამო: დიდი ხანია, ვუშობ საბაჟოს სისტემაში და ჩემი თავი ამ საქმის პროფესიონალად მიმაჩნია. რეორგანიზაცია კი, ყველას შეეხო — მეც, თემურსაც და სხვებსაც, მაგრამ მხოლოდ ჩვენმა სახე-

ლებმა გამოიწვია საზოგადოების ინტერესი. თუმცა, უფროსებმაც და მათმა მოადგილეებმაც დატოვეს თანამდებობები...

— რა დასამალია და, საბაჟო სისტემა უმნიველო სახელით როდი სარგებლობს... ქრთამი არასდროს აგილიათ?

— ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში რაიმე არა აქვს მიქარული, მაგრამ მე ვთვლი, რომ ჩემს სინდისთან მართალი ვარ...

— რამდენიმე დღის წინ, ქალაქიდან წასული ყოფილხარო. ახლა მეტი თავისუფალი დრო გაქვთ?

— როცა აღმოსავლეთ საქართველოს კურორტებში, უფრო დაძაბული სამუშაო რეჟიმი მქონდა. შეიძლება, დღეები ისე გასულიყო, რომ შინ საერთოდ ვერ მივსულიყავი. სამართველოში კი, მუშაობის განსაზღვრული დროა — დილიდან საღამომდე და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ვრჩებით ხოლმე სამსახურში მეტხანს. ამ დღეებში, თბილისიდან წასული მართლაც ვიყავი — ბათუმში გახლდით, მაგრამ არა დასასვენებლად, არამედ სამსახურებრივ საქმეზე.

— წელს სად აპირებთ დასვენებას?

— მე წელსაც ვერ დავისვენებ, ვინაიდან სამსახურიდან არავის დავუთხოვივარ. მაგრამ აუცილებლად „ჩავიზიზიზ“ ბათუმში, ზუკას მოსანახულებლად, რომელსაც კონცერტები ეწყება და აგვისტოს დასაწყისიდან თვის ბოლომდე გაგრძელდება.

— ზუკა ამ კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად „არტი-იმედის“ გენერალურმა დირექტორმა მიიწვია?

— ზუკა ამ კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად „არტი-იმედის“ გენერალურმა დირექტორმა მიიწვია?

— ზუკა ამ კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად „არტი-იმედის“ გენერალურმა დირექტორმა მიიწვია?

— ზუკა ამ კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად „არტი-იმედის“ გენერალურმა დირექტორმა მიიწვია?

— ზუკა ამ კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად „არტი-იმედის“ გენერალურმა დირექტორმა მიიწვია?



ჰობია, აბა, რა არის?! ბავშვობიდან ვმღერი, მაგრამ არც ერთ ანსამბლს არ მივკვდივებივარ

— კი, ეს მერაბ სეფაშვილის დამსახურებაა. ის აჭარაში ტურნეს აწყობს: მომღერლები ჯგუფებად დაიყოფიან, 5 დღის განმავლობაში გამართავენ კონცერტებს, შემდეგ კი მათ სხვები ჩაენაცვლებიან. იქ იქნებიან „ნუცას სკოლის“ მონაწილენიც. მე მგონი, საინტერესო პროექტია — მომღერლებიც გაერთობიან და დამსვენებლებიც.

— შარშან სად ისვენებდით?

— არსადაც არ ვყოფილვარ. შაბათ-კვირას, ოჯახს ვაკითხავდი ხოლმე ბათუმში — მეტი არაფერი. თუ გაინტერესებთ, ბოლო 10 წლის განმავლობაში დასასვენებლად არსად წავსულვარ.

— ზღვა გიყვართ?



...მე მგონი, საინტერესო პროექტია — მომღერლებიც გაერთობიან და დამსვენებლებიც

— ზღვა ძალიან მიყვარს. მე წყალბურთელი ვარ, ზოდიაქოთი კი — თევზი.

— თევზაობა თუ გიტაცებთ?

— არა, ვერ ვიტან. სამაგიეროდ, ვვიღებ თხილამურებს.

— ეი. ზამთარი უფრო გიყვართ, ვიდრე ზაფხული?

— ზაფხული და ზღვა კარგია, მაგრამ სიცხეს ვერ ვიტან.

— ამბობენ, ზაფხული რომანტიკული თავგადასავლებისკენ ლტოლვას აღვიფებს...

— რომანტიკა კი არა, ოჯახში გამუდმებით მეჩხუბებიან... მაიკოს — ჩემს მეუღლეს — ჩემი სამსახურიდან წამოსვლა საშინლად გაუხარდა: ახლა მაინც დავისვენებთ ერთად! — მაგრამ როგორც ხედავთ, წელსაც ვერ ვუმართლებ იმდებებს.

— სანამ მეუღლე გეყოლებოდათ, მანამდე მაინც ხომ გქონიათ საკურორტო რომანები?

— კი, კარგი დრო იყო... ბათუმში ავიდოდი ხოლმე გემზე და წავიდოდი ოდესაში, აქეთ-იქით 3 კრუიზს „დავარტყამდი“ და სამივეჯერ სასიყვარულო თავგადასავალში ვებმებოდი...

— ინტერვიუს დაწყებამდე მითხარით, რომ ქალაქიდან მიემგზავრებით. საით გაგინვიათ?

— კანეთში მივდივარ, მაგრამ აძვიერად პირადი საქმეების მოსაგვარებლად...

როცა მამა ოჯახიდან მიდის...



ლელა ჭანკოტაძე

13 წლის ასმათის წერილმა ვადაძაწყვტილი, მკითხველისთვის იმ ბავშვების სატიკვარი გამეზიარებინა, რომლებიც მშობლების უთანხმოების გამო იტანჯებიან. აი, რას გვწერს **ასმათი**:

„ვერ კიდევ ოთხი წლის ვიყავი, როცა მამამ მიგვატოვა და სხვა ქალთან გადავიდა საცხოვრებლად. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მამა იმ ქალზე გაბრაზებული, სახლში ისევ დაბრუნდა. მაშინ მე მესამე კლასში ვიყავი და მასსოვს, დედას როგორ დავეუქურე: თუ მამას არ დაელაპარაკები, ვიცი, ბებიას თავის წამალი სადაც აქვს შენახული, დავლევ და თავს მოვიკლავ-მეთქი. დედა იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო და სულ მალე, მათი ურთიერთობაც მოგვარდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, მაშინ ყველანი რა ბედნიერები ვიყავით, მაგრამ ეს ბედნიერება სახნის ბუშტივით გასკდა და გაქრა... 5-6 თვის განმავლობაში მამა სულ მეფერებოდა, მეთამაშებოდა, მეუბნებოდა, რომ მე მისთვის გოგო კი არა, ვაჟკაცი ვიყავი. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ისევ მიგვატოვებდა და წავიდოდა, მაგრამ როგორც კი იმ ქალმა ჩამოაკითხა, მამა ისევ წავიდა და ჩემი ბედნიერებაც თან გაიყოლა... მამას ჩვენი არსებობა აღარც კი ახსოვს. ამის გამო გული ძალიან მტკივა. ახლა 13 წლის ვარ. ვგებულობ, თუ როგორ უკლის მამაჩემი თავის გერებს და ამის გამო გული ძალიან მტკივა. იცით, როგორ გვაკლია მე და ჩემს დას მამის სითბო და ალურსი? როცა ამაზე ვფიქრობ, იმ ქალის მიმართ ზილის გრძნობა მიჩნდება და მინდა, შური ვიძიო. ის რომ არა, ბედნიერი ოჯახი გვექნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მამამ გული ძალიან მატკინა, მაინც შენატრება. ვიმედოვნებ, მამა ამ წერილს წაიკითხავს და გულთან ახლოს მიიტანს ჩვენს განსაცდელს!“

პატარა ასმათის წერილი გულისტკივილითა და დიდი სევდითაა გააღუნებული

და ჩვენც ვვაქვს იმედი, რომ მამა აუცილებლად გამოეხმაურება...

არანაკლებ ტკივილიანია 15 წლის მარიაშის სტრიქონები. ის მამას ფიქრებში ესაუბრება, რჩევას ეკითხება, თავის ბავშვურ დარღვებს უზიარებს. მარიაში პირველი ჯგუფის ინვალიდია, დედის დახმარების გარეშე გადაადგილება არ შეუძლია. ამიტომ ყოველთვის ტელეფონის გვერდით ზის: ხომ შეიძლება, მამამ დაურეკოს და ყურმილი სხვამ აიღოს?!

მარიაში:

— მამა იშვიათად მირეკავს, თუ ჩემს ხმას ვერ გაიგონებს, ტელეფონს თიშავს. ასეთ დროს, ბებია მეუბნება ხოლმე: ვილაც რეკავს, მაგრამ ხმას არ იღებს, მამაშენი იქნებაო... 2 წელია, რაც მამა ჩემთან აღარ ცხოვრობს. როგორც თვითონ ამბობს, დედაჩემთან ცხოვრება მისთვის შეუძლებელი გახდა. ამიტომაც, წასვლა არჩია, უფრო სწორად — მე, დედა და ჩემი ძამიკო წამოვედით მისი ბინიდან. სასამართლომ წილი გამოგვიყო, რადგან საკუთარი ორსართულიანი სახლი გვქონდა. გადაწყვეტა, რომ პირველ სართულზე ჩვენ ვიცხოვრებდით, მეორეზე კი — მამა. მაგრამ ის ამის წინააღმდეგი წავიდა, სახლი გაყიდა და ჩვენ 2-ოთახიანი ბინა გვიყიდა, მერვე სართულზე. ჩემი ძდგომარეობა არ გაითვალისწინა: თუ პირველ სართულზე ვიცხოვრებდით, დედას არ გაუჭირდებოდა, რომ საღამოობით ეზოში ჩაეყვანა. ლიფტი გაუკეთებელია, ამიტომ ძირითადად, სახლში ვარ და ეზოს ღია ფანჯრიდან გადავყურებ. ფანჯარასთან მაგიდას მიდგამენ და მაგიდაზე მსვამენ, თორემ ისე, ფანჯარას ვერ ვწვდები. უკვე მესამე თვეა, ბინიდან არ გავსულვარ...

— მამა არ გნახულხარ?

— ბოლოს, შარშან მნახა. წითელა ბატონები მქონდა, დედამ სთხოვა — მოდი, შენი შვილი ნახეო. სახლში მარტო დამტოვეს: სხვა შემთხვევაში მამა არ მოვიდოდა... ბევრი მეფერა და მეაღერსა. წუთით დამაყიდა მწარე სინამდვილე. ისე თბილად მომექცა, ვიფიქრე — იქნებ, აღარ წავიდეს და ჩემთან დარჩეს-მეთქი, — მაგრამ 40 წუთის შემდეგ, დამეშვიდობა და წავიდა. დამპირდა — მოვლო, პირობა ვერ შეასრულა. არადა, უკვე 9 თვე გავიდა... 20 აპრილს დაბადების დღე მქონდა. მეგონა, დამირეკავდა, მინდოდა მეთხოვა,

რომ მოსულიყო, თუნდაც სახლში არ შემოსულიყო, ეზოში დამდგარიყო — ფანჯრიდან გადავიხედავდი და დავინახავდი... ლოდინისგან დავიტანჯე. არ დამირეკა.

— შენ ხომ შეგეძლო, დაგერეკა?

— მე არასდროს ვურეკავ, მეშინია, ცოლთან პრობლემები არ შევეუქმნა. მისი ცოლი ფეხმძიმედ არის, ფეხმძიმე ქალის ნერვიულობა კი არ შეიძლება. ხშირად გამიგონია დედაჩემისგან — ჯანმრთელ ბავშვს როგორ ვაგაჩენდი? ორსულობისას იმდენი საწერვიულო შემხვდაო!.. ამიტომაც მირჩევნია, მამამ თვითონ დამირეკოს... ვკითხე — რატომ არ მომილოცე დაბადების დღე-მეთქი? — დამავიწყდა, ჩიტო, აღარ გამახსენდა, ბევრი საქმე მაქვს, ძალიან ვიღლებიო, — თავი იმართლა. ვერ მიხვდა, ამ სიტყვებით გული რომ მატკინა. განა შეიძლება, შვილის დაბადების დღე დავავიწყდეს?! ამის გამო ბევრი ვიტირე. ახლა ვხვდები, რომ სულ ტყუილად ვინერვიულე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან არ ცხოვრობს, თავის სითბოს მაინც მინაწილებს. ყოველ მეორე დღეს მირეკავს. თვეში ერთხელ ას ლარს მიგზავნის — წამლები ჩემი ფულით იყიდო, — მეუბნება, ზოგჯერ ჩემთვის წიგნებს და ტანსაცმელს ყიდულობს. ერთი კვირის წინ დამირეკა, მითხრა: ინგლისურის მასწავლებლებს დავიქირავე, ენას თუ კარგად ისწავლი, მერე ბავშვების მომზადებას შეძლებ და მატერიალურად სხვებზე დამოკიდებული არ იქნებიო. არა მგონია, ვინმემ შვილი, ენის შესასწავლად, ხეობარ მასწავლებელთან მიიყვანოს, მაგრამ მამას უარს მაინც ვერ ვეტყვი; რადგან მას ასე სურს, დღე და ღამე ვიმეცადინებ... სასამართლო პროცესზე პროკურორმა ჰკითხა: ინვალიდ შვილს როგორ ტოვებ, გული არა გაქვსო?... ეს კითხვა ამეკვიპატა და ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს: ნუთუ, მამას არ ვუყვარდი და იმდენი დამტოვა? რომ ვყვარებოდი, იქნებ, არ წასულიყო?!

ინოე, 14 წლის:

— 26 დეკემბერი იყო. ძალიან ციოდა, ამიტომ ყველას თბილად გვეცვა. მე მამის ტანსაცმლის ჩაცმა მიყვარდა. წესად მქონდა, მამის დიდი პულოვერის ჩაცმა. იმ დღესაც არ მიღალატია ჩვეულებითვის. ოჯახში უკვე დამაბული სიტუაცია სუფევდა, განქორწინების მძიმე სუნი ტრიალებდა. ვგრძნობდი, მშობლები ერთ-

მანეთს დასცილდებოდნენ, რადგან მათ ცხოვრებაში გაჩენილი ქერა ქალის გამო, სულ ჩხუბობდნენ. მამას საყვარელი ჰყავდა, თუმცა, ბოლომდე არ მჯეროდა, რომ დაგვტოვებდა და მასთან წავიდოდა... დერეფანში ჩემოდანი რომ დავინახე, ელდა მეცა. მინდოდა, მამას მუხლებში ჩავვარდნილი და მეთხოვა – არ წახვიდე-მეთქი! – მაგრამ ისეთი ცვივი სახით შემომხედა, რომ დავიბენი. თითქოს მემღეროდა, თითქოს ვეკვარებოდი. მივაჩერდი. მითხრა: ჩემი სვიტრი გაიხადე, უნდა წავილო. უცებ გავიძვრე და მივეცი... მერე გავიგონე, კარი როგორ გაიჯახუნა. წავიდა, დამტოვა გაძარცვული, გაოგნებული და გაბოროტებული... მამის მოკვლა აზრადაც არ გამივლია, მაგრამ გადავწყვიტე, იმ ქალს სამსახურში მივევარდნილი და მისთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა. დავდიოდი და ვიმეორებდი: უნაშუსოვ, მამა როგორ წამართვი? ღმერთი დაგსჯის, დედაჩემის ცოდვით ჯოჯოხეთში დაიხრუკები-მეთქი!.. რამდენჯერმე ისიც წარმოვიდგინე, თუ როგორ შევალე მისი კაბინეტის კარი, ის თათბირს ატარებდა, მე კი, თანამშრომლების თვალწინ, შეურაცხყოფა მივაყენე... რეალურად ამის გაკეთება ვერ შევძელი, გამბედაობა არ მეყო.

— რა იყო შენთვის ყველაზე მტკინეული მამის წასვლის შემდეგ?

— იმ აზრთან შეგუება, რომ აღარ ვუყვარდი... თავიდან ვფიქრობდი – დედა მიატოვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მეც აღარ ვუყვარვარ-მეთქი... ერთი თვე ისე გავიდა, არც მომიკითხა, არც დამირეკა. დედამ შემატყო, რომ ვნერვიულობდი, მამა მენატრებოდა; მანუგემა: სწავლა რომ დაიწყება, სკოლაში მოვა, ნუ გეშინია, შენ არ გადაგიყვარებსო. გულსოფანტკალით ველოდი პირველ სექტემბერს, დავიჯერე, რომ შინ მოსვლას ვერ ბედავდა, სკოლაში კი აუცილებლად მოვიდოდა. მასსოვს, როგორი დაძაბული ვიჯექი გაკვეთილებზე, ყოველ წუთს კარისკენ ვიყურებოდი... 3 თვე

რომ გავიდა, გადავწყვიტე, მე მივსულიყავი მასთან. მისამართი მამიდას გამოვართვი და სახლში მივაკითხე. კარი ასაკოვანმა ქალმა გაძილა. – დათოს ნახვა მინდა, მისი შვილი ვარ-მეთქი, – რომ ვუთხარი, გაოცებისგან პირი დაალო.

— რატომ?

— არ იცოდა, მის სიძეს შვილი თუ ჰყავდა, უყურე მაგ უნამუსოსო!.. – აყვირდა ის ქალი. ხმაურზე მამაჩემი გამოვიდა, მკლავში ხელი მტაცა და კიბეზე სულ სირბილით ჩამიყვანა. – დედაშენმა გამოგავზავნა, ველარ გაიგო, რომ ბედნიერი ვარ? რა გინდათ, რატომ არ მასვენებთ? ცხოვრება გინდათ დამინგრიოთო?! – მიყვიროდა. მოულოდნელად, ვიღაც კაცი რომ არ გამოჩენილიყო, რომელმაც მას დამშვიდება დაუწყო, ალბათ მცემდა... ასე დასრულდა ჩვენი მამაშვილობა. ახლა ვიცი, რომ კაცს თუ ქალი უყვარს, მისი შვილებიც უყვარს, თუ ქალი აღარ უყვარს – აღარც მისი შვილები უნდა... 4 წელია, რაც მამა სახლიდან წავიდა, მეორე ცოლთან 2 ბიჭი ჰყავს. პირველი ვაჟი რომ შეეძინა, სკოლაში მომაკითხა და მითხრა: ახლა მამა გყავსო... მერე დაიკარგა, 6 თვე აღარ გამოჩნდა. უთქვამს: ფული არ მაქვს, ხელცარიელი ხომ არ მივალ? დიდი გოგოა, 20 ლარი მაინც არ ვაჩუქო?!. მისგან ფული კი არა, მხოლოდ ერთი ჩახუტება მჭირდება... დედა უკვე მასთან ურთიერთობას მიშლის – 4 წელი არ გახსენებინარ, შვილად აღარც გთვლის, შენც გულიდან ამოივდეო, – მეუბნება. მეც ვპასუხობ: ქუჩაში რომ შემხვდება, მეორე მხარეზე გადავალ, არც შევხედავ-მეთქი, – გულში კი მის ნახვას ვნატრობ. ეკლესიაში რომ შევდივარ, ერთ სანთელს მის სახელზე ვანთებ, მისთვისა და ჩემი ორი უნახავი ძმისთვის ვლოცულობ. იმედი მაქვს, ბავშვები რომ გაიზრდებიან, ჩემს გაცნობას, ჩემთან ურთიერთობას მოისურვებენ, მაშინ მამასთან ხშირად შეხვედრის შანსი მომეცება.

თინათინა, 11 წლის:

— გუმინ ზოობარკში მამაჩემი დავინახე, თავის ბიჭთან ერთად სათამაშო მანქანაში იჯდა და მხიარული შედახილებით მანქანას აქეთ-იქით დააქროლებდა. მეც ბილეთი მეჭირა ხელში და ჩემს რიგს ველოდებოდი. რომ დამინახა, მოვიდა: – თონა, როგორ ხარ, აქ ვინ წამოგიყვანაო? – მკითხა და პასუხს არც დალოდებია, ხელში ხუთლარიანი ჩამიკუჭა: – ნაყინი იყიდე და კარუსელებზე „იკატავო“. ისე წავიდა, თვალიც ველარ მოვკარი... ხასიათი გამიფუჭდა, ბაბუას ვთხოვე – სახლში დავბრუნდეთ-მეთქი. 7 წელია, რაც მე და

დედამ მამაჩემის სახლი დავტოვეთ. მე კი მაინც ვერ შევეჩვიე უმამობას...

— თუ იცი, შენი მშობლები რატომ გაიყარნენ?

— სასამართლოზე მამამ თქვა: ხასიათების შეუთავსებლობის გამო ცვილდებიო. მისი ნათქვამი დედას არ გაუპროტესტებია. ჩემთვის აზრი არავის უკითხავს, არც ანტიერეუბდათ, თანახმა ვიყავი თუ არა მშობლების განქორწინებაზე. სკოლაში გვასწავლიან – ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი არსებობს და შეგიძლიათ, მათთან ითანამშრომლოთო. განა, ჩემი უფლებების დარღვევა არ იყო, მშობლები რომ გაიყარნენ?!

— არ გითქვამს მამისთვის შენ გრძნობების შესახებ?

— მე ხომ არ შევახსენებდი – მამა ხარ და მამობრივი მოვალეობა შეასრულე-მეთქი?! ან რა უნდა მეთქვა? – მან ხომ ქუჩაში გამოგვყარა, ერთ ავბედით დღეს გამოგვიცხადა: თქვენთან ცხოვრება აღარ მინდაო. თავიდან, ბაბუამ დედა სახლში არ მიიღო – შენმა ქმარმა წილი მოგცეს, ერთი ოთახი ვიყიდოს და იქ იცხოვრებთო. 2 წელი ქირით ვცხოვრობდით... ალბათ, საშინელებაა, როცა მამა ოჯახიდან მიდის, მაგრამ ამაზე უფრო მწარეა, როცა სახლიდან საკუთარი მამა გაგდებს... საბურთალოზე ვცხოვრობდით, სკოლაშიც იქ დავდიოდი, მეგობრებიც იქ მყავდა. ახლა ბაბუასთან ვარკეთილში ვცხოვრობ, ახალი სკოლა, ახალი მეგობრები, უცხო სახლი, უცხო უბანი... იცით, რამდენი დარდი მაქვს?... ჩემი ასაკის გოგონებთან შედარებით, ცხოვრებას უკეთესად ვიცნობ, ვიცი, რომ ყველაფერი წარმატალია, რომ ყველაზე უზრუნველი ბავშვიც ერთ დღეს, შეიძლება საკუთარი მამისთვის ზედმეტი აღმოჩნდეს... სასამართლოზე გავიგე, რომ მამა ჩემი დაბადების წინააღმდეგი ყოფილა: შვილი არ ნდომებია, რადგან მამის მხოლოდ 17 წლის იყო. ალბათ, იმას არ ვგაპატიობს, მისი ნების წინააღმდეგ რომ გავჩნდი...

ქეთევან თაყაიშვილიაძე, ფსიქოლოგი:

— 5 წლის მიშკოს მშობლები განქორწინდნენ. სასამართლომ ბავშვი დედას მიაკუთვნა, დედა გაძულდებით ჩააგონებდა ბიჭს, რომ მამა ცუდად, მან ისინი მიატოვა და ახლა დროს ატარებს... ნახევარი წლის შემდეგ, ბავშვს ხასიათი რადიკალურად შეეცვალა: გაჭირვებულა, გაჯიუტდა, კედლებზე შპალერს ხედავდა, იატაკზე ლურსმნებს აჭედებდა, ფანჯრიდან საოჯახო ნივთებს ყრიდა, დამაძოებით ისველებდა... გამოირკვა, რომ მიშკოს ძალიან უყვარდა მამა. ყოველთვის ცდილობდა, მისთვის მიებადა და დედის ნალაპარაკებიდან ასეთი დასკვნა გამოუ-



„...ვიმედოვნებ, მამა ამ წერილს წაიკითხავს და გულთან ახლოს მიიტანს ჩვენს განსაცდელს!..“ – ასმათი (მარჯვნივ)

ტანია: მამა ცუდია და მეც ცუდი ვარ, არ მინდა, კარგი ვიყო... ასეთი მაგალითი უამრავია, მიშიკო გამონაკლისი როდია.

— როგორ შეიძლება ჩაენვდეთ იმ ბავშვის სულიერ მდგომარეობას, რომლის მშობლებიც იყრიან?

— როგორც კი ცოლ-ქმარი კარგავს ერთიანობის განცდას, როცა აღარ გააჩნიათ საერთო გეგმები, ისინი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გადაიქცევიან. ბავშვი, როგორც „სამხედრო კავშირის“ წევრი, დილეგის წინაშე დგება — ვის მიემხროს? ბავშვისთვის ბრძოლაში, მის გადაბირებაში მეტ ძალისხმევას, როგორც წესი, ის მეუღლე იჩენს, რომელიც უფრო სუსტი და დაუცველია — ე.ი. დედა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამით თავისი სიმატლის ილუზორულ დასაბუთებას ცდილობს: ბავშვი ჩემგანაა, ესე იგი, მართალი მე ვარო... მეორეც, ბავშვის „ჩარიცხვა“ ერთ-ერთი მშობლის ბანაკში ძლიერი ფსიქოლოგიური დარტყმაა მეორისთვის. ასე იქცევა ბავშვი ოჯახური ბრძოლის მსხვერპლად და ასეთ სიტუაციაში მყოფი, განიცდის შფოთვის, შიშს, ეჭვს, რომ ის რაღაცას ისე არ აკეთებს, როგორც საჭიროა და ამისთვის ოდენზე დაისჯება... ამან შეიძლება, პატარა ადამიანი სერიოზულ ნევროზულ დარღვევამდე მიყვანოს... მით უფრო ცუდ დღეში ვარდება ბავშვი, როცა მამა კარს გაიხურავს და წავა. ამ დროს, მას აქვს პანიკური შიშის განცდა. მაგრამ კიდევ უფრო დიდი პრობლემის წინაშე ვდგებით მაშინ, როცა სახლიდან, შვილებთან ერთად, ქალი მიდის. ამ დროს, ბავშვი უცხო გარემოში ხვდება, მამასთან ერთად, ის კარგავს საკუთარ სახლს, ოთახს, საწოლს — ე.ი. საკუთარ სამყაროს... II წლის ირაკლისთვის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი ის დღეა, როცა მამამისმა დედამისს უბრძანა — მოჰკიდე შენს შვილს ხელი და წადი აქედანო! იმწუთას, ირაკლის თვალებში გაჩნდა შიში — სად წაივდეს? ვისთან იცხოვროს? რა იქნება მომავალში?... შიშისგან აკანკალუბულმა, ხმის ამოღება ვერ შეძლო. დედას უსიტყვოდ ადევნა. ფეხით გადაჭრეს გმირთა მოედანი და ჩელუსკინელების ხიდზე გადავიდნენ. მოულოდნელად ირაკლიმ დედა გააჩერა, კაბის კალთაში ჩაავლო ხელი და უთხრა: იქნებ, ხიდიდან გადავხტეთო?

ლალი თ. ირაკლის დედა:

— ...მხოლოდ მაშინ გამახსენდა ირაკლი — მანამდე შვილზე არც მიფიქრია, უფრო სწორად — მეგონა, რომ ჩემ გვერდით ყველგან კარგად იქნებოდა და სადაც წავიდოდი, გამოძევებოდა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე დააფრთხობდა მომავალი, რომელიც არც მან და არც მე არ ვიცოდით, რას გვიმზადებდა. ბავშვს ჩავეხ-

უტე და ვუთხარი: ცხოვრებაში უფრო საშინელი რამეებიც ხდება, როცა დაკაცდები, შეიძლება, შენც მიატოვო შვილები-მეთქი... მეგობართან მივედი. ირაკლის მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. დილით რომ შევხვდე, ელდა მეცა: ისეთი მოწყენილი იყო, ისეთი სევდიანი თვალები ჰქონდა, რომ მეგონა, მწუხარებისგან მომიკვებოდა. საკუთარ თავს პირობა მივეცი, შვილისთვის ამცოდლებინა ყველა სირთულე და უსიამოვნება, რომელიც განქორწინების პროცესს ახლავს თან.

ნორა ზ. ირაკლის ბებია:

— მასსოვს, სასამართლო პროცესის შემდეგ, მოსამართლემ როგორ გვითხრა: ირაკლისთან მარტო დამტოვეთო. არ ვიცი, ირაკლის ამის რატომ შეეშინდა, მაგრამ ფაქტია — ფანჯრიდან ეზოში გადახტა. მთელი დღე ვეძებდით. სახლში არც საღამოს მოსულა... ირაკლი მანამდეც, რამდენჯერმე გაიქცა სახლიდან. ამბობდა: არავის გვტოვდებით, იმიტომ მეჩხუბებით, რომ არ გინდათ, თქვენს სახლში ვიცხოვრო. ერთხელაც, ჩემმა ვაჟმა შენიშვნა მისცა, ტელევიზორის ხმას დაუწიო, — უთხრა და ის სააბაზანოში ჩაიკეტა. რომ აღარ გამოვიდა, კარი შევამტკრიეთ. სამართლებლით ვენები გადაეჭრა და სისხლისგან იცლებოდა. ძლივს გადავარჩინეთ... ფსიქოლოგთანაც მივიყვანეთ, მაგრამ მასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას მაინც ვერ ვახერხებდით. არ გვისმენდა, ცდილობდა, ისე მოქცეულიყო, რომ ჩვენი აღშფოთება გამოეწვია...

ლალი თ.

— ერთ დღეს, სახლიდან გიჟივით გავარდა — მანამ არ დაებრუნდები, სანამ მამაჩემს არ ვიპოვი და არ მოვკლავო! — ყვიროდა. ისე შემეშინდა, რომ ჩემს ყოფილ ქმართან გავიქეცი... მერე თვითონ მომაკითხა, ირაკლის ამბის გასაგებად. ასე, თანდათან, ისე ავავწყვთ ურთიერთობა. ირაკლის პრობლემამ გაგვავრთიანა და განქორწინებიდან II თვის თავზე, შევრვიდით. ირაკლის ეს ამბავი არ განარება. პირიქით — მაგდაზე მუშტი დაარტყა და თქვა: მოკვდები, მაგრამ იმ სახლში არ დაებრუნდებიო. ჩემმა ქმარმა აიბულა, გადაწყვეტილება შეეცვალა. ჩვენს ბინაში დაებრუნდით. მეგონა, ირაკლი ისევ ძველებურად ლაღი და მხიარული ბავშვი გახდებოდა, მაგრამ შევცდი. უძილობა დასწემდა, უნებლიე შარდვა დაეწყო, საკუთარ თავში ჩაიკეტა... სულ უფრო ხშირად დავდიოდით ფსიქოლოგთან, რომელიც გვარწმუნებდა, რომ ირაკლი შეძლებდა პრობლემებთან გამკლავებას. უკვე 8 თვე გავიდა. ჩვენსა და ირაკლის შორის ბარიერი დღითი დღე იზრდება. არ ვიცი, რა იქნება ხვალ, ზეგ. შიშით ვცხოვრობ, ყოველ წუთს, შვილისგან მორიგ უსიამოვნო სიურპრიზს ველოდები.

არ შემეძლო, ირაკლი არ მომიქებნა და მის ბავშვურ სამყაროში გარკვევა არ მეცადა. როგორც კი მეგობარმა გაავებინა — ჟურნალისტი ვეძებო, — მაშინვე დამირეკა და შეხვედრაზე დამთანხმდა. დიდხანს ვისაუბრეთ. ირაკლის ნებართვით, ჩვენი საუბრის მხოლოდ მცირე ეპიზოდს გავანდობთ.

ირაპლი:

— მე იმ კაცთან არ ვიცხოვრებ (ირაკლი იმ წუთიდან, რაც მამამ მიატოვა, სიტყვა „მამას“ აღარ ახსენებს), ჩემს მეგობართან ვარ თემქაზე. პატარა „ბათი“ აქვს. მთელი დღე მუსიკას ვუსმენთ, საჭმელი თუ გვაქვს, ვჭამთ, თუ არა — მშვირები ვიძინებთ.

— არასდროს გიცდია, თავი მამაშენს ადგილას დაგეყენებინა? ნარმოგადგენია, რას გრძნობს მშობელი, როცა შვილი უარყოფს?

— იმ კაცს ვერ ვიტან. რატომ? ვერ ვიტან და მორჩა! სულ ყურებში მესმის მისი ყვირილი: „მოჰკიდე შენს ლეკვს ხელი და გაეთრე აქედან!“ მაღლობელი არ არის, რომ არ მოვკალი?... მინდოდა, მივსულიყავი და მისი მანქანის ფარები დამეღწა, მაგრამ დედაჩემს დაასისხლიანებდა — შენი ლეკვი რამდენს მიბედავსო?!

— მამაშენს უყვარხარ...

— მე კატები მიყვარს, მაგრამ მიყვარს, მაგრამ ამას წინათ, ერთ კატას წინხლი ამოვკარი, ქუჩის მეორე მხარეს დაეცა, ისე გავისროლე... გუშინაც ვნახე — ვეღარ დგება. ალბათ მოკვდება. დღეს „კალბასი“ მიუტანე. შემეცოდა. რად უნდა „კალბასი“?... არ სჯობდა, წინხლი არ ამომერთყა?! ახლა ხომ სახურავებზე ივლიდა და საჭმელსაც თავისით იშვოდა!...

— შენზე მითხრეს, ყოველდღე ეკლესიაში დადის, ლოცულობსო. ღმერთი რომ მორჩილებასა და უფროსებისადმი პატივისცემას გვასწავლის?..

— რომ გავიზრდები, მეც მღვდელი გავხდები. არ მინდა, ცოლი რომ მყავდეს და შვილები. მეც ცუდი მამა ვიქნები, რადგან კარგი მამა არ არსებობს...

ქატიონო თავართქილაძე:

— ბავშვის ფსიქიკა, მრავალი მიზეზის გამო, იოლად ირღვევა. იგი ხშირად, უმძიმეს სურათს წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს, აღდგენის საოცარი უნარიც აქვს. ბავშვი უამრავჯერ „ფუჭდება“, რათა უამრავჯერ გამოსცადოს ცხოვრებაც და საკუთარი თავიც; „ინგრევა“, რათა თავისებურად აღდგეს... სხვა სხვის — თუნდაც შვილის ნაცვლად, ცხოვრების არსს ვერ ჩასწვდება, ისევე, როგორც მის მაგივრად ვერ ისუნთქებს. სხვა ადამიანს შეგვიძლია, მხოლოდ დავეხმაროთ...

ლელო ზანკობაძე

— ზვიად, როდის შეეხეთ პირველად საავტომობილო დიზაინის სფეროს?

— მანქანებით ბავშვობიდან ვიყავი გატაცებული. სატრანსპორტო ლაბორატორიაში, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში დავდიოდი. კარგი მასწავლებელი მყავდა — ბატონი ნოდარ ინჯია, რომელიც სამწუხაროდ, 3 წლის წინ გარდაიცვალა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ საბოლოოდ, ამ გზას გავყევი. დავამთავრე თბილისის სამხატვრო აკადემია, საყოფაცხოვრებო დიზაინის განხრით, რადგან აკადემიაში სატრანსპორტო დიზაინის ფაკულტეტი არ არის.

— პირველ წარმატებას როდის მიაღწიეთ?

— ეს იყო 1997 წელს. ფრანგურტის ავტოსალონზე „ბუგატი“ ჩემული მოდელი წარმოვადგინე. საერთაშორისო ავტოსალონზე და საერთოდ, საავტომობილო სამყაროში საქართველოს წარმომადგენლის პირველად გამოჩენა სწორედ მაშინ მოხდა. ფრანგურტის ავტოსალონი თავის იუბილეს ზეიმობდა. დარბაზის ცენტრში საქართველოს დროშაც ფრიალებდა. ამ დროშის დანახვით გამოწვეული სიხარული ჩემთვის დაუვიწყარია... მაშინ ბევრი კომპანია დაინტერესდა ჩემით. სამწუხაროდ, ჩემ მიერ დამზადებული მაშინდელი მოდელი განადგურებულია: თბილისში რომ დაგბრუნდი, მის შესანახად შესაფერისი ადგილი არ მქონდა. მეგობრის ეზოში დავდე. ერთ დღეს, მისმა მეზობელმა ჩემი „ბუგატი“ შემად გამოიყენა — „ფენში“ შეუძახა...

— მეგონა, მოდელის ექსპონირებაში მხოლოდ ესკიზი იგულისხმებოდა...

— არა. ჩვეულებრივ მანქანას ვამზადებ,

მსოფლიო საავტომობილო წარმოებაში ქართველი დიზაინერის მიერ მოპოვებული დიდი წარმატება, რომელმაც ის, „პორშეს“, „ლოტუსისა“ თუ „ფერარის“ შექმნელი, გამობრძმედილი უცხოელი კოლეგების გვერდით დააყენა, ბევრს დღესაც, დაუფერებლად და წარმოუდგენლად ეჩვენება. მაგრამ ფაქტია, რომ ფრანგულმა საავტომობილო გიგანტმა — კომპანია „პეუჟომ“ სწორედ ქართველი ზვიად ციკოლიას დიზაინით დამზადებულ ახალი მოდელი ჩაუშვა სერიულ წარმოებაში...



ზვიად ციკოლიას: ფხანგებმა მითხეს — შენ თბილისში გვჭიხებო...

ნატურალურ ზომებში. „ბუგატი“ პირველი მოდელი თვითმფრინავის საბარგო დანაყოფის ზომებს მოვარგე, რადგან მისი ტრანსპორტირების სხვა საშუალება არ მქონდა. ისე დავაპროექტე, რომ საბარგულში ჩატეულიყო. ქართველმა ავიატორებმა დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს ამ მოდელის მიმართ, რასაც ვერ ვიტყვი გერმანელებზე, რომელთა გამოც, აეროპორტში ჩემი მოდელის ნარჩენებია შემრჩა ხელთ. საშინელ დღეში აღმოვჩნდი. ჩამოტვირთვისას, ჩვეულებრივ ტვირთად გაფორმებული „ბუგატი“ მოდელი ისე დაიღწა, ვერც კი წარმოიდგენთ. ღამის ტვინში სისხლი ჩამექცა... ზრდილობიანი ევროპელები მთელი სერიოზულობით მისამძიმრებდნენ მოდელის „დაღუპვის“ გამო. მაგრამ მე და ჩემმა მეგობარმა ერთ საათში, საჭირო მასალა ვიყიდეთ და მოდელი აღვადგინეთ.


— მოდელის დასამზადებლად საჭირო მასალას სად იძენთ?

— „ბუგატი“ ელიავას ბაზრობაზე ნაყიდი მასალით ვაგაკეთე. მანქანა ნორმალური გამოვიდა. თუმცა ახლა, მაშინდელი

ხარისხი ნამდვილად აღარ მაკმაყოფილებს. ახლა უკეთეს მასალას ვიყენებ. ელიავაზე სირბილი აღარ მიწევს. ფანერსაც აღარ ვიყენებ — უკვე პლასტილინისგან ვებრუნებ მანქანას, რომელიც თითოეული მოდელისთვის, ერთ ტონაზე მეტი მჭირდება. მანქანის გამოსადერწად 1.200 დოლარის ინსრუმენტებია საჭირო და „ფენი“, რომელიც 5.000 დოლარი ღირს. სახელოსნოს იატაკი იდეალურად სწორი უნდა იყოს, რომ მანქანა არ დაიბრციოს. რაც უფრო მაღალ ღონეზე ადის, მით უფრო მეტი ხარჯის გაღება მიწევს...

— ნუთუ გამარჯვებულს არა აქვს საშუალება, მოინყოს სპეციალური ფეშენებელური სტუდია, სადაც უპრობლემოდ მუშაობას შეძლებს?

— „ბუგატი“ დამზადება მოსკოვში, საკმაოდ კარგად მოწყობილ სტუდიაში მომიწია. მსოფლიო სტანდარტების დონის პირობებში ვმუშაობდი. შედეგაც არ დააყოვნა. ესაა ერთ კვირაში გაკეთებული მაკეტი. თუმცა უფრო მეტი დრო იყო საჭირო, მაგრამ ისეთი მოწადინებული ვიყავი, რომ თავდაუზოგავად ვიშრომე. სალონში რომ შევედი, პლასტილინის უზარმაზარი გროვა დამსვდა... საქართველოში ავტომანქანის დამზადებისთვის საჭირო სტუდია არ არსებობს. პირველი „ბუგატი“ ჩვეულებრივი ბინის ლოჯიაში კეთებოდა. მანქანა იქ ძლივს დაგტეი. ცხვირი მქონდა მოდელზე მიბჯენილი და ისე ვმუშაობდი. არადა, იშხელა ფართია საჭირო, რომ მანქანას შორიდან შეხედო და მთლიანობაში დაინახო... ჩემი ხარჯით სალონის შექმნა შეუძლებელია. მარტო ის დანადგარი, რომელზეც მოდელი უნდა მოათავსო, 30-35 ათასი დოლარი ღირს.



ფრანგურტის ავტოსალონზე „ბუგატი“ ჩემული მოდელი წარმოვადგინე...



„პეჟომ“ სერიულ წარმოებაში ჩემი დიზაინით დამზადებული ახალი მოდელი ჩაუშვა...

— „ბუგატის“ პირველი მოდელი ნარმატებული აღმოჩნდა. ეს ნარმატება ახალი კონტრაქტის საფუძვლად ხომ არ იქცა?

— ბევრი საინტერესო წინადადება მივიღე. მაგალითად, ცნობილმა გერმანულმა ფირმამ — „ზენდერმა“ შემოთავაზა, „აუდი A-4“-ისა და „აუდი A-3“-ისთვის ინტერიერის დამზადება. მაგრამ მაშინ დრო არ მქონდა, რადგან ტაილანდურ ფირმას ბორბლების დისკების დიზაინს უუკეთებდი. 1998 წელს, „ბუგატის“ მეორე პროექტი გააკეთე და ფრანკფურტის ავტოსალონზე წარმოვადგინე. მსოფლიოში ცნობილი დიზაინერი ჯუჯარო ჩემით დაინტერესდა და იტალიაშიც დამპატიყდა: ჩამოდი, კონკრეტულ საკითხებზე მოვილაპარაკოთ. მაგრამ ეს ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ვერ წავედი...

— „პეჟოსთან“ ურთიერთობა როგორ დაამყარეთ?

— ინიციატივა „პეჟომ“ გამოიჩინა. ინტერნეტში ჩემი საიტი უნახავთ და ელექტრონული ფოსტით დამიკავშირდნენ. მწერდნენ: თქვენი მოდელები მოგვწონს და გვინდა, თქვენთან ვითანამშრომლოთ. ამის შემდეგ, პარიზში მიმიწვიეს და „პეჟო 1007“-ის დიზაინი შემიკვეთეს. ამ ვიზიტისას შემოთავაზეს, „ბუგატის“ კონკურსშიც მიმელო მონაწილეობა. სიმართლე გითხრათ, როცა „პეჟოს“ ვაკეთებდი, „ბუგატიზე“ ფიქრიც აღარ შემეძლო. ეს ორი მანქანა ხომ სტილით ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდება. ამიტომ პირველ ადგილს თუ დავიკავებდი, ვერც კი წარმოვიდგენდი. საბოლოო ვარიანტი ერთ კვირაში შევქმენი. ღამეებს კომპიუტერთან ვათენებდი. „ბუგატი“ კარგად მაქვს შესწავლილი. ძველ მოდელებსაც კარგად ვიცნობ და მომავალი მოდელები როგორ უნდა გამოიყურებოდეს, იმასაც კარგად ვხვდები. სწორედ ამან გამოიწვია ჩემი წარმატება.

— როგორი რეაქცია გქონდათ, როცა შეიტყვეთ, რომ პირველი ადგილი დაიკავეთ?

— ემოციებისგან ცუდად გავხდი. წნევა დამივარდა და მთელი საღამო უგონოდ ვიწევი. ძალიან სერიოზული და ძლიერი კონკურენტები მყავდა. მაგალითად, „ჯენერალ მოტორსის“ და „ტოიოტას“ მთავარი დიზაინერები. ვანა საოცარი არ არის ის ფაქტი, რომ ფრანგულმა საავტომობილო კომპანია „პეჟომ“ სერიულ წარმოებაში ჩემი დიზაინით დამზადებული ახალი მოდელი ჩაუშვა?!

— ახლა ექსკლუზიურ მოდელებზეც მოგვიყვებით?

— ერთმა მდიდარმა ინგლისელმა ინტერნეტით გამომიგზავნა დაშლილი „ჰიუნდაი სონატა“ და მომწერა: რა შეგიძლია ამისგან გააკეთო? ნახევარ საათში შევქმენი ეს კიბი: მის გამოგზავნილ ფოტოზე მანქანას ახალი ცხვირი გაუკეთე და უკანვე გავუგზავნე. მიეწონა. კეთების პროცესშიც აქტიურად ჩაერთო. ფერიც მან შეარჩია. საერთოდ, ექსკლუზიური მოდელების დამზადება ძვირი ჯდება. სამაგიეროდ, ამბიციები დაიკმაყოფილა, ფულიც დააბანდა და ახლა ლონდონის ქუჩებში სრულიად განსხვავებული, ერთადერთი მანქანით დაქრის... ახლა იმ ინგლისელს „ჰიუნდაი სონატის“ ნაცვლად, „მითვარის სონატა“ ჰყავს... საქართველოში მსგავსი სურვილი ჯერ არავის გასჩენია. შეიძლება, ექსკლუზიური მანქანის სურვილი ბევრს აქვს, მაგრამ ჩემამდე არავენ მოსულა.

— საკუთარი თავისთვის არ აპირებთ ექსკლუზიური მოდელების შექმნას?

— იღვაში, ჩემი ოცნების მანქანა უკვე მაქვს. მაგრამ ამ იდეის ხორცშესხმის საშუალება ალბათ, დიდი ხნის განმავლობაში არ მომეცემა, რადგან ამისთვის

საჭირო თანხა არ მაქვს. მართალია, „პეჟოს“ დაკვეთა შევასრულე, მაგრამ ჩემთვის მილიონები ნამდვილად არ გადაუხდიათ.


— როგორ ფიქრობთ — რა პერსპექტივა აქვს საქართველოში ავტომრეწველობას?

— ჩვენ ბევრი ნიჭიერი ადამიანი გვყავს. სხვამ შეიძლება ჩემზე უკეთესი პროექტიც გააკეთოს და ამაში გასაკვირი არაფერი იქნება. ბევრ ჩვენს დიზაინერს აქვს კონკრეტული საკითხის ორიგინალურად გადაწყვეტის ნიჭი. მაგრამ საქართველოში საქმის დაწყება ენთუზიაზმსა და იდეების დონეზე უნდათ. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა რომ გაათანამდროვონ, ჩვენი დიზაინერები უდიდეს შედეგს აჩვენებენ. თბილისში ცხოვრობს ჩემენი კაცი — რამაზ გოიტიმირიძე, რომელმაც ისეთი ძრავა შექმნა, რომ მთელ ავტომრეწველობაში რეკოლუციას მოახდენს. მთელი მსოფლიოდან უკავშირდებიან და სთხოვენ, ეს ძრავა მიპყიდოს, მაგრამ უარზეა. თუკი რაიმეს მიაღწევს, სურს, რომ ეს საქართველოში მოხდეს.

— თქვენ ხომ არ აპირებთ აქედან წასვლას და რომელიმე ცნობილ საავტომობილო ფირმაში მუშაობის დანებებას?

— შემოთავაზებები მქონდა, მაგრამ იმ პირობებზე, რომლებსაც მთავაზობდნენ, ვერ წავალ, რადგან მარტო არა ვარ, ოჯახიც მაქვს. თუ დანაზოგს ვერ შევგროვებ, სხვა ქვეყანაში ცხოვრებას რა აზრი აქვს?! სხვათა შორის, „პეჟოს“ შევთავაზე — თქვენთან გადმოვალ სამუშაოდ-მეთქი. ძალიან მოკლედ და გარკვევით მითხრეს: შენ თბილისში გვჭირდები... ცხადია, ასე ურჩენიათ, ჩემთან არანაირი ვალდებულებები არ აქვთ. მათი დიზაინერი საათში 450-500 ევროს იღებს. ჩემთან ურთიერთობას კი, მოკლევადიანი ხელშეკრულებებით არეგულირებენ. ჩემგან გაცილებით იაფ ფასებში იღებენ იმ მოდელებს, რომელსაც მათი დიზაინერები ასტრონომიული თანხის საფასურად გააკეთებენ... ■





ნესა თოფჩიშვილი

— ქალბატონო ნატო, რით გამოირჩევა ცნობილი ადამიანების შვილი-სა და შვილიშვილის ცხოვრება?

— იმით, რომ ბავშობიდან გრძნობ გარემოცვის ყურადღებას... როცა ამის გაცნობიერებას იწყებ, ასეთი მშობლების წინაშე დიდ პასუხისმგებლობას გრძნობ. ადრევე მივხვდი, თუ რასთან მქონდა საქმე და რაღაც ჩარჩო განუუსაზღვრე საკუთარ თავს, რომლის მიღმაც არ უნდა გავსულიყავი. მაგრამ ამ ჩარჩოს არასოდეს დაგუთრ-გუნივარ — პირიქით... ნამდვილად დიდი პატივია, ასეთი მშობლებისა და ბები-ბაბუების შვილობა და შვილიშვილობა, თან სახითაოცაა, რადგან შეიძლება, მათი იმედები არ გაამართლო და შეარცხვინო...

— თქვენი პროფესიული არჩევანზე თქვენი ოჯახის თანაგარსკვლავედმა განაპირობა?

— პროფესიის არჩევანზე ქვეცნობიერი გრძნობა მუშაობს. როდესაც კულისებში იზრდები, თეატრი შენი სახლიც ხდება, იმდენად ახლობელია ეს გარემო. საერთოდ, ძალიან მიყვარს სახლი და შინ ჯდომა, სიახლის ყოველთვის მეშინია. ჩემთვის ალბათ, სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება (რომც მქონდა ამის მონაცემები) დიდი პრობლემა იქნებოდა: ეს ჩემთვის სულ სხვა სამყაროა, სადაც ჩემიანი არავინაა და ჩემს ენაზე არ საუბრობენ... ვინაიდან დედაჩემი (მაკა მახარაძე. — ავტ.) ბალერინა იყო, ოპერის თეატრისა და რასაკვირველია, რუსთაველის თეატრის კულისებში გავიზარდე. მასსოვს, „პუპო“ ჩემ თვალწინ იდგებოდა. ვიჯექი პატარა აივანზე, რომელიც სცენას გადაჰყურებდა და რეპეტიციებს ვუყურებდი. ასეთი იყო ჩემი ბავშვობა.

— გაიხსენეთ ბავშვობის სხვა შთაბეჭდილებები.

— რაც არ მასსოვს და რასაც მიყვებიან, ისაა, რომ 4 წლის ასაკში, ბალერინობა მინდოდა. „გედების ტბაში“ ოდესღაც პარ-

„ჩემი ოჯახი, ჩემი რელიგიაა“, — ამბობს ნატო მურვანიძე და ამ განწყობით მთელი მისი წინამდებარე ინტერვიუ გაჟღერებული — დედ-მამას ეხება საუბარო, ბები-ბაბუებს, მეუღლესა თუ შვილებს. სახელოვანი ადამიანების გარემოცვაში გაზრდილ მსახიობს უზომოდ უყვარს თავისი პროფესია, ენატრება სცენა, რომელზეც შვილის გაჩენის გამო, კარგა ხანია არ ასულა, მაგრამ არც იმას უარყოფს, რომ შინ, ოჯახში ყოფნა და მცენარეების მოვლა-პატრონობაც უზომო სიამოვნებას ანიჭებს. დანარჩენს მისივე საუბრიდან შეიტყობთ.

კულუსი უწყინო ნათო კურანდიას სუნა ქოლ წიღ ლოკოსას სკუთარი ჩალონიკი აიწულო...

ტიის შესრულებაზე ვოცნებობდი, კული-სებში საბალეტო კოსტიუმში გამოწყობი-ლი ვიდექი და ველოდი — იქნებ, ვინმემ სცენაზე შემიშვას და მაცეკვოს-მეთქი... 6 წლის ასაკიდან მასსოვს, როგორ წამიყვანა ბებიამ (მედეა ჩახავამ. — ავტ.) რუსთა-ველის თეატრის გასტროლებზე სოხუმში. მასსოვს, პლაჟზე ჟანრი ლოლაშვილს ჩაე-ძინა და ისეთი მზის დაკვრა მიიღო, რომ საავადმყოფოში წაიყვანეს. მისი როლი სპექტაკლში — „გუშინდელნი“ — ამ სპექ-ტაკლის რეჟისორმა, თემურმა (ჩხვიძემ, ნატოს ბიძამ. — ავტ.) ითამაშა... როცა ვამბობ, ეს ყველაფერი მასსოვს-მეთქი, მეუბ-ნებიან — აბსურდია, არ შეიძლება, ვასს-ოვდეს: ეს ჩვენც არ გვასსოვსო...

— ძირითადად ვინ იყო თქვენი აღზრდით დაკავებული?

— ჩემი ბავშვობა ბუნდოვანი შემთხვევაა: დედაჩემი ახერხებდა თან საკუთარი საქმის კეთებას და თან შვილების აღზრდას. დედაზე მთავარი დატვირთვა მოდიოდა. ჩვენ ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით პეკინის ქუ-ჩაზე. მერე ჩვენი ოჯახი — დედა, მამა, მე და ჩემი და — ცალკე საცხოვრებლად გადა-ვედით... დედა იყო ყველაფერი: სახლის დალაგება, სადილი, სარეცხი, გაკვეთილე-ბი — ყველაფერი მასზე იყო. მამა (მხატ-ვარი მურაზ მურვანიძე. — ავტ.) მუშაობ-და, თუმცა, ჩვენთან თამაშსაც ახერხებდა ხოლმე. მხიარული ოჯახი გვქონდა...

— ბებოები თქვენს აღზრდაში არ მონაწილეობდნენ?

— როდესაც პეკინის ქუჩაზე ვცხოვ-რობდით, მედიკოსთან ძალიან დიდი და აქტიური კონტაქტი გვქონდა. ახალ ბინაში რომ გადავედით, მეორე ბებიასთან — ტუსია გიორგობიანთან ახლოს ვცხოვრობდით (სხვათა შორის, ამბობენ, რომ ყველაზე მეტად მას ვგავარ). ის ძალზე აქტიურ-ად იყო ჩაბმული ჩვენს აღზრდაში. ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. 18 წლის გახლდით, როდესაც გარდაიცვალა და

მისი სახით დიდი მესაიდუმლე და მეგობა-რი დავკარგე. მან ყველაფერი იცოდა ჩემ შესახებ და ყოველთვის ჭკუას მარიგებდა.

— მოდიოთ, გაიხსენეთ შეყვარებული ნატო მურვანიძე. ბევრად განსხვავდება მეუღლე ნატოსაგან?

— მართალი გითხრა, ახლაც რომ არ ვიყო შეყვარებული, ცოლიც არ ვიქნე-ბოდი... ჩემი სიყვარული საკმაოდ ხანგრძ-ლივ პერიოდს მოიცავს. ნიკუმა 17 წლისამ გავიცანი. ჩვენ თანაგავუფლები ვიყავით. ფაქტობრივად, ეს ჩემი ცხოვრების ლაიტ-მოტივია... მაშინდელ სიყვარულზე რა გითხრა?.. მაშინ ურთიერთობაში უფრო უკომპრომისო ვიყავი, მაქსიმალისტი და ამის გამო, ოჯახში ძალზე ბევრი პრობ-ლემა შეგვექმნა. ასაკის მატებასთან ერთ-ად, უფრო კომპრომისული გავხდი. ერ-თადერთი განსხვავება ამ ორ ნატოს შორის ესაა. ოღონდ, ეს მსხვერპლშეწირვის დონის კომპრომისებს გამოორიცხავს — პატარ-პატარა კომპრომისებია...

— თქვენი მეუღლე ნიკო თავაძე ძალზე პოპულარულია და ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. არ ეჭვია-ნობთ ხოლმე?

— როცა რამეში ეჭვი შემეპარება, მაშ-ინვე დამთავრდება ურთიერთობა... ნიკუ-შას მართლაც, ძალიან ბევრი თაყვანისმ-ცემელი ჰყავს, თანაც ეს თაყვანისცემა



რაც არ მასსოვს და რასაც მიყვებიან, ისაა, რომ 4 წლის ასაკში, ბალერინობა მინდოდა

ლია. ნიკუმა ისე ცოტა ეჭვიანობის საბაზს მძღვეს, რომ მისი თაყვანისმცემლების საქციელი სიამოვნებასაც კი მანიჭებს. სანამ ეს მსიამოვნებს, ჩვენი ურთიერთობა ჯანსაღია; როცა უსიამოვნო გახდება, ეს ცუდის მომასწავებელი სიგნალი იქნება...

— **თქვენ და ნიკას სცენაზე ერთად თუ ვითამაშობთ?**

— ინსტიტუტში სულ ვითამაშობდით ან და-ძმას, ან მამა-შვილს. „სალონაში“ სიკვდილის ანგელოზს თამაშობდა და მკლავდა; სცენაზე დიდი კონფლიქტი გვქონდა... შეყვარებულები პირველად, „ანტიფონში“ ვითამაშეთ. მაგრამ როდესაც

ამ დარგის წიგნებით ვარ შეიარაღებული და მცენარეებს ვუვლი. თუ მცენარე მოკვდა, იტყვიან ხოლმე — არა უშავსო, — მე კი ასეთ დროს, ვსვამ კითხვას: რატომ?



ნიკუმა ჩემს რეპეტიციებს ესწრებოდა, ვთხოვდი, რომ დარბაზიდან გასულიყო...

— **სცენაზე პარტნიორობა გიჭირდათ?**

— „ანტიფონის“ რეპეტიციის დროს, საკმაოდ რთული აღმოჩნდა. როცა მის რეპლიკას ვუსმენდი, ვაკვირდებოდი, როგორ თამაშობდა და ამ დროს მავიწყდებოდა, თუ რით უნდა მეპასუხა... როგორც აღმოჩნდა, იგივე ემართებოდა ნიკუმასაც. ძალიან დიდხანს ვერ ავეწყვეთ. აი, ამ მხრივ იყო რთული. რაღაც პერიოდი დამჭირდა, რომ ეს ფაქტორი მოხსნილიყო და მიეჩვენა იმას, რომ სცენაზე ნიკუმა კი არ იდგა, არამედ ჩვეულებრივი მსახიობი, რომელსაც პარტნიორობას ვუწვევდი.

— **როგორ ფიქრობთ — მომავალში, ოჯახის ტრადიციული ცნება საგრძნობლად შეიცვლება?**

— მე მგონი, უკვე საკმაოდ დარღვეულია და ამის მომხრე არ ვარ. ერმა საკუთარი თვითმყოფადობა, კულტურა და ტრადიცია უნდა შეინარჩუნოს. ოჯახის ინსტიტუტი ჩვენში სხვა ფორმაში გადაიზარდა. ყველაფერი აირია: დავკარგეთ სამშობლოს სიყვარული, იმისათვის, რომ ოჯახი იყოს კარგად... სამშობლოს სიყვარული უნდა დავიბრუნოთ. ისტორიულად ასე იყო. თუმცა, შეიძლება არც იყო და გვატყუებდნენ?... ისტორია ხომ ყოველთვის ლამაზად იწერება?! ყოველ შემთხვევაში, ოჯახისა და სამშობლოს

სიყვარულს შორის ბალანსი თუ არ აღდგა, დაექცევიო...

— **დიდი ხანია, არ ჩანხართ. ალბათ, შემოქმედებითი პაუზა შვილის გამო გქონდათ. მალე თუ გიხილავთ სცენაზე?**

— „სამეფო უბნის თეატრში“ მიმდინარეობს რეპეტიციები მანანა ლიაშვილის პიესის მიხედვით, რომელსაც „პაუზა“ ჰქვია და სადაც ორსულ ქალს ვითამაშებ (*ივინის*)...

— **მსახიობისთვის რა ტიპური ცოდვებია დამახასიათებელი?**

— მსახიობი ემოციურია და ყველა მსახიობი საკუთარ პროფესიას სხვადასხვანაირად აღიქვამს: ზოგს მხოლოდ სცენაზე დგომა სურს, ზოგს ეს თრგუნავს და უფრო საინტერესო რაღაცის გაკეთება უნდა, ზოგს კი, მარტო პოპულარობა იზიდავს... ალბათ უამბიციო ადამიანი ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევს, ასე რომ, ამბიცია კარგი გაგებით, აუცილებელია. მაგრამ როდესაც გინდა, ერთი მეტრით მაღლა იდგე და ამ სიმაღლიდან ელაპარაკო მაყურებელს, ეს გაუცნობიერებელი ამბიციაა. ამას ცოდვად ვთვლი და ცხადია, ასეთ მიდგომას კატეგორიულად უარვყოფი.

— **ცრუმორწმუნე ხართ? თუ გაქვთ რაიმე ავგაროზი?**

— ცრუმორწმუნე არ ვარ. მორწმუნე ვარ, მაგრამ თილისმა რასაც ჰქვია, ბევრი მაქვს. ეს ძირითადად, საყვარელი ადამიანების საჩუქრებია. პატარა ჩანთა მაქვს, სადაც ჩემი მეგობრების, ოჯახის წევრებისა და ჩემი ნაყიდი ნივთები დევს. როცა სპექტაკლში ვითამაშობ, მინდა, ამ ადამიანების ჩემ გვერდით დგომა ვიგრძნო; ასე მგონია, ამ ნივთების წყალობით ვძლიერდები...

— **ყველაზე ძვირფასი რომელია?**

— ძალიან ბევრი საჩუქარი მაქვს მიღებული და არც ერთი არაა მეორეზე ნაკლები. თუმცა, ყველაზე დიდი საჩუქარი მედიკომ გამომიგზავნა. ეს ჩემთვის განსაკუთრებული ნივთია — მედიკოს თილისმა — ვერცხლის სამკაული, რომელიც აღმავლობის პერიოდში, „რიჩარდ მესამეში“ თამაშისას ეკეთა... ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო. მაკა მასთან სტუმრად იყო მისული და ბებიამ ჩემთან გამოაბრუნა. ჯერ მაღლობაც კი არ მითქვამს მისთვის წესიერად, იმდენად დიდი ემოციური დატვირთვა ჰქონდა ამ ფაქტს ჩემთვის... და კიდევ ერთი რელიკვია მაქვს — კოტეს (*მანარაძე, ნატოს ბაბუა*. — ავტ.) წერილი, რომელიც მაშინ გამომიგზავნა, როცა პირველი როლი ვითამაშე.


პირადად ვერ მითხრა და მომწერა, თუ რა — ამას ვერ ვიტყვი, რადგან ძალიან პირადულია... ეს სიყვარულის ახსნაა. შეიძლება, ამდენ კომპლიმენტს არც ვიმსახურებ, რომელსაც იქ მწერს... ამ წერილს სულ თან დავატარებ...

— **ძველი ნივთებით თქვენი გატაცების შესახებ ბევრმა იცის. კიდევ თუ გაქვთ რაიმე ჰობი?**

— ჰობი, რომელიც ლამისაა, პროფესიაში გადამეზარდა — აგრონომია: გაგიუბული ვარ მცენარეებზე. ესეც მელიკოსგან მოდის. მერე მაკაც იყო გატაცებული და ახლა — მეც. ამ დარგის წიგნებით ვარ შეიარაღებული და მცენარეებს ვუვლი. თუ მცენარე მოკვდა, იტყვიან ხოლმე — არა უშავსო, — მე კი ასეთ დროს, ვსვამ კითხვას: რატომ? — და იწყება გამოკვლევა... დროზე თუ არ ვუშველე თავს და მუშაობა არ დავიწყე, მე მგონი, სერიოზულად, „გამწვანებაში“ წავალ სამუშაოდ...

— **დაბოლოს: ქალბატონო ნატო, ბედნიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ და საინტერესოა, როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენს ცხოვრებისეულ ფილოსოფიას?**

— ფილოსოფოსობას არ დავიწყებ. მე მგონი, ყველასათვის მთავარი, მშობლები და შვილები არიან. ბედნიერი ხარ, როცა აცნობიერებ, რომ შენი სიცოცხლე შენ არ გეკუთვნის, მისი ხელყოფის უფლება არ გაქვს, რადგან საკუთარ თავში შენი მშობლების სიცოცხლეს კლავ... მერე შენი სიცოცხლე შენს შვილებში გრძელდება... საერთოდ, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელება ბრძანდებოდა ვინაშით... ჩემი ოჯახი, ჩემი რელიგიაა. თუ ბედნიერი ვარ — იმის გამო, რომ ყოველივე ეს აღმოვაჩინე საკუთარ თავში...



და კიდევ ერთი რელიკვია მაქვს — კოტეს (*მანარაძე, ნატოს ბაბუა*. — ავტ.) წერილი, რომელიც მაშინ გამომიგზავნა, როცა პირველი როლი ვითამაშე

საზაფხულო რომანი



ადამიანთა უმეტესობა საზაფხულო (იგივე საკურორტო) რომანს სერიოზულად არ აღიქვამს, მაგრამ თუ „გზაჯინილებს“ ბოლომდე ნაიკითხავთ, მისხედებით, რომ საზაფხულო ურთიერთობას შესაძლოა, საკმაოდ სერიოზული გაგრძელება ჰქონდეს, თუმცა რატომ ველოდოთ ბოლოს? ერთ ასეთ მაგალითს აქვე მოგიყვანთ, მით უმეტეს, რომ ამ სასიყვარულო თავგადასავალში თურმე რუბრიკა „გზაჯინილებს“ არცთუ ისე უმნიშვნელო როლი უთამაშია. ყოველ შემთხვევაში, ასე ირწმუნება მესიჯის ავტორი.

მარი ჯაშარიძე

„არ დაიჯეროთ, თითქოს საზაფხულო რომანი დროებითია“

„მე ნინო ვარ, ჩემს სიყვარულსაც ზაფხულში ჩაყარა საფუძველი, რაშიც „გზაჯინილებმა“ დიდი როლი ითამაშა. ძალზე ხშირად იბეჭდებოდა მესიჯი დათოსთვის და ნინოსთვის, ხშირად ერთმანეთს სათქმელს თქვენი საშუალებით ვუცხებოდით. თავიდან ჩვენ უბრალო „SMS ნაცნობობა“ გვქონდა. მე გამოვიგზავნე მესიჯი, დათომ ჩემი მესიჯი წაიკითხა და პასუხი თქვენი მეშვეობით გამომიგზავნა... შეხვედრაც დაინიშნეთ ქობულეთში, კაფე „ბომბარდირში“ და თქვენი ურნალი ჩვენი პირველი ხელშემწყობი გახდა. ისევ თქვენ, თორემ, მარტო „გზაჯინილებში“ ვართ მაგრები, ისე კი – უაზროდ ამაყები... თავიდან ყველაფერი გართობით დაიწყო, ახლა კი უკვე მეორე ზაფხული მოვიდა და მგონი, არც მე ვერთობი, არც ის. სიყვარულის ორივეს გვემინია. დათო, რა იცი, რომ შენზე ძლიერ არ ვიტანჯები? თუმცა, კვლავ მხოლოდ „გზაჯინილების“ მეშვეობით თუ გავიმხელ, თორემ სხვაგვარად სიყვარულში არაფრის დიდებით არ გამოვიტყდები. მირჩენია, უპასუხოდ მოკვდები ვიდრე უშუალოდ ჩემგან გაივო. ნინო“.

რაღა თქმა უნდა, ყოველთვის ვესაძლებლებს, როდესაც ჩვენი მკითხველისთვის თუნდაც მცირე სასიკეთო საქმეს ვაკეთებთ. დათოს და ნინოს ბედნიერება ვუსურვოთ და უშუალოდ დღევანდელ თემას მივხედოთ.

თუ მორცხვი ადამიანი არ ხართ და არასოდეს წითლდებით, მაშინ თქვენთვის უცხო იქნება ის მოვლენები, რომელიც მორიდებულობას ახლავს თან, კრძობდ, ზოგი წითლდება, ზოგს ენა ებმის, ხოლო ზოგს უხერხულობისგან მუცელიც კი უბუფბუფებს... რა ხდება მაშინ, როდესაც ახალგაზრდა მამაკაცს ქალის გაცნობა სურს,

მაგრამ უხერხულობისგან ხელები უცაცხაბებს და ფეხიც ერევა? ასეთ შემთხვევაში, ყველაზე მოხერხებულ მამაკაცსაც კი გაუჭირდება გამოსავლის პოვნა... თუმცა, ჩვენი პირველი რესპონდენტი სულ იოლად „გამოძვრა“. ის 32 წლის, სიმათიური მამაკაცი გახლავთ.

ვარჯიში სირცხვილის დასაძლევად

„საკმაოდ კარგი გარეგნობის, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს არც გარეგნობა და არც მატერიალური მდგომარეობა დაკომპლექსების საფუძველს არ უნდა მძლევდეს, ყოველთვის ძალზე მიჭირს საპირისპირო სქესთან ურთიერთობა. მამაკაცებთან ნამდვილი ვაჟკაცი ვარ, კარგი დამრტყმელი და პურის მჭამელი, ქალებთან კი... თუ აქვთ არ შეპაბა ქალმა, მე ვერასოდეს ვინჩენ ინიციატივას... 2 წლის წინ, დასასვენებლად წავიდი ზღვაზე მეგობრებთან ერთად. კერძო სახლში ოთახი დავიქირავეთ. იქვე, გვერდით ოთახში კი, დედა-შვილი ცხოვრობდა. ძალზე ლამაზი და კარგი გოგო იყო. ისე მომწონდა, რომ მზად ვიყავი, მთელი დღე მისთვის მეცურებინა. მეგობრებს შეუშინებელი, არ დარჩენიათ მისი გამოჩენისას სახე რომ ამიჭარხლდებოდა ხოლმე და მაშინვე „იყიდეს“, რომ ეს გოგო მომწონდა. მათთვის ჩემი სისუსტე კარგად არის ცნობილი. ამიტომ, სულ მაგულიანებდნენ – მიდი, გაიცანი, მშვენიერი გოგონააო. გადავწყვიტე „მივარჯიშა“ სირცხვილის დაძლევაში. ერთ დღილას ავდექი, გავვდი პლაჟზე, ჩამოვუარე იმ გოგონებს, რომლებსაც გვერ-

დით მამაკაცი არ ჰყავდათ და ყველას ვთავაზობდი: – ხომ არ გაქვთ სურვილი, რომ ჩემთან სექსი გქონდეთ-მეთქი? – ყველა პირდაპირი მომჩერებოდა, ზოგმა ქოში მესროლა, ზოგმა გამომლანძლა, მაგრამ სულაც არ მჩაღლეებოდა, რადგან „ვვარჯიშობდი“ და მთავარი ის იყო, ამ დროს არ გავწითლებულიყავი... მეორე დღეს, ქალაქში გავიარე და ყველა გამვლელ ქალბატონს ვეკითხებოდი: – უკაცრავად, ამ ქალაქს რა ჰქვია-მეთქი? – თითქოს გიჟი ვიყავი, გვერდს ისე მიტყვევდნენ. მესამე დღეს, ჩავიცი კობლუბიანი, მუნღამდე ტრუსი, ლაკის ფენსაცმელი და ჰალსტუხიცი შევიბინე შიშველ ტანზე, ქალაქში ასე გავიარ-გამოვიარე, ბოლოს, მგნიტოფონის კასტების გასაყიდი ვიხურეიდან გამოსული მუსიკის ხმაზეც წავუცეკვე და შინ დავბრუნდი. უკვე აღარ ვწითლდებოდი, როდესაც ასეთ სისულელებს ჩავდიოდი. ჩავთვალე, ფსიქოლოგიურად მზად ვიყავი, რომ იმ გოგონასთვის ორიოდე სიტყვა მეთქვა. პოდა, როდესაც საღამოს, ნატო ჩვეულებიანებურ ბარისკენ გაემურა, მეც უკან ავედევნე. ის მაგიდას მოუჯდა, მე კი ბართან შორიახლოს ჩამოვჯექი და ლუდის წრუპვა დავიწყე. ნერვიულობისგან თუ ლუდის სმისგან, საპირფარეოში შეხვლა მომიხდა. შევედი, იქიდან კი მტკიცე გადაწყვეტილებით გამოვედი: მე უკვე ვივარჯიშე, როგორ არ უნდა გავწითლდე, ამიტომ ახლა პირდაპირ მასთან მივალ და ვთხოვ – ვიცეკვოთ-მეთქი. მისი მაგიდასკენ გავემართე, მაგრამ ნაბიჯი ამერია, ხელები ამცაცხადა, ჭარხალივით გავწითლდი და უკვე მის პირისპირ მდგომამ აღმოვაჩინე, რომ შარვლის „ზემიკა“ გახსნილი მქონდა, იქიდან კი თეთრი

„საროჩის“ ბოლო იყო გამოშვებული. ნატოს თვალში ჩაგხედ და ვუთხარი: – იცი, მე ყოველთვის ვწითლდები, როდესაც ლამაზ გოგოს ვესაუბრები, თორემ ასე, გახსნილი „ზმეიკით“ რომ დავდევარ, ამის სულაც არ მრცხვენია-მეთქი. მან გაიცინა, შემდეგ საუბარიც ავაწყვეთ, ვიცეკვეთ კიდევ... შინ ერთად დაბრუნდით. ოთახში რომ შევედი, მეგობრებმა ტაში დასცეს, მეც ამაყად, ყოჩივით თავაწეული დავაბიჯედი – ნახეთ, რა მაგარი ვარ-მეთქი?! დილით ნატოს კარზე რინიანად მივაკაკუნე, ისე, რომ არ გაეწილეს, მაგრამ „საზეიკა“ გამოძახა – ეგენი დილით აღრიანად წავიდნენ თბილისში. მე კი კვლავ გაეწილდი, ოღონდ ამჯერად სიბრაზისგან, რომ მას ტელეფონის ნომერიც კი არ ვკითხე. ასე დამთავრდა ჩემი ერთდღიანი საზაფხულო რომანი. კარგად“.

წარმოიდგინეთ, როგორ შეიცვლება თქვენი ცხოვრება, სირცხვილის გრძნობა ერთი დღით საერთოდ რომ დაკარგოთ? ვფიქრობ, ვაობს, სირცხვილისგან წითლდებოდეთ, ვიდრე მერე იმის გამო შეგცხვეთ, თუ რა სისულელეები ჩაგიდენიათ ამ ერთი დღის განმავლობაში...

რისთვის ქორწინდებიან ადამიანები? იმისათვის, რომ ოჯახის წევრების საყველურს თავი დააღწიონ და აღარ უპასუხონ კითხვებს – რატომ, რისთვის, რა მიზეზით არ მოგყავს ცოლი? იმისათვის, რომ შეყვარებული წყვილი ხვდება, რომ მათ სასაუბრო თემა აღარ აქვთ... და დროა, ოჯახი შექმნან... იმისათვის, რომ მამაკაცს სჭირდება მუდმივი სექსი და ცხელი, წვნიანი კერძები და ხანდახან იმისთვისაც, რომ რომელიმე უცხო ქვეყნის სრულყოფილებიანი მოქალაქე გახდეს... მაშ, სიყვარული?... – სიყვარული თავისით მოვა – ირწმუნება ჩვენი მოძღვენი რესპონდენტი, 30 წლის ძალხაზი.

„სექსი ჰენდი“ ქმარი

„მარმან ზაფხულში, ანტალიაში ვისვენებდი. მაღალი კლასის სასტუმროში ვცხოვრობდი. ზუსტად ჩემს ქვევით, ერთი სართულით დაბლა ფრანგი ქალი ცხოვრობდა. ძვირად ღირებული „მერსედესით“ დადიოდა, მაგარი ნაშაყ იყო და გადაეწყვიტე, დავახლოვდი. ხან იქიდან მოუვარე, ხან აქედან და როგორც იქნა, ინგლისურ-ქართულ-რუსულად რაღაც გაგაგებინე. მერე ისე კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს, რომ უსიტყვოდაც მშვენივრად ვაგებინებდით, თუ რა გვინდოდა. ისეთი მოდელის ტელეფონი ჰქონდა, რომელშიც მოსაუბრეს კერძზე ხედავ. ჰოდა, ყოველდღე ვიღაც ჭადარა, მოხუცი კაცი ურეკავდა. მე მამამისი მეგონა ვფიქრობდი – მეშველა, გაემდიდრდი, მილიარდერი სიმამრი ვიმ-

ოვე-მეთქი, – და გვემებს ვაწყობდი – ერთბაშად ლამაზ ცოლს, სიმიდირესა და უცხო ქვეყნის მოქალაქეობას გამოგკრავ ხელს-მეთქი. იქაც მშვენივრად ვერთობოდით, დილით – ზღვაზე, შუადღისას – რესტორანში, საღამოს – დისკოთეკაზე, ღამით – ლოგინში, მოკლედ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჩემი ჰელენი ფრანგულად მეჩურჩულებოდა, მიყვარხარო, მე კი მრავალმნიშვნელოვნად ვუდიმოდი და ყველაზე დიდი სიურპრიზი მისი წასვლის წინააღმდეგობის მქონდა შემონახული. სწორედ იმ საღამოს, თვალში ჩაგხედ და ვუთხარი: – უშენოდ ვერ ვაგვძლებ, ჩემი ცოლი უნდა გახდეს-მეთქი. – ეს ინგლისურად ვუთხარი და მანაც იმავე ენაზე დამიბრუნა პასუხი: – როგორ, „სექსენდ ჰენდი“ ქმარი იქნები? – თურმე, ის მოხუცი კაცი მისი ქმარი ყოფილა. დავრჩი პირში ჩალაგამოვლებული, რაღა უნდა მექნა? მართლა კი არ მიყვარდა, – ჩემთვის საუკეთესო ვარიანტი იყო, სიყვარული კი ბოლოს, კეთილდღეობასთან, ერთად მოვიდოდა. მაგრამ „გამიჭყდა“, კოვზი რომ ნაცარში ჩამივარდა, მაგრამ ერთი ცხელი ზაფხულის მხურვალე რომანი ხომ მოსაგონრად დამრჩება?!“

ძალხაზის ნაამბობმა ერთი ქართული ზღაპარი – „ღარიბი და ქილა ერბო“ გამახსენა, მაგრამ შემდეგი რესპონდენტის ნაამბობი ამერიკული ფილმის სიუჟეტს უფრო მოგავგონებთ.

...თითქოს არაფერიც არ ხდება, გარდა იმისა, რომ ზვალ ცოლი მოგყავს. ვერც კი შენიშნე, თუ როგორ მოახერხე აქამდე მისვლა: თითქოს ყველაფერი კონტროლის ქვეშ იყო, ყოველ დილით თავად იდულებდი ჩაის, ცხოვრობდი უცხოლო მამაკაცის გალაღებული ცხოვრებით... უცებ, ვიღაც გეუბნება, რომ უყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე ვერ წარმოიღვენა, საუზმედ კი, ყოველ დილით, შემწვარი და მოხრაკული გეუბნება. შენ, როგორც ნაძვილმა ვენტლმენმა, ხვალ, მშანის ბიუროში, ხელის მოწერისას უნდა თქვა „დაახ“... თუ არ იცი, როდის უნდა თქვა, პატარძალი მუჯლოგუნით, მშანის ბიუროს მომხიბვლელი თანამშრომელი კი – წარბების აწევით განიშნებს...

გაქცეული სიძე

„4 წლის წინ, ზაფხულში, ქალაქის სიცხეს ვავექციე და მთიანი სოფლის სიგრილეს შევფარე თავი. შოვი სავე იყო დამსვენებლობით. ახალგაზრდა გოგობიჭვებში ვაკვრიე და კარგადაც ვიმხიარულე. ერთი ლამაზი გოგო მომეწონა, რომელიც ჩემზე 8 წლით უმცროსი აღმოჩნდა. მაშინ 34 წლის ვიყავი, მაგრამ სულაც არ ვჩქარობდი ცოლის მოყვანას.

თბილისში სამოთახიან ბინაში მარტო ვცხოვრობდი, ფულსაც კარგად ვმოულობდი და სულაც არ მჭირდებოდა საწოლის „მეწილე“... ამ გოგონას ლილე ერქვა. სულაც არ მიფიქრია, რომ მასთან სერიოზული ურთიერთობა დამემყარებინა. თუმცა ეტყობოდა, რომ პატიოსანი, წესიერი გოგონა იყო და მის დასათანხმებლად ცოტა „ოფლის მოღენა“ და შრომა დამჭირდებოდა, ამიტომ ვასეირნებდი რაჭის ტყეში, დავდიოდი სოკოს მოსაყრეფად და ჩვენ შორის არსებულ მანძილს თანდათან ვამცირებდი. თითოსაც არ მაკარებინებდა. თუ საკონცენტრაციო ვაწევი, გამიბოლოდა, სხვა, უფრო ახლო ურთიერთობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ამასობაში, აზარტში შევედი და ოცნების კოშკები აფუე. ბოლოს, წამოსვლის წინააღმდეგ, ჩემთან ვიქიფეთ და ჩემი ლილე, როგორც იქნა, დამნებდა... მეორე დღეს თვალზე ცრემლითა და ჰეროინი კონცით გამოვექმვი-ლობე და თბილისში დაბრუნდი. ორი კვირის შემდეგ ლილემ დამირეკა. თბილისშიც შეგვხვდით ერთმანეთს, ცოტა ხანში უკვე სიყვარულზე აღაპარაკა, – უშენოდ ვეღარ ვძლებო, – ტირილა. ჩემთან შინ მოსული, 3-4 დღით რჩებოდა და აღარ მიდიოდა. ერთ დღესაც, უცებ წამოვროსე – დაგქორწინდეთ-მეთქი. მაშინვე შინ გაიქცა და თავისიანებს ახარა, ვთხოვდებიო. ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე? მის ოჯახს ვეწვიე, ხელი ვთხოვე, ქორწილის დღე დაგნიშნეთ და ამის შემდეგ, ცოლის ხსენებაზე ციებანივით ვკანკალებდი... ქორწილის წინაღმდეგ საწოლში ციბრუტვივით ვბრუნავდი – არ მეთობოდა თავისუფლება. წარმოვიდგინე ცოლი, რომელიც დილაობით ჭურჭელს რეცხავს, საღამოობით ლოგინს შლის... პატარა ბავშვების პამპერსები, ტირილი, ღამის ქოთნები, ცოლის წუწუნი ჩემი დავგვიანების გამო და ღამის ტვინში სისხლი ჩამექცა. საზაფხულო რომანი ხელ-ფეხს მიკრავდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მეორე დღეს მშანის ბიუროში გრძელი ტექსტი წაგვიკითხეს, მაგრამ ჩემი ფიქრები საღვაც შორს დაფრინავდა – ისევე ოჯახურ აურზაურზე მეფიქრებოდა... ამ დროს ლილემ იდაყვი გამკრა, გამოვერკევი და მშანის ბიუროს თანამშრომელ ქალს შეგხედე. ის სათვალის ზემოდან, წარბებაწეული მიყურებდა – თანახმა ხართ? – გამიმეორა კითხვა. ლილემ კიდევ ერთხელ გამკრა მუჯლოგუნით... მე მოვბრუნდი და უსიტყვოდ დავტოვე დარბაზი. ყველა გაოცდა. შემდეგ საკუთარი მანქანის საჭეს მივეუჯექი და მთელი სისწრაფით წამოვედი იქიდან. ერთი კვირა მმაცკათან ვიმალებოდი, შემდეგ – ქუთაისში წავედი, იქ ყველა საჭირო საბუთი მოვავროვე და მოსკოვში ვავფრინდი. ერთი წლის წინ დაბრუნდი და კვლავ

შევიდად ვცხოვრობ მარტო. საზაფხულო რომანის კი ისე მეშინია, რომ...“

ახლა კი მოკლე, „საზაფხულო რომანებს“ გადაავალთ თვალი.

„ყველას! გთხოვთ, მაპოვნინოთ მაკა...“

„მარშან ზაფხულს ჩვენთან სოფელში სამგორიდან დასასვენებლად ჩამოვიდა ერთი უღამაზესი და უშმენიერესი გოგონა, რომლის დანახვაზეც ვიგრძენი, რომ თავზე აძებნა. აღარც ჭამა მასწავლა, აღარც ძილი. სულ მასზე ვფიქრობდი და ასეა დღესაც. „ჩემი სიცოცხლე“ თქვენი ჟურნალის ერთ-ერთი მკითხველია. თქვენი საშუალებით მიხდა, ორიოდე სიტყვა ვუთხრა: შენი სილამაზე შენი თვალებია, ვინ იცის, ეგ თვალები რამდენს ჰყვარებია... თეო, ძალიან მიყვარხარ. უშენოდ ყოფნა აღარ შემიძლია. ვიცი, ბევრი გეტრფის, ბევრს შესაძლოა, მამაშენის „ფულუბიც“ იზიდავს, მაგრამ შენს თავს ვფიცავ, ჩემო სიცოცხლე, მე მხოლოდ შენ და შენი სიყვარული მაინტერესებს. მხოლოდ მანიშნე... ბევრჯერ ვცადე შენი დავიწყება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მთლად „მიშველს“ წაგიყვან, მამაშენის არაფერი მიხდა, დელოფლად დაგვამ, თუ გინდა, მოახლესაც დაგიქორავებ, ოღონდ შენ ჩემს სახლში, ჩემ გვერდით ენახი“.

„ამ მესიჯს საბერძნეთიდან გვერთ. 16 წლის ვიყავი, როცა ერთი ცისფეროვანება ბიჭი – ვაიო შემიყვარდა. ერთხელ, მისმა ძმაკაცმა დამირეკა და მასთან შინ მისვლა შემომთავაზა. იმ პირობით დავთანხმდი, თუ გიოც იქ იქნებოდა. არც დავფიქრებულვარ, ისე წავიდა სტუმრად. იქ ორი ბიჭი დამხვდა, ცოტა ლიქორი დავლიეთ და ვალსი ვიციკვეთ. ერთმა, ვითომდა ხუშრობით, ხელში ამიტაცა. არ მომიწონა. მერე ტელეფონზე დარეკვა მოვინდომე და საძინებელში შევედი. ერთი მათგანი შემომყვა და კოცნა დამიწყო. შევეწინააღმდეგე და ოთახიდან გამოვექციე. ცოტა ხნის შემდეგ, ისევ მოვინდომე დარეკვა. ახლა უკვე მეორე ბიჭი შემომყვა ოთახში, ჭიდაობა დამიწყო, ჩემთან ჩახუტებას ცდილობდა. როგორც იქნა, ხელი გავაშვებინე, მაგრამ კოცნაზე კონიტი ვუპასუხე... ოთახიდან რომ გავიდა, იქ ვიო და მისი ორი მეგობარი დამხვდა. არ დამავიწყდება მისი თვალები და ხმა: – მარი, შენ აქ რა გინდა? – მერჩინა, მიწა გამსკლმოდა. მერე მოატყუეს, ვითომ ამ ბიჭებთან სექსი მქონდა. ამ ამბის შემდეგ, გიო 2 თვე აღარ გამოჩენილა. მერე შევხვდით, ყველაფერი აუფხსენი, დამიჯერა, მაგრამ მითხრა, რომ ჩემს ცოლად მოყვანას ვერ შეძლებდა. ეს იმიტომ დამემართა, რომ მის შურიან ძმაკაცებს ვენდე. ჩვენ ძალიან უცნაური და ლამაზი სიყვარული გვქონდა და გვეჩქება მუდამ“.

„ჩემი პირველი სიყვარულის ამბავი სწორედ ზაფხულში დაიწყო და ალბათ გაგრძელდებოდა კიდევ, ბიროტ ენებს რომ არ ავყოლოდი. ახლა უკვე სხვა მიყვარს, მაგრამ გული მწყდება, რომ ჩემი პირველი სიყვარული ასე დასრულდა. ამ ზაფხულს ისევ მივლივარ იმ სოფელში და მეშინია მასთან შეხვედრის, რომ ძველმა გრძობამ თავი არ შემახსენოს. სხვა რომ არაფერი, ის ხომ ჩემი პირველი სიყვარული იყო“.

„ჩემი საზაფხულო რომანი არცთუ ისე სასიამოვნოდ დასრულდა, წუთიერ ვენებას აყვევი, ქმარს ვუღალატე და ახლა ფენძიმედ ვარ. ჩემი ქმარი სიხარულიან გან გიქვს ჰვავს, ბავშვი თავისი ჰქონია. 9 წელია, გათხოვილი ვარ და შვილი არ გვყავს. არადა, ორივენი ჯანმრთელები ვართ. ალბათ მთელი ცხოვრება მომიწევს ამის დამალვა. ნინო. 28 წლის“.

„ჯერ „გზაჯინალები“ კითხვა დამთავრებულიც არ მქონდა, როცა მომდევნო ნომრის თემას დავხედე და გამეცინა... მეორე წელია, რაც შეყვარებული მყავს, მაგრამ ისე ხდება ხოლმე, რომ ხან გამოჩნდება, ხან იკარგება. მე კი მომიხდა, რომ ვინმე ისეთი მომეძებნა, რომელიც სულ ჩემ გვერდით იქნებოდა, მაგრამ თან შეყვარებულსაც არ ვკარგავდი. ასე გავიცანი გოგა. მას ხშირად ვხვდები, ბევრს ვსიყვარობთ, ესაუბრობთ და უკვე ფიქრობს, რომ მალე დავექორწინდებით. ის კი არ იცის, რომ სხვა მიყვარს და ხანდახან მასაც ვხვდები. თან გული მისკდება, რომ ერთმანეთის შესახებ არაფერი ვაიგონ. ვიცი, რომ ერთ-ერთი უნდა დავთმო... ასე რომ, ბიჭებო, იყავით უფრო ხშირად თქვენს შეყვარებულებთან, თორემ...“

„ორი კვირის წინ შეყვარებულს დავშორდი, ახლა კი ვიტანჯები, სხვა გოგონების გვერდით რომ ვხვდავ, მასთან ვატარებულ წამებს რომ ვიხსენებ, თვალები ცრემლით მივსება. თაკო“.

„მარი, მიშველე რაქ! ჩემი საზაფხულო რომანი უკვე დასრულდა. შეყვარებულს ვუთხარი – როგორც მეგობარი, ისე მიყვარხარ-მეთქი. ის ახლა არც კი მესალმება. მე კი უიძისოდ ვიტანჯები“.

„მინდა, ჩემს საზაფხულო სიყვარულობანას წერტილი დავუსვა. ვაჟიკო, მინდა ვითხრა, რომ სწორედ ამიტომ შევეწყვიტე მოგზაურობა. ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ჩვენს სიყვარულს ბოლო არ უჩანს. ალბათ მიხვდები, ვინც ვარ. ძალიან, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ... ეს „მაგრამ“ ყოველთვის იქნება ჩვენ შორის. „ცული“.

„ერთ ზაფხულს, ქუთაისელი ბიჭი გავიცანი. მე თვითონ ბათუმელი ვარ. კარგად ვაუკეთ ერთმანეთს და შმენიერი ურთიერთობაც გვქონდა. შემდეგ ზაფხული დასრულდა, რომანიც მეორე ზაფხულისთვის გადაიდო. გუშინ კი ჩემმა

დაქალმა ის გამაცნო, როგორც მისი სატრფო... როგორ მინდა, რომ ყველაფერი ვუთხრა. არადა, როგორ უყვარს! ეკ, დათო, ხვალ თუ ენახე, ზღვამი ჩაგახრჩობ. მაიკო“.

„SOS! ყველას! გთხოვთ, მაპოვნინოთ მაკა, რომელიც ძალიან მიყვარს. გერმანიაში მუშაობდა. მისი ნომერი დამეკარგა. მაკამ შესაძლოა იფიქრა, რომ დამავიწყდა... მაკა, დამირეკე, მაპატიე, მიყვარხარ! გთხოვთ, დამეხმარეთ. ის ავჭალაში ცხოვრობს და ძალიან ლამაზია. უთხარით, ამ ერთხელ მაპატიოს. მიყვარს და როგორც კი ვიპოვი, ხელსა და გულს ვთხოვ სამუდამოდ. მაკა. გელოდები. ვია“.

„არასოდეს მჯეროდა საზაფხულო რომანების, ამიტომ ყოველთვის ვცდილობდი, არასოდეს დავახლოვებოდი ზღვაზე გაცნობილ ბიჭებს, მაგრამ 5 წლის წინ, მეგობრებთან ერთად ზღვაზე დასვენების დროს გავიცანი ერთი ბიჭი. მე პატარა, სუსტი გოგო ვარ. ჩემი დაქალი კი – 175სმ სიმაღლისაა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვფიქრობდი, ეს ორმეტრიანი ბიჭი გარეგნობით მას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მე. ამ ბიჭს ვერსად ვეძებოდი, სადაც დავხვდებოდი, ისიც იქ განდებოდა ხოლმე. რაღაცნაირად მივეჩვიე, თუმცა ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი შინ დაბრუნებისთანავე დამთავრდებოდა, მაგრამ შეეცდი. იმის შემდეგ, 5 წელი გავიდა და ჩვენ ისევ ერთად ვართ. ყოველთვის, როცა ზღვაზე მივლივარ, ისიც ყველა საქმეს გადადებს და ჩემთან ერთად მოდის. ასე რომ, არ დაიჯეროთ, თითქოს საზაფხულო რომანი დროებითია. გარისკეთ და გისურვებთ, ჩემსავით გაგიმართლოთ“.

„გამარჯობა, მარი, იმედი მაქვს, არც მე დამტოვებთ გულნაკლულს და ამ მესიჯს დამიბეჭდავ. მე ვარ ია, 21 წლის. გარეგნობით ლამაზი გოგო ვარ, ამიტომ ბევრი თავყვანისმცემელი მყავს, მაგრამ მათი გრძობები არაფრად ჩავაგდე, აკრძალული ხილი მომიხდა და დავიწყე ძებნა. ჰოდა, გამოვივირე ერთი მაგარი ტიპი, 35 წლის და როცა შევეყვარდი, ვიდაც უცნობისგან მესიჯი მომივიდა სრულიად შემთხვევით. ამ ბიჭს დავუწყე მესიჯების გაგზავნა, ძალზე მომწონდა მასთან ურთიერთობა და იმ 35 წლის კაცს დავეცილდი. ეს ბიჭი კი პატიმარი აღმოჩნდა...“

ამჯერად „გზაჯინალები“ ამით ვამთავრებთ. მომავალი ნომრის თემა კი ვთავაზობთ: „გზაჯინალები“ – ჩემი მესაიდუმლე. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)-45-68-61. გააკვირბილეთ თქვენი სანუკვარი საიდუმლო. გულზე მოგეშვებათ, ჩვენ კი პირობას ვაძლევთ, რომ თქვენი ვინაობა არ გამოვლენდება, თუმცა, ჩვენს მუდმივ მკითხველს ამის შესახებ უკვე აღარც სჭირდება. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

საგამოცდო სიიზ-სხელება

რუბროკას უძღვება ექიმი
თამარ მამანაშვილი

გამოცდებამდე

შეურიგდით იმ აზრს, რომ ახლა მთავარი სიტყვა თქვენს შვილს ეკუთვნის. შეუსრულებთ ყველა თხოვნა – შეუმსუბუქებთ ყოველგვარი ფიზიკური დატვირთვა.

● არ არის საჭირო ზედმეტი ემოციური თანაგრძნობა. გაუთავებელი ოხვრა, შეწუხებული გამომეტყველება და შეკითხვა – „როგორ არის საქმე?“ ეს აღიზიანებს მოზარდს. ნურც იმას კითხვებით გაშუღებით: „მეცადინეობ? რამდენი თემა მოაზარდე დღეს?“ აბიტურიენტს პირველ რიგში, თავად უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა და თავადვე გაანაწილოს დრო. ჭარბი ემოციების მქონე ახლობლები (ბებიები, ბაბუები, მგრძნობიარე დეიდები) უმჯობესია, მოშორდნენ მას.

● გამოცდების პერიოდში, შვილს ჩვეული რეჟიმი არ უნდა შეუცვალოთ. თუ თქვენი შვილი მიჩვეულია დამით გვიანობამდე კითხვას და დილით ძილს, ნუ გააღვიძებთ ადრინადად: ასეთ დროს, იგი ვერ აითვისებს მასალას. ყოველგვარი დამაბულობა სრულყოფილი ძილით უნდა კომპენსირდებოდეს. ძაღების აღსადგენად კარგი გამოძინებაა საჭირო.

● გამოცდებისათვის მზადება ეფექტურია, თუ მეცადინეობას დასვენება ენაცვლება. ყოველ საათში ერთხელ, 10-15-წუთიანი შესვენება უნდა მოაწყოთ; ამ დროს მოზარდმა შეიძლება ივარჯიშოს, ჭამოს, გაისეირნოს, იცეკვოს... მაგრამ ნუ უყურებს ტელევიზორს და ნუ ჩააშტერდება კომპიუტერის ეკრანს – თვალეზმაც უნდა დაისვენოს!

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ფსიქოლოგიური სტრესის მიზეზი ხდება აბიტურიენტისა და მისი მშობლებისთვისაც. ამ პრობლემების დასაძლევად მშობლებს ფსიქოლოგის რჩევები გამოადგებათ.

გამოცდის წინაღობა

სასურველია, რომ გამოცდისთვის მზადება მის დაწყებამდე 12 საათით ადრე დასრულდეს. სწორედ ამ დროის განმავლობაში თავში „ლაგდება“ მიღებული ინფორმაცია. გამოცდის წინა დამით რაიმეს სწავლას აზრი არა აქვს: მოზარდი მას გამოცდის დასრულების შემდეგ აითვისებს.

● დაძინების წინ, აბიტურიენტს დაალევიანთ თბილი თაფლიანი რძე, რათა მოღუნდეს და მშვიდად დაიძინოს. იგივე ეფექტი აქვს საღამოს გასეირნებას.

გამოცდის დილას...

● უნდა იფიქროთ არა თავად გამოცდაზე, არამედ მის წარმატებულ დასრულებაზე, უნდა განწყობილი კარგი შედეგისთვის. აბიტურიენტმა უნდა დაარწმუნოს საკუთარი თავი: „მე მშვიდად ვარ, გონება მობილიზებული მაქვს...“ უნდა ვიცოდეთ, რომ უარყოფითი ნაწილაკი „არ“ ჩვენს ქვეცნობიერებაში ცუდად აღიქმება. ამიტომ თვითდარწმუნების უარყოფითი ფორმა – „მე არ ვვლავ, არ მეშინია“ – ეფექტური არ არის. ცუდი აზრები აბიტურიენტმა შინიდან გასვლამდე უნდა მოიშოროს, რათა გამოცდის დროს არ შეეშალოს ხელი.

● დილა ჩვეულებრივად უნდა გაატაროთ. მოზარდმა ის ტანსაცმელი უნდა ჩაიცვას, რომელშიც მოხერხებულად გრძნობს თავს.

გამოცდის დროს

● საჭიროა მხოლოდ დავალებაზე ფიქრი. ურჩიეთ მოზარდს, რომ თუ გამოცდაზე თემის გამოცხადების შემდეგ, სტუპორი განუვითარდა, საჭირო მასალა დეტალების მეშვეობით გაიხსენოს. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ სტუპორის მიზეზი, ცნობიერების შევიწროებაა. შიში – „არაფერი ვიცი, ყველაფერი დამავიწყდა, რა ვქნა?“ – ამუხრუჭებს გასხენების პროცესს. ნუ ატრიალებთ თავში ერთსა და იმავე აზრს. მოგონებები კონკრეტულ ფილმზე, წიგნზე ან სიტუაციაზე, ტვინში „გაჭვდოილ“ ფრაზას გამოდევნის და ეს მოღუნებასა და თემის მოფიქრებაში დაგეხმარებათ.

ზეპირი გამოცდისას, კონცენტრირებასა და სტრესთან გამკლავებაში, მოხერხებული პოზა დაგეხმარებათ. ჩვეულებრივ, როცა ადამიანი თავს კარგად გრძნობს, გარკვეულ პოზაში უყვარს ჯდომა, ხოლო როცა ცუდადაა – სხვაგვარად ზის. ურჩიეთ მოზარდს, რომ დავალების შესრულების დაწყებამდე, კომფორტულად დაჯდეს და მღელვარება შესუსტდეს. შებოჭილობა და მოუხერხებელი პოზა აზრებსაც ბოჭავს და მასალის თავისუფლად გადმოცემაშიც უშლის ხელს, რამაც შესაძლოა, შედეგზე იქონიოს გავლენა.

გამოცდის შემდეგ

მიუხედავად იმისა, თუ როგორ დამთავრდება თქვენი შვილის გამოცდა, თქვენ უძლიერეს სტრესს გადაიტანთ. დაისვენეთ, რამდენიმე დღე მაინც ვერ შეძლებთ მუშაობას და საორგანიზაციო საქმეების მოგვარებას. ეცადეთ, მშვიდად მიიღოთ ნებისმიერი შედეგი. დადებითი ფაქტორი ყველაფერში შეიძლება მოინახოს.

თუ მოზარდმა ვერ შეძლო სასურველ ფაქულტეტზე მოწყობა, ნუ შექმნით ამისგან ტრაგედიას – მას შეუძლია, ერთი წლის განმავლობაში კიდევ გადახედოს თავის გეგმებს და დარწმუნდეს საკუთარი არჩევანის სისწორეში, მომავალ წელს კი, ისევ ცდის ბედს... თქვენ ხომ იგი მაინც გიყვართ – ისეთი, როგორიც არის!



ალერგიული ადამიანის ავთიაში

ყველაზე მფრინავი ალერგენი (ყვავილის მტვერი) და ყველაზე „მკბენარი“ (მწერების შხამი) უპირატესად, სწორედ ზაფხულში გვითევს ხოლმე. ამიტომ საშიშროებას მზადყოფნაში უნდა დავხედო. რას გვირჩევენ ფარმაცევტები ასეთ შემთხვევაში?

რა არ უნდა გავაკეთოთ?

- იმ დღეებში, როცა თქვენი „საყვარელი“ მცენარე მტვერს აფრქვევს, უმჯობესია მოერიდოთ ბუნებაში გასვლას.
- ალერგიული რეაქციის შემთხვევაში, ნუ გამოიყენებთ წვეთებსა და ინჰალაციებს, რომლებსაც ჩვეულებრივი სურდოს დროს იყენებთ: შესაძლოა, ხანმოკლე გაუმჯობესება იგრძნოთ, მაგრამ მთლიანობაში სიტუაციას გაიუარესებთ.
- ბოროტად ნუ გამოიყენებთ ანტიჰისტამინურ პრეპარატებს: თითქმის ყველა მათგანი აძნელებს რეაქციას, აქვეითებს

ტონუსს, იწვევს ძილიანობას (ახალი ტიპის პრეპარატების გარდა).

როგორ მოვიქცეთ?

- ნებისმიერი მფრინავი ალერგენის წინააღმდეგ დაგეხმარებათ ცხვირის სისტემატური გამორეცხვა მარილიანი წყლით. ამის გაკეთება რაც შეიძლება ხშირადაა საჭირო.
- ალერგიისადმი მიდრეკილების დროს, ავთიაქში აუცილებლად უნდა გკონდეთ ერთ-ერთი ამ პრეპარატთაგანი: დიმედროლი, კლარიტინი, ტავეგილი... მიიღეთ მინიმალური ეფექტური დოზით – ეს შეამცირებს გვერდითი ეფექტების რისკს.
- წამლების მარტივი და უვნებელი ალტერნატივაა, ჭინჭრის მაგარი ნაყენი. იგი უნდა სვით ყოველ ორ საათში ერთხელ, ვიდრე მყარ შედეგს არ მიიღებთ.
- ალტერნატიული მედიცინა გვთავაზობს ალერგიის დროს ეფექტურ კიდევ რამდენიმე დანამატს. მაგალითად, ბუნებრივი ანტიჰისტამინა კვერცეტინი, ერთ-

ერთი ცნობილი ბიოფლავონოიდი. მას ყველა სახეობის ხახვი შეიცავს. საკვებად ხახვის მუდმივმა გამოყენებამ შეიძლება დაძლიოს სეზონური ალერგია ან შეასუსტოს მისი გამოვლინება. ვაშლში შემავალი კვერცეტინი შედარებით ცუდად აითვისება. მისი სხვა წყაროებია: გრეი ფრუტი, მწვანე ჩაი, წითელი ღვინო, მწვანე წიწაკა. კვერცეტინი გამოდის აგრეთვე დანამატის სახით, ცალკე ან C ვიტამინთან ერთად.

C ვიტამინი თავადაც მოქმედებს, როგორც ანტიჰისტამინური საშუალება, თუ დღეში ერთ გრამამდე მიიღებთ. თუმცა, მისი მოქმედების დაწყებამდე, რამდენიმე კვირა უნდა გავიდეს, რათა ორგანიზმში ვიტამინის გარკვეული კონცენტრაცია დაგროვდეს.

პანთოთენის მჟავა (B ჯგუფის ვიტამინთაგანია) ეხმარება თირკმელზედა ჯირკვლებს კორტიზოლის გამოშუშებაში. ეს ჰორმონი კი, ჩვენი საკუთარი ანტიანთებითი ნივთიერებაა. იგი ასევე ეფექტურია ალერგიის დროს. ■

მედიცინის სიახლანი

სექსუალური მელომანები

პენსილვანიის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ყველაზე მაღალი სექსუალური აქტივობით ჯაზის მოყვარულები გამოირჩევიან. აღმოჩნდა, რომ სექსთან ადამიანის დამოკიდებულება მისი განათლების სფეროზეა დამოკიდებული და ყველაზე სექსუალურები მელომანები ყოფილან. მათ შორის პირველი ადგილი კი ჯაზის მოყვარულებმა დაიკავეს, მერე – როკისა და რეპის, ბოლო ადგილი კი, კლასიკური მუსიკის მსმენელებს სვდათ წილად...

სექსი და ნერვული სისტემა

სისტემატური სექსობრივი ცხოვრება დადებითად მოქმედებს ტვინის ფუნქციონირებაზე – დაადგინეს ჰამბურგის უნივერსიტეტის მედიკოსებმა. სასიყვარულო ურთიერთობების დროს, ორგანიზმი გაძლიერებულად გამოიმუშავებს ადრენალინსა და კორტიზოლს, რომლებიც ნერვულ უჯრედებს ასტიმულირებს. ასე რომ, სექსი სხეულსაც ავარჯიშებს და ტვინსაც. ტვინზე ამ სტიმულატორის მოქმედება ინტიმური კავშირის შემდეგ ხანგრძლივად გრძელდება და მიღებული ეფექტის, ცხოვრების სხვა სფეროებში გამოყენების საშუალებას იძლევა.

ინტიმი სოფლად

ქალაქარეთ მცხოვრებთ სექსუალური აქტივობა ქალაქლებთან შედარებით უფრო მაღალი აქვთ – ეს დასკვნა ინგლისელმა მკვლევარებმა გამოიტანეს, ლონდონელთა და

მის ახლოს მდებარე სოფლების მცხოვრებთა გამოკითხვის შედეგად. იმ ქალაქელთა ნახევარი, რომლებიც საცხოვრებლად სოფელში გადავიდნენ, გაცილებული არიან თავიანთ ინტიმურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით: 26%-ს მიაჩნია, რომ ქალაქარეთ სასიყვარულო ურთიერთობების სურვილი ადამიანს ბევრად უფრო ხშირად უჩნდება.



ვიაგრა – ჩასახვის მტერი?

ბრიტანელმა ექიმებმა გამოიკვლიეს ვიაგრის მოქმედება თავგებობზე და დასკვნეს, რომ მან შესაძლოა, გააუარესოს რეპროდუქციული ფუნქცია. ცდებმა უჩვენა, რომ ჩასახვის ალბათობა ამ „წამაქეზებელი“ საშუალებების გამოყენებისას 30%-ით ქვეითდება. სპერმატოზოიდები თუმცა უფრო მოძრავი ხდება, მაგრამ კარგავს განაყოფიერებისთვის აუცილებელ ზოგიერთ ნივთიერებას. ვიაგრის მოქმედების ასეთი მექანიზმი მეცნიერებისთვის ჯერჯერობით გაურკვეველია, თანაც გამოკვლევა ჯერ მხოლოდ თავგებზე ჩატარდა. თუ მიღებული მონაცემები ადამიანებზე ცდების დროსაც დადასტურდება, სპერმის ღონორებში ამ პრეპარატის გამოყენების პრაქტიკაზე ალბათ უარს იტყვიან. ■



ალბათ ბევრი ქალბატონი დაგვეთანხმება, რომ საზაფხულო მოდა განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩევა: წლის ამ პერიოდში უფრო მკაფიოდ იკვეთება სხეულის ყველა ღირსება და ნაკლი, ამიტომ მეტი სიფრთხილე გვმართებს საკუთარი გარეგნობის შეფასებისას და აქედან გამომდინარე, შესაფერისი სამოსის შერჩევისას.

საზაფხულო სეზონის ტანსაცმელზე, მათ შორის საცურაო კოსტიუმის შერჩევის თავისებურებებზე ამჯერად, ორ ქართველ დიზაინერს — ავთო ცაჭიტიანიძეს და ნანა მელქაძეს გავესაუბრეთ.

ლია ფარჯანი და თეატრალური მოხატული ქსოვილი

ნინო მაჭავარიანი

ნათია ქივიციანი

ავთო ცაჭიტიანიძე:

— ავთო, გაქვთ თუ არა საზაფხულო კოლექციაში საცურაო კოსტიუმების მოდელები?

— ნაკლებად ვმუშაობ ასეთი სახის კოლექციის შექმნაზე, მაგრამ შემიძლია გითხრა, რომ წელს მოდამა მოკლე შორტის ფორმის საცურაო კოსტიუმები, რომლის ქვედა ნაწილი შარშან წვრილ სამკუთხედამდე იყო დაყვანილი. წელს ის სპორტული სტილით შეიკვალა. არჩევულებრივია ჟან-პოლ გოტიეს ბოლო კოლექცია, რომელშიც „საზღვაო თემა“ წინა პლანზე წამოწეული და აძენად, საცურაო კოსტიუმებს უკავშირდება. დიზაინერმა შეძლო, ერთმანეთში რამდენიმე ფერის შერწყმა და სინთეზის შედეგად, ლამაზი კრელი ფერების მიღება. სპორტული სტილის საცურაო კოსტიუმი შეიძლება, ფეხს ცოტათი მოკლეს აჩენს, მაგრამ წელს ასეთი მოდა შემოვიდა. ალბათ, როდესაც, საცურაო კოსტიუმში სხეულის ზოგიერთი ნაკლი დამლო, მაგრამ მოსასხამის მეშვეობით შესაძლებელი ხდება, განიერი თქოს დაფარვა.

— გარუჯვალე სხეულზე რა ფერის საცურაო კოსტიუმების ჩაცმას გვირჩევდით?

— ამ დროს კარგია, ღია ფერების ტარება, მაგრამ გარუჯვალე სხეულს მეტად უხდება ყვისფერი, რომელიც თუმცა პრეტენზიული ფერია, მაგრამ მაინც მომგებიანი და მოღურია.

— რომელს ანიჭებთ უპირატესობას — მთლიან თუ ღია საცურაო კოსტიუმს?

— ვფიქრობ, რომ საცურაო კოსტიუმი ინდივიდუალურად, აღნაგობის მიხედვით უნდა შეირჩეს. საერთოდ, ჯანმრთელობისთვის სასურველი არ არის ღია საცურაო კოსტიუმის ჩაცმა (ამ შემთხვევაში, ექიმის როლიც შევითავსე...), მაგრამ ვისაც მიუღს სხეულზე სურს ნამშურის მიღება, მან შეიძლება, სპორტული სტილის მოდას არც მაქციოს ყურადღება და ისეთი საცურაო კოსტიუმი ჩაიცვას, რომელშიც უკეთ გაიზრდება.

— თქვენ აზრით, რომელი ფერის საცურაო კოსტიუმი აჩენს ქალს უფრო გამზდარს?

— გააჩნია ორნამენტს: თეთრი და შავი ხაზების გამოყენებით, შესაძლებელია სილუეტის დაეწროება. ზოგიერთი შავი ფერის საცურაო კოსტიუმი წელს ვიზუალურად აატარავებს და შესაბამისად, ქალს გამზ-

სხეული სწორად უნდა გამოაჩინო — ანუ უნდა ჩაიცვა ის, რაც გიხდება... ავთო ცაჭიტიანიძე მეუღლესთან ხათუნა თოთლაძესთან ერთად

დარს აჩენს. მაგრამ ამ ყოველივეს მიღწევა საცურაო კოსტიუმით მაინც ძალიან რთულია, რადგანაც ის სხეულს „იმორებს“. ამიტომაც საზღვაო სეზონისთვის მზადებას ქალბატონები არა ერთი ან ორი თვით ადრე უნდა იწყებდნენ, არამედ მთელი წლის განმავლობაში, ფორმის შენარჩუნებას და დაღუპილი შედეგის მიღწევაზე უნდა ზრუნავდნენ.

— რომელი ფერები დომინირებს თქვენს ახალ კოლექციაში?

— ზაფხულში უპირატესობას ღია ფერებს ვანიჭებ. წლებადღელ კოლექციაში არ მაქვს ტილოს სამოსი, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის მოდამი არ არის. ზაფხულში ის ჯინსის შემცველია. ახალ კოლექციაში კი, მრავალადა შიფონის, ატლასისა და აბრეშუმის ქსოვილისაგან შექმნილი მოდელები. სილუეტები კი, უფრო თავისუფალი და სპორტულია.

— როგორ ფიქრობთ — რამდენად მომგებიანია ტანსაცმლის გამჭვირვალობა ზაფხულის ცხელ დღეებში?

— გამჭვირვალე ტანსაცმელი ძალიან გამოწვევია, მაგრამ მისაღები იმ კატეგორიის ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ, საკუთარი სხეულის თუნდაც მკრთალ ფერებში წარმოჩენა. ვფიქრობ, სხეული სწორად უნდა გამოაჩინო — ანუ უნდა ჩაიცვა ის, რაც გიხდება.

— თქვენს ქორწილში ბევრ სტუმარს ეცვა ავთო ცაჭიტიანიძის მიერ შეკერილი სამოსი?

— ვერ ვიტყვი, რომ სტუმართა 80% ჩემ მიერ შექმნილ სამოსში იყო გამოწყობილი, მაგრამ ოჯახის წევრებს, ახლო მეგობრებს



სამკურნალო მცენარე ახარებენ ქოთანში	მდინარე თბილისში	ერთ-ერთი საღებავი რეზინი	მუსიკალური ნოტების თანამიმდევრობა	ფუტკრების ნახლი	ეგვიპტელთა ღმერთი	ინგლისელი მწერალი ჩარლზ ...	ბოსნი
ანთო	ნათია	ქვიციანი	ცაჭიტიანიძე	ხათუნა	თოთლაძე	მეუღლე	სტუმარი
სატელეფონო პაროლი	ყველაზე მაღალი მთა დელამიწაზე	მსახიობი ეანა ...	საერთაშორისო გაერთიანება	ნიღბებიანი მეჯლისი	მწერალი ... კიზი	იგალიში გაუთხი	

და რაც მთავარია, მე და ჩემს მეუღლეს თავად შეეურჩიე სამოსი და ქორწილი ამ მოდელთა ერთგვარ ჩვენებას წარმოადგენდა...

— რა კრიტერიუმებით იყო შერჩეული ესა თუ ის კოსტიუმი?

— ყველაფერი ინდივიდუალურად შეირჩა, იმისდა მიხედვით, თუ ვის როგორი სტილისა და ფერის ტანსაცმელი მოუხდებოდა.

— ავთო, თქვენს მეუღლეს თავად ურჩევთ სამოსსა და აქსესუარებს, თუ ამ მხრივ ლიალურობით გამოირჩევიან?

— ხათუნა იმდენად გემოვნებიანია, რომ ჩემი რჩევა მისთვის აუცილებელი არაა. მაგრამ ხშირად, ტანსაცმელს ერთად ვარჩევთ. დილას შინიდან გასვლის წინ, მეკითხება, კარგად გამოიყურება თუ არა. ძირითადად კი, შენიშნები მეუღლის ჩაცმულობის მიმართ არ მაქვს.

— დაბოლოს — ზოგადი რჩევათი ჩვენს ქალბატონებს...

— ვირჩევთ, ტანსაცმელი ისე შეარჩიოთ, რომ მისი ტარებისას თავი უხერხულად არ იგრძნოთ. სავალდებულო არ არის, ჩაიცვათ ის სამოსი ან გაიკეთოთ ის სამკაული, რომელიც დადებითად არ გმუხტავთ. მიმაჩნია, რომ საქართველოში ძალიან ბევრი გემოვნებიანი და ლამაზად ჩაცმული ქალბატონი დადის, რომელსაც გვერდით იმ მამაკაცის ყოვლას ვუსურვებდი, ვისთვისაც გაპრანჭვა ეღირება...

ნანა ველძაძე:

— ამ ზაფხულს რა ფერისა და სტილის ტანსაცმელია მოდაში და ზღვაზე დასასვენებლად ნამსვლელებს როგორი საცურაო კოსტიუმების შექმნას ურჩევთ?

— წლებგანდელ ზაფხულს აქტუალურია ყვავილები. აქედან გამომდინარე, მოდამია ნებისმიერი სახის ყვავილებით მოჩითული ქსოვილები. ფერებიდან წელს განსაკუთრებით მოდამია: ვარდისფერი, სალათისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი... ფერები გახალისდა, ხოლო აქსესუარები — აჭრელდა. ჩანთები, შარფები და ფეხსაცმელი აუცილებლად ჭრელი უნდა იყოს. ასეთივე იქნება საცურაო კოსტიუმებიც, რომლის აქსესუარიც აუცილებლად ყვავილიანი უნდა იყოს. ჭრელი საცურაო კოსტიუმი გარუჯულ სხეულს უხდება და აღამაზებს კიდევ, მაგრამ თუ საცურაო კოსტიუმი სადაა, ამ შემთხ-

ვევაში აუცილებელია აქსესუარებით მისი გალამაზება.

— როგორ განსაზღვრავთ თქვენ კოლექციის მიმართულებას?

— ეს არის ქალის pret a porter-ის კოლექცია, რაც გულისხმობს მზა, პრაქტიკულ, მოხერხებულ ტანსაცმელს, რომლის გამოყენებაც ყოველდღიურ ცხოვრებაშია შესაძლებელი. ჩემს სალონში ძირითადად, ქალის სამოსი იქნება, თუმცა მამაკაცებსაც ვემსახურებით. მათთვის კოსტიუმებს, ლაბადებსა და სხვა სახის ტანსაცმელსაც ვკერავთ.

— გავიგე ამ ზაფხულს ზღვი-სპორტში ჩვენების გამართვას აპირებთ.

— დიახ, ასეა. 3 აგვისტოს, ბათუმში ღამის კლუბ „ბუნგალოში“ მოეწყობა ჩემ მიერ შექმნილი საცურაო კოსტიუმების ჩვენება. აჭარის დედაქალაქის მოსახლეობას საინტერესო კოლექციას ვპირდები.

— ნანა, თქვენ პროფესიონალი დიზაინერი ხართ თუ ეს უბრალოდ, თქვენი ჰობია?

— დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი და პროფესიით ფარმაცევტი ვარ, მაგრამ ახლა ჩემი სპეციალობით არ ვმუშაობ. დიზაინერობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. ვერ ჩემს თოჯინებს ვუკერავდი ტანსაცმელს, მოგვიანებით — საკუთარ და დაქვლების ჩაცმულობაზე ზრუნვას მივყავი ხელი. სატყაც ბავშვობიდან დავიწყე. ფაქტობრივად, თვითნასწავლი დიზაინერი ვარ. კოსტიუმების ესკიზების შექმნიდან, მის საბოლოო სახემდე მიყვანა თავად შემიძლია. ძალზე დამლელი და შრომატევადი სამუშაოა. კოლექციის შექმნის პროცესში არაერთი ღამე გამოთენება, მაგრამ იმდენად მიყვარს ეს საქმე, რომ კრვისგან დაღლა ჩემთვის სასიამოვნოც კია.

— როგორც ვიცით, უკვე მრავალი წელია, რაც დიზაინერი ხართ, მაგრამ თქვენი კოლექციის ჩვენებები მხოლოდ გასული წლიდან დაიწყო. რა იყო ამის მიზეზი?

— მართალია. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან მოდის დიზაინით ვარ დაკავებული, პირველი ჩვენება მხოლოდ გასულ შემოდგომაზე გაემართე და ჩემ მიერ შექმნილი სპორტული კოსტიუმები წარმოვაფინე. მოგვიანებით, ჩემი მალაზია-სალონის პრეზენტაცია მოეწყო, სადაც დღემდე ვმუშაობ.

2003 წლის 25 დეკემბერს, „მეტენში“ ჩატარდა ჩემი ზამთრის კოლექციის ჩვენება, სახელწოდებით — „ზამთრის თბილისი“, რომელიც ძირითადად, სასახლელო-საკარნავალო და ზამთრის ქალის სამოსისგან შედგებოდა. კოლექციის ბოლო კოსტიუმი კი, ორსული ქალებისთვის იყო განკუთვნილი, რადგან მამინ ჩემს შვილზე, ირაკლიზე ვიყავი ორსულად და ჩემი მდგომარეობის გამო გადავწყვიტე, ერთი კოსტიუმი ფეხმძიმე ქალებისთვის მიმეძღვნა. იმ კოლექციაში სულ 30 კოსტიუმი იყო და მათი უძრავლესობა ხელით დამუშავებული და დამზადებული გახლდათ. 3 ივნისს გამართულ მოდის ფესტივალში მივიღე მონაწილეობა, სადაც გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია წარმოვაფინე; სახელწოდებით — „ჩემი ცხოვრების გაზაფხული“. ამ ჩვენებაზე სპორტული და კლასიკური საღამოს კაბებით წარვდექი მყურებლის წინაშე.

— თქვენი კოლექციების შექმნისას, ძირითადად, რა მასალას იყენებთ?

— ჩემი კოლექციის მასალებია: კოტონი, ორგანზა, ტილო, აბრეშუმი, აქსესუარები და ყველაფერი ის, რაც მომწონს.

— როგორც ვიცით, მოდის ფესტივალის — „გაზაფხულის დიზაინი 2004“ — გამარჯვებული ხართ.

— მართალია. ამ ფესტივალზე გრან-პრი და მასმედიის პრიზი ავიღე. ვფიქრობ, კარგი კონკურსი იყო და ძალზე საინტერესო ნამუშევრებიც ვინილეთ. მიღწეული წარმატებით აღფრთოვანებული ვარ, მან ჩემი შემდგომი მუშაობისთვის სტიმული მომცა.



წლებგანდელ ზაფხულს აქტუალურია ყვავილები

ელი	ხელოვნურად გამოწვეული ძილი	ქუჩა	ძველებური ინგლისური ოქროს ფული	მარჯანი, როგორც ორგანიზმი	ნიადაგის ჩამოშლა	საბჭოთა ავტომობილი	ამრი, გონება
აღგამრდა	მუხის ნაყოფი	გეხილი ხაზი	საპორტო ქალაქი იგალიაში	იტალიური ნიღბების თეატრის პერსონაჟი	მარალი, დანაკლისი	უნობი: „... მიქრის“	



საქართველოს

მორენა მერკვილაძე

მოსახსენებელ წიგნაკს ეწოდება დიპტიხი. ჯერ კიდევ მოციქულთა დროს გამოიყენებოდა, თუმცა ეკლესიაში ფართოდ IV საუკუნიდან გავრცელდა. დიპტიხში მოხსენიება დიდ პატივად ითვლებოდა. მასში ძველად, მხოლოდ წმინდა ცხოვრების წესით განსაკუთრებულად გამორჩეულ ადამიანთა სახელებს წერდნენ. დიპტიხი იყოფოდა: ნათლობის, ცოცხალთა, მარტიროლოგთა ანუ წმინდანთა და მიცვალებულთა სახეობად.

ამჟამად არსებობს დიპტიხის ორი სახეობა: საერთო ანუ საეკლესიო და კერძო მოსახსენებელი. საეკლესიო მოსახსენებელი გამოიყენება მონასტრებსა და ეკლესიებში. მასში შეტანილია საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მამამთავართა სახელები. რაც შეეხება კერძო მოსახსენებელს – მას იყენებს ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი. მისი დანიშნულებაა ოჯახის წევრებისა და ახლობლების მოხსენიება, როგორც პირად ლოცვებში, ასევე საეკლესიო ღვთისმსახურებაზე. ე.ი. მართლმორწმუნე ქრისტიანმა უნდა იქონიოს ორი მოსახსენებელი – ერთი პირადი ლოცვებისათვის (რომელსაც წარმოთქვამთ შინ), მეორე კი საეკლესიო მსახურებისათვის. ორივე მოსახსენებელში იწერება მფლობელის ცოცხალ და გარდაცვლილ ახლობელთა სახელები. მოსახსენებელ ბარათს, რომელსაც ვიყენებთ შინ პირადი ლოცვითი კანონის აღსრულების დროს, ადგილი უნდა მიუზღიონთ სალოცავ კუთხეში, სხვა სიწმინდეების გვერდით. რაც შეეხება საეკლესიო მსახურების დროს გამოსაყენებელ წიგნაკს, მფლობელმა ის უნდა შეავაზვნოს საკურთხეველში. წირვის დაწყების წინ ან წირვის წინა საღამოს, რათა მოხდეს მოსახსენებელში მოხსენიებულ ადამიანთა კვეთის დროს მოხსენიება. საეკლესიო მსახურების დროს გამოსაყენებელი მოსახსენებელი შეიძლება დავტოვოთ ტაძარში, რომლის მრევლის წევრ-

რა არის მოსახსენებელი?

დაც ვითვლებით ან წირვის დასრულების შემდეგ წაიღოთ შინ, მოძღვეთ წირვამდე.

როგორ შევაკვსოთ მოსახსენებელი ბარათი კვეთაში მოხსენიებისათვის?

წირვის დაწყების წინ ან წინა საღამოს, მოსახსენებელი ბარათის მფლობელმა უნდა შეიძინოს სეფისკვერი (ცოცხალთათვის – ღვთისმშობლის გამოსახულებით, მიცვალებულთათვის – ჯვრის გამოსახულებით), რომელსაც მოსახსენებელ წიგნაკთან ერთად მიიტანს საკურთხეველში შესავაზვანად (ტაძარში ყოველთვის არის გამოყოფილი ადგილი, სადაც იდება მოსახსენებელი ბარათები და სეფისკვერები, რომლებიც შემდეგ სტიქაროსანს ან სპეციალურად ამ საქმისათვის დადგენილ პირს შეაქვს საკურთხეველში და ღვთისმსახური კითხულობს სამკვეთლოს წინ, კვეთის დროს.

საკელესიო წესის მიხედვით, მოსახსენებელში – „ცოცხალთათვის“ – პირველ რიგში, იწერება პატრიარქის სახელი, შემდეგ იმ ეპარქიის ეპისკოპოსის, რომლის შემადგენლობაშიც შედის ტაძარი, შემდეგ – ჩვენი სულიერი მოძღვრის სახელი; სასულიერო პირები უნდა მოვიხსენიოთ თავიანთი ხარისხით, მაგალითად, მუუფე (სახელი), დეკანოზი (სახელი), მღვდელი (სახელი). ამის შემდეგ უნდა ჩაწეროთ ჩვენი ახლობლების სახელები, რომელთა მოხსენიებაც გვსურს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მოსახსენებელში ჩაწეროთ სხვა აღმსარებლობის მქონე ადამიანთა და მწვალებელთა სახელები. ყველა სახელი უნდა იყოს ნათლობის და აუცილებლად სრულად (მაგ. ეკატერინე და არა ეკა) ჩაწერილი; ბავშვი ჩვილობის ასაკში (7 წლამდე) მოხსენიება, როგორც „ჩვილი“, წლის ზემოთ კი როგორც „ყრმა“.

მოსახსენებელ ბარათში – „გარდაცვლილთათვის“ – არ უნდა ჩაწეროთ თვითმკვლელის, სხვა აღმსარებლობის მიმდევართა, ლოთობის და აბორტის მიზეზით გარდაცვლილ ადამიანთა სახელები.

როდესაც მოსახსენებელი ბარათი დაძველდება და გამოსაყენებლად უკარგისი გახდება, მფლობელმა მოსახსენებელი უნდა ჩააბაროს ეკლესიის მნათესს, რათა მისთვის განკუთვნილ ადგილზე დაიწვას.

— შეიძლება თუ არა, კვეთაში მოხსენიებისათვის შევაგზავნოთ მოსახსენებელი სწულელებაში მყოფთათვის?

– როდესაც მოსახსენებელ ბარათს ვაკვებთ, შეგვიძლია, სახელის წინ დავწ-

ეროთ: „სწული“, „განსაცდელში მყოფი“, „მოგზაურობაში მყოფი“ და ა.შ. მაგრამ თუკი სურვილი გვაქვს, რომ სწულელებაში მყოფი ადამიანი ცალკე მოვიხსენიოთ, მის სახელზე შეიძლება შევაგზავნოთ სპეციალური ორმოცდღიანი მოსახსენებელი, რათა მოხდეს სწულელებაში მყოფი ადამიანის ორმოცი დღის მანძილზე მოხსენიება. გარდა ამისა, სწულეთათვის შეგვიძლია შევუკვეთოთ ჯანმრთელობის პარაკლისი, რომლის დროსაც, სწულელებაში მყოფთა კერძო მოხსენიება ხდება.

ჯანმრთელობის პარაკლისის გარდა, ასევე შეგვიძლია შევუკვეთოთ პარაკლისი მოგზაურთათვის, ბავშვის სწავლის დაწყების წინ და სხვა.

როდესაც პარაკლისს შევუკვეთთ, ჩვენც აუცილებლად უნდა ვესწურობოდეთ და გულმხურვალედ ვლოცულობოდეთ მღვდელმსახურთან ერთად.

— რა მნიშვნელობა აქვს კვეთაში მოხსენიებას?

– კვეთა აღესრულება ლიტურგიის პირველი ნაწილის – პროსკომიდის დროს, როდესაც იკითხება მე-3 და მე-9 „ჟამები“. პროსკომიდიაზე შესაწირად მზადდება 5 დიდი სეფისკვერი. პირველად მღვდელი კვეთს ტარიგს; მეორე სეფისკვერიდან იკვეთება ნაწილი ღვთისმშობლის მოსახსენიებად; მესამე სეფისკვერიდან იკვეთება ცხრა ნაწილი – წმინდანთა ცხრა დასის სახელზე; მეოთხედან ცოცხალთათვის, მეხუთე დიდი სეფისკვერიდან კი – გარდაცვლილთათვის. ნაკვეთ ნაწილებს მღვდელი ალაგებს ფეშხუმზე, უმატებს მრევლის მიერ შეწირული სეფისკვერის ნაწილებს და თან იხსენიებს მოსახსენებელ ბარათში ჩაწერილ ადამიანებს – როგორც ცოცხლებს, ასევე გარდაცვლილებს; ე.ი. მოსახსენებელში მოსახსენიებულ ადამიანთა სახელზე ნაკვეთი სეფისკვერის ნაწილები თავსდება ტარიგის, ღვთისმშობლის, ანგელოზთა მხედრობის და წმინდანთა სახელებზე ნაკვეთი ნაწილების გვერდით. ეს ნაკვეთი ნაწილები ჩაეშვება ქრისტეს სისხლში და ხდება მოსახსენებელში მოხსენიებულთა სულის განწმენდა ამ დიდებული მსხვერპლით – ე.ი. მსხვერპლის შეწირვის მომენტში, ჩვენ მიერ მოხსენიებული ადამიანები – როგორც ცოცხლები, ასევე გარდაცვლილები, უფლის ღვთისმშობლისა და წმინდანთა გვერდით იმყოფებიან და ისინი მფარველობენ. მათი შეწვევით, ცოცხლებს შეეწყობა და ლოცვა-ვედრება მიეგებათ, გარდაცვლილებს კი – განსასვენებელი. ■

კაცობრიობის ისტორიის აღსაწერად დასაბამიდან დღემდე, მრავალი ისტორიული წყარო, თქმულება, მითი და ლეგენდა არსებობს. ალბათ არ მოიძებნება საქართველოში კუთხე, სადაც თავისებური ლეგენდა არ ჰქონდეთ და ტრადიციისამებრ ზეპირად არ გადასცემდნენ თაობიდან თაობას.



სოფლის შეახვილი და საშგლეოთხივის იღუმარი ამბები

ემა ტუნიაშვილი

ერთ-ერთი ასეთი ლეგენდის თანახმად, ქართლის შუაგულში, გაშლილ ფერდობზე, რომელსაც საუკუნეების წინ, მთიულები საძოვრად იყენებდნენ, ახლაც სოფლებია გაშენებული, ძმები ჩობა და ლაური ხშირად ედგნენ საკუთარ ცხვრის ფარას. ქედს იქით ძმებს ფარეხიც ჰქონიათ მოწყობილი, სადაც მძიმე სამუშაოს შემდეგ, ისვენებდნენ ხოლმე. ერთ საღამოს, როცა მათ ცხვარი დააბინავეს და ვახშობას შეუდგნენ, გამოღმა მხრიდან ქალის შემზარავი კივილი შემოესმათ. გაიხედეს და რას ხედავენ? – თმაგაშლილ და ტანსაცმელშემოფლეთილ ახალგაზრდა ქალს ურჯულ თათრები მოსდევენ; ღონემიხდილი ქალი თურმე, მუხლებზე დაეცა, ხელები ზეცისკენ ალაპყრო და ხმამაღლა შეჰლაღადა: „წმინდაო მარიამ, დელო ღვთისაჲ, ყოველთა ტანჯულთა მფარველო, შენი რჩეული შვილი გვევადრები, შემინარჩუნე პატიოსნება და სიწმინდე. მიჩვენებია, ქვად ვიქცე, ვიდრე შერცხვენილი წარვდგე ჩემი უფლის წინაშე“.

ამის შემყურე ძმებმა თურმე, ხელი ხმალს იკრეს, მაგრამ უეცრად სასწაული იხილეს: ქალმა გაქცევა დაიწყო. ამასობაში, ჟინძორეული ურჯულოებიც მიუახლოვდნენ ახალგაზრდა ქალს და რადგან წადილი ვერ შეისრულეს, ვიდრე ქვად იქცეოდა, თავი და ხელ-ფეხი წაასხიპეს, ხოლო გულმკერდი ხმლებით დაუსერეს... როგორც ამბობენ, დღემდე ინება, რომ ძმები ჩობა და ლაური ცოცხლები გადარჩენილიყვნენ და ეს ამბავი შთამომავლობისთვის გადაეცათ...

დღემდე ვერაგინ იტყვის დარწმუნებით, ეს ამბავი ლეგენდაა თუ სინამდვილე. დღეს იმ ადგილას სოფელია გაშენებული, რომელსაც ძმების პატივსაცემად ჩობალაური ეწოდა, ხოლო კიდურებმოკვეთილი ქალის ტანის ფორმის ქვა, ამ სოფლის სიწმინდე ითვლება. საინტერესოა, რომ ქვისგან 5-7 კილომეტრის რადიუსში არც წყაროა, არც კლდე და არც ქვის რაიმე კარიერი. ადგილობრივი მცხოვრებნი ქალის პარამეტრების მქონე ქვას ქალქვას

უწოდებენ და ლეგენდის გარდა, მის შესახებ ბევრ საინტერესო ამბავსაც იხსენებენ.

უუჟუნა მაჭარაშვილი:

– ჩვენს სოფელში ოჯახი არ არსებობს, სადაც პაპა არ უამბობდეს შვილიშვილს ლეგენდას ქალქვაზე. აქ დიდმაც და პატარამაც იცის, რომ ეს ქვა ჩვენი სოფლის სიწმინდეა და ბევრი უბედურებისგან გვიცავს. ყოველი წლის 21 სექტემბერს, სოფელში ამ ქვის დღესასწაულს აღვნიშნავთ ხოლმე. სოფლის მკვიდრი თუ ჩამოსული სტუმარი, ყველა ქალქვასთან მიდის, სანთელს ანთებს, შესაწირს უკლავს. ბევრი მას რაიმე ჩანაფიქრის ასრულებას სთხოვს, ზოგი – ავადმყოფობისგან განკურნებას. სხვათა შორის, ჩვენს სოფელს კლდეში გამოკვეთილ უძველეს ქალაქ უფლისციხისგან ერთი მთის ზოლი ჰყოფს. უხუცესები მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, ახალგაზრდა ქალი, რომელიც ურჯულოებს გამოექცა, სწორედ იქიდან მობოდა. დარწმუნებით ვერაგინ გეტყვის, როდის მოხდა ეს ამბავი, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ქალქვა და მისი ლეგენდა უკვე მრავალ საუკუნეს ითვლის.

– კოდევ რა სასწაულები მოუხდენია ამ ქვას?

– გასული საუკუნის 60-იან წლებში, სოფლის ერთ-ერთმა მკვიდრმა მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ ქვა სოფლის შუაგულიდან წყაროს თავზე აეტანა და მოგვიანებით, იქ პატარა ნიშიც გაეკეთებინა. ოჯახის წევრების დახმარებით, საკმაოდ მძიმე ქვა ურემზე დაუდგიათ და ასე გადაუადგილებიათ. ამ კაცის თანამედროვეებს ახლაც კარგად ახსოვთ, თუ როგორ ყრიდა იმ დამეს ქალქვა ცეცხლოვან ნაპერწკლებს, ხოლო ამ კაცის ოჯახის წევრები შეუძლოდ გამხდარან, თვითონ კი საერთოდ დაკრუნჩხ-




დღემდე ინება, რომ ძმები ჩობა და ლაური ცოცხლები გადარჩენილიყვნენ და ეს ამბავი შთამომავლობისთვის გადაეცათ... უუჟუნა მაჭარაშვილი (მარცხნივ) და იამზე შევარდინიძე

ინფორმაციული-მეცნიერებითი კოლექტი

ეონი დვალის უბის ნივთიანობა:

1. ლევ ტოლსტოის 13 შვილი ჰყავდა.
2. კოლო წაშში 600-ჯერ აქნევს ფრთებს.
3. ბრაზილიის გერბზე თამბაქოა გამოსახული.
4. სიტყვა „საპარა“ არაბულად უდაბნოს ნიშნავს.
5. ყვეთელი ზღვა ყველაზე პატარაა მსოფლიოში.
6. ჰიპოკრატე და თუკიდიდე თანატოლები იყვნენ.
7. ალექსანდრე მაკედონელი ქალაქ პელაში დაიბადა.
8. ბაობაბი არ იწვის. ამ ხეს ფოთლები ზაფხულში სცვივა.
9. მსოფლიოში ყველაზე მეტ ალმასს ავსტრალია მოიპოვებს.
10. ხაშურს 1872-1917 წლებში მიხაილოვი ერქვა, 1928-1954 წლებში – სტალინი.
11. ნათლობის გარდა, ჩვეულებრივ ადამიანს სიცოცხლის განმავლობაში მირონს აღარ სცხებენ. მირონის მეორედ ცხება მეფეთა ზვედრია.
12. „აღმოსავლეთის დედაქალაქი“ – ასე ითარგმნება იაპონურიდან სახელწოდება „ტოკიო“.
13. პირველი ევროპის ჩემპიონატის ფინალში პირველი გოლი სლავა მეტრეველმა გაიტანა.
14. გადასახადების გადაუსდგლობის გამო, 1982 წელს სოფი ლორენმა 17 დღე ციხეში გაატარა.
15. მეფის მცველ მეთოფეთა უფროსს გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში ყულარადასი ერქვა.
16. დაკიდებული ბალები ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა თავის მეუღლეს, დელოფალ სემირამიდას მიუძღვნა.
17. გორგოლაჭებიანი ციფურები 1823 წლის 22 აპრილს, ბოსტნეულით მოვაჭრე ჯონ ტაიერსმა დააპატენტა.
18. ერთმა ბრაზილიურმა გაზეთმა ერთ-ერთ ფეხბურთელს, რომელმაც სეზონის განმავლობაში ოთხჯერ შეაგდო გოლი საკუთარ კარში, საჩუქრად კომპასი გადასცა.



19. ვერცხლისწყლის პირველი თერმომეტრი 1714 წელს დანიელ ფარენგეიტმა შექმნა.

20. 1754 წლის 14 მაისს, 22-მა შოტლანდიელმა ჯენტლმენმა ისტორიაში პირველი

ულა. ქვა ისე „განრისხებულა“, რომ თურმე, მასთან მიკარებასაც ვერავინ ბედავდა. შემდეგ ისევ ამ კაცისთვის ურჩევიათ, უკანასკნელი ძალები მოეკრიბა, ქვა ძველ ადგილზე დაებრუნებინა და ამით გამოეყვინა ჩაღვნილი დანაშაული. რის ვაი-ვაგლანით ქალქვა ისევ ურემზე დაუდვიათ ამ კაცის ოჯახის წევრებს და სოფელში ჩამოუტანიათ. მართალია, თვითონაც და მისი ოჯახიც განიკურნა, მაგრამ იმ წელიწადს მოსავალი გაჩანაგდა, პირუტყვი დაიხოცა და ერთადერთი წყარო დაშრა... უკვე დიდი ხანია, სოფელს გადაწყვეტილი გვაქვს, რომ სწორედ იქ, სადაც ქალქვა დევს, პატარა ეკლესია ავაშენოთ და ამით გამოვხატოთ მისდამი პატივისცემა. მაგრამ დუხჭირი ცხოვრების გამო ამ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეღირსა. კიდევ რისი თქმაც შემოიძლია, ის არის, რომ ერთ-ერთი მოსახლე ვარ, ვინც ამ ქვასთან ყველაზე ახლოს ცხოვრობს. ღვთის მადლითა და ქალქვის შეწვევით, ჩემს ოჯახს ჯერ ცუდი ამბავი და უბედურება არ სწევია, რაც მე ჩვენი წმინდა ქვის მფარველობად მიმანია. სხვათა შორის, ძალიან ბევრი უცხო ადამიანიც ამოდის ხოლმე სოფელში ამ ქვის სანახავად, ზოგი საიდან იგებს ლეგენდას ამ ქვის შესახებ და ზოგი – საიდან...

ინაზი შევარდინიძე:

– მინდა, რომ იმ ნაიარევებს მიაქციოთ ყურადღება, რომლებიც ქალქვას აჩნია. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ მანამდე, სანამ ახალგაზრდა ქალი საბოლოოდ გადაიქცეოდა ქვად, თათრებმა მუცელი და გულმკერდი ხმლებით დაუსერეს. საოცარია, მაგრამ ქვის ნაიარევი ძალიან ჰგავს ხმლით მიყენებულ ჭრილობებს. ახლა კი, იმ შეუცნობელი და ტრაგიკული მოვლენების შესახებ მინდა გიამბოთ, რომლებიც ჩვენსა და მეზობელ სოფელში ხდება. ჩვენსა და მეზობელ სოფელ ნიგოზას ერთი ხევი ჰყოფს, რომელსაც სამგლეთხევეს ეძახიან. ეს სახელი მისთვის ტყუილად არ შეურქმევიათ – მგლები ამ ხევიში მრავლად არიან, მიუხედავად იმისა, რომ ახლომანხლო ტყე არსაიდან გვერტყმის. მართალია, ადამიანებზე თავდასხმის ფაქტები ამ ნადირთა მხრიდან არ ყოფილა, მაგრამ მოსახლეობისთვის ცხვარი ბევრ-

ჯერ შეუჭამიათ. უცნაური ამბები სამგლეთხევის შესახებ ჯერ კიდევ წინაპრებისგან გვსმენია. მამაჩემი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახლდათ და სოფლიდან სოფელში ცხენით გადადიოდა ხოლმე. მახსოვს, შინ გვიან დაბრუნებული, ხშირად გამხდარა შეუძლოდ და უთქვამს: ამ ხევიში რაღაც უცნაური ამბები ხდება: ჯერ იყო და ცხენი მიჯიუტდება და ხევიზე გადასვლა არ უნდა, მერე კიდევ, ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ჩემს ქუდს ვიღაც ზემოთ ექაჩებოდეს... მსგავს ამბებს ხევიში დანახული უცნაური არსებების შესახებ თითქმის ყველა თანასოფელისგან გაიგონებდით, თუმცა, სერიოზუ-

მახსოვს, შინ გვიან დაბრუნებული, ხშირად გამხდარა შეუძლოდ და უთქვამს: ამ ხევიში რაღაც უცნაური ამბები ხდება!



ლად ამ ყველაფერს ვერავინ აღიქვამდა. ამ ორ სოფელს შორის მჭიდრო ნათესაური კავშირი არსებობს, ამიტომ მათ ურთიერთმიმოსვლას დღეც და ღამეც წინ ვერაფერი დაუდგებოდა. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ამ სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი სხვადასხვა რელიგიურ სექტაში გაერთიანდა. ერთმანეთის მეზობლად ერთ სოფელში შეიძლება ცხოვრობდეს იელოველიც, ორმოცდაათიანელიც, ბაპტისტიც და ღვთის მადლით, მართლმადიდებელი ქრისტიანიც. ვერ გეტყვით, რა მიზეზით, მაგრამ ზოგი ისეთი თავგამოდებული სექტანტი გახდა, რომ ახლა უკვე თავად ქადაგებს თავის რელიგიას... შესაძლოა, ძალიან უხეშად ვუკავშირებ ამ მოვლენებს ერთმანეთს, მაგრამ სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ის ტრაგიკული ამბები, რომლებიც აქ მომხდარა. რამდენიმე წლის წინ, სოფელ ნიგოზის მკვიდრი მამაკაცი (რესპოდენტის თხოვნით, არც ერთი მსხვერპლის ვინაობას არ ვასახელებთ. – ავტ.) სამგლეთხევიში მკვდარი იპოვეს. გვამი აბსოლუტურად შიშველი იყო, მისი სამოსი აქეთიქით იყო მიმოფანტული, თოვლი მის გარშემო წრიულად იყო შემოტკეპნილი, ხოლო სხეულზე ჭრილობა კი არა,

ნაკაწრიც კი არსად ეტყობოდა... ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ მიცვალებული ისე დაასაფლავეს, მის კანს ჯანმრთელი ადამიანისთვის დამახასიათებელი ვარდისფერი არ გაფერმკრთალებია... ამ ამბიდან 2 წლის შემდეგ, იმავე ხევე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც გარდაცვლილი მამაკაცის გვამი იპოვეს, მისმა 20 წლის ვაჟმა ჩამოიხრჩო თავი. პატარა ქლიავის ხეზე, რომლის ძირშიც მამამისი იპოვეს, მავთული ჩამოაბა, მუხლებზე დადგა (ხე იმდენად დაბალია, რომ სხვანაირად თავის ჩამოხრჩობას ვერ მოახერხებდა), თავი მავთულის ყულფში გაყო და... ამ ხევის მახლობლად ერთადერთი სახლი დგას, სადაც წლების განმავლობაში, არავის უცხოვრია. ოჯახის წევრები, ზოგი რუსეთში იყო წასული და ზოგიც სხვა ქვეყანაში. სოფელში ერთხელ ხმა გავარდა – ამ სახლის პატრონის 18 წლის ვაჟი რუსეთიდან მამაპაპისეული სახლის მოსანახულებლად ჩამოვიდაო, მეორე დღეს კი, მეზობლებმა ისიც დამხრჩვალა იპოვეს საკუთარ სახლში... რამდენი ასეთი შემთხვევა მოგიყვებოდა? მხოლოდ უკანასკნელ წლებში, სოფელში, სადაც დაახლოებით 80 ოჯახი ცხოვრობს, 20 თვითმკვლელობის ფაქტი

რადიუსში, წვეთ წყალს ვერ ნახავთ...), რომელიც მრავლად იყო ამოსული ხე-ვში და ბნელი ძაღების ერთადერთ ასოციაციად აღიქმებოდა...

— რასაც თქვენს სოფელზე ამბობენ, მართალია?

მარინა მუხაზვილი, სოფელ ნიგოზის მკვიდრი, საშუალო სკოლის დირექტორი:

— სამწუხაროდ, ასეა — ძალიან ბევრი ადამიანი ჩვენს სოფელში სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. თვითმკვლელთა ასაკი განუსაზღვრელია, მათ შორის არიან, როგორც ახალგაზრდები, აგრეთვე ღრმად მოხუცები. ძირითადად, თვითმკვლელობის ორ ფორმას მიმართავენ: ან თავს იხრჩობენ, ან საწამლავს სვამენ. ვერც ერთ შემთხვევას ვერ დავისახელებთ, რომ აწ გარდაცვლილს საამისოდ რაიმე სერიოზული მიზეზი ჰქონოდა. გვქონდა შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა ბიჭმა თავი მოიკლა და დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი დატოვა: არ იფიქროთ, რომ ვინმეზე ნაწყენი ვარ, უბრალოდ, ასე მინდა და თავს ვიკლავო... ამ ყველაფერს კი, ხევე მომხდარი ანომალიებიც ერთვის თან. სოფელში ერთი ადამიანიც კი არ არსებობს, სამგლეთხ-

ლეგენდა მოგვითხრობს, რომ მანამდე, სანამ ახალგაზრდა ქალი საბოლოოდ გადაიქცეოდა ქვად, თათრებმა მუცელი და გულმკერდი ხმლებით დაუსერეს. საოცარია, მაგრამ ქვის ნაიარევი ძალიან ჰგავს ხმლით მიყენებულ ჭრილობებს



მოხდა. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტი ჩვენს სოფელშიც მრავლად ყოფილა, მაგრამ ყველა „უშედეგოდ“ დამთავრებულია. ეს იმის მაუწყებელია, რომ ჩობალაურს ქალქის სახით დიდი სიწმინდე მფარველობს.

სოფელ ნიგოზაში გადასასვლელად, სწორედ სამგლეთხევი გავიარე. მართალია, შუადღე იყო — არასასურველი პერიოდი უცნაური არსებებისთვის — და საეჭვო ვერაფერი შევნიშნე, თუ არ ჩავთვლით, ჭაობის მაღალ მცენარე ლელს (არადა, ჭაობს კი არა, 5-7 კილომეტრის

ევში უცნაური რამ არ ენახოს. ძალიან გვეშინია, სადამლობით ხომ საერთოდ აღარ გამოვდივართ გარეთ, ხოლო ხევისკენ გახედვაც კი არ გვინდა. ცოტა ხნის წინ, სკოლის მოსწავლეები სოფელ კავთისხევში მყავდა წაყვანილი ექსკურსიაზე და კავთისხევის მოქმედი ეკლესიის მოძღვარს ვესაუბრე ამ თემაზე. მითხრა: სოფელი აუცილებლად სასულიერო პირს უნდა აკურთხებინოთო. მაგრამ ჩვენთან მოსახლეობის დიდი ნაწილი სხვადასხვა რელიგიური სექტის მიმდევარია...

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეორა დვალის უბის წიგნაკიდან:



გოლფ-კლუბი დაარსა. ეს კლუბი მოგვიანებით, ყველაზე პრესტიჟული გახდა მსოფლიოში. კლუბის შექმნა აღინიშნა მატჩით, რომელშიც ვერცხლის ჯოხებით ითამაშეს.

1834 წელს, კლუბის მფარველი, ბრიტანეთის მეფე ვილჰელმ IV გახდა და მას „Royal & Ancient“ ეწოდა.

21. დღეისათვის, აზიაში 14 მონარქიული სახელმწიფოა, ევროპაში — 12, აფრიკაში — 3, ოკეანეთში — 1. აქედან ყველაზე ძველი, იაპონიის მონარქიაა. იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 660 წელს დაარსდა. ევროპაში უძველესი, დანიის მონარქიაა — იგი 899 წელს დაარსდა.

22. იაპონიის ქალაქ აზიფუს ერთ-ერთი რადიოსადგური გადასცემს 24-საათიან პროგრამას. მას ძალიან ბევრი მსმენელი ჰყავს, რომელთა მტკიცებით, პროგრამას მათთვის სულიერი სიმშვიდე მოაქვს. რადიოსადგური ადამიანის გულისცემის ხმას გადასცემს.

23. 1979 წელს, ირანის სასულიერო და პოლიტიკურმა ლიდერმა აიათოლა ჰომეინიმ ქვეყნის ტერიტორიაზე რადიოთი და ტელევიზიით მუსიკის გადმოცემა აკრძალა. მისი აზრით, მუსიკა რყვინდა ახალგაზრდობას.

24. ამ კუნძულზე 54 ქალაქი იყო, თითოეული მათგანი — ერთნაირი არქიტექტურული გაფორმებით. კუნძულს მართავდა მეფე, რომლის რეზიდენცია ცენტრალურ ქალაქში — ამაუროტაში მდებარეობდა. მიუხედავად მონარქიისა, მმართველობის ფორმა მაინც დემოკრატიული იყო. კუნძულის ყოველი მოქალაქე ვალდებული იყო, ერწმუნა ღმერთი და სცილნოდა რაიმე ხელობა. კუნძულს უტოპია ერქვა.

25. წინა ნომერში ასეთი გამოცანა შემოგთავაზეთ: გზის გასაყარზე ორი გნომი დგას; ერთი ყოველთვის მართალს ამბობს, მეორე — ყოველთვის ტყუის, ოღონდ, თქვენ არ იცით, რომელი რომელია. სწორი გზის ასარჩევად შეგიძლიათ, მხოლოდ ერთ გნომს დაუსვათ მხოლოდ ერთი შეკითხვა. ამ გამოცანის ამოსნა ასეთია: სწორი გზის ასარჩევად თქვენ ერთ-ერთ გნომს (სულერთია, რომელს) უნდა ჰკითხოთ: „რომელ გზას მიჩვენებდა მეორე გნომი?“ — დაელოდოთ პასუხს და წახვიდეთ საპირისპირო მიმართულებით.

„აქვიადა პიანო“ ხსოვს პიანოზე დაბრუნებას ხედავს...

მას შემდეგ, რაც მარია შარაპოვა უიმბლდონის ტურნირის ფინალში ამერიკელი სერენა უილიამსი დაამარცხა, იგი მომენტალურად, ჩვეულებრივი ცივბირევი გოგონასგან ჩოგბურთის დედოფლად გადაიქცა. ამაში მას მართლაც, ყველა პირობა უწყობს ხელს — არა მარტო წმინდა სპორტული მიღწევები, არამედ არაჩვეულებრივი გარეგნული მონაცემებიც. ალსანოშნავია ისიც, რომ მარია შარაპოვა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელია ქალთა შორის, რომელმაც უიმბლდონის ტურნირზე გაიმარჯვა. რეკორდი კი მარტინა შინგის ეკუთვნის, რომელმაც 1997 წელს, 16 წლის ასაკში იანა ნოვოტნას სძლია და „მწვანე სასალათე“ დაისაკუთრა.



მიწოდონია
დაბადების თარიღი: 1987
წლის 19 აპრილი
დაბადების ადგილი:
ქ. ნიაგანი (რუსეთი)
სიმაღლი: 180 სმ
წონა: 59 კგ
პროფისიონალის სტატუსი:
2001 წლიდან
თამაშობს: მარჯვენა ხელით

„სერენა, ბოდიშს გიხდი იმის გამო, რომ ამ შეჯიბრზე გზა გადავიჭერი. ვფიქრობ, ჩვენ კიდევ დიდი დრო გვაქვს იმისათვის, რათა ერთმანეთის წინააღმდეგ ვითამაშოთ, აქაც და „დიდი მუზარადის“ სხვა ტურნირებზეც. ჩვენ ორივე ვიბრძოდით ამ პრიზის მოსაპოვებლად და მაღლობას გიხდი იმისათვის, რომ ეს მძიმე მატჩი დამითმე. მაპატიე, მაგრამ დღეს აუცილებლად უნდა მომეგო“, — უთხრა სერენას ადელებულმა მარიამ, რომელსაც ამ დროს ხელში უიმბლდონის ტურნირის მთავარი ჯილდო — Rosewater Dish ეჭირა.

„მარიამ დღეს მართლაც, არაჩვეულებრივად ითამაშა. ეს ჩემი მატჩი არ გახლდათ. ვულოცავ შარაპოვას „დიდი მუზარადის“ ტურნირზე პირველ გამარჯვებას!“ — თქვა სერენა უილიამსმა. ამ დროს კი, იქვე ტრიბუნაზე ტრიუმფატორი თავისი მამისგან იღებდა მილოცვას. „ვიცი, როგორ გამიჭირდებოდა ამ თამაშის ყურება. რთული მატჩი აღმოჩნდა, თუმცა ჯერ კიდევ დილით, როდესაც გავიღვიძე და სურდო მქონდა, გავიფიქრე, რომ დღის ბოლოს, უფრო კარგად და ბედნიერად ვიგრძნობდი თავს“, — ცრემლებს ვერ იკავებდა ჩემპიონი, რომლის ბრწყინვალე თამაშსაც დედამისი თვითმფრინავში, ფლორიდადან ნიუ-იორკში მგზავრობისას ადეუნებდა თვალს. „დახს, მან გამ-

არჯვება ტელეფონით მომილოცა. დედაჩემი შეხვედრას ფრენისას უყურებდა. როგორ გგონიათ, მატჩის შემდეგ, გასასვლელში სიზარულით ხტუნვითაა დაიწყებდა? ალბათ მას ამის სურვილი მართლაც ჰქონდა, მაგრამ დედა ხომ ძალიან მორიდებული ადამიანია. თუ გსურთ, დაგენადლებებით — ის გვერდით მჯდომსაც ვერ გაუმხელდა, რომ მისმა ქალიშვილმა გაიმარჯვა...“ — ამბობს ბედნიერი მარია შარაპოვა, რომელიც თამაშის დროს ხმადაღალი შეძახილებით გამოირჩევა. ამის გამო მისთვის მეტსახელად „მევირალა კონკია“ შეურქმევიათ: „მატჩის მსვლელობისას ბგერებს ჩემდა უნებურად გამოვცემ, რადგან ასე უფრო მიაღვივდება თამაში და ნუ იფიქრებთ, რომ ამას მეტოქეზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მიზნით ვაკეთებ“.

გარეგნული მონაცემების მიხედვით, მარია შარაპოვას ხშირად ადარებენ ანა კურნიკოვას, მაგრამ ეს უიმბლდონის ტურნირის ტრიუმფატორს ბოლო დროს, განსაკუთრებით აღიზიანებს ხოლმე. „ჟურნალების პირველ გვერდებზე საკუთარი ფიზიკური მონაცემების დემონსტრირება ჩემი საქმე არ არის, — ამბობს იგი, — მე მომავალშიც, ჩოგბურთის თამაშსა და კორტზე წარმატებების მიღწევას ვაპირებ“. ცივბირევი ვუნდენკინდი საკუთარ თავს რუსეთის პატრიოტად მიიჩნევს და მოქალაქეობის შეცვლას არ აპირებს: „თავს ყველგან რუსად ვგრძნობ და მოქალაქეობაც ერთი მაქვს — რუსეთის. მერე რა, რომ ნახევარი ცხოვრება აშშ-ში გავატარე?... იქ ჩემი საჩოგბურთო კარიერა წარმატებულად წარიმართა, მაგრამ მე მაინც რუსი ვარ და გამარჯვებებს ჩემს სამშობლოს ვუძღვნი.“

მარიას მშობლები, იური და ელენა ადრე გომელში ცხოვრობდნენ, მაგრამ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი კატასტროფის შემდეგ, 1986 წელს, ისინი საკუთარი თავისა და მომავალი შვილის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საცხოვრებლად ციმბირის პატარა ქალაქში გადავიდნენ. იური შარაპოვი ნავთობის გადამამუშავებელ საწარმოში მუშაობდა. როდესაც მარია 2 წლის გახდა, შარაპოვების ოჯახმა კვლავ გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და სოჭში გადავიდა. იქ დაიწყო ვარჯიში 4 წლის ასაკში უიმბლდონის ტურნირის მომავალმა ტრიუმფატორმა. იური შარაპოვი ცნობილი



ჩოგბურთელის ევგენი კაფელნიკოვის მამასთან მეგობრობდა. სწორედ ევგენის გადაუცია საჩუქრად მარიასთვის პირველი ჩოგანი. ერთხელაც, მოსკოვში საჩოგბურთო მასტერ-კლასში მონაწილეობისას, შარაპოვას მარტინა ნავრატილოვასთან თამაშის შესაძლებლობა მიეცა. ლეგენდარულ ჩოგბურთელს მაშინვე დაუნახავს პატარა გოგონაში გამორჩეული მონაცემები და მამამისისთვის ამერიკაში მისი წაყვანა ურჩევია, რათა მარიას, ნიკ ბოლეტერის ცნობილ საჩოგბურთო აკადემიაში გაეგრძელებინა ვარჯიში. იურისაც დიდხანს აღარ უფიქრია და მალე, ქალიშვილთან ერთად ოკეანის გაღმა გამგზავრებულა, თუმცა მაშინ, მხოლოდ 500 დოლარი ედო ვიბეში. მამა-შვილი მაიამიში ღამის 11 საათზე ჩავიდა, სადაც ნაცნობის ახლობელი უნდა დახვედროდათ, მაგრამ რატომღაც აეროპორტში არ მივიდა. ამიტომ იურიმ და მარიამ ღამე იაფფასიან სასტუმროში გაატარეს, დილით კი, ყოველგვარი წინასწარი მოლაპარაკებისა და მიწვევის გარეშე, ბოლეტერის საჩოგბურთო აკადემიას მიადგნენ. „ჯერ ავტობუსით, შემდეგ კი მატარებლით ვიმგზავრეთ. არ ვიცი, როგორ მივალწიეთ მიზანს – ჩვენ ხომ არც ერთი ინგლისური სიტყვა არ ვიცოდით?!“ სამაგიეროდ, აკადემიაში შეგვხვდა ქალი, რომელიც რუსულად ლაპარაკობდა. მეც სწორედ მას ვთხოვე, რომ დაწესებულების ხელმძღვანელობა დაეყოლიებინა იმაზე, რომ ჩემი ქალიშვილის საჩოგბურთო მონაცემები შეემოწმებინათ“, – იხსენებს იური შარაპოვი.

მარია გასინჯვისთანავე მიიღეს აკადემიაში. ვიდრე იგი სწავლობდა, იური მშენებლობაზე მუშაობდა და აკადემიის ახლოს მდებარე, პატარა ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. „ჩემი მეუღლე ელენა, ვიზის უქონლობის გამო ვერ ჩამოდიოდა ჩვენთან. ასე გავატარეთ 2 წელი – ჩვენ ამერიკაში, მან კი – რუსეთში. ფული საერთოდ არ მქონდა, მანქანის ყიდვა არ შემეძლო და ყოველდღე, თითო საათის განმავლობაში მიხდებოდა სახლიდან ჩოგბურთის აკადემიამდე ფეხით სიარული. შემდეგ, როგორც იქნა, მოტოციკლეტის ყიდვა შევძელი. მაგრამ ერთხელ, პოლიციამ გამაჩერა, რადგან უკანა სკამზე ჩაფხუტის გარეშე მარია მეჯდა: მაშინ ზედმეტი 10 დოლარიც არ გამაჩნდა, რომ ჩაფხუტი მეყიდა... შესაძლოა, ასეთმა გაჭირვებამაც გამოუმუშავა მარიას მტკიცე ხასიათი“, – დასძენს იური შარაპოვი. მისი ქალიშვილის მტკიცე ხასიათი და გამარჯვებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა კი

უკვე კარგადაა ცნობილი მთელ საჩოგბურთო სამყაროში. „მტკიცეო?... ის ხომ კედლებსაც გაანგრევს!.. კორტზე მარია ძალიან ეგოისტურად იქცევა. მას თითოეული ჩაწოდებული ბურთის მოგება სურს, თუმცა კორტს მიღმა, ეგოიზმს ნამდვილად ვერ დასწამებ. ის უბრალოდ, გაბეღული და მიზანსწრაფულია, მაგრამ თავგზა არასოდეს აებნევა. მარია მშვენივრად ხელავს, თუ რა ხდება მის გარშემო. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებებს და ყველაფერს სწორად აკეთებს. და კიდევ: მარია ლამაზ ახალგაზრდა ქალად იქცა, მაგრამ ერთი კარგი თავისებურებით გამოირჩევა: თუ კუნძიკოვას კორტზე საკუთარი გარეგნობით სურდა ყურადღების მიპყრობა, შარაპოვა ამას არასოდეს აკეთებს“, – ამბობს ნიკ ბოლეტერი, რომელსაც არაერთი ჩოგბურთის ვარსკვლავი აღუზრდია, მათ შორის – ბორის ბეკერი და ანდრე აგასი.

უიმბლდონის ტურნირში გამარჯვების შემდეგ, მარია შარაპოვა არა მარტო საჩოგბურთო სამყაროს, არამედ მსოფლიოში ცნობილი ფირმების ყურადღების ცენტრში მოექცა. ახალგაზრდა ჩემპიონს უკვე დაუკავშირდნენ „ნაიკის“ წარმომადგენლები, ხოლო ჩოგნების მწარმოებელმა კომპანია „პრინსმა“ შარაპოვასთან 450 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების კონტრაქტის გაფორმებაც მოასწრო. „მარიას ცხოვრება საბოლოოდ შეიცვალა. ის ამას ალბათ



ჯერ რიგიანად ვერც აცნობიერებს“, – ამბობს ბორის ბეკერი, რომელმაც უიმბლდონის ტურნირზე პირველად, ასევე 17 წლის ასაკში გაიმარჯვა.

მარია შარაპოვა დიდ ყურადღებას უთმობს სწავლა-განათლებასაც. „ამერიკულ სკოლაში ვსწავლობ და ინტერნეტის საშუალებითაც ვმეცადინეობ. გარდა ამისა, დედა რუსულ ენასა და ლიტერატურაში მაშინდაც“, – ამბობს ჩოგბურთელი, რომელმაც სერენა უილიამსის დამარცხების შემდეგ, უიმბლდონის საპრიზო ფონდიდან 560 ათასი გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 1.018 მლნ დოლარი) მიიღო. „მიყვარს საჩუქრების მირთმევა. ასე რომ, მშობლებს რამეს ვუყვით. რას?... ფეიქრობ, მამაჩემს დათოვლილი მთა მოეწონება, სადაც თხილამურებით სრიალი შეეძლება. დედა კი ყოველთვის ამბობს, რომ მას არაფერი სურს, მაგრამ რაიმე კარგს აუცილებლად ვაჩუქებ, რათა ამით მისდამი მადლიერება გამოვხატო; ის ხომ ყოველთვის ჩემ გვერდით იყო, როდესაც მიჭირდა – მაშინაც კი, როცა ამერიკაში ვერ ჩამოდიოდა“. მომავალი წლის დასაწყისში, მარია ავტომობილის მართვის უფლებას მიიღებს, რის შემდეგაც, იგი „პორშეს“ ყიდვას აპირებს. რაც შეეხება მის სხვა გატაცებებს – „მევირალა კონკიას“ ძალიან აინტერესებს მოლა. „ახალ მოდელებს ვადევნებ თვალყურს და თავადაც ვხატავ ხოლმე ტანისამოსის ესკიზებს, ფერების კომბინირება მიყვარს“, – ამბობს მარია, რომლის პირადი ცხოვრების დეტალების გამოაშკარავება, ყვითელი პრესის მესვეურთა ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავად იქცა. ფოტომონადირეები უკვე ცდილობენ, ჩოგბურთელის დედიშობილა გადაღებას, აბეზარი ჟურნალისტები ღონეს არ იშურებენ შარაპოვას ბიოგრაფიის (რა თქმა უნდა, თუ ჰყავს) ვინაობის დასადგენად. მაგალითად, გაზეთმა „სანმა“ გამოაქვეყნა

წერილი სქელი და მელიოტი მარკ ფიშერის შესახებ, რომელიც ცოტა ხნის წინ, 44 წლის გამხდარა. ცნობილია, რომ მას ორი შვილი ჰყავს. ფიშერი მილიონერი ყოფილა. მაგრამ ჯერჯერობით ვერ დაუდგენიათ, თუ რა ურთიერთობა აქვს მას 17 წლის შარაპოვასთან. ბევრი ამბობს, რომ მილიონერს ჩოგბურთულ გოგონასთან მხოლოდ მამაშვილური დამოკიდებულება აკავშირებს. მარიაში დიდი საჩოგბურთო ნიჭია ჩაბუდებული. ფიშერს ეს წლების წინ შეუნიშნავს, როდესაც ნიკ ბოლეტერის აკადემიას სწვევია, სადაც მისი ორი შვილიც სწავლობს და ვარჯიშობს. მას შემდეგ, მარკ ფიშერი შარაპოვას არა მარტო მორალურად, არამედ მატერიალურადაც ეხმარებოდა.

მაგრამ დღესდღეობით, მარიასთვის უმთავრეს ფიგურად მაინც მშობლები რჩებიან: „მამის გარეშე ვერაფერს მივაღწევდი. დედა კი, ჩემი საუკეთესო მეგობარია. ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ, ერთად დავდივართ პლაჟზე, ვკითხულობთ წიგნებს. მაგრამ როდესაც საქმე ჩოგბურთის ეხება, პრობლემებს მამასთან ერთად განვიხილავთ. იგი ჩემ გვერდით იყო, როდესაც ჩოგბურთში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი და ვვრძნობ, რომ ყველაფერს მამასთან ერთად მივალწიე... დედა სხვადასხვა ქვეყანაში ასპარეზო-

ბისას თან არ დამყვება. მაგრამ ჩვენ მას ყოველი მატჩის შემდეგ ვურეკავთ და ვუბნებით, თუ როგორ მიდის ჩემი საქმეები“, – ამბობს „მყვირალა კონკია“, რომელსაც უიმბლდონის ტურნირში გამარჯვება რუსეთიდან პირველად, ქვეყნის ექსპრეზიდენტმა ბორის ელცინმა მიულოცა.

პირველობის ტრადიციულ ვანშამზე მარია შარაპოვა ელევანტური მოკლე კაბით გამოცხადდა და კამერების წინაც დიდხანს ტრიალებდა, თუმცა რატომღაც ჟურნალისტებისთვის ერთხელაც არ გაუღიმა. „სამწუხაროდ, ვანშამზე ვერ მოვხვდი და ვერ ვიხილე, თუ რა სიგრძის კაბა ეცვა შარაპოვას“, – უთქვამს უიმბლდონის ვაჟთა შეჯიბრების ფინალში როჯერ ფედერერთან დამარცხებულ ენდი როდიკს, რომელსაც ალბათ მარიას ფეხების სიგრძე უფრო აინტერესებდა, ვიდრე კაბისა...

ერთი სიტყვით, ამჟამად, მთელი საჩოგბურთო სამყარო მარიამანითაა შეპყრობილი. 17 წლის შარაპოვა კი ცდილობს, რომ არავითარ ცდუნებას არ აპყვეს და დარჩეს იმაღ, რაც აქამდე



იყო: „ნამდვილად არ ვარ ახალი ანა კურნიკოვა; მე ახალი მარია შარაპოვა ვარ. ალბათ ხალხს ავიწყდება, რომ ანა უკვე აღარ ჩანს კადრში. ახლა მარიას დროა. ცხადია, მსურს, რომ კორტზე კარგად გამოვიყურებოდე. მაგრამ აქ ჩოგბურთის სათამაშოდ ვარ და არა იმისთვის, რომ ჩემი სექსუალურობა წარმოვაჩინო. თანაც, მე ანაზე უფრო დიდხანს მსურს დიდ სპორტში დარჩენა. ერთი სიტყვით, ამჟამად ჩემთვის მხოლოდ ჩოგბურთი არსებობს და ვიმედოვნებ, რომ ეს გამარჯვება ვერ შემცვლის. ზოგიერთ ჩემს ნაცნობს უკვე ვთხოვ კიდევ: თუ უარყოფითად შევიცვლები, მათ უბრალოდ თავში წამომარტყან...“

სპორტული მოხაიკა

ერიქსონს ქალაქთან შეხვედრას უარქალაქენ

ათიოდე დღის წინ, ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი მეგობარ ქალს ნენსი დელ ოლიოს დაშორდა. ამ უკანასკნელმა უმაღლე გაიჩინა ახალი საყვარელი, ბრიტანული Mirror-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ორიოდე დღის წინ, 45 წლის ბიზნესუომენი, რომელიც ლონდონის ცენტრში მდებარე, 2 მილიონად ღირებული სახლის მფლობელია, თვით პრინც ჩარლზს შეხვედრია. ერთი ირწმუნებია, რომ ეს შეხვედრა საქმიანი იყო, მეორე კი მიიჩნევს, რომ ვანშობისას პრინცი ჩარლზი და ნენსი დელ ოლიო პირად საკითხებზეც ბაასობდნენ... ქალბატონის პირადი პარიკმახერის თქმით, მისი კლიენტი იმ დღეს, ჩინებულ ხასიათზე იმყოფებოდა. რაც შეეხება ერიქსონს, მისთვის ნენსისთან განშორებას მძიმე სულიერი ტრავმა მიუყენებია. ფეხბურთის ცნობილი სპე-



ციალისტი ამჟამად შევდეთში, დედასთან სტუმრად იმყოფება და თუ მის ნაცნობებს დაუჯერებთ, ერთობ უხასიათოდაა. ისე კი, ერიქსონისთვის განწყობა შეიძლება, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის მიერ მისდამი გაგზავნილ წერილსაც გაუფუჭებინა, რადგან მასში, ალბინელთა ნაკრების თავკაცს თურმე, ერთ-ერთ ქალბატონთან არშიფობისგან თავშეკავებას ურჩევენ...

პენალტის ნიშნულიდან – ხანადაში

გაიყდა ბურთი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის მეოთხედი-ფინალური მატჩის პენალტების სერიაში დევიდ ბექჰემის დარტემის შემდეგ, დიდი მანძილით ასცდა მასპინძელთა კარს და ტრიბუნისკენ გაფრინდა. პირი, რომელსაც ბურთი ჩაუვარდა ხელში, ონლაინ-აუქციონით საკმაოდ დიდხანს ცდილობდა მის სარფიანად გასაღებას, საბოლოოდ კი, „მხოლოდ“ 28 ათას ევროს დასჯერდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბურთის მფლობელს, კლიენტები 3-4-ჯერ უფრო დიდ თანხასაც სთავაზობდნენ, მაგრამ ბოლო მომენტში, შექენაზე უარს აცხადებდნენ. სხვათა შორის, ბურთის საწყისი ღირებულება 22 გახლდათ. მისი ახალი მფლობელი კი, კანადის მოქალაქეა, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით უცნობია.



გერმანულმა ფირმამ საავტომობილო საზოგადოებრიობას სახელგანთქმული მოდელის – 911 Carrera – მეექვსე თაობა წარმოუდგინა. წინამორბედი ვერსია, რომელიც 7 წლის განმავლობაში არ ჩამოსულა კონვეიერიდან, ნამდვილ ბესტსელერად იქცა: მისი რეალიზაციის მოცულობამ 160 ათას მანქანას გადააჭარბა. მაგრამ Porsche 911-ის ახალ თაობას ამ შედეგის გაუმჯობესებაც ძალუძს.

ღიზანის თვალსაზრისით, ახალი მოდელი მწარმოებელთა მხრიდან იმ ტრადიციისადმი ერთგულებას ადასტურებს, რომელსაც 40 წელიწადზე მეტი ხნის წინ, 911-ის პირველ ნიმუშში ჩაეყარა საფუძველი. შემთხვევითი არაა, რომ „პორშეს“ სპეციალისტები ძალზე ფრთხილად ეკიდებიან ამ მოდელის გარეგნობაში ნებისმიერი ცვლილების შეტანას, ამიტომ ტრადიციული და ნოვატორული ელემენტების ჰარმონიულ ურთიერთშერწყმას აღწევენ. მაგალითად, ახალი მოდელი წინამორბედთან შედარებით მხოლოდ 3 მმ-ით დაბოკლდა, რაც ადამიანის თვალისთვის სრულიად შე-



Porsche ჩეხოხისჯენ მიინჯეს

უმჩვევლია, სამაგიეროდ, მანქანას მილიანობაში უფრო გამოკვეთილად სპორტულ ეერს ანიჭებს.

ავტომობილის კაპოტქვეშ, 3596 კუბ/სმ სამუშაო მოცულობის, 6-ცილინდრიანი ძრავა „ფეთქავს“, რომელიც 325 ცხ.ძ. (წინამორბედზე 5 ცხ.ძ-ით მეტ) სიმძლავრეს ავითარებს. 100 კმ/სთ სიჩქარეს Porsche 911 Carrera სულ რაღაც 5 წმ-ში აღწევს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 285 კმ/სთ-ია. საწვავის საშუალო ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე 11 ლ-ია. კონსტრუქტორებს საფუძვლიანად უძუშავიათ 6-საფეხურიანი გადაცემათა

კოლოფის დახვეწაზე და როგორც ექსპერტები აცხადებენ, საუცხოო შედეგსაც მიაღწიეს.

ამ საავტომობილო შედეგის ფასი გერმანიაში 75.200 ევროდან იწყება, მოდიფიკაცია – Carrera S 10 ათასით ძვირი ეღირება, სამაგიეროდ, მისი სიმძლავრე 30 ცხ.ძ-ით მეტი, ძრავას სამუშაო მოცულობა კი, 3,8 ლ, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე, 293 კმ/სთ იქნება, რაც „პორშეს“ პროდუქტს მის მთავარ კონკურენტებთან – Mercedes SL AMG-სა და BMW M3-თან პაექრობაში სრულ უპირატესობას მიანიჭებს. ■



Citroen C3 Pluriel

ჩვენს მეზობლად გამოჩნდება

ფრანგული კომპანია ევროპაში უკვე საკმაოდ პოპულარული ამ მოდელის რუსეთში გაყიდვას იწყებს. Citroen C3 Pluriel ორიგინალური ტექნიკური თავისებურებებით გამოირჩევა: ეს ფაქტობრივად, მანქანა-ტრანსფორმერია, რომელიც დახურული ჰეჩბეკიდან იოლად გარდაიქმნება კაბრიოლეტად, სპაიდერად და პიკაპადაც კი.

პირველად ეს მანქანა ფართო საზოგადოების სამსჯავროზე 1999 წელს გამოჩნდა. დარწმუნდა თუ არა მის დადებით რეაქციაში, კომპანია ახალი მოდელის სერიაში გასაშვებად მზადე-

ბას შეუდგა. ამ პროექტის განსახორციელებლად ფირმამ 202 მლნ ევრო გამოყო. მისი წარმოება ესპანეთის ქალაქ ვილავერდეში ხორციელდება. Pluriel, რომელსაც C3-თან საერთო პლატფორმა აქვს, ორი – 1,4 და 1,6 ლ მოცულობის ძრავით აღიჭურვება. პირველი, 75 ცხ.ძ-ს, ხოლო მეორე – 110 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს. მანქანის გადაცემათა რობოტ-

იზებული კოლოფი – SensoDrive, ელექტრონული მართვითაა აღჭურვილი. ის ორივე – როგორც მექანიკურ, ასევე ავტომატურ რეჟიმში მოქმედებს.

რუსეთში Citroen C3 Pluriel-ის მინიმალური ფასი 15.600 ევრო იქნება – სწორედ ამდენი ეღირება 1,4 ლ მოცულობის ძრავით აღჭურვილი მანქანა. მის საბაზო კომპლექტაციაში შევა: საჭის ელექტროგამაძლიერებელი, უსაფრთხოების 4 ბალიში, ცენტრალური საკეტი. უფრო მძლავრი – 1,6 ლ-იანი ვერსია მომხმარებელს 17.200 ევრო დაუჯდება. ■





(დასაწყისი იხ. „გზა“ № 26-30)

მცაცენლის ინსცენქსი

რუსულან ბერიძე

ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს თავისი ბიზნესპარტნიორი შალვა ოშხერელი მცხეთაში, ნარკოტიკების გამსალბლებთან სალაპარაკოდ ჩაიბრუნებდა. ანდროს თავისი თანამშრომელი და საყვარელი, დალი ხაჩიძე ახლავს თან. რესტორანში, სადაც ანდრო და შალვა მოდავეებს ხვდებიან, ვიღაც უმისამართო სროლას ატეხს და ერთ ტყვიას კინალამ ანდროსაც მოარტყამს. პასუხად, ანდროც რამდენჯერმე გაისვრის ჰაერში. სწორედ იმწუთას, მეზობელ მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა კაცი იატაკზე უსულოდ დაეცემა. სროლის ხმაზე გასაკვირი ოპერატიულობით მოვარდნილი პოლიციელები ანდროს იარაღით ხელში დააკავებენ...

მას ეჭვმიტანილად ცნობენ და წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსებენ. ანდროს ფირმის ადვოკატი მოულოდნელად ავტოკატასტროფაში მოყვება. მისი

რჩევით, დალი ხაჩიძე დახმარებისთვის თავის ძველ მეგობარს მეგი ლალიძეს მიმართავს.

ანდროს საქმეს ადამიანების დაშანტაჟებაში დახელოვნებული გამომძიებელი სულიკო ფვანია იძიებს. ის ანდროსაც მალე გამოიყვანს წინასწარი ბიდან: როცა ერთ-ერთი დაკითხვის დროს ირონიულად შენიშნავს — შენს ცოლყოფილს დაკითხვაზე ხშირად ვატარებო, — გაცოფებული ანდრო გამომძიებელს ყელში სწვდება... თავზარდაცემული მეგი ანდროს მკლავებში კვილით ჩააფრინდება: ხელი გაუშვი, არ შემოგაკვდესო! კვილაზე ოთახში ბადრაგი შემოვარდება... იმავე დღეს, მოსამართლე, ანდროს წინასწარ სამთვიან პატიმრობას მიუსჯის.

მომხდარის შემდეგ შინ დაბრუნებულ დათრგუნვილ მეგის კარზე ყოფილი დიდი სიყვარული კახა სუთიძე მიადგება. კახა მეგის, ანდრო სვანიძის საქმეზე უარის თქმას სთხოვს, მაგრამ მეგის ამის გაგონებაც კი არ სურს. მეორე დღით კახა მეგის კარზე დალი ხაჩიძეს მიაყენებს: აქაოდა, ადვოკატის შეცვალა თავად ანდროს აქვს გადაწყვეტილი. სიმართლის გასარკვევად, მეგი მაშინვე ანდროსთან მიდის. მაგრამ ანდრო მის ადვოკატობაზე უარს არ ამბობს. ამით კმაყოფილი მეგი, არჩილ ხომასურიძის სანახავად, ბათუმში წასვლას გადაწყვეტს. ანდრო მას თავის მანქანასა და მძღოლს შესთავაზებს, მაგრამ მოულოდნელად, მეგი ბათუმში კახა სუთიძესთან ერთად გაემგზავრება...

თბილისს გასცდნენ თუ არა, კახამ ცენტრალური გზიდან გადაუხვია, ნელ-ნელა სიჩქარესაც უკლო და ბოლოს, მწვანეში ჩაფლულ კოპწია რესტორანთან გააჩერა მანქანა.

— მოკვდიო! — თქვა მან და ძრავა გამორთო.

— სად? — რესტორნის ფასადი

გაკვირვებით შეათვალიერა მეგიმ.

— როგორ თუ სად?! — იწყინა კახამ. — დაგავიწყდა, ამ ადგილთან რამდენი ლამაზი წუთი გვაკავშირებს?!

— ამ ადგილთან კი არა, მე შენთან დაკავშირებული სხვა ყველაფერიც დამავიწყდა... — მშვიდად უპასუხა მეგიმ. — ასე რომ, იქნებ, გზა გავკვერძელებინა?!

— სულ ცოტა ხნით მაინც შევიდეთო! — გაჯიუტდა კახა. — დილიდან, პირში ლუკმა არ ჩამსვლია.

— მაშინ სალობიემდე მივიდეთ და დიდ-დიდ „პერაშკებს“ გიყიდი... — ხმაში ირონია გამოურია მეგიმ.

— „პერაშკები“ და გზადაგზა ჭამა არ გამოვა! — იუარა კახამ. — მართლა ლაწირაკები ხომ არ ვართ?!

— ნეტავ ვიყოთ... — ამოიოხრა მეგიმ.

— მაინც რას იზამდი?... ცხოვრებას თავიდან ხომ არ დაიწყებდი?..

— თავიდან — არა, მაგრამ მის ზოგიერთ მონაკვეთს კი ნამდვილად აუწყული ვკვრდს...

— კერძოდ? — თვალები ეშმაკურად მოჭუტა კახამ. — იმას ხომ არა, ჩვენ რომ ერთად...

— მორჩი, რა! — უხეშად გააწყვეტინა გაღიზიანებულმა მეგიმ. — თუ მართლა გშია, გადადი, რამე შეჭამე და გზა გაავარძელო!

— უშენოდ მანქანიდან ფეხსაც არ მოვიცვლი! — სავარძლის საზურგეზე ვითომ არხეინად გადაწვა კახა, თუმცა უმაღლეს ველში გასწორდა: — გამახსენდა!.. ვაშა-ა!..

— საინტერესოა, მაინც რა გაგახსენდა? — გულგრილად ჰკითხა მეგიმ.

— რა და, ეს მარტო ჩვენი ახალგაზრდობის დროინდელი თავშეყრის ადგილი კი არა — ის საბედისწერო ადგილიცაა, სადაც შენმა კლიენტმა სრულიად უღანაშაულო კაცი გაავორა.

— ვინ?.. — შეცბა მეგი. — ანდრომ?!

— აჰ, იმ ვაჟბატონს უკვე ასე შინაურულადაც მოიხსენიებ?!

— კი. და ნელ-ნელა, კიდევ უფრო გავუშინაურდები... ხოლო როცა მის საქმესაც მოვიგებ, ძილად გადავსკვნილი მეგობრებიც გავხვდებით...

— მხოლოდ მეგობრები თუ... —

— ამას დრო გვიჩვენებს... — რესტორნის ფასადი კიდევ ერთხელ შეათვალიერა მეგიმ და მერე დასძინა: — ისე, რამდენადაც მახსოვს, იმ რესტორანს, სადაც ანდრო სვანიძეს სხვისი დანაშაული აჰკიდეს, სულ სხვა სახელი ერქვა...

— ერქვა! — ცივად დაუდასტურა კახამ. — მაგრამ მკვლელობის მეორე

დღესვე გადაარქვეს და ახლა აქ რესტორანი „ოაზისი“ მდებარეობს... ჩვენს დროს კი, მეონი, „მტკვარი“ ერქვა, ხომ?

– ხომ გითხარი – ჩვენი დრო საერთოდ აღარ მასხოვს-მეთქი! – უპასუხა მეგიმ და მანქანის კარი გამოაღო: – კარგი, გადავიდეთ. ოღონდ გაფრთხილებ – წვეთ სასმელსაც არ დალევ, თორემ, შენი ამბავი რომ ვიცო...

– აკი, ყველაფერი დამავიწყდაო?! – მხიარულად გააწვევტინა კახამ და მანქანიდან მკვრივცხლად გადახტა...

რესტორანი თითქმის ცარიელი იყო, ერთ-ერთ მაგიდასთან მიმჯდარი, ჭოკივით „გრძელი“ ოფიციალტი კი, უსაქმობისგან ამთქნარებდა. შემოსული წვეთის დანახვისთანავე, ის უცბად წამოხტა.

– კაკოს გაუმარჯოს! – შინაურულად ჩამოართვა მას ხელი კახამ და გაოცებულმა მიმოიხედა ირგვლივ: – რა ხდება, რა სიცარიელეა?... ხალხი რა იქნა?

– რა ვიცი, აბა... – დამნაშავესავით აიჩეჩა მხრები ოფიციალტმა. – იმ ამბის შემდეგ, ყველა გვერიდება...

– უფროსობა ადგილზეა? – საუბრის თემა შეცვალა კახამ.

– ზოგი ადგილზეა, ზოგიც – საქმეზე. ვის დაუქმებ?

– არავის. უბრალოდ, ორი ხაჭაპური და წვენი მოგვებრუნებინე, თორემ, ძალიან გვეჩქარება: სადამომდე ბათუმში უნდა ვიყოთ.

– კი, გენაცვალე! – დაფაცურდა ოფიციალტი. – სად დასხდებით?

– შენ რაც გითხარი, ის გააკეთე, მაგიდას ჩვენ თვითონ შევარჩევთ... – გაისტუმრა კახამ ოფიციალტი, თავად კი, დარბაზის ბოლოსკენ გაუძღვა მეგის და ხის კედელთან მდგარ, ახალსუფრაგადაფარებულ მაგიდასთან მიიყვანა: – მოდი, აქ დავსხდეთ, კარგი?

– როგორც გენებოს, – გულგრილად უპასუხა მეგიმ. – ჩემთვის სულერთია...

დასხდნენ თუ არა, ოფიციალტი მამინვე საიდანლაც ამოიზარდა, სუფრა ჭურჭლით გააწყო და მალე, ცხელ-ცხელ ხაჭაპურთან და ხილის წვეთთან ერთად, ორი ბოთლი ძვირად ღირებულ შამპანურიც მოარბენინა.

– ეს რაღა? – შამპანურის დანახვაზე თვალები მოჩვენებითად გადაუბრიალა მას კახამ. – ხომ გითხარი – მარტო წვენი-მეთქი?!

– კი მითხარით, მაგრამ უფროსებმა მაინც გამომატანეს და რა მექნა?... – მოიბუხა ოფიციალტი.

– ვინ?... გიზომ?

– არა, ვახომ. გიზო გორშია საქმეზე.

– კარგი, – როგორც იქნა, მოწყალება მოილო კახამ, – მაღლობა გადაეცი... ოღონდ, მარტო ერთი ბოთლი გაგვიხსენი, მეორეს კი თან წავიღებთ.

– როგორც მიბრძანებთ, – ოფიციალტმა შამპანურის ბოთლი თითქმის უხმაურად გახსნა და პირველად, მეგის ჭიქის შევსება დააბირა.

– მე არ დამისხათ! – ჭიქისკენ ხელი წაიღო მეგიმ.

– სიმბოლურად... მხოლოდ თითო ჭიქა დავლით, – სთხოვა კახამ, მაგრამ მეგიმ ცივად გააქნია თავი:

– შამპანურს საერთოდ აღარ ვსვამ...

– მართლა?... – გაუკვირდა კახას და ოფიციალტს ანიშნა – მე დამისხიო, – თან განავრძო: – დიდი ხანია?

– მალე, ათი წელი გახდება.

ოფიციალტმა კახას შეუვსო და იქაურობას მალევე გაეცალა.

– მრგვალი თარიღი ყოფილა... – ეშმაკურად გაეღიმა კახას. – ხომ არ აღგვენიშნა?..

– არა! მრგვალი თარიღების აღნიშვნა ცუდად მაქვს დაცდილი... – ჭიქა მაგიდაზე პირქვე დაამხო მეგიმ და თვალი თვალში გაუყარა კახას: – თუ გახსოვს, იმ საღამოს, ანდრო სვანიძე რომელ მაგიდასთან იჯდა?

– როგორ არ მახსოვს?... ზუსტად იქ, სადაც ახლა შენ ზიხარ...

– მართლა?! – მამინვე კედლისკენ შებრუნდა მეგი. შემდეგ ფეხზეც წამოდგა და გულმოდგინედ დაათვალიერა კედელზე დარჩენილი ნატყვიარი.

– მანდ რას უყურებ? – დაინტერესდა კახა.

– ნატყვიარს, – მშვიდად მიუგო მეგიმ. – იმ საღამოს ხომ ანდრო სვანიძეს ვიღაცის მიერ ნასროლი ტყვია სულ რამდენიმე მილიმეტრით ასცდა და ალბათ, ამ კედელში ჩაერჭო...

– რას მეუბნები? მართლა?! – გვერდით მდგარი სკამი თავისკენ ხმაურით მისწია კახამ და საზურგეზე ხელი მძიმედ ჩამოღო. – შენ ამ ბოლო ხანებში, კრიმინალისტობაც ხომ არ შეითავსე?... პირადად ჩემთვის, ეს ნატყვიარი კი არა, ხის ჭიხისგან გამოხრული უბრალო ნახვრეტია...

– ასეთ ნახვრეტს, ჩემო კარგო, ხეში მხოლოდ ტყვია ტოვებს, – კედელს მშვიდად მოსცილდა და ისევ სუფრას მიუჯდა მეგი. – სხვათა შორის, ამის ცოდნას დიდი კრიმინალისტობა არ სჭირდება...

– მართლა?... – ცალი წარბი უცნაურად ასწია კახამ. – რაკი ასეთი მაგარი ხარ, იქნებ, ამ ნახვრეტით იარ-

ალის ტიპიც გამოიცნო?..

– აი, ეგ კი, უკვე მართლა კრიმინალისტებმა გააკეთეს. მაგრამ სულ მალე, მათაც დაუშვტყიცებ, რომ სერიოზულად შეცდნენ ანდა...

– ანდა – რა?

– რა და ის, რომ იმ საღამოს, „მაკაროვის“ პისტოლეტი, რომლის ტყვიის გულაც ვითომ ამ კედელში აღმოაჩინეს, ჩემმა კლიენტმა სინამდვილეში, ორჯერვე ჰაერში – ზემოთ გაისროლა.

– გაისროლა და გზაც იქით ჰქონია! ანდრო სვანიძის ნასროლის დევნას, ცხელ-ცხელი ხაჭაპურის ჭამა არ სჯობია?... – მოზრდილი ნაჭერი გემრიელად ჩაკიჩა კახამ და ლუკმა გადაეკლაპა თუ არა, მამინვე დაუმატა: – იცი, რა გემრიელია?... გასინჯე!

– არ მინდა. აჭარულს მაინც ვერ აჯობებს... – ხაჭაპურიანი თეფში გვერდზე გულგრილად გადადგა მეგიმ და მხოლოდ წვენი მოსვა. – თუმცა, შეიძლება, ხაჭაპურის საჭმელად ვერც ბათუმში მოვიცალო...

– შენ ოღონდ ისურვე და ბათუმში ჩიტის რძეც არ მოგაკლდება, – შეაპარა კახამ.

– შენ რა?... – დამცინავად გაეღიმა მეგის. – არ გაგიგონია – ბათუმელ ჩიტებს მთელი რძე ჯერ კიდევ შარშან რომ გაუმრათ?..

– რას მეუბნები?! – ვითომ ძალიან შეწუხდა კახა. – აბა, ამას წინათ რომ ვიყავი ჩასული, „პარაშოკის“ რძე მასვეს იმ „შაკლემბა“?..

– ამას მხოლოდ ადგილზე ჩასვლის შემდეგ გაარკვევს! – წამოდგომა დააბირა მეგიმ.

– მოიცა! – ხელში ხელი სტაცა კახამ. – მართლა ურჯულოები ხომ არ ვართ?! თითო ჭიქით მაინც დავილოცოთ.

– შენ დაილოცე, – ხელი ფრთხილად გააშვებინა მეგიმ. – მე კი უბრალოდ, მოგიხმენ.

კახამ ჭიქა მაინც შეუვსო მეგის, მერე დეგუსტატორივით სინათლეზე გახედა თავის ჭიქას და მეგისას მიუჭახუნა:

– მოდი, ამ ჭიქით ჩვენს ბედნიერ წარსულში თუნდაც ერთი წამით დაბრუნებას გაუმარჯოს... ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი ცხოვრება ხომ რამდენიმე ასეთი წამის გაელვებაა და მეტი არაფერი...

– გაუმარჯოს! – ჭიქა უხალისოდ ასწია მეგიმ. – ბედნიერი წარსულის გახსენება ნამდვილად სასიამოვნოა, თუმცა, მე პირადად, ახლა მხოლოდ აწმყოთი ვცხოვრობ და ძალიანაც კმაყოფილი ვარ...

— ვერ დაგეთანხმები... — გააწყვეტინა კახამ. — წარსულის გარეშე ჩვენს ცხოვრებას ძალიან ბევრი რამ მოაკლდებოდა. თანაც, ხომ არ დაგავიწყდა, ერთმა ბრძენმა კაცმა რომ თქვა — აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა?..

— გმადლობ, რომ გამახსენე... — დამცინავად გაეღიმა მეგის. — მაგრამ თუ იმ ბრძენის სახელსაც დამიკონკრეტებ, ძალიან დამავალბებს..

— ბრძენი ყველა ბრძენია — კონკრეტულ სახელს რა მნიშვნელობა აქვს?! — შორიდან მოუარა კახამ.

— ისევ ისეთი ზედაპირული დარჩენილხარ... — ხელი ჩაიქნია მეგიმ და წამოდგა. — წავედით, თორემ, მართლა ძალიან დაგვაგვიანდება.

მანქანაში ჩამოწოლილ სიჩუმეს კარგა ხანს, მხოლოდ გარედან შემოსული ხმაური არღვევდა. მოღუშული კახა საჭეს დამწყები მძღოლივით ჩაჰფრენოდა, მეგი კი ფანჯარაში არხეინად იყურებოდა. ბოლოს, დუმილი კახამ დაარღვია:

— რაღაც უნდა გირჩიო, ოღონდ, შენებურად არ ავარდე, კარგი?

— ჩემებურად — როგორ? — ფანჯრისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე ჰკითხა მეგიმ.

— როგორ და, ჯერ სათქმელი ბოლომდე რომ არ მაქვს დამთავრებული, შენ კი უკვე დასკვნა და თანაც, აუცილებლად უარყოფითი გამოგაქვს...

— ეგ ადრე იყო. ახლა კი, მხოლოდ დადებით დასკვნებზე ვმუშაობ... ასე რომ, ნუ გეშინია, მითხარი, რაც გინდა, — შეაგულაინა მეგიმ.

— კარგი, გეტყვი... — მცირედელ ყოყმანის შემდეგ დაიწყო კახამ. — ბათუმში აღბათ, სვანდიის ავტოკატის სანახავად მიდიხარ, ხომ?

— ყოჩაღ! — გაეღიმა მეგის. — ზუსტად გამოიცანი! ბათუმში ნამდვილად სულხან ხომასურიდის სანახავად მივდივარ.

— პირადად მე, ხომასურიდის ნახვის არანაირი სურვილი არ მაქვს, მაგრამ შეიძლება, ვერც შენ ნახო...

— რატომ? — ცივად იკითხა მეგიმ. — შენმა ძმაცაცებმა უკვე საერთოდ ხომ არ „ააორთქლეს“?

— არა. მაგრამ თუ ნამეტანს გაახურებს, მერე საკუთარ თავს დააბრალოს...

— გამოდის, რომ თუ ნამეტანი გავახურე, მეც ხომასურიდის ბელს გავიზიარებ, ხომ?..

— არა. შენ, ჩემი ხათრით, ჯერჯერობით, ხელს არავინ გახლებს.

— კარგი, ერთი, მართლა?.. — დამცინავად გაეღიმა მეგის. — შენი ხათრით და ისიც, მხოლოდ ჯერჯერობით?!

უცბად კახამ მანქანა ისე მკვეთრად დაამუხრუჭა, რომ მანამდე სავარძლის საზურგეს არხეინად მიწოლილმა მეგიმ კინაღამ შუბლით საქარე მინა გაიტანა.

— რას შვრები?! — შეკვივლა ინერციით ისევ უკან გადაქანებულმა ქალმა და ორივე ხელით კარის სახელურს ჩააფრინდა. — ხომ არ გავიჟიდი?!

— მე კი არა, შენ გავიჟიდი! — მანქანის ძრავა გამორთო კახამ და მთელი ტანით მეგისკენ შებრუნდა. — გოგო, გამაგებინე, ერთი, რა გაჭამეს?.. ვისთვის ებმები ამ ხათაბალაში?.. რამდენადაც ვიცო, ეგ ანდროა თუ ვიღაც ეშმაკი, სულ რამდენიმე დღის წინ გაიცანი!.. ჰოდა, შეეშვი, რა! ერთით მეტი კლიენტი გეყოლება თუ ერთით ნაკლები, მართლა ამით ხომ არ იზომება შენი პროფესიონალიზმი!.. თუ ფულს დახარბდი, არც ეგაა პრობლემა: ხომ გითხარი — ჩვენ ბევრად მეტს გადავიხდით-მეთქი!..

— როდის? — განყენებული სახით იკითხა უცბად მეგიმ.

— რა — როდის? — ვერ გაუგო კახამ.

— ფულს როდის გადამიხდით-მეთქი? — მშვიდად დაუკონკრეტა მეგიმ.

— როდის და, როგორც კი თბილისში დავბრუნდებით, მაშინვე, — მაინც უნდოდ შეათვალეირა ქალი კახამ.

— გასაგებია... რამდენს გადამიხდით? — ხომ გითხარი — სვანიძეზე ორჯერ მეტს მაინც-მეთქი!

— საიდან იცით, სვანიძე რამდენის გადახდას შემპირდა?

— ჩვენ ყველაფერი ვიცით, საყვარელო... — ლოყაზე ხელი პატარა ბავშვივით მოუცაცუნა კახამ მეგის. — მაგრამ რომც არ ვიცოდეთ, სვანიძე ისეთს რას შეგპირდებოდა, ამდენი ხალხი ერთად რომ ვერ შევწვდეთ?..

— ისე, მაინც რამდენი ხართ? — კახას ხელი უხეშად მოიცოლა მეგიმ.

— ბევრნი, გოგონი, ძალიან ბევრნი... — ამჯერად, მოწყალე მზერა ააყოლია ყალბა ქალს კახამ.

— ფულიც ბევრი გაქვთ?

— ძალიან... — წაიჩურჩულა კახამ.

— მერე არ გრცხვენიათ, ამდენი და ასეთი მდიდარი ხალხი ერთ საწყალ კაცს რომ გადაჰკიდებიხართ და უსინდისოდ ართმევთ ბიზნესს?!

— სვანიძის უღლეური ბიზნესი ჩვენ სულ ცალ ფეხზე გვეკიდია! — ბრაზიანად წამოიძახა უცბად კახამ.

— ასეც ვიცოდი... — ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა მეგიმ. — ახლა ჩემთვის მართლაც, ყველაფერი გასაგებია...

— ჩემთვისაც, — მანქანის ძრავა ისევ აამუშავა კახამ. — ახლა საით? თბილისისკენ თუ...

— სანამ ხომასურიდეს არ შევხვდები, თბილისში დაბრუნებაზე არც კი დამელაპარაკო!..

— დამიჯერე, რა! ხომასურიდის ნახვას აზრი არა აქვს, მაინც არაფერს გეტყვის.

— რატომ?.. საწყალს, უკვე ენაც მოაჭერთ?..

— არ გეჩვენება, რომ უკვე ძალიან უკბილოდ ხუმრობ? — შეუღრინა ქალს კახამ.

— შენ კი, თავს ძალიან ბევრის უფლებას აძლევ! — არ დაუთმო მეგიმ. — მე შენ მხოლოდ ბათუმამდე წაყვანა გთხოვე. თუ გადაიფიქრე ან რაღაცის შეგეშინდა, პირდაპირ მითხარი და ბათუმისკენ მიმავალ პირველსავე მანქანაში გადავჯდები.

უცბად კახამ გიჟივით მოსწყვეტა მანქანა ადგილიდან და ტრასაზე გააქანა...

ბათუმში ჩასულ მეგისა და კახას, სულხან ხომასურიდე საავადმყოფოში მართლაც, არ დახვდათ. პალატაში, სადაც ის მეგის ეგულებოდა, ლამის თავიდან ფეხებამდე თაბაშირში ჩასმული, ოციოდე წლის ბიჭი იწვა და ჭერში ერთ წერტილს მიშტერებოდა. ბიჭს, მისი ასაკისთვის შეუფერებლად, ენერგიული ბებია ადგა თავზე. ის მეგისა და კახას დანახვაზე უმაღ აქითქოთდა: — დაგავიანდათ, ნენა, უკვე წვიფვანეს ბატონი სულხანი. თბილისში წვიფვანეს.

— ვინ წაიყვანა? — დაინტერესდა მეგი.

— ცოლმა... ამ დღით, ვინცხა ორი, მთასავით ყაზილარი მიეცილა თან და საწყალი კაცი სულ კვნესა-კვნესით გეიყვანეს პალატიდან, აპა!..

— კატო ბებია!.. — თვალეხი გადაუბრიალა მოხუცს აქამდე უხმოდ მწოლიარე შვილიშვილმა. — რა ენად გაიკრიფე?!

— რა იყო მერე, რამაზიე?.. ტყუილს ვამბობ რამეს თუ?..

— ტყუილს არ ამბობ, მარა არც სიმართლის თქმა დოუვალებია შენთვის ვინმეს!.. — ისევ გაუწყრა ბიჭი ბებიას.

— კი, ბატონო! თუ მარტო ეგ უშლის საქმეს ხელს, სულ დავმუნჯდები, — შვილიშვილს დემონსტრაციულად აქცია ზურგი და ისევ მეგის მიუბრუნდა: — შენ სულხანის რა ხარ, ნენა?

— კოლეგა, — ძლივს გასაგონად უპასუხა შეფიქრიანებულმა მეგიმ.

— რაი? — ჩაეკითხა კატო.



– მეც, ბატონი სულხანივით, ადვოკატი ვარ, – განუმარტა მეგიმ.

– აღარ წავიდეთ? – ჰკითხა უცბად მეგის, პალატის გამოღებულ კართან მდგარმა კახამ.

– წავიდეთ... – ამოიხრა მეგიმ და ბებია-შვილიშვილს სწრაფად დაემშვიდობა.

– ერთ წუთას მობრუნდი აქანე, ნენა... – კართან დააწია ქალმა.

მეგი მაშინვე მიბრუნდა.

– გისმენთ, კატო ბებია!

მონუცმა საწოლის გვერდით მდგარი ბატარა ტუმბოს უჯრა გამოაღო, საკაოდ სქელტანიანი საქალაღდე ამოიღო და მეგის გაუწოდა:

– ნუ დამზარდები, ნენა, და თბილისში რომ ჩახვალ, აი ქალაღდები სულხანს გადაეცი – კატო კვაჭანტირაძემ გამოგიგზავნა-თქვა... თვითონ უნდა წეელო, მარა ისე უცვფათ გააქანეს, რომ ქალაღდები კი არა, კინაღამ თავიც აქანე დარჩა... თბილისში ერთოთახიანი ბინა დაგვიტოვა მე და რამაზიეს ჩემმა ბიძაშვილმა და მეონი, იქოური მეზობლები გვართმევენ...

– ქალაღდების გადაცემას როგორ დაგზარდებით, კატო ბებია, მაგრამ მე შეიძლება, კარგა ხანს საერთოდ ვერ ვნახო ბატონი სულხანი... – შეწუხდა მეგი.

– როცა ნახავ, მაშინ იყოს. აქანე ტყვილა ღებას, ისევე შენთან იყოს!.. თანაც, შენც ალუკატი ყოფილხარ და თუ შეიცვლი, იქნება, შენც ქე გადახედო...

– გადახედავს, აბა, რა!.. – გააწყვეტინა რამაზმა ბებიას. – მთელი თბილისის ადვოკატობა შენი ერთოთახიანი ბინის დარღს გადაჰყვება!..

– ამ აბღალს ყურს ნუ უღდებ, ნენა! სანამ თავს დაარტყამდა, მანამღეც არ იყო მთღად ჰკვაზე...

– კარგი, კატო ბებია, – გაეღმა მეგის, – წავიღებ ამ დოკუმენტებს და ყვეღაფერს მე თვითონ გაგირკვევთ...

– ისე, შენც მაგარი სიაფანღობა გისწავღია, – როგორც კი საავღდმეფოს გასცდნენ, მაშინვე გადაღლაპარაკა კახამ მეგის.

– რას გუღისხმობ?... – მკაცრად ჰკითხა უამისოღაც საკმარისად დაბღღმიღმა მეგიმ.

– საწყალ დეღაბერს წამში დქროს კოსკები რომ აუღე, იმას... ქალი მიღიონიან საქმეებს ეთამაშები და ვიღაც კატო ბებიას ერთოთახიანი ბინის საბუთებში ქექვით დაიღლი თავს?!.

– შენს ჯიბრზე ახღავე დავიწყე! – საქაღაღდე სასწრაფოდ განხნა მეგიმ, პირვეღი ფურცელი ამოიღო, სტრიქონებს სწრაფად გადაურბინა და გაოცებისღან თვალღები გაუფართოღდა:

„ჩემო მეგი! – ეწერა ფურცელზე. – ვფიქრობ, ეს დოკუმენტები ანდრო სვანიდიის საქმეში გასარკვევად საფუძღელიანად დაგეხმარებათ. მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, რომ ჩემი სახელი არსად ახსენით“... წერიღს ადვოკატი სულხან ხომასურიძე აწერდა ხელს და მეგის იმასაც თავაზიანად თხოვღდა, რომ საქაღაღდის გაღდმოსკემ კატო კვაჭანტირაძესაც შეღძღებისღდაგვარად დახმარებღდა...

– რა უცბად გეცვღალა ფერი? – დამცინავად შეათვღლიერა კახამ სარკეში, ამჯერად უკანა სავარძელზე მოკაღათებული მეგი. – კატო ბებიას „სასანღე“ მართღა ხომ არ ეკარგება?!.

– ჯერ არ ვიცი... – ფურცელი სასწრაფოდ საქაღაღდეში ჩააბრუნა მეგიმ და ახღა მეორე ამოიღო.

– ჰა, აღარ იტყვი, რა ხღდება? – ქირქიღს განაგრძობღა გამხიარულებული კახა. – გაღარჩება კატო ბებია თუ ბინას მაინც „აახევენ“?

მეგიმ მეორე ფურცელიც რამღენჯერმე გაღაიკითხა, შემღდე ისიც საქაღაღდეში ჩააბრუნა, საქაღაღდე კი, გახარებულმა, გულში ჩაიხსუღტა და მხოლოდ ამის შემღდე გასცა კახ-

ას პასუხი:

– გაღარჩება!.. და თანაც, არა მართო კატო ბებია...

– მართღა?... – გაუკვირღა კახას. – კიღევ ვინ?

– ამას მოგვიანებით, უჩემოღაც შეიტყობ! – წელში ამყად გასწორღდა მეგი.

– ნუ, რაკი ამ ერთმა გაქუცულმა „პაპკამ“ ამღენი აღამიანის ბეღი გაღაწყვიღტა, ეს ფაქტი მაინც უნღა აღვნიშნოთ განსაკუთრებულად!..

– განსაკუთრებულად აღნიშვნაში მაინც რას გუღისხმობ?

– ცოღა მოითმინე და ყვეღაფერს საკუთარი თვღლით ნახავ.

კახამ უცბად მკვეთრად მოაბრუნა მანქანა და ცოღა ხანში, სამსართულიან, ქათქათა შენობასთან გააჩერა:

– მოვეღლი!

– საღ მოვეღლით? – ფანჯარაში ახღაღა გაიხეღა მეგიმ.

– ეს ბათუმში ერთ-ერთი ყვეღაზე კარგი კერძო სასტუმროღა... – ძრავა ღინჯად გამორთო კახამ. – აქაურ რესტორანში კი, ეგზოტიკურ კერძებსაც ამზადღებენ.

– მერეღ ვინ გითხრა, რომ ეგზოტიკური კერძები მიყვარს?... – გაღიზიანღა მეგი.

– არც ეგაა პრობღემა! – წარბი არ შეუხრღა კახას. – რასაც მოვისურვებთ, იმას მოგვირბენინებენ. მთელი ღამე წინ არ გვაქვს?..

– კი, მაგრამ ის საიღანღა მოითღანე, რომ ამღამ აქ ვრჩები?!

– მოგიწყვეს, ძვირფასო... ღამე მანქანი ვერ ვიღვი: ამ ბოღო დროს, ძაღიან დამაკღდა მხეღვეღობა.

– მერე, სათვღალეს რაღტომ არ ატარებ?!

– ღღეს რაღა იქნება და შენი ხათრით ხეღლიღან, მაგაზეც ვიზრუნებ.

– შენს თვღლებზე როცა ვინღა, მაშინ იზრუნე... – გაღიზიანღა მეგი და ჩანთიღან მობიღური ტელეფონი ამოიღო. – მე კი ჩემს ნაცნობებს დაკუერეკავ და ამღამ მათთან დავრჩები!..

– არ ვინღა, რა, ძაღიან გთხოვ! – ნომრის აკრება არ აცღლა კახამ. – ცოღა ხანს, რესტორანში დავსხღდეთ და აღამიანურად დავიღლაპარაკოთ, მერე კი, ცაღკე ნომერს ავიღებ და თუ თავად არ მოისურვებ, უნებართვოდ კარზეც კი არ მოვიკაკუნებ...

– ეჭვიც არ შეგეპაროს, რომ არ მოვისურვებ! – მანქანიღან სწრაფად გაღავიღა გაგუღისებული მეგი...

მაღსაზ ქვრივიშვილი ანუ ყველასათვის ცნობილი გიო (ტელესერიალიდან „ძილის წინ“) ბუნების მოყვარული ადამიანია — მიწასთან ახლოს ყოფნა და დილიდან საღამომდე ზღვის ნაპირას ძილი უყვარს... მიუხედავად ამისა, მან წლებულს შეიძლება, ქალაქიდან გასვლა ვერც მოახერხოს. ერთადერთი, რაშიც დარწმუნებულია, ის არის, რომ აუცილებლად ივლის აუზზე.

ჩა სმჩსმს შიშჩსშს

შოჩსშუ ჩსსაღოშაღ თაიღსუღ ღჩჩენიღ შაღსაშ შშჩიშიშუიღი

ქაა მიწლაქა

— თუ გინდა, რომ კარგად დაისვენო, ჯერ საქმე უნდა ააწყო კარგად... ამჟამად სახლში რემონტი მაქვს და ამის გამო ქალაქარეთ ვერ გავდივარ. შარშანაც არ მქონია ნორმალური დასვენება — ის სულ რაღაც ხუთიოდე დღით ლიკანში ყოფნით შემოიფარგლა. დანარჩენ დროს აუზზე ვატარებდი. წელს ჯერ ვერც ამას მოვებით თავი. პირველად დღეს ვიყავი. წყალში რომ ჩაგხტი, მაშინ მიგხვდი, რომ ძალიან დავმძიმებულვარ... ისე, ძალიან მიყვარს დასვენება კომფორტულ სიტუაციაში, კარგ კოლექტივსა და საზოგადოებაში — პირველ რიგში, ჩემს შვილთან და მეგობრებთან ერთად.

— ბავშვობაში სად ისვენებდით ხოლმე?

— ახალდაბაში, ცემში, წალვერში, ბაკურიანში, სოხუმში, გაგრაში, სოჭსა და ლაზარესკოეში. მასსოვს მხოლოდ ის, რომ თითქმის ყველგან ძალიან მაგარ დროს ვატარებდი.

— თუ გასსოვთ, პირველად როდის წახვედით მშობლების გარეშე დასასვენებლად?

— 16 წლის ვიყავი, როცა მე და ჩემი

ორი მეგობარი ჩაქეში წავედით. საოცრად მაგარი დრო ვატარეთ.

— საკურორტო რომანი არ გქონიათ?

— თითქმის ყველა დასვენებისას პატარ-პატარა რომანტიკული თავგადასავლები მქონდა... ეს იყო ადრე, მაგრამ ახლა, დასასვენებლად წასულს, სულ სხვა ინტერესი მაქვს — მართლა დასვენებისთვის მივდივარ და არა ნერვების მოსაშლელად და გრობობების ასაფორიაქებლად. მირჩენია, პრობლემების გარეშე დავისვენო...

— ლაშქრობებში თუ დადიოდით ხოლმე?

— ადრე დავდიოდი. მოვლილი მაქვს თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი და სვანეთი.

— აბა, შეგიძლიათ თქვათ — მთელი საქართველო ფეხით მაქვს მოვლილი...

— დიახ, შეიძლება ასე ითქვას. მართალია, თითქმის ყველგან ნამყოფი ვარ, უშველშიც კი.

— სანადიროდ თუ გივლიათ?

— ჩემი მეგობრების მამები ხშირად დადიოდნენ სანადიროდ და ჩვენც თან მიყვავდით ხოლმე.

— მერე, რომელიმე ნადირომგიკლავთ?



— არა. ერთხელ ვესროლე კურდღელს და ისიც ავაცილე... ისე, მე ყველა ცხოველი მებრალება მოსაკლავად.

— თევზაობა თუ გიყვართ?

— სათევზაოდ არაერთხელ ვარ ნამყოფი, მაგრამ ვერ დავამუღამე.

— პიკნიკზე სიარული ხშირად გინდებოთ?

— ძალიან მიყვარს ქალაქარეთ გასვლა და პიკნიკის მოწყობა. ადრე ძალიან ხშირად ვაწყობდით პიკნიკს, მაგრამ რაც მანქანა აღარ მყავს, ვეღარ ვახერხებ.

— სოფელი თუ გაქვთ?

— არ მაქვს და ვეიფლები, ისე მინდა, რომ სოფელი მქონდეს.

— უცხოეთში დასასვენებლად თუ წასულხართ?

— საზღვარგარეთ დასვენების საშუალება მხოლოდ ერთხელ მქონდა — მაშინ, როცა ჩემი მეუღლე გერმანიაში სწავლობდა. მე მის სანახავად და ქვეყნის დასათვალიერებლად ჩავედი. მაგრამ რომდენიმე დღეში მიჩვეკავენ და მეუბნებიან: სასწრაფოდ უნდა ჩამოხვიდე, სპექტაკლია დანიშნული და ვერაფრით ვერ გადავიტანთ, რადგანაც უცხოელები სპეციალურად მოდიან ამ სპექტაკლის სანახავად. როგორია, ასე უცებ გერმანიიდან წამოსვლა?... მერე ვინდა გამიშვებდა უკან?... თუმცა, მანამდე ორი კვირა მაინც დავრჩი, პარიზში წასვლაც მოვახერხე, მაგრამ იმ ყველაფრის დათვალიერება, რისიც მინდოდა, ვერ მოვასწარი. ჩამოვედი, მაგრამ სპექტაკლი არ შედგა და ძალიან გავმწარდი.

— აქტიური დასვენება თუ გიყვართ?

— ადრე უფრო აქტიურად დავდიოდი ღამის კლუბებსა და დისკოთეკებზე, ახლა — იშვიათად და მხოლოდ იმ



მამუკა ონაშვილთან ერთად

შემთხვევაში დავდივარ, თუ მიმიწვევენ. აი, დღესაც მიწვეული ვარ „ტუსოვკაზე“ თბილისის ზღვაზე...

— ყველაზე კარგად სად და როგორ ისვენებთ?

— ბუნებაში, მიწასთან ახლოს. მიყვარს მინდორზე და ჰამაკში წოლა. ამას გარდა, ზაფხულში მიყვარს ზღვა. შემიძლია, დიდიდან საღამომდე ზღვის ნაპირზე ძილი.

— გიყვართ ძილი?

— არც ისე. მე უფრო, ღამის ცხოვრების მოყვარული ადამიანი ვარ. განსაკუთრებით მიყვარს ღამით მანქანით ქალაქში სეირნობა.

— ზოგი დასვენების საშუალებად სამზარეულოში ფუსფუსს მიიჩნევს...

— არა, მე არ შემიძლია, სამზარეულოში ფუსფუსში დავისვენო, თუმცა კერძების მომზადების ჩემუელი მეთოდი



დღესაც მიწვეული ვარ „ტუსოვკაზე“ თბილისის ზღვაზე...

მაქვს. მაგალითად, მხოლოდ ჩემი გაკეთებული ეროკვერცხი მიყვარს, იმიტომ, რომ მას ჩემებურად ვამზადებ — ბევრ ცხიმსა და სულგუნთან ერთად ვწვავ.

— სუფრაზე რას იტყვი? ქეიფი თქვენთვის დასვენების ფორმად გამოდგება?

— პირიქით, ქეიფი და სუფრასთან დროს ტარება ძალიან დამღლეულია. შეიძლება, ძალიან კარგადაც წარიმართოს სუფრა, მაგრამ მაინც დაიღალა.

— მაშ, მოახერხებთ თუ არა ამ ზაფხულს დასასვენებლად წასვლას, ჯერ არ იცით?

— შეიძლება მეგობრებთან ერთად 3-4 დღით ზღვაზე წავიდე. დღეიდან აუზზე სიარული დავიწყებ, ამას გარდა, ძალიან მინდა, ვივარჯიშო, რომ ფორმაში ჩავდგე.

— სპორტი გიყვართ?

— ძალიან მიყვარს ფეხბურთი და ჩოგბურთი. შემიძლია, მთელი დღე მაგილის ჩოგბურთი ვითამაშო.

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პრორექტორი გოგი დოლიძე, გარდა იმისა, რომ ცნობილი კინომცოდნეა, საუცხოო თამადაც გახლავთ. მას სუთიდან დაწყებული 700-კაციანი სუფრით დამთავრებული ისე უთამადაა, რომ ბოლოს, ერთღიტიანი ვაზით დაუგვირგვინებია ნადიმი.

გოგი დოლიძეს თამალობისას ჩემულებრივი მუხა ყანს ურჩევნია



ქაბ მინლაკე

— ბატონო გოგი, რა ასაკიდან დაიწყეთ თამალობა?

— პირველად სკოლის ასაკში, მე-9 კლასში ვითამადე. ამ პერიოდში, კლასში უკვე იკვებება, თუ ვის რა ეხერხება. კარგი თამალობით გამოვიჩინე. ბუნებრივია, როცა ადამიანს სამსახიობოზე ჩაბარება გასურს, სიმღერაც უნდა იცოდეს, ლექსიც და ცეკვაც. თამალობის კარგი მონაცემები მქონდა — ხმა, სიმღერა, მჭევრმეტყველება და მე-9 კლასის პირობაზე ნაკითხიც ვიყავი.

— მამაც კარგი მოქიფე გველებოდათ. მაინც, როგორ აფასებდა თქვენ მიერ სუფრის გაძღვლას?

— დიახ. ყველა მამამ შვილის ქეიფს უნდა მოუსმინოს, თუნდაც მეორე ოთახიდან. მამჩემი ძალიან ჭკვიანი და გონიერი კაცი იყო, სუფრის ყადრი იცოდა. ერთხელ, ჩუმიდ მოუსმენია ჩვენი ქეიფისათვის და მითხრა: ნამეტანი ბევრს პრუტუნებთ, ასე არ შეიძლება. დაიმახსოვრე, ყველაზე მთავარი თამალობაში არის ის, რომ ყველა თანამეინახე ადღევრძელო, თუ ამას შეძლებ, მერე იპრუტუნე, რამდენიც გინდა. ამ საქმის „მასტერი“ ყოფილხარო. იმ დროს, ჯერ უნდა გეადღევრძელებინა სტალინი, მერე ბერია, მერე საკავშირო ცეკას პოლიტბიურო,

მერე უნდა „ჩამოსულიყავი“ საქართველოს პირველ მდივანზე, ამასობაში კი, ვთვრებოლით ბავშვები და მართლა რაღაცებს ვპრუტუნებდით...

— რა არის მთავარი პრინციპი, რომელსაც თამალობისას ევრდნობით?

— ჩემი, როგორც თამაღის მთავარი პრინციპია: რა დიდი სუფრაც არ უნდა იყოს, უდღევრძელებელი არასდროს არავინ დავტოვო. ადამიანი სუფრასთან რომ ზის და სხვას ადღევრძელებენ, მას ყოველთვის აქვს იმის ინტერესი, თუ რას იტყვიან მასზე. ხოლო თუ თამაღას ის საერთოდ დაავიწყდება, ბუნებრივია, ეს ადამიანი გააკრიტიკებს. თამაღისთვის მთავარი მაინც ის არის, თუ როგორ დაამთავრებენ სუფრას, იმიტომ, რომ დასაწყისში ყველა მაგარია. თავიდან სუფრის წაყვანა იოლია, ისევე როგორც ლექციის დაწყება. ყველა იწყებს, მაგრამ კარგი ლექტორი არის ის, ვინც კარგად ამთავრებს. ასევეა თამადაც: სუფრის დამთავრებისას გამოჩნდება, თუ რამდენად ფლობ საკუთარ ძალებს. აბა, ის რა თამადაა, შუა სუფრაზე თამაღას რომ იკითხავ და გეტყვიან თამადა წაყვინდა და ახლა ქეიფს ჩვენ ვავრძელებთო...

— უპირატესობას რომელ ღვინოს ანიჭებთ?

— მე პროფესიონალი თამადა ვარ და ღვინის არჩევა არ შემფერის —

უნდა დავლიო ის, რაც სუფრაზეა. ცნობილია, რომ უდიდესმა რეჟისორმა ნიკოლოზ შენგელაიამ ერთხელ წყლით ითამადა – გზაში ღვინო რომ არ ჰქონდა...

— სუფრას რომელი სადღეგრძელოთი იწყებთ ხოლმე?

— ყოველთვის ქართული სუფრის მადლით ვიწყებ...

— საყვარელი სადღეგრძელო?

— გამოვყოფ ორ სადღეგრძელოს, რომელიც არა მარტო ჩემთვის არის საყვარელი, არამედ სხვებისგანაც დაფასებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს არის ქართველი ქალის სადღეგრძელო და ქართული გენის სადღეგრძელო.

— მაინც რამდენის დალევა შეგიძლიათ?

— ბევრის. არ მიყვარს ყანწით ღვინის დალევა, რადგანაც არ ჩანს, თუ რამდენი ასხია შიგ. მე კი ვსვამ საესე ყანწით, მაგრამ სხვა ცოტას ასხამს და ისე ამბობს სადღეგრძელოს. მაგალითად, როცა სუფრას ვამთავრებ, აუცილებლად ერთლიტრიანი ვაზა უნდა დავლიო. მიყვარს „სამსართულიანების“ დალევა.

— როგორ მოახერხებთ წონის შენარჩუნება?

— სულაც არ არის აუცილებელი, რომ თამადა მსუქანი იყოს. ჩემი მეგობრებიც სულ იმას წუწუნებენ: ხშირად გვიწევს სმა და გავსუქდითო. ეს იმიტომ, რომ ბევრს ჭამენ ალბათ. მე იმიტომ არ ვსუქდები, რომ ვერ ვიტან, კაცი რომ სუფრაზე ჭამს. სუფრაზე ჭამა უფრო, ქალების საქმეა – კაცმა უნდა დალიოს, იქიფოს და სხვა მოალხინოს.

— არასდროს დამთვრალხართ ისე, რომ მეორე დღეს ვერ გაგიხსენებიათ წინაღლის ამბები.

— როგორ არა. ბევრჯერ ვყოფილვარ ამ მდგომარეობაში, აბა, რომელი თამადა დარჩება სადგონებზე 7 ლიტრი ღვინის დალევის შემდეგ? წინა კვირაში ორჯერ ისე დავთვერი, რომ არ მახსოვს შინ როგორ მივედი.

— როგორ ეგუება თქვენი მუხლზე იმას, ნასვამი რომ ხშირად შინ ბრუნდებით?

— ჩემს მეუღლეს ამას წინათ, გაა ბუღადის ინტერვიუ წაუკითხავს და შინ მისულს მაშინვე მომახსენა, თურმე გაა ბუღადე ღვინოს 20 წელია არ სვამს, მაგრამ მშვენივრად თამადაობს, ღვინის გარეშე... ალბათ, მართალია, წუხდება იმით, რომ ხშირად ნასვამი მივდივარ...

— სიმთვრალეში როგორი ხართ?

— ძალიან აღერსიანი, სხვათა შორის, „პახმელიაზე“ აღერსიანი ვარ.

— რამდენად სავალდებულოა, რომ თამადამ ცეკვა და სიმღერა იცოდეს?

— თამადის ცეკვა არ შეიძლება. ერთხელ, რომ ვიცეკვე, მამაჩემმა კინაღამ მომკლა... აი, სიმღერას და ლექსს პირველად მე ვიწყებ.

— საქართველოს ფარგლებს გარეთ თუ გითამადაობ?

— ხშირად. შარშან თურქეთში ვიყავი და იქ ჩამოვყალიბე თამადაობის ინსტიტუტი. რამდენჯერმე ვითამადე. მოადგილეებად მათი ცნობილი კინორეჟისორები დავიყენე. ჩემი წამოსვლის შემდეგ კი, ისინი აგრძელებენ თამადაობას.

— მსმენია, რომ ძალზე ახლო ურთიერთობა გაქვთ სტუდენტებთან.



მე პროფესიონალი თამადა ვარ და ღვინის არჩევა არ შემფერის... მიყვარს „სამსართულიანების“ დალევა

მათ თუ ასწავლით თამადაობას?

— მთელი ცხოვრება სულ ახალგაზრდებთან ვარ. დაკვირვებული ვარ, რომ ჩემს სტუდენტებს უფრო მეტ ცოდნას სუფრასთან ვაძლევ, ვიდრე ლექციაზე.

— თქვენი შვილები თუ არიან კარგი თამადაები?

— რა თქმა უნდა, ჩემი ორივე ვაჟი კარგი მოქეიფეა. ამას წინათ, ჩემი უმცროსი ვაჟი მეუბნება მის ძმაზე: მამა, ზვიადი სუფრაზე სულ შენ გბაძავსო... არადა, მის მიერ ჩატარებული სუფრა, რომ ვნახე, ის უფრო ძალიან მბაძავს, სულ ჩემი რეპერტუარი და ლექსიკა აქვს (ივინის)...

— ვინმესთვის თუ გითქვამთ უარი თამადაობაზე?


— დიახ. განსაკუთრებით, ბოლო დროს, ვამბობ უარს. აი, მაგალითად, მე გასულ შაბათ-კვირას დამალული ვიყავი და ტელეფონიც გათიშული მქონდა, რომ ვინმეს არ შემოეთავაზებინა სუფრის გაძლოლა იმიტომ, რომ ფიზიკურად ვეღარ ვუძლებ.

— დღესდღეობით, ვის მიიჩნევთ თქვენს ღირსეულ მეტოქედ?

— არ მინდა, ვინმეს შევეხო, მაგრამ ჩემი მეტოქეობა გაუჭირდებათ. იმიტომ, რომ ეჭვი მეპარება ჩემსავით ვინმემ დალიოს...

— ჩვენი საუბრიდან გამომდინარე, ყველა დაასკვნის, რომ თამადაობა თქვენი სტიქიაა...

— იცით, ამაში ვერანაირ სიამოვნებას ვერ ვიღებ, მაგრამ ისე მაქვს ხალხში სახელი გაფუჭებული, ყველას ჰგონია, რომ თამადაობა მინდა. არა, მაგრამ ზოგჯერ იძულებული ვარ, რომ ვითამადაო. როცა მეპატიჟებიან და უარს ვეუბნები, სწყინთ; ყველა მეუბნება, რაღა ჩემთან მოგინდა უარის თქმა? ამიტომაც ბოლო დროს ახალი ხერხი შევიმუშავე: სუფრაზე ერთი საათის დაგვიანებით მივდივარ, რომ თამადად არჩეული სხვა დამხვდეს...



დაკვირვებული ვარ, რომ ჩემს სტუდენტებს უფრო მეტ ცოდნას სუფრასთან ვაძლევ, ვიდრე ლექციაზე

მართალია, მოდელი კრისტი ყიფშიძე სულ რამდენიმე თვეა, რაც შვიდწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, მეუღლეს გიორგი ყიფშიძეს გაეყარა, მაგრამ უკვე იპოვა ახალი სიყვარული — მიშა ანდლულაძე. ინტერვიუში კრისტი ძველ სასიყვარულო ამბებს მოგვითხრობს და იმასაც გვიზიარებს, თუ რა ემართებოდა შეყვარებულობის პერიოდში.



„ცნობიერად შეყვარებული არასოდეს ყოფილას“

მერი კობიაშვილი

— იმ ადამიანთა რიგს არ მიეკუთვნები, ვისაც სიყვარული საბავშვო ბაღშივე ეწვევა ხოლმე. ჩემი შვილი კი, საერთოდ არ მგავს — მართალია, ის ჯერ 3 წლისაა, მაგრამ უკვე ვატყობ: უფროს ბიჭებს როცა ხედავს, იპრანჭება... არც ცალმხრივად ვყოფილვარ ოდესმე შეყვარებული. ყოველთვის მიკვირდა იმ მეგობრების, რომლებიც ამბობდნენ — მიყვარს და როგორ მოვიქცე, მისი ყურადღება რომ მივიქციო?... გრძნობა ყოველთვის ბიჭების სიყვარულის საპასუხოდ მიჩნდებოდა ხოლმე.

— პირველი სიყვარული როგორ გასენდება? შეყვარებულს მტკივნეულად დაშორდი?

— ტინიჯერულ ასაკში ერთი უცნაური და ალბათ, ბავშვური ჩეკა მქონდა: როცა გავიგებდი, რომ რომელიმე ბიჭს მოვწონდი, მასზე ვბრაზდებოდი და ვერ ვიტანდი ხოლმე. 13 წლის ვიქნებოდი, ერთი ჩემი თაყვანისმცემელი რომ მომეწონა. მასთან შეხვედრებს პაემანს ვერც დავარქმევ. რესტორანში არასდროს ვყოფილვართ. ერთმანეთს პირველად ჩემს ეზოში შევხვდით. ყვავილები მაჩუქა. რა თქმა უნდა, გამიხარდა, მაგრამ ზოგიერთი ჩემი ნაცნობი გოგონას მსგავსად, ყვავილის ფურცლები სათუთად არ შემინახავს... ის ბიჭი საკმაოდ დიდხანს, რამდენიმე წლის მანძილზე მიყვარდა. ჩვენს ერთ-ერთ პაემანს ჩემი პირველი კოცნა

მოჰყვა, რის შემდეგაც ორივენი გავწითლდით. ვერ გეტყვით, პირველი კოცნის შთაბეჭდილება დიდხანს გამყვა-მეთქი. აღარც მახსოვს, მე და ის ბიჭი ერთმანეთს რატომ დავშორდით. დღეს ვფიქრობ, რომ ჩვენი ურთიერთობა დიდი love story სულაც არ ყოფილა... შემდეგი გატაცება სტუდენტობის დროს მქონდა. იმ ბიჭთან პაემანზე რომ მივედიოდი, სულ ენერჯიულობდი: პუნქტუალური ადამიანი ვარ და იმაზე ვფიქრობდი — მე რომ ზუსტად დათქმულ დროს მივიღე და მას დაავიანდეს, როგორ უნდა მოვიქცე-მეთქი?... მაგრამ ასე არასდროს მომხდარა. ჩვენი ურთიერთობა სულ რაღაც ერთ თვეს გრძელდებოდა. მერე გიორგიმ მომიტაცა. ის არათუ მიყვარდა, ისიც კი არ ვიცოდი, მას რომ მოვწონდი. გიორგიმ დამისმა დამ ლენუკამ დამირეკეს და ერთი საერთო ნაცნობის დაბადების დღეზე წასვლა შემომთავაზეს. მეც წავივი, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მომიტაცეს.

— გიორგისთან განშორება არ გაგიჭირდა?

— გიორგის სახლიდან წამოსვლის შემდეგ, გასული წლები აღარ მახსოვდა. გაყრა რომ გადავწყვიტეთ, ორი კვირა ისევ მათ ბინაში ვცხოვრობდი. რა თქმა უნდა, გიორგის ჩემს ოთახში შემოსვლა აუუკრძალე. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ყველაზე კარგი იქნებოდა, თუ მართლა დავშორდებოდი ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ვფიქრობდი — მაშაქაც ველარ შევიყვარებ-მეთქი, — მიშას ძალიან დავუახლოვდი. ერთმანეთს შორიდან ვიცნობდით. საერთო ნაცნობის დაბადების



მიშამ ჩემი გული იმით მოიგო, რომ სიყვარული დამანახვა

დღეზე შევხვდით. მიშამ რამდენიმე დღეში დამირეკა, მთხოვა — შევხვედეთო. ისე ველავდი, აღარც მახსოვს როგორ გავემზადე და რამდენ ხანში მივედი პაემანზე... ისე მოხდა, რომ მთელი დღე ერთად გავატარეთ. საღამოს მეგონა, დიდი ხნით დავშორდებოდი ერთმანეთს. მაგრამ მეორე დღით დამირეკა და მომიკითხა. რაღაცნაირად გიჟურად სწრაფად აეწყო ჩვენი ურთიერთობა. ეს ალბათ სიყვარულის ბრალია. ნურც ერთ ჩემს თაყვანისმცემელს ნუ ეწყინება, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემს ცხოვრებაში პირველად ვარ შეყვარებული. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მიშას დავშორდე. დარწმუნებული ვარ, ასე ძალიან ველარავის შევიყვარებ. მიშა ჩემი პირველი და ნამდვილი სიყვარულია.

— რა გამოცდილება მოგცა განვლილმა შვიდმა წელიწადმა? რა შეცდომებს აღარ გაიმეორებ მომავალში?

— მე და მიშამ ურთიერთობა მეგობრობით დავიწყეთ, რაც გიორგისთან არ მქონია. გიორგის მეგობრების სხვა წრე



დღესაც არ ვიცი, რა ძალიან გადამაწყვეტინა გიორგისთან დარჩენა

საშინლად გაგბრაზდა. დღესაც არ ვიცი, რა ძალიან გადამაწყვეტინა გიორგისთან დარჩენა. შეიძლება იმან, რომ გიორგი მთელი დამე ტიროდა ან იმან, რომ მისი ოჯახი არაჩვეულებრივად შემხვდა. მერე კი, რაღაცნაირად შევეჩვიე ჩემს ცხოვრებას. გიორგი არაფერში მზღლდავდა. ერთად 7 წელი ვცხოვრობდით. გიორგისთან გატარებულ წლებს დაკარგულად არ ვთვლი და არაფერს ვნანობ. პირველ რიგში კი იმიტომ, რომ მე და გიორგის გყავს შვილი.

ჰყავდა, მე – სხვა. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ სრული თავისუფლება მივეცი. მიეღო 4 წელი, რაც თეატრალურში სწავლობდა, დილიდან დადამებამდე იქ იყო, მაგრამ ამის გამო არანაირი გართულება არ მქონია. მეც ბევრჯერ წავსულვარ წვეულებაზე მარტო. ამ ყველაფერს კი ის მოჰყვა, რომ გიორგიმ სხვა გოგო „გაიჩინა“... ამ შეცდომას აღარ დავუშვებ. მე და მიმა ყველაგან ერთად დავდივართ. ვიცე, მარტო ვერც მე გავერთობი და ვერც ის.

— შენი გულის მოსაგებად მაშაკაცმა აუცილებლად ძვირფასი ნივთები უნდა მოგიძღვნას?

— ნამდვილად არა. მიშამ ჩემი გული იმით მოიგო, რომ სიყვარული დამანახვა. ერთმანეთს რომ შევხვდით, ორივეს ერთი პრობლემა გვქონდა: მეუღლეებთან ახალი გაყრილები ვიყავით. პირველ პაემანზე რასაკვირველია, ამ განცდაზეც ვისაუბრეთ. მერე ეს ყველაფერი დაგვაიწყვდა, რადგან ბევრი საერთო აღმოგვაჩნდა. ჩვენი გემოვნებაც ერთნაირი... ურთიერთობის დასაწყისში გავცივდი და რაღაც პერიოდი ერთმანეთს ვერ ვხვდებოდით. რა თქმა უნდა, მიმა მირეკავდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ორქიდეების არაჩვეულებრივი თაიგული გამომიგზავნა. თუ დამიჯერებთ, სიცხემ 15 წუთში დამიწია. მიშას ჩემზე მეტად ენერჯება სიურპრიზების მოწყობა. თუ რაიმე ნივთი მომეწონა, შეიძლება ის იმ საღამოსვე ჩემს ჩანთაში აღმოვჩინო... მაისის ბოლო იყო. საუბრისას ვთქვი — რა კარგი იქნებოდა, ახლა ბათუმში რომ ვიყოთ-მეთქი!.. ორ საათში დამირეკა და მითხრა — ბარგი ჩაალაგე, ბათუმში მივდივართო. იქ 3 დღე დავრჩით. არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ. მაგრამ იმიტომ არ მიყვარს, რომ ასეთ სიურპრიზებს მიკეთებს, უბრალოდ მიყვარს...

— შეყვარებული კრისტე როგორია?

— როცა შეყვარებული არ ვიყავი, საზოგადოებაში გამოჩენას ყველაგან ვასწრებდი. მთლიანად ვიზარავდებოდი, ოღონდაც იმაზე არ მეფიქრა, რომ მარტო ვიყავი. ახლა ჩემი სულიერი სიმშვილე იმდენად მაკმაყოფილებს, რომ ყველაფრის გაკეთება მეზარება. სამწუხაროა, მაგრამ ასეა: შეყვარებული, ვზარმაცდები.

— საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, რა რჩევას მისცემდი შეყვარებულ გოგონებს, რომელთაც თავგზა აქვთ აბნეული და არ იციან, როგორ მოიქცნენ?

— მამაკაცს ბოლომდე არ უნდა გაეხსნა, ის შენში ყოველთვის რაღაცას უნდა ეძებდეს... ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში აუცილებელია, იყოს ნდობა.

ზღვრა, ეჭვი და უსაფრთხო დასცინებლის მისებრი

ნანა ქიბიშაური

ბევრი თქვენგანი უკვე გაემგზავრა ზღვასა თუ მთაში და მზის სხივებს მიეფიცა. მაგრამ იცით კი ის 10 წესი, რომლის გათვალისწინებაც გარუჯვისას აუცილებელია? ხომ არ გავიწყდებათ, რომ ულტრაიისფერი სხივები ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნეა? თუ არ დაიცავთ წესებს, მზის სხივებმა შესაძლოა, გამოიწვიოს თქვენს კანზე პიგმენტური ლაქების წარმოქმნა, დამწვრობა, ნაოჭები, ზოგ შემთხვევაში კი, შეიძლება კანის კბილის მიზეზიც გახდეს. ამიტომ, ექიმები გასარუჯად შედარებით უსაფრთხო დროსა და სპეციალური დამცავი ნელსაცხებლების გამოყენებას გვირჩევენ. ამ შემთხვევაში მზისგან მიღებული დასხივება ორგანიზმისთვის ნაკლებად მავნებელი იქნება, გარუჯული კანი კი უფრო ლამაზ ელფერს მიიღებს.

ამ ზაფხულს მზის სხივებისგან განსაკუთრებით უნდა დავიცვათ თავი, რადგან როგორც ასტროლოგები ამბობენ — „წელს მზე აქტიურია, მის ზედაპირზე აფეთქებები ხშირია“. წლებიდან „აქტიურ მზეს“ განსაკუთრებით ის ადამიანები უნდა მოერიდონ, ვისაც ჭარბად აქვს მუქი ფერის ხალი. ექიმი-დერმატოლოგები მათ, ვისაც მზეზე გარუჯვა სურთ, ურჩევენ, რომ პირველ რიგში, დაადგინონ საკუთარი კანის ტიპი, შემდეგ ამის გათვალისწინებით განსაზღვრონ მზეზე ყოფნის ოპტიმალური დრო და შეარჩიონ ისეთი ნელსაცხებლები,

რომლებიც მათ კანს მიესადაგება.

რჩევა პირველი: ყურადღებით ნაიკითხეთ ნელსაცხებლის ეტიკეტზე არსებული ინფორმაცია

ექიმი-დერმატოლოგები გვირჩევენ, რომ პირველი და აუცილებელი წესი, რომელიც კარგად უნდა დაიმასსოვროთ, არის ის, რომ მზის აბაზანა მხოლოდ იმ საათებში მიიღოთ, როდესაც სხივები ნაკლებად აქტიურია და შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობისთვის ნაკლებად მავნეა: ეს დროა, დილის 6-დან 10 საათამდე და საღამოს 5 საათის შემდეგ. 11-დან 17 საათამდე კი უმჯობესია, მზეს მოერიდოთ. ექიმები ამბობენ იმასაც, რომ მზეზე გატარებული ნახევარი საათიც კი სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვანაირად მოქმედებს.

მარინა ძარჩაული, ექიმი-დერმატოლოგი:

„სხვადასხვა ტიპის კანი ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებაზე სხვადასხვაგვარად რეაგირებს. ამ შემთხვევაში, ყველაფერი კანსა და მის ინდივიდუალურ თავისებურებებზე დამოკიდებულია. ქერა ადამიანებისათვის მზეზე გატარებული ნახევარი საათიც კი შეიძლება, მაღალი ხარისხის დამწვრობით დამთავრდეს. თეთრი კანისთვის, რომელშიც პიგმენტური მელანი ცოტაა, მზის სხივები განსაკუთრებით საშიშია. ამიტომ აუცილებელია ნელსაცხებლის გამოყენება. გასარუჯად განკუთვნილ ნელსაცხებელს აქვს ნიშანი „თზა“, რომელიც განსაზღვრავს ულტრაიისფერი სხივებისგან დაცვის დონეს, მის გვერდით მოთავსებული რიცხვები კი აღნიშნავს, თუ რომელი ტიპის კანისთვისაა განკუთვნილი ესა თუ ის საშუალება და რამდენი ხნის განმავლობაში შეგიძლიათ მისი გამოყენების დროს მზეზე ყოფნა. თუ ნორმალური კანისთვის მზეზე მიფიცების ოპტიმალური დროა 10 წუთი, ე.ი. „თზა-6“-ანი ნელსაცხებლის გამოყენების შემთხვევაში შეგიძლიათ, მზეზე 1 საათი დარჩეთ. აღსანიშნავია, რომ ეს ნიშანი, ძირითადად, ევროპული პროდუქციის სტანდარტს შეესაბამება. ამერიკული გასარუჯი საშუალებების მწარმოებლები სხვა აღმნიშვნელს იყენებენ. თუმცა, ბევრი ამერიკული პროდუქცია, რომელიც ევროპის ბაზრისთვისაა განკუთვნილი, უკვე გადავდა ევროპულ სტანდარტზე. ამიტომ გირჩევთ,



ყურადღებით წაიკითხოთ ნელსაცხებლის ეტიკეტზე არსებული ინფორმაცია. პირველ დღეებში უძვობესა, მაღალი კოეფიციენტის დამცავი საშუალებით ისარგებლოთ. 2-3 კვირის შემდეგ, კანის ადაპტაციის უნარი იზრდება და შეგიძლიათ, უკვე მსუბუქი ნელსაცხებლები გამოიყენოთ. მათ, ვისაც იოლად უღიზიანდებათ ჯირკვლები და კანი, ვურჩევთ, ნელსაცხებლის ნაცვლად, სპეციალური გელი გამოიყენონ. მათ კი, ვისაც მშრალი კანი აქვთ, კოსმეტიკურ რემედი გაზავებული ნელსაცხებლები უნდა გამოიყენონ.

ზღვის აბაზანის შემდეგ, აუცილებელია სხეულზე მტკნარი წყლის გადავლება. მარილიანი წვეთები ლინზის ეფექტს ქმნის და კანს წვავს. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ სხვადასხვა ხარისხის ქსოვილი მზის სხივს სხვადასხვა დონით ატარებს: მაგალითად, ბამბის მშრალი ქსოვილი სხივების 6%-ს ატარებს, სველი კი - 30%-მდე. ნუ დაგავიწყდებათ ისიც, რომ მზის სხივი წყლის ზედაპირიდან ნახევარი მეტრის სიღრმეშიც აღწევს. ზღვის წყალი მზის სხივების 60%-ს ატარებს, ამიტომ ზღვის აბაზანის მიღების პერიოდი აუცილებლად მზეზე გატარებულ მთლიან დროს უნდა მიათვალოთ.

გარუჯვისას დაუშვებელია დეკორატიული კოსმეტიკის გამოყენება. ნებისმიერი კოსმეტიკური საშუალება შეიძლება, პიგმენტური ლაქების გამოწვევი გახდეს.

გარუჯვის შემდეგ გამოსაყენებელი საშუალებების შერჩევის დროსაც გასათვალისწინებელია კანის ტიპი. ისინიც ისევე აუცილებელია, როგორც გასარუჯად საჭირო ნელსაცხებლები. ლოსიონი და რემედი კანს დაარბილებს, ხელს შეუწყობს ნაშხურის მდგრადობას და უზრუნველყოფს კანის სიჯანსაღეს.

ჯანმრთელობის თვალსაზრისით ყველაზე უსაფრთხო და სასარგებლოა სე-

ქტემბერში მიღებული ნაშხური. თუმცა, თუ ქვემოთ მოცემული წესების შესაბამისად მოიქცევით, არანაირი საშიშროება არ გეშუქრებათ.

უსაფრთხო გარუჯვისთვის აუცილებელი 10 წესი

1) პლაჟზე თავშიშველი ყოფნისას, შეიძლება მზის დაკვრა მიიღოთ, რაც სისხლის მიმოქცევის დარღვევას გამოიწვევს. თუ თხელი თმა გაქვთ, შესაძლოა, თავის კანის დამწვრობა მიიღოთ. ასე რომ, აუცილებლად დაიხურეთ ქუდი.

2) წითური და ქერა ადამიანები მზეზე იოლად იწვებიან. ამიტომ მათ აუცილებლად უნდა გამოიყენონ მზისგან დამცავი ძლიერმოქმედი ნელსაცხებლები. შავკვრე-მანებს მზისგან დამწვრობა ნაკლებად ეშუქრებათ, თუმცა თავის დაცვა არც მათ უნდა დაივიწყონ.


3) გახსოვდეთ, რომ ნელსაცხებელი მოქმედებს იწყებს წასმოდან ნახევარი საათის შემდეგ. ამიტომ ის დროულად უნდა წაისვათ. სახლიდან გასვლამდე სახესა და სხეულზე სქელ ფენად გადაისვით. არ დაგავიწყდეთ ტუჩები - მათთვის მზისგან დამცავი სპეციალური, ტუჩის საცხი არსებობს.

4) პლაჟზე დიდხანს თვალდახუჭული წოლა არ შეიძლება. დამწვრობა თვალის ქუთუთიდან შეიძლება მიიღოს, ამიტომ აუცილებელია ულტრაიისფერი სხივებისგან დამცავი სათვალის ტარება.

5) ნელსაცხებელი ტანსაცმლის ქვეშაც უნდა წაისვათ. სველი ბამბის ქსოვილი ხომ საშიში სხივების 30%-ს ატარებს.

6) მზისგან დაცვა გჭირდებათ წყალშიც. ულტრაიისფერი სხივები წყლის ქვეშაც 50-75%-ით ინარჩუნებს თავის ძალას. ამიტომაც, მზისგან დამცავი საშუალებების შერჩევისას იკითხეთ - მოქმედებს თუ არა იგი წყალშიც.

7) 11-დან დღის 3 საათამდე მზე აგრესიული და საკმაოდ საშიშია. ეწ.



ხვედროვანი სეზონის დროს, მზის სხივის ძალა უკვე შესუსტებულია, ამიტომ სექტემბერში შეგიძლიათ, პლაჟზე ნებივრობა რამდენიმე საათით გაინანგრძლიოთ.

8) დაიცავით თმა. მზის სხივი და მარილიანი წყალი მასზე უარყოფითად მოქმედებს. თავიდან რომ აარიდოთ თმის გაუხეშება და ბოლოტკამები, თან იქონიეთ თმისთვის განკუთვნილი ქაფი, ლოსიონი, შამპუნი და გელი.

9) კარგია, თუ ზღვაზე დასვენებისას, სპორტივაც დაკავდებით. თუმცა, ეს მხოლოდ დილით და საღამოს უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სწრაფად დაიღლებით და შეიძლება ჰაერის უკმარისობა იგრძნოთ.

10) საღამოს აუცილებლად წაისვით კანზე ლოსიონი. თქვენს კანს კვება მანანაც სჭირდება, როდესაც ყველაფერი რიგზეა და ყველა წესის დაცვით გაირუჯვით.

ამ წესების მეოთხე პუნქტში საუბარია ულტრაიისფერი სხივებისგან თვალის დაცვის აუცილებლობაზე. ვფიქრობთ, ამ საკითხზე საგანგებოდ შეჩერება ღირს, ამიტომ აღნიშნულ საკითხში ექიმის კონსულტაციას გთავაზობთ.

რჩევა მეორე:

სათვალე მოდისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდეს

მზის სათვალე, რომელიც აუცილებელია თვალის დასაცავად, განსაკუთრებული წესების დაცვით უნდა შეირჩეს. იგი ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდეს, როგორც მოდის, ასევე უსაფრთხოების მოთხოვნებს. აი, რას

კბილბის განხორბა ნებისმიერ ასაკში ბრეკეტ-სისტემით



სტომატოლოგიური კლინიკა „გეოდენტი“ **გამსახურდიას გამზ. №33**
☎ 37-60-16



გვიჩვენებს ამასთან დაკავშირებით ექიმი-ოფთალმოლოგი **მანია ღარჩია**:

„ადამიანი ულტრაიისფერი სხივებისგან აბსოლუტურად დაცული ვერ იქნება და არც არის ამის აუცილებლობა. მაგრამ დასვენების სეზონის დროს, როცა ის მზეს საგანგებოდ ეფიცება, ჩნდება საშიშროება, რომ ულტრაიისფერი სხივების სიჭარბემ კატარაქტა და სხვა დაავადებების პროვოცირება მოახდინოს. IF-სხივებმა შეიძლება, თვალის ფსკერის დამწვრობაც კი გამოიწვიოს. სათვალის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ ის, რომ ფერადი მინით თვალის დარღვივა ფსიქიკაზე მოქმედებს. ჩვეული ფერთა გამის დარღვევა ერთი რომელიმე ფერის სასარგებლოდ ფანტაზიას ფურადლებას და ადამიანის დაღლას უწყობს ხელს. ოფთალმოლოგიის თვალსაზრისით ყველაზე მისაღებია მუქი რუხი ან მუქი მწვანე ფერის ლინზები.“

კარგი იქნება, თუ უარს იტყვით ვარდისფერ და წითელ მინებზე, რადგან წითელი სპექტრი ორიენტაციის დაკარგვას იწვევს. წითელ მინებზე უარესი მხოლოდ ლურჯი შეიძლება იყოს, რადგან ის ასტიმულირებს გუგების გაფართოებას და ბადურაზე დიდი რაოდენობით იისფერი სინათლე ხვდება, რაც დამწვრობას უწყობს ხელს.

ასევე განსაკუთრებულადაა შესარჩევი ლინზები და სათვალის ჩარჩო. შექმნილია შუშის, პლასტიკური და ლამინატური შუშის ლინზები. თითოეულ მათგანს აქვს თავისი პლუსები და მინუსები. შუშის ლინზა იოლად მსხვრევადია, თუმცა მას, ფანჯრის მინის მსგავსად, UV-სხივების დიდი ნაწილის შეკავება შეუძლია. პლასტიკური ლინზა შუშაზე ოდნავ მსუბუქია, მაგრამ ის იოლად დეფორმირდება და შეიძლება ალერგიაც გამოიწვიოს – განსაკუთრებით მაშინ, როცა კანი გამუდმე-

ბით ოფლიანია. ლამინატური შუშის ლინზა საუკეთესოა, რადგან მას პრაქტიკულად არ გააჩნია უარყოფითი თვისება. ვხვდებით აგრეთვე ე.წ. „ქამელიონებს“ – ფოტოქრომულ შუშებს, რომლებიც თავისთავად იცვლის ფერს განათების შესაბამისად: ის შენობაში ჩვეულებრივ სათვალეს ჰგავს, მზეზე კი, მუქდება. თუმცა, ასეთი ლინზების უსაფრთხოების შესახებ ოფთალმოლოგები დღემდე დაობენ.

ჩარჩოს შერჩევისას, ორი აუცილებელი წესის დაცვა საჭირო: სათვალის ფორმა რაც შეიძლება ზუსტად უნდა იმორებდეს სახის მონაზულობას და მორე – ჩარჩოს ზედა კიდე წარბის ხაზს უნდა ემთხვეოდეს. და კიდევ ერთი – მათ, ვისაც მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებთ, მზის სათვალის შერჩევისას, კონსულტაციისთვის ოფთალმოლოგს მიმართონ.“


რჩევა მისამბი:

რჩევები მათთვის, ვინც ზღვაზე მცირეწლოვან ბავშვთან ერთად ისვენებს

მოგესვენებთ, პატარები მეტად მოუსვენრები არიან. ძნელია, ისინი დიდხანს დააკავო ქოლგის ქვეშ ჩრდილში. მათ ნაზ კანს მზის სხივებმა ზიანი რომ არ მიაყენოს, პედიატრი **გულიკო ნასიძე** გვიჩვენებს, ზღვაში ჩასვლამდე, მცირეწლოვანი ბავშვები წინასწარ მოამზადდით.

„ზღვაში ბანაობა ბავშვისთვის 2 წლიდანაა დასაშვები. წყალში ჩასვლამდე რამდენიმე დღის განმავლობაში, მას სხეული ოთახის ტემპერატურის ზღვის წყლით დაუზილოთ. ტემპერატურა 20-21 გრადუსზე დაბალი არ უნდა იყოს, პროცედურის ხანგრძლივობა კი, პირვე-

ლად – 30-40 წმ უნდა გავრძელდეს და თანდათანობით, გაზარდოთ ვერ 3-5 წთმდე, ხოლო შედარებით მოზრდილებისთვის (4-5 წელი) – 10-12 წთმდე. არ არის სასურველი, რომ ბავშვი უზმოზე ან ახალი ნასუშმევი აბანაოთ. ბანაობისთვის საუკეთესო დროა, დილას – 10 საათამდე და საღამოს – 16-დან 19 საათამდე. მას შეძევ, რაც ბავშვს წყლიდან ამოიყვანო, კარგად უნდა გამშრალდოს და საბანაო კონსტიუმი გამოეცვალოს. დღის განმავლობაში ორჯერ ბანაობა 2-3 წლის ბავშვისთვის საკმარისია. ზღვაზე ყოფნისას, დღეში ნახევარ საათზე მეტხანს ბავშვს მზეზე ნუ გააჩერებთ და მაშინაც გამოიყენეთ ნელსაცხებელი, რომლის დამცველი ფაქტორი, 20-25-ზე ნაკლები არ არის. ბავშვს აუცილებულად უნდა ეხუროს ქული. თავზე ნუ შემოახვევთ პირსახოცს, როგორც ამას ზოგიერთი მშობელი აკეთებს – აგვარად, თქვენმა შვილმა შეიძლება სითბური დაკვრა მიიღოს. და კიდევ ერთი, რაც ყველამ უნდა გაითვალისწინოს: პლასტიკის ქოლგები ულტრაიისფერ სხივებს ატარებს და მათ ქვეშაც შეიძლება დაიწვას. გაითვალისწინეთ ისიც, რომ სხეული წყალშიც შთანთქმავს UV-სხივების 60%-ს, ამიტომ პატარას ბანაობამდე წყალგამძლე მზისგან დამცავი კრემი უნდა წაუსვას. პლაჟზე გასვლამდე არ არის სასურველი, რომ ბავშვი საშინო დაბანოთ: იგი აცილებს ცხიმის საფარველს, რომელიც მის კანს იცავს. მზისგან დამცავი საშუალებები თქვენც და თქვენმა პატარამაც მზეზე გასვლამდე 20 წუთით ადრე უნდა წაისვას, შეძევ ყოველ 2 საათში გაიმეორეთ პროცედურა და დაიცვათ უსაფრთხო გარუჯვისთვის აუცილებელი სხვა წესები.“




ათი წლის პროფესიონალი

მომავალი რეჟისორი ქვეყნიერებას ისტორიული მოვლენებით ფრიად მდიდარ წელიწადს მოეკლინა. ევროპის მნიშვნელოვანი მოვლენებიდან საკმარისია აღინიშნოს: მეორე მსოფლიო ომის დაწყება და ფსიქონალიზის ფუძემდებლის ზიგმუნდ ფროიდის (რომლის თეორიებმაც საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა კოპოლახე) გარდაცვალება. ეს წელი, ფრიად ღირსშესანიშნავი აღმოჩნდა ამერიკული კინოსამყაროსთვის: აშშ-ის ეკრანებზე ერთდროულად ორი საკულტო ფილმი – „ქარწალებულნი“ (ამერიკელების აზრით, ყველა დროის საუკეთესო ფილმი) და ჯონ ფორდის კლასიკური ვესტერნი „დილიჟანსი“ გამოვიდა. დღესდღეობით, ზემოხსენებულს ნებისმიერი კინომცოდნე დასძენს, რომ ამ წელს დაიბადა დიდი რეჟისორი ფრენსის ფორდ კოპოლა.

ფრენსისის დედა პროფესიონალურ სცენაზე თამაშობდა, მამა ფლეტიცისტი იყო და ნიუ-იორკის Radio City Hall-ის ორკესტრში უკრავდა. მოგვიანებით, ის რადიოკორპორაცია NBC-ის ორკესტრში გადავიდა, რომელსაც იმხანად ნაციისტების გამო ამერიკაში ემიგრირებული ცნობილი იტალიელი ღირიფორი, არტურო ტოსკანინი ხელმძღვანელობდა. შემდგომში კარმინე კოპოლა თავადაც წერდა მუსიკას – მათ შორის, საკუთარი შვილის (მეორე სახელი, ფორდი, ფრენსისის ცნობილი ავტომანქანის პატივსაცემად დაარქვეს, რომელიც სხვა ყველაფრის გარდა NBC-ის არხის „საკვირაო მუსიკალური საათის“ სპონსორიც გახლდათ) ფილმებისთვისაც. მსახიობი დედისა და მუსიკოსი მამის შეილისათვის ხელოვნების შრომის, წარმატებისა და დიდების ფასი სულ პატარა ასაკიდანვე გახდა ცნობილი, მით უმეტეს, რომ ბიჭუნა ტიპური ვუნდერკინდი გახლდათ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მომავალი რეჟისორი კინოხელოვნებას სიყრმიდანვე ეზიარა. თავისი პირველი სამოყვარულო ფილმი ფრენსისმა ათი წლის ასაკში გადაიღო, როცა ოჯახი საცხოვრებლად ნიუ-იორკის ქუინსის რაიონში გადავიდა. ასეთ ადრეულ ასაკში პროფესიის არჩევანზე გავლენა იქონია გადატანილმა პოლიომიელიტიმა – ნახევრად პარალიზებულმა ბიჭუნამ რამდენიმე თვე ოთხ კედელშუა გაატარა და ვინაიდან იმხანად არც კომპიუტერი არსებობდა და არც ვიდუო, მის ერთადერთ სათამაშოდ მშობლების რკამილიმეტრიანი კინოკამერა იქცა.

მოგვიანებით, მრავალმხრივი ნიჭით

65 წლის წინ, 1939 წლის 7 აპრილს, დეტროიტში დაიბადა ამერიკელი კინორეჟისორი ფრენსის ფორდ კოპოლა. მთელი მისი კინომოღვაწეობა პოლიფუნქციური ერთ-ერთი უმთავრესი მიზით — თითქოსდა, საკასო პიტების შექმნელის სახელი და დიდება მის მიერ გადაღებული ყოველი მომდევნო ფილმის წარმატების საიმედო გარანტიაა — უარყოფას წარმოადგენს. რეჟისორ კოპოლას შემოქმედება ზებრას შავ-თეთრი ზოლების მონაცვლეობას მოგვავაგონებს — მის კარიერაში წარმატებას აუცილებლად წარუმატებლობა მოჰყვება, კინოგაქირავეების მიერ მოტანილ სარეკორდო შემოსავალს — სრულიად მოულოდნელი ფინანსური კრახი, რომლის განეიტრალება რეჟისორს მისთვის ტრადიციული მეთოდით — ახალი პიტის შექმნით უხდება.



უნა ღონხნდაი და მისი კინოძეგმია

დაჯილდოებულმა ახალგაზრდა კაცმა, ხელოვნების სხვა სფეროებშიც სცადა ბედი – კოლეჯში სწავლისას სასკოლო მიუზიკლებისათვის წერდა ლექსებს, შემდეგ კი, როცა პოეზიისადმი ინტერესი გაუნელდა, ლოს-ანჯელესში გაემგზავრა და კალიფორნიის უნივერსიტეტში თეატრალური ხელოვნების შესწავლას მოჰკიდა ხელი. სხვათა შორის, კინოსაპარეზზე დაბრუნებაც სწორედ იქ გადაწყვიტა. ფრენსისი ადრეულ ასაკშივე მიხვდა, რომ კინო, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესია: მან ყველასგან უჩემრად გადიდო სამოყვარულო „მუსუტუქი პორნოგრაფია“ და სექსის თემატიკით გატაცებულ კინომან თანაკურსელებს საკმაოდ სარფიანადაც მიახალა. ოღონდ, ეს გახლდათ მსგავსი სახის პირველი და უკანასკნელი ექსპერიმენტი მის ცხოვრებაში. დღესდღეობით მეტრი ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს.

სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდა რეჟისორი, ბედისწერამ როჯერ კორმენის სტუდიაში მიიყვანა. ამერიკული კინოს ისტორიაში როჯერ კორმენი ლეგენდარულ ფიგურად მიიჩნევა. სწორედ მის სახელს უკავშირდება ქვეყანაში საყოველთაოდ ცნობილი drive-in-ების (კინო ღია ცის ქვეშ, რომელსაც მანქანებიდან გადმოუსვლელად უყუ-

რებენ) არსებობა. გარდა ამისა, კორმენი უცხოური ფილმების „შემოქმედებითი გადაუმზავებია“ იყო ცნობილი, რომლის შედეგადაც უცხოური კინოსურათები არა მარტო დუბლირებული გამოდიოდა ამერიკის ეკრანებზე, არამედ საგრძნობლად „დაჩეხილიც“. იმასაც ამბობენ, რომ უცხოური ფილმებიდან ამოჭრილ, მისთვის საინტერესო ციტატებს, კორმენი შემდეგ საკუთარი სტუდიის მიერ წარმოებულ კინობროდუქციაში აქტიურად იყენებდა.

მცდელობის მიუხედავად, დიდი რეჟისორის სახელი კორმენმა თავად ვერ მოიხვეჭა, მაგრამ მინიმუმ თავის სამ მოწაფეს – მარტინ სკორსეზეს, პიტერ ბოგდანოვიჩსა და ფრენსის ფორდ კოპოლას ამაში დიდად შეუწყო ხელი. თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა კოპოლამ კარმენის სტუდიაში უბრალო ასისტენტობით დაიწყო. შემდეგ, გარკვეული ხნის მანძილზე, ის რედაქტორად მუშაობდა (სხვათა შორის, სტუდიის ზემოთ ხსენებულ „სამეკობრეო“ საქმიანობაშიც მონაწილეობდა), ვიდრე ფილმის დამოუკიდებლად გადაღების საშუალება არ მიეცა. რეჟისორ კოპოლას სადებიუტო ნამუშევარი გახლდათ საშინელებათა ჟანრის ფილმი – „სივიჟე 13“, რომელიც მან 1963 წლის ცხელი

ზაფხულის სამი დღის განმავლობაში, ირლანდიაში – „დრაკულას“ ავტორ ბრემ სტოკერის სამშობლოში გადაიღო. იმავე წელს, კოპოლას პირად ცხოვრებაში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა: მან ცოლად მოიყვანა თავისი პირველი სურათის მხატვარ-დეკორატორი – ელენორ ნილი.

სამი წლის შემდეგ, ეკრანებზე გამოვიდა რეჟისორის მეორე ნამუშევარი, რომელია სიმბოლური სახელწოდებით – „შენ ახლა დიდი ბიჭი ხარ“. ფილმმა საკმაოდ კარგი შემოსავალი მოუტანა მის შემქმნელს. ამის წყალობით, რეჟისორმა ჰოლივუდის ერთ-ერთი წამყვანი სტუდიის – Warner Brothers-ის ყურადღება მიიქცია. მათ კოპოლას მიუზიკლ „ფაინიანს ცისარტყელას“ გადაღება შესთავაზეს, რომელშიც მთავარი როლი ცეკვის მეფედ აღიარებულმა ფრედ ასტერმა (გასული საუკუნის 30-40-იანი წლების ლეგენდარული ვარსკვლავი) შეასრულა.

ეს უკვე დიდი წარმატება გახლდათ. კოპოლას ადგილზე, ნებისმიერი სხვა რეჟისორი ისევ მიუზიკლს გადაიღებდა, რამეთუ მას ამ ჟანრში მუშაობა საკმაოდ კარგად გამოუვიდა, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, ფრენსისს სიახლის ძიება იტაცებდა. თანაც მას უკვე კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ კინოკრიტიკოსთა დადებით შეფასებებს, ხშირ შემთხვევაში თან ახლდა ფინანსური ჩავარდნა და პირიქით – კრიტიკის მიერ ქარცეცხლში გატარებული ფილმების უმეტესობას, დიდი ფინანსური მოგება მოჰქონდა. ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ჰოლივუდის ვარსკვლავი-რეჟისორის ტრაფარეტული იმიჯის მორგება კოპოლას დღემდე უჭირს.

მისი შემდეგი სურათი გახლდათ „წვიმის ადამიანები“ (1969) – კამერული დრამა, რომელშიც უილბლო ადამიანების მიერ ბედნიერების ძიება იყო ასახული. ფილმმა რეჟისორს პირველი პრესტიჟული (ესპანეთის სან-სებასტიანის ფესტივალის) პრემია მოუტანა, სამაგიეროდ, ფინანსური შემოსავლის იმედები გაუცრუა. კოპოლამ, რომლისთვისაც პრაქტიკულობა სულაც არ გახლავთ უცხო, ფინანსურ წარუმატებლობასთან საბრძოლველად, პირველად მაშინ გამოიყენა თავისი საფირმო ნოუ-ჰაუ: კინოგაქირავებაში ფილმის ჩავარდნით მიყენებული ზარალის (მართალია, ამ შემთხვევაში მხოლოდ მორალურ ზარალზეა

ლაპარაკი, რამეთუ მატერიალური ზარალი სტუდიამ და პროდიუსერმა განიცადეს) ასანახა-ურებლად, ის მაშინვე იღებს ასპროცენტთან, „ნაღდ“ საკასო ფილმს.

მისი გადამრჩენელი ხალტურული სამუშაო, იმ ეტაპზე რეჟისორს ჰოლივუდის მეორე გიგანტურმა სტუდიამ – 20-th Century Fox-მა შესთავაზა: კოპოლა მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ამერიკელი ფილმის სცენარის თანაავტორი უნდა ყოფილიყო. ფრენსისს კომერციულმა ალლომ არ უმტყუნა: ბატალურმა ეპოპემ „გენერალი პატონი“, სტუდიას კარგი შემოსავალი მოუტანა, კოპოლას კი – პირველი „ოსკარი“.



წინადადება, რომელმაც უარის თქმა არ ეგების

ახალგაზომცხვარმა „ოსკაროსანმა“ აღებული ჰონორარით სან-ფრანცისკოში საკუთარი პატარა სტუდია – American Zoetrope დააარსა, თავის მოადგილედ კი, ახალგაზრდა რეჟისორი – ჯორჯ ლუკასი დანიშნა, რომლის სახელიც იმხანად არავის არაფერს ეუბნებოდა. მაგრამ არც ბედი-ხეობა თვლემდა: წარმატებას აუცილებლად წარუმატებლობა უნდა მოჰყოლოდა, რომლის დამლევაც რეჟისორს ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებასთან მიიყვანდა. ასეც მოხდა – მალე სტუდიის ვალებმა 300 ათას დოლარს გადააჭარბა და კოპოლას გაკოტრება დაემუქრა. აუცილებელი იყო გადამჭრელი ზომების მიღება და სწორედ ამ დროს ბნელი გვირაბის ბოლოს რეჟისორმა სინათლე დაინახა. უფრო ზუსტად კი, „ნათლის“ აჩრდილი გამოჩნდა.

დროთა განმავლობაში, ლეგენდარული სურათის შექმნის ისტორია, თავისთავად იქცა ჰოლივუდის ლეგენდად. ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ჯერ კიდევ 1966 წელს, სტუდია Paramount Pictures-მა 7,5 ათას დოლარად შეიძინა 20-გვერდიანი განაცხადი ფილმისთვის, სადაც აღწერილი იყო ერთ-ერთი განგსტერული ოჯახის ამბავი. სტუდიამ საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება განაცხადის 64 წლის ავტორისათვის, მართო პიუზოსთვის გადაეხადა 80 ათასი დოლარი, გარდა ამისა, ფილმის სცენარის შესაქმნელად გამოეყო სამუშაო კაბინეტი და მდივანი. სამი წლის შემდეგ, 20-გვერდიანი განაცხადი რომანად გადაიქცა, რომელიც „ნათლის“ სათაურით გამოიცა. წიგნმა მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია და სულ მალე ბესტსელერად იქცა. ფრენსის ფორდ კოპოლას ამავე სახელწოდების ფილმი, ამ მოვლენიდან კიდევ სამი წლის გასვლის შემდეგ გამოვიდა ეკრანებზე. სურათმა კინემატოგრაფში გზა გაუხსნა ახალ კინოჟანრს – „განგსტერულ საგას“. როგორც მოსალოდნელი იყო, ფილმის სენსაციურ წარმატებას წიგნის პოპულარობის მეორე ტალღა მოჰყვა – რომანის ტირაჟმა 10,5 მლნ-ს გადააჭარბა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რომანის ეკრანიზაციამდე სტუდიასა და გადამღებ ჯგუფს არაერთი სირთულე შეექმნა. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვიჩვენოთ, თავად სიტყვათა შეთანხმებამ – „იტალიური მაფია“ დიდი სკანდალი გამოიწვია. სტუდიის მიერ მოსალოდნელი ეკრანიზაციის თაობაზე განცხადების გაკეთებისთანავე, ადამიანის უფლებათა დაცვის რომელიც ამერიკულ-იტალიურმა ლიგამ პროტესტი გამოთქა და სტუდიის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა მისთვის ხელმისაწვდომ საშუალებას მიმართა: დაწყებული დემონსტრაციებით და დამთავრებული პროვოკაციებითა და პრესაში კომპრომატების გამოქვეყნებით. როგორც მოსალოდნელი იყო, შავი პიარის აგორების მცდელობამ საპირისპირო შედეგი გამოიღო – მსგავს რეკლამირებაზე სტუდია ვერც იოცნებებდა. ერთადერთი, რაც სურათის ავტორებმა იტალიური ლობის წარმომადგენლებს დაუთმეს, გახლდათ ის, რომ სიტყვა „მაფია“ „ოჯახით“ შეცვალეს.



ინია. რის შემდეგაც ბავშვივით გახარებულმა კოპოლამ, გაბრწყინებული სახით ამცნო დამსწრეთ, მსახიობი, რომელსაც ისეთი გრიმი ჰქონდა გაკეთებული, რომ მშობელ დელასაც გაუჭირდებოდა მისი ცნობა, მარლონ ბრანდო გახლდათ. ბრანდო მხოლოდ გრიმი არ შემოფარგლულა, მან ხმაც საეგულდაგულოდ შეიცვალა. დღეს, ოცდაათწლიანი გადასახედიდანაც კი, სხვა მსახიობის მიერ ნათამაშები დონ ვიტო კორლეონე ალბათ ყველასთვის ძნელი წარმოსადგენია.

განსაკუთრებული პრობლემები გადამდებ ჯგუფს მთავარი როლის შემსრულებლის კანდიდატურასთან დაკავშირებით შეექმნა. საკუთრივ კოპოლასთვის ეს პრობლემა არ გახლდათ, რამეთუ დონ ვიტო კორლეონეს როლში მას მარლონ ბრანდოს გარდა, სხვა ვერავინ წარმოედგინა, მაგრამ ახალგაზრდა რეჟისორის თავდაჯერებულობას არ იზიარებდნენ სტუდიის ხელმძღვანელები, რომლებიც თავის მხრივ სხვა კანდიდატურებს აყენებდნენ: დაწყებული ჯორჯ სკოტითა და ლოურენს ოლივიეთი და დამთავრებული, ცნობილი იტალიელი პროდიუსერით, კინომსახიობ სოფი ლორენის მეუღლით – კარლო პონტი. გარდა იმისა, რომ ბრანდოს ცუდი ხასიათის შესახებ მთელი პოლიტიკისთვის გახლდათ ცნობილი, სტუდიის ბოსები ამ როლისთვის მას ძალზე ახალგაზრდად მიიჩნევდნენ. სტუდიის ხელმძღვანელობის აზრით, საკუთარი ტალანტის გაფურჩქვნის პერიოდში მყოფი 45 წლის ბრანდოც კი, ვერ დასძლევდა სცენარის მიხედვით 60 წელს კარგა ხნის გადაბიჯებული განგსტერული კლანის ჭაღარათმიანი ბოსის როლს. საზოგადოებრივი აზრიც სტუდიის ბოსების მხარეს იყო, იმ შორეულ წლებში ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინათ, რომ ამერიკის სექსიმბოლოსა და პუბლიკის უსაყვარლეს მსახიობს „კრიმინალური ტიპაჟი“ ეთამაშა.

კოპოლამ პრობლემა მარტივად, ტიპური სარეჟისორო ფოკუსის მეშვეობით გადაწყვიტა. მან სტუდიის ბოსები მსახიობთა გასინჯვაზე მიიპატიჟა, სადაც ერთმა ხანში შესულმა, უცნობმა მსახიობმა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. არტისტი ყველამ პირვარდნილ დონ ვიტო კორლეონედ მი-

არის“ ათ ნომინაციაზე ერთდროულად წარადგინეს, რომელთაგან სამში – „საუკეთესო ფილმისათვის“, „მამაკაცის საუკეთესო როლისათვის“ და „საუკეთესო სცენარისათვის“ – გაიმარჯვა კიდევ რაც შეხება ნინო როტის მუსიკას – ფილმის მელოდია იმ ეპოქის „სავიზიტო ბარათად“ იქცა. მაგრამ კოპოლასთვის ფილმის სხვა ასპარეზზე გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ: მისმა სურათმა კინოგაქირავებაში თავისებური რეკორდი დაამყარა – ფილმი იმაზე მეტმა მაყურებელმა ნახა, ვიდრე ამერიკულ კინემატოგრაფში სამუდამოდ მიულწვევლ მწვერვალად მიჩნეული „ქარვადებულნი“.


მართალია, ამერიკული კინოგაქირავების დღევანდელი საკასო რეკორდსმენების ფონზე, თავისი 134 მლნ შემოსავლით, „ნათლია“ საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება და მხოლოდ 150-ე ადგილზე გახლავთ, მაგრამ სულ სხვა საქმეა ის, რომ 150 სურათიდან (სახოლო შედეგებით) მას მხოლოდ ხუთი ადგილი უსწრებს: „ბილი“ „ფიფტი და შვიდი ჯუჯა“ და „ჯუნგლების წიგნი“, ასევე „მუსიკის ჰანგები“ და „101 დაღმავალი“. 70-იანი წლების დასაწყისში, ეს აბსოლუტური ტრიუმფი გახლდათ და მაყურებელი მოუთმენლად ელოდა ფილმის გაგრძელებას. ამ ნაბიჯისაკენ რეჟისორს სხვა გარემოებებმაც უბიძგა: „ნათლიას“ გადაღებაში ადებული ფულით კოპოლამ საკუთარი სტუდიის ვალები მთლიანად დაფარა, მაგრამ მომავალში რა გზით ემოვა ფული, ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო.

დასასრული შემდეგ ნომერში

მბრე პიჭმა ცოლს 100-წლიანი იახცა უყიდა

რამდენიმე დღის წინ, პოლიუდთან დაახლოებულ წრეებში გაგრძელდა ხმა, რომ ჯენიფერ ენისტონმა, რომელიც დედა უნდა გამხდარიყო, ბავშვი დაკარგა. ამ დროს, ბრედ პიტმა, რომელიც მამობისთვის ემზადებოდა, საყვარელი მეუღლისთვის საჩუქრად 50-მეტრიანი იახცა შეარჩია, რომელშიც 5,5 მლნ დოლარი გადაიხადა. ეს იახცა თურმე, 98 წლის წინ აუგიათ და ახლა, სიძველეთა კოლექციონერ ინდოელ მაგნატს ეკუთვნოდა. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ 1967 წელს, სწორედ ის უსახსოვრა თავის მაშინდელ ცოლს – ელიზაბეტ ტელიორს, რიჩარდ ბარტონმა. მაშინ ეს იახცა სულ 150 ათასი დოლარი ღირებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ განვლილი 37 წელიწადში ის ზუსტად 37-ჯერ გაძვირებულა!.. ესოდენ ძვირად ღირებული საჩუქრის გასამართლებლად, პიტის ერთ-ერთმა მეგობარმა გაზეთ „სანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა: „ბრედს სურდა, რომ ჯენიფერს სცოდნოდა, თუ რაოდენ მაღლიერია ის მისი. ეს ყველაზე იდეალური არჩევანი იყო...“

ცომი ლი ჯონსი ამპლუას იცვლის



ვარსკვლავმა მსახიობმა გადაწყვიტა, რეჟისურაში გამოსცადოს თავი და ამჯერად, მცირეებუჯვრეტიანი ფილმის გადაღებას შეეჭიდოს. კინორამას საფუძვლად დაედება გილიერმო არიავის სცენარი და ის მაყურებელს მოუთხრობს კაცზე, რომელიც სიყრმის მეგობარს ეთხოვება. გარდაცვლილის უკანასკნელი თხოვნის აღსასრულებლად, ჯონსის გმირი მიემგზავრება მექსიკაში, რათა მის მშობლიურ სოფელში მიაბაროს მიწას მეგობრის ნეშტი... ტომი ლი ჯონსი არა მარტო დამდგმელ რეჟისორად, არამედ მთავარი როლის შემსრულებლადაც მოგვევლინება.

შეტან სტუდენტს თავშესაძცვი სეფსი სწყუბრძია


ვარსკვლავმა აღიარა, რომ სურს, განავრცოს თავისი საყვარლების სია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. სექსის წყურვილმა 46 წლის ლამაზმანს პრინციპების უარყოფისკენაც კი უბიძგა: ახლა შერონი სარეკელში პარტნიორებად მხოლოდ 40 წელზე ახალგაზრდა მამაკაცებს ირჩევს... ბოლო დროს, სტოუნის აქტიურად იცვლიდა საყვარლებს, თანაც, მას ყოველთვის, 22-დან 39 წლამდე ასაკის მამაკაცების გვერდით ხედავდნენ, — იუწყება ბრიტანული ტაბლოიდი „სანი“. მსახიობის პარტნიორთა ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის შარშან, ქმარს — „სან-ფრანცისკო ქრონიკლის“ რედაქტორს ფილ ბრონშტეინს გაეყარა, ეს სია ინტენსიურად ივსება. „ჯერ კიდევ 12 წლის წინ, „ძირითად ინსტინქტში“ გადაღების შემდეგ, ბევრი თავყანისმცემლისთვის მითქვამს უარი ასეთი მოტივით: შენზე ბევრად უფროსი ვარ და შესაძლოა, დედაშენიც კი ვყოფილიყავი-მეთქი... — აღიარა მსახიობმა და დასძინა: — ახლა ვამბობ: ჩემი ასაკის ქალებს სურთ სექსი. მე მინდა სექსი!“ შერონის თქმით, მას კეთილი და კონტაქტური მამაკაცები მოსწონს და დასძინა: „მიზიდავს



„ძველმოდური“ ყმაწვილები, რომლებიც დახვეწილი მანერებით გამოირჩევიან. მომწონს, როცა მამაკაცი, ოთახში ქალის შემოსვლისთანავე ფეხზე დგება, მომწონს ისიც, როცა ჩემს დანახარჯს კავალერი იხდის...“

პტლი მტბის რტმლიბრძა მამაკაცს მტხცდა

ახალ ფილმში — „ქალი-კატა“ — „ოსკაროსანი“ მსახიობის პტლი ბერის მამაკაცი უწვევდა დუბლირებას. საბრალი კასკადიორს — ნიტო ლარიოზეს, კინოვარსკვლავის მსგავსად, კატის ვიწრო კოსტიუმით სიარული და ტუჩების წითლად შეღებვა უხდებოდა. საბრძოლო ხელოვნების 29 წლის ექსპერტი ლარიოზა, პტლი ბერის დუბლირობას საკუთარი კანის ფერს უნდა უმაღლოდეს, რომელიც ზუსტად ემიხვევა მულატი კინოვარსკვლავის კანის ფერს.



კრფტბინ გრფა-ჯტბნსმა გამბიდრბრძა 10 წლის ასაკიდან დაიწყო



34 წლის პტლიეუდელი ვარსკვლავის პირადი ქონება 65 მლნ დოლარადაა შეფასებული და ის ერთ-ერთ უმდიდრეს ბრიტანელ (როგორც ცნობილია, მსახიობი წარმოშობით უელსელია) ქალთა რიგს მიეკუთვნება. ნიუ-იორკში, ბერმუდის კუნძულებზე, მაიორკასა და სუონსიში (უელსი) მდებარე საკუთარ რეზიდენციებს შორის მხოლოდ გადაფრენა-გადმოფრენებში მას თურმე, წელიწადში ნახევარ მლნ დოლარამდე ეხარჯება. აქვე უნდა ითქვას, რომ კეტრინი საქველმოქმედო მიზნებს ასევე ყოველწლიურად 3,5 მლნ-მდე დოლარს ახმარს. როგორც დასავლეთის მასმედია იუწყება, მომავალმა ვარსკვლავმა, რომელსაც ახლა თითოეულ როლსა თუ სარეკლამო რგოლში მონაწილეობისთვის 20 მლნ-ს უხდებიან, საკუთარი შრომით პირველი გასამრჯელო ჯერ კიდევ 10 წლის ასაკში მიიღო: ნორჩი ტალანტების კონკურსში გამარჯვების შემდეგ, უესტენდში დადგმულ მიუზიკლში მონაწილეობდა და როლისთვის კვირაში 85 გირვანქა სტერლინგს (მაშინდელი კურსით დაახლოებით 140 დოლარს) იღებდა.

ფტმ კბრტგს ასალი ბრქბისბტი სქბბრძა

მსახიობი ებებს დამდგმელს ფილმისა — „შეუსრულებელი მისია 3“, რადგან ჯო კარახანს განუცხადებია, რომ მისთვის ეს ამჟღავნა მიუღებელია, წარმოქმნილი უთანხმოების გამო. ახალ პტტენციურ ბლოკბასტერზე მუშაობა სავარაუდოდ, უკვე აგვისტოში, ბერლინში უნდა დაიწყო. კონტრაქტი კარახანთან (რომლის „აქტივშია“, კრიტიკის ქარცეცხლში გამოვლილი, პტლიციური ტრილეერი — „ნარკობარონი“) მას შემდეგ დაიდო, რაც ამ სამუშაოზე უარი თქვა დევიდ ფინჩერმა (რეჟისორმა ფილმებისა: „საბრძოლო კლუბი“ და „სვიდი“), რომელმაც „მისიის“ გადაღებას, სხვა ფილმზე მუშაობა ამჯობინა. მაგრამ ცოტა ხანში, კარახანმაც დაარღვია წინასწარი შეთანხმება. თავდაპირველად, „შეუსრულებელი მისია 3“-ის კინოეკრანებზე გამოსვლა მომავალი წლის მაისში იყო დაგეგმილი. ახლა სტუდია „პარამაუნტმა“ პრემიერა ივნისისთვის გადაიტანა. ფილმში მონაწილე მსახიობთაგან ყველაზე დიდ ვარსკვლავად ტომ კრუზი ითვლება, რომელიც საიდუმლო აგენტს განასახიერებს.

კინოსერიალის — „შეუსრულებელი მისია“ პირველი ფილმი (1996 წ.) რეჟისორმა ბრაიან დე პალმამ დადგა, რომელმაც შემდგომ, ამის უფლება აღმოსავლურ ბოევიკებში დახელოვნებულ თავის პირკონველ კოლეგას — ჯონ ვუს გადასცა. პირველმა „მისიამ“ მის შემქმნელებს 420 მლნ დოლარი მოუტანა, მეორემ — 565 მლნ-ზე მეტი...



მათ საკმაოდ ბევრი იარეც ცხოვრების ბილიკებზე. ნაადრევად სხვებზე დაქორწინებულებმა, ავიც ბევრი ნახეს და კარგიც. მერე საერთო საქმემ შემოქმედებითად დააკავშირა ერთმანეთთან, თუმცა, შესვენდრისთანავე შინაგანი იმპულსებით იგრძნეს, რომ ნამდვილ მეორე ნახევარს შესვენდნენ და მას მერე, აღარც დასცილებიან ერთმანეთს. მოგვიანებით, სასურველი, თუმცა სკანდალური ქორწინებაც შედგა და აგერ უკვე 20 წელიწადია, ძველებური გატაცებით შეხარიან ერთმანეთს.

დაგვიანებული გრძობის ხიზლი სკანდალური ქორწინება



თარამ ემხვარის როლში

თამარ კაპანაძე

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი დარეჯან მახაშვილი საქართველოში თითზე ჩამოსათვლელ იმ პიანისტ-კონცერტმასტერ ქალთა რიგშია, ვისაც რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება აქვს მინიჭებული. რაც შეეხება ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვან სახეს, საქართველოს სახალხო არტისტს, კონსერვატორიის დოცენტ ელდარ გევაძეს – მისი ტიტულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. თუმცა, როგორც თავად აღნიშნა, ყველაზე მეტად მაინც გლინკას საერთაშორისო კონკურსისა და ზურაბ ანჯაფარიძის საერთაშორისო ფონდის მიერ ამ ცოტა ხნის წინ მიღებული ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება ეამაყება.

ელდარ გევაძე:

– როცა კონსერვატორიაში ჩავირიცხე, კონცერტმასტერად სრულიად ახალგაზრდა, საკმაოდ ლამაზი და მომხიბლავი გოგონა დამინიშნეს. თუმცა, რაკი ორივეს ოჯახი გვქონდა, თავსაც ვერ ვუშხელდით, რომ ერთმანეთი ძალიან მოგვწონდა...

დარეჯან მახაშვილი:

– ელდარი საუკეთესო მოსწავლე და ძალზე ყურადღებიანი, თბილი, საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა. ჩვენ მაშინვე დაემეგობრდით და ძალიან ძალე მივხვდით, რომ ერთმანეთს ვაკვებდით. ამას შემოქმედებითი თანახმარობა და გასტროლებიც დაემატა და წლების შემდეგ, როცა აშკარა გახდა, რომ პირველი ქორწინება ორივესთვის უიღბლო აღმოჩნდა, ხოლო ჩვენ უერთმანეთოდ აღარ შეგვეძლო, ახალი ოჯახიც შეიქმნა.

ელდარი:

– არ გეგონოთ, რომ პირველი ოჯახების დანგრევის მიზეზი ჩვენი ურთიერთობა იყო. ეტყობა, სულს, საერთო ჳერზე

მეტად, სულ სხვა კავშირი სჭირდება. გაუგებრობებისა და კონფლიქტების გარემოში ცხოვრებას, რასაკვირველია, განშორება სჯობია. შენც უნდა მოისვენო და შენ გვერდით მყოფსაც მისცე თავისუფლება. სულიერი ჰარმონიის გარეშე ცხოვრება ძალიან ძნელია.

დარეჯანი:

– თუმცა, ამ ყველაფერს, უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია... მე გათხოვბიდან ძალიან ძალე მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი და არასწორი არჩევანი გააკეთე. ელდარსაც იგივე დაემართა. ამიტომ ჩვენ ორივემ, მე – შედარებით ადრე, ელდარმა – უფრო მოგვიანებით, ისე, რომ ჳერ ერთმანეთისთვის გადაკრული სიტყვაც არ გვქონდა ნათქვამი, ყველაფერი და მათ შორის, საკმაოდ კომფორტულად მოწყობილი ბინები და ოჯახები დავტოვეთ. მერე, როცა ერთად ცხოვრება გარდაუვალი აღმოჩნდა, მძიმე სიტუაციიდან თავის დაღწევის მიზნით, საქართველოდან წასვლაც გადაწყვიტეთ: ძნელი გახდა მითქმამოთქმისა და გაერცელებული ჳორების მოსმენა, განაწყენებული შვილებისა და გაკვირვებული ახლობლებისთვის იმის ახსნა, თუ ისეთი რა ვიპოვეთ ერთმანეთში... ამის ახსნა უბრალოდ, შეუძლებელია – ამას უნდა მიხვდე, უნდა იგრძნო... ნაწილმა, ვინც ეს მოახერხა, გულისა და თავიანთი სახლების კარები ფართოდ გაგვიღო და შეგვიფარა. ესენი ჩვენი უახლოესი მეგობრები, მოგვიანებით – და და მშობლები აღმოჩნდნენ.

ელდარი:

– სხვათა შორის, ბევრს ჰგონია, რომ არტისტულ სამყაროში შედარებით გაიოლებულია ეს პროცესები. არადა, სულაც არ არის ასე. ჩვენც ისევე გვყვანან ახლობლები, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავთ, ჩვენც ისევე განვიცდით ყველანაირ წწესს... ერთადერთი, რისი იმედიც სულ მქონდა, ის იყო, რომ მჯეროდა

– საბოლოოდ მაინც გვაპატიებდნენ, გავიგებდნენ, რადგან სიყვარულის წინაშე ყველანი უძღლები ვართ. იძულების წესით ცხოვრებას, ახლის დაწყება სჯობია. ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა დაგვჭირდა, მაგრამ მერე ყველაფერი დალაგდა. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: დარეჯანის დედას საკმაოდ ვერაგი დაავადება – სკლეროზი დაემართა. ზშირად, სამწუხაროდ, ვეღარავის, მათ შორის საკუთარ შვილებსაც ვეღარ ცნობდა. ერთადერთი, ვინც არასოდეს შეშლია და ვისი ნახვაც ყოველთვის დიდ სიხარულს ანიჭებდა, მე ვიყავი. მოდი, ჩემი ელდარო, – მეტყოდა და ხელგამლილი, აცრემლებული, გულში ჩამიკრავდა...

დარეჯანი:

– ბევრი გადატანილი ძლეუვარების მიუხედავად, დღემდე არასოდეს მინანია, რომ ეს ნაბიჯი გადავდგი. რასაკვირველია, ერთმანეთში კამათიც გვქონია, მცირე გაუგებრობაც, მაგრამ მტკივნეული და სერიოზული – არასოდეს. უფრო მეტიც – ჩვენ უსიტყვოდაც კარგად გვესმის ერთმანეთის...

ელდარი:

– ჩვენი შვილები განუყოფლად არიან ჩვენიან დაკავშირებულნი. ჩვენთან გაიზარდა დარეჯანის ქალიშვილი – ნიჭიერი პიანისტი სოფიკო გოშაძე, რომელიც უკვე ჩემს სტუდენტებს უწევს აკომპანირებას; ჩვენთან ზშირადია სიძე – ნიჭიერი მსატყარი თემურ ქადაგიშვილი, რომელსაც სამწუხაროდ, საზღვარგარეთ უფრო უკეთ იცნობენ და სცემენ პატივს, ვიდრე ჩვენთან; სკოლის მოსწავლეები არიან და ზშირად მოდიან მათი შვილები – გაბრიელი და მათი.

მთლად ჩვენი გაზრდილია ნინო – დარეჯანის ვაჟიშვილის, წარმატებული, მართლა კარგი ფსიქოლოგისა და ბრიჯში ევროპის ჩემპიონის გონა გომადის უმშვენიერესი ქალიშვილი, რომელიც თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს, დაამთავრა გერმანული სკოლა და ინგლისურსაც შესანიშნავად ფლობს. ინგლისური სკოლის მოსწავლეა თამუნა გომადი.

დარეჯანი:

– ელდარს განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრის ის ფაქტი, რომ პატარაობიდანვე დღემდე, ყველა მას ამსგავსებს ნინოს...

ელდარი:

– სამაგიეროდ, დარეჯანს ამსგავსებენ ჩემს უმცროს ქალიშვილს – კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის კურსდამთავრებულ მზია გეწაძეს. ირმა კი, მთლად ჩემი ასლია...

დარეჯანი:

– სერიოზული მუსიკოსია ელდარის უფროსი ქალიშვილი – ირმა. მას საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი აქვს



ჩვენი შვილები განუყოფლად არიან ჩვენთან დაკავშირებულნი... ბაკონი ელდარი ირმასთან ერთად

არ გვყავს, ეს გარემოება ამ ფაქტმა სრულიად დაჩრდილა.

დარეჯანი:

– ისე, ყველაზე მეტად, როგორც ბიჭს, მაინც გონას გაუჭირდა ჩვენი პატიება. თუმცა მერე, ელდარის შემოქმედებითაც დაინტერესდა, კონცერტებსაც ესწრებოდა, ახლოსაც გაიციო, ბოდიშიც მოუსადა და დამეგობრდნენ კიდევც...

ელდარი:

– სულ მქონდა იმედი, რომ ასეც იქნებოდა, კაცურად გამიგებდა და ყველაფერს თვავდევ მოვავგარებდი. არ მიყვარს, როცა შენს საქმეში სხვები ერევიან. ეგ კი არა, თეატრშიც საკუთარი ძალებით გავიკაფე ვზა. რა დამავიწყებს ჩემი დიდი მასწავლებლის დავით ანდლულაძის ნათქვამს: ერთი სიტყვაც რომ მეტეკა თეატრის დირექტორ დიმიტრი მჭედლიძისათვის, ვიცი, დასში უყოფმანოდ ჩაგრიცხავდა, მაგრამ შუაკაცობა ვერ გაკადრე, ვიცი, ამას შენითაც მშვენიერად შეძლებო!.. ასე მასწავლა კაცურად ცხოვრება ჩემმა საამაყო მასწავლებელმა და მეგონი, არც არასოდეს ჩაგჭრილვარ.

დარეჯანი:

– დავით ანდლულაძე გოლიათური აღნაგობის კაცი იყო, მაგრამ ბავშვებით გულკეთილსა და ღმობიერს, მეტისმეტად უყვარდა თავისი მოსწავლეები (*სხვათა შორის, დავით ანდლულაძის პირველი მოსწავლე ზურაბ ანჯაფარიძე, ხოლო უკანასკნელი – ელდარ გეწაძე ყოფილა. – ავტ.*), უხაროდა მათი წარმატებები და ზუსტად აფასებდა მათ შესაძლებლობებს.

ელდარი:

– ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ გადაღება დაიწყო.

კიაზოს პარტიას თენგიზ ზეინკლიშვილი ასრულებდა. გადაწყდა, რომ ეკრანული სახე მე უნდა შემექმნა. ბატონმა დავითმა არ მიჩნია: გავა დრო, შენ თვითონაც იმღერებ კიაზოს და გული დავწყვდება, რომ ფილმში სხვისი ხმა იქნება დარჩენილი... მაშინ გამიჭირდა ამის გაგება, მერე კი კმაყოფილი დავრჩი, რომ დავუჯერე. აქვე არ შემიძლია არ ვითხრათ ისიც, რომ ჩემი მასწავლებლისთვის უკანასკნელი სიხარული აღმოჩნდა ჩემი დებიუტი ოპერის თეატრის სცენაზე – დებიუტი სწორედ „დაისში“ და სწორედ კიაზოს პარტიაში.

დარეჯანი:

– ოთარ თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცებაში“ თარაშ ემხვარის როლი შეასრულა ელდარმა. სულ უბრალო, უმნიშვნელო გრიმიც კი არ დასჭირვებია. საექტაკლზე მობრძანებულ, საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას მუსიკათმცოდნე იუნონა აფაქიძისთვის კმაყოფილს უთქვამს: ალბათ, მამაჩემს სწორედ ასეთი თარაში ჰყავდა წარმოდგენილი, როცა მის სახეს ჰქმნიდაო...

ელდარი:

– თუმცა ცოცხალი აღარ იყო, ყველა ჩემს წარმატებას ჩემს დიდ პედაგოგს ვუძღვნიდი და ამის გამო თავს არ ვზოგავდი.

დარეჯანი:

– ჩვენი დიდი მამსტროს ხსოვნას მიუძღვნით საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კონცერტებიც. 2 საათის განმავლობაში ცვლიდნენ ერთმანეთს ზურაბ ანჯაფარიძე და ელდარ გეწაძე, მერე იყო დუეტები... მე ინსტრუმენტთან ვიჯექი და ოფლად ვიდგებოდი, სამაგიეროდ, ხალხის იმდენი სიყვარული და პატივისცემა მივიღე, ამის დავიწყებას ვერასოდეს შევძლებ. როცა იმერეთის ქალაქებში გვექონდა კონცერტები, სასტუმროს ნაცვლად, ზესტაფონში ელდარის ოჯახში ვისვენებდით. ეს ჩვენს ქორწინებამდე 6-7 წლით ადრე იყო. არაჩვეულებრივი, სულიერად მდიდარი, სტუმართმოყვარე ოჯახი და მშობლები ჰყავდა ელდარს. ზურიკოც და ელდარის ბევრი სხვა მეგობარიც საკუთარ ოჯახად მიიჩნევდა და ელდარის გარეშეც ხშირად ჩადიოდა იქ.

ელდარი:

– მასსოვს, ერთხელ ზურიკო მეუბნება – შენებთან ვიყავი ჩასული, მარინა (მაშინ მისი საცილე. – ავტ.) ვაჩვენე



ქალბაკონი დარეჯანი დავით ანდლულაძესთან ერთად

დამთავრებული და ჩვენი თეატრის გუნდის ხელმძღვანელის გელა ფარჩუკიძის ასისტენტი. ერთხელ, იმის გამო, რომ გერმანიაში საერთაშორისო საოპერო ფესტივალზე ვიყავი წასული, ჩემი მოვალეობა ბრწყინვალედ შეასრულა ირმამ და ელდარს მაკბეტის პარტია შეასწავლა. როცა უკან დავბრუნდი, აღფრთოვანება ვერ დავფარე, იმდენად კარგად ჰქონდა თავისი საქმე შესრულებული.

ელდარი:

– რაც მთავარია, ჩვენს შვილებს იმდენად უყვართ ერთმანეთი და იმდენად კარგად გრძნობენ თავს ერთად, რომ ვერც იფიქრებთ – ღვიძლი და ძმანი არ არიანო და თუმცა საერთო შვილი

დედა ლენასა და ბიძია შოთას (ელდარის ბიძა; მამა – ბატონი შალვა ამდროს ცოცხალი აღარ იყო. – ავტ.); აბა, უბრალოდ რომ მომეყვანა ცოლად და მერე აღარ მოსწონებოდათ, უკან ხომ აღარ გავუშვებდი და ბარემ თავი დავიზღვიეთ...

ღარაფანი:

– იმ დღეებმა ძალზე ბევრი რამ განაპირობა ჩვენ შემდგომ ურთიერთობებში, კიდევ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს...

ელდარი:

– როცა ჩვენი ურთიერთობა გახმაურდა და მითქმა-მოთქმა დაიწყო, ჩემთვის უძვირფასესმა ორმა ადამიანმა – დედაჩემმა და ზურაბ ანჯაფარიძემ დაახლოებით ერთნაირი სიტყვებით გამოხატეს თავიანთი სათქმელი: ელდარს არაფერი ეშლება და მან ყველაზე უკეთ იცის თავისი საქმეო. ამან მხნეობა შემატა და ჩვენ შევუღლდით.

ღარაფანი:

– მანამდე კი ბევრი მღელვარე წუთი, მონატრების განცდა, მოლოდინის სიმწარე და მოულოდნელი შეხვედრით გამოწვეული სიხარულიც იყო...

ელდარი:

– ერთ შემთხვევას გავიხსენებ: მე კივიში ვიყავი გასტროლებზე, „ტრუბადურში“ უნდა მემღერა, დარეჯანი ბაქოში იყო, ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსზე. დავურეკე და ვუთხარი, რომ აუცილებლად ჩავიდოდი. გასტროლების 3 დღით გაგრძელება შემომთავაზეს, მაგრამ ვერაფრით დამითანხმეს: გოგო სულმოუთქმელად მელიოდა, ვიცოდი, ინერვიულებდა და იმედი რატომ გამეცრუებინა?! გადმოფრინდი თბილისში, მაგრამ ბაქოში მიმავალმა მატარებელმა გამასწრო და ტაქსით სადგურ ველამდე გავეკიდე. იქ რომ ჩავედი, გამოირკვა – მატარებელი ჯერ არ ჩასულიყო და ლოდინი მომიწევდა, ამიტომ სხვა მატარებელში ჩავჯექი და მიხაროდა – იმაზე ადრე ჩავალ, ვიდრე დარეჯანი მელიოდა-მეთქი, მაგრამ რად გინდა?... შევედით აფშერონის ყურეში და გაურკვეველი დროით გავგაჩერეს. ჩამოვხტი მატარებლიდან, სული ყელში მაქვს მოხვენილი, ნერვიულად გავდი-გამოვდივარ... უცებ ვხედავ – ელმავალი მოდის. არც ვაცეი, არც ვაცხელე, გადავუდექი წინ და თითქოს ისიც ტაქსი ყოფილიყო, ხელი დაუეჭნე. ვხედავ, გაჩერდა. – ისეთი განწირული სახით გვთხოვდი შევლას, გვერდს როგორ ავივლიდით?! – მითხრეს მემანქანემ და მისმა თანაშემწემ. მერე, როცა

ჩემი მდგომარეობა გაიგეს – აქაოდა, კაცს შეყვარებულთან ეჩქარება და როგორ გავაწბილოთ?! – და სადგურიდან სადგურში რეკავდნენ – არ შეგვაჩეროთ, სასწრაფო საქმეზე მივდივართო. მოკლედ, ისე ვიქროლეთ, ბაქოში მთელი ორი საათით ადრე ჩავედით. მივედი სასტუმროში და რაკი დარეჯანის ნომერი დაკეტილი დამხვდა, მოწყენილი ვესტიბიულში დავჯექი. თურმე, იგი მეგობართან ერთად წასულიყო სადგურში ჩემს დასახვედრად და თუმე სიურპრიზის მოწყობას ვაპირებდი, აბა, საიდან უნდა სცოდნოდა?..

ღარაფანი:

– ჯერ ძლივს მოაღწია მატარებელმა, მერე ელდარი არსად ჩანდა და წელმოწყვეტილები, გულდაწყვეტილები წამოვედით უკან. შემოვედით სასტუმროში, სახე ჩამოშტრის და უცებ, უკნიდან მესმის – „დარეჯანი“ თუ არ შევიშლებოდი, არ მეგონა. კისერზე ჩამოკიდებული შემიყვანა ოთახში... ჩემი სიხარული მისთვის ყველაფერი იყო. მეც სულ იმას ვაკეთებდი და ვაკეთებ, რაც გაახარებს, სხვათა შორის, ძალიან ლამაზი საყურეც ჩამოიტანა მაშინ.

ელდარი:

– სხვაგვარად ცხოვრება ვერც ერთს ვერ წარმოგვიდგინა. თუ დამიჯერებთ, ადრე მართლა არაფერი დამიკლია და არც არასოდეს მიღალატია მისთვის...

ღარაფანი:

– ერთი ძალიან ლამაზი ტრადიციაც ჰქონდა ელდარს: ადრიან გაზაფხ-




ელდარ გეწამე და დარეჯან მახაშვილი

ულზე, ჩემი დაბადების დღეს, სადმე ქალაქ გარეთ გავიდოდა, იებს ფესვებიანად ამოიღებდა მიწიდან და ჩემს უჯრაში უჩუმრად ჩააწყობდა. თეატრში მისულს, იმოდენა სიამოვნება მელიოდა იმის შეგრძნებით, რომ ჩემთვის იწვალა, მთის ფერდობებზე ეძებდა იას, რომ ლამის მეტირა სიხარულისგან... მერე და მერე, ეს რომანტიკა გაქრა და ელდარი ისევ იებით – ოლონდ, ახლა უკვე ნაყიდი იებით მილოცავს ხოლმე დაბადების დღესა და გაზაფხულის მობრძანებას.

ელდარი:

– არაფერიც არ გამქრალა – უბრალოდ. მაშინ, მანქანა მყავდა და შედარებით იოლი იყო ეს ყველაფერი... არა, შესაძლოა, რომანტიკამაც იკლო, მაგრამ მოვიდა ბევრად უფრო ძლიერი, სრულყოფილი გრძნობა, რომელმაც ყველაფერი გადაწონა. ადრე ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ასე იქნებოდა, ამიტომ ცოტა ვშიშობდი კიდევ, არაფერი დაკარგულიყო. არადა, როგორ ვცდებოდი თურმე: როცა საყვარელი ქალი სულიან-ხორციანად გეკუთვნის, მაშინ თურმე, სიყვარული იმ მწვერვალს აღწევს, რომლის მიღმა უფრო ძლიერი და სასურველი აღარაფერი არსებობს...



ზურაბ ანჯაფარიძისთან ერთად „ოტელოს“ რეჟისორი

P.S. „ოტელოს“ დადგმისას გაჩაღებულა დავა – ვინ უნდა ყოფილიყო დეზდემონა. აზრი ზურაბ ანჯაფარიძე-ოტელოსთვისაც უკითხავთ. – სულერთია, ვის „მივანჩხოვ“ – უხუშრია ბატონ ზურაბს, – აი, იავოდ კი, ელდარის გარდა, არავინ დამანახვითო, – მოუთხოვია კატეგორიულად. როგორც ჩანს, ელდარ გეწამე არა მარტო მეგობრობასა და სიყვარულში, ხშირ შემთხვევაში, სცენაზეც ერთადერთი და შეუცვლელი ყოფილა...

კვირის (2 - 8 აგვისტო)

პეტი - 21/III-20/IV

ქალი: გაიცნობთ ადამიანს, რომელიც მომავალში თქვენი საიმედო პარტნიორი გახდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ. ოჯახში მოსალოდნელი კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

მამაკაცი: თავი დაანებეთ უპერსპექტივო ოცნებებს. ჯობს მიხედოთ იმ ადამიანებს, ვინც მზად არის თქვენი გულისთვის დრო, ენერჯია და სიტბო გაიღოს.

პეტი - 21/IV-21/V

ქალი: ოჯახში მშვიდი და გაწონასწორებული მდგომარეობა გაქვთ. შეინარჩუნეთ ეს. ნურავის მოაბეზრებთ თავს დარიგებებით და შენიშვნებით. ზედმეტი პრეტენზიებისგან თავის შეკავება გამართებთ.

მამაკაცი: გაიხსენეთ წარსულის შეცდომები. დიდი შანსია მათი გამეორების, თუ კარგად არ აწონდაწონით შექმნილ მდგომარეობას. ამ კვირაში დიდი ალბათობაა იმისაც, რომ ვიღაც შეეცადოს თქვენს პროვოცირებას.

პარნეზი - 22/V-21/VI

ქალი: სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოგიწოდებთ. ამ კვირაში მაქსიმალურად შეეცადეთ ასიაშოვნოთ საკუთარ თავს. კარგი იქნება თუ იმიჯის შეცვლაზეც იზრუნებთ და ახალ ტანსაცმელსაც შეიძინებთ.

მამაკაცი: ნუ გაბრაზდებით თუკი მეგობრები დანაპირებს ვერ შეგისრულებენ. ნუ დაივიწყებთ, რომ არსებობს გარემოებები, რომლებიც სურვილების შესრულებაში გვიშლის ხელს.

პირნეზი - 22/VI-22/VII

ქალი: ის წინადადებები, რომლებსაც ამ კვირაში შემოგთავაზებენ, ფიქრად არ ღირს. ოჯახში დამაბულობის მიზეზი მხოლოდ თქვენ ხართ. თუ გულწრფელად არ იტყვით რა გწყინთ, ვერავინ მიხვდება თქვენი გაბრაზების მიზეზს.

მამაკაცი: ამ კვირაში შექმნილ ყველა პრობლემას შეიძლება საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გამწვავებაც დაემატოს. ამიტომ ჯობს მასთან შეხვედრა სხვა დროისთვის გადადოთ.

სსპროლოგიური პროგნოზი

ლოპი - 23/VII-23/VIII

ქალი: არ გირჩევთ სამსახურებრივი რომანის გაჩაღებას. ყოველ შემთხვევაში უმჯობესია, ამ კვირაში ყოველგვარი ფლირტისგან თავი შეიკავოთ, რადგან თქვენი კეკლუცობა შეუმჩნეველი არ დარჩება და მითქმა-მოთქმას გამოიწვევს.

მამაკაცი: ცხელი დღეები გელით. ვნებათაღელვა სასიყვარულო ფრონტზე, ინტრიგები სამსახურში, სკანდალი წვეულებაზე... ეს დღეები მომავალში დიდხანს გემახსოვრებათ.

ქალწული - 24/VIII-23/IX

ქალი: თქვენს მონდომებას ბოლოს და ბოლოს, დააფასებენ და აქტიურად დაიწყება საუბარი თქვენს დაწინაურებაზე. წინ საინტერესო დღეები გელით. დიდი ხნის ნანატრ წარმატებას მიაღწევთ.

მამაკაცი: საოჯახო პრობლემებს შეიძლება თავი მოგაბეზრათ, მაგრამ რას იზამთ. მათ ისე კერავინ მოაგვარებს, როგორც თქვენ. ამიტომ ჯობს სწრაფად მოავკაროთ ისინი.

სანსერი - 24/IX-23/X

ქალი: ერთობლივი პროექტისგან თქვენი პარტნიორი უფრო მეტს მოელოს, ვიდრე თქვენ, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდება. მოულოდნელი სიხარულით გამოწვეული განცდა დიდხანს გაგყვებათ.

მამაკაცი: ოჯახის წევრები თავიანთი პრეტენზიულობით და ფულის ხარჯვის ტემპით გაღიზიანებენ, მაგრამ მოთმინება გმართებთ. სამაგიეროდ, ოჯახის მარჩენალის სტატუსი საპატიოა და პატივისცემას იმსახურებს.

ღრინაპალი - 24/X-22/XI

ქალი: მიხედეთ პირად ცხოვრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალში დიდი ძალისხმევის დახარჯვა მოგიწევთ მის მოსაწესრიგებლად. თქვენი ბედნიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაანაწილებთ დროს სამსახურსა და დასვენებას შორის.

მამაკაცი: მოემზადეთ სასიყვარულო თავგადასავლებისთვის. თქვენი ისეთი ქალი აღფრთოვანდება, მეგობრები თქვენს ნაამბობში ეჭვსაც კი შეიტანენ. იაქტიურად ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.

მეზიდოსანი - 23/XI-21/XII

ქალი: ყველაფერი, რასაც ამ კვირაში ხელს მოჰკიდებთ, წარმატებას მოგიტანთ და ფულის პრობლემაც მოგხსნებათ. წადით მაღაზიაში ოჯახის წევრებთან ერთად და შეიძინეთ ახალი ნივთები.

მამაკაცი: თქვენ ირგვლივ ყველაფერი მშვენიერია, კარგი განწყობილება გადამდებია. ამიტომ შეუარეთ მეგობარს, რომელსაც ამ ეტაპზე პრობლემები აქვს და შეეცადეთ, გაამხნევოთ და გაამხიარულოთ იგი.

თხის რქა - 22/XII-20/I

ქალი: კვირის ბოლოს საკმაოდ კარგ ხასიათზე იქნებით, რადგან მოულოდნელად ისეთ საქმიან წინადადებას მიიღებთ, სიზმარში გვეგონებათ თავი. გაატარეთ შაბათ-კვირა მეგობრებთან ერთად, ოღონდ ბევრს ნუ ილაპარაკებთ.

მამაკაცი: საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება, თუკი გამბედაობას მოიკრებთ და ეტყვიით, რასაც მის მიმართ განიცდით.

პერნეული - 21/I-19/II


ქალი: ჯობს გამოიჩინოთ სიფრთხილე და სარისკო საქმეებისგან თავი შორს დაიჭიროთ. კარგად გაიაზრეთ ყოველი თქვენი მოქმედება. იყავით კორექტული ახლობლებთან ურთიერთობისას.

მამაკაცი: მეტი მოთმინების გამოვლენა გმართებთ, რათა კონფლიქტი აცილოთ თავიდან. პასუხისმგებლობა გამოიჩინეთ სამსახურშიც. უმტიკივნიულოდ მიიღეთ შენიშვნები და ეცადეთ გაითვალისწინოთ მეგობრების რჩევა.

თეზეზი - 20/II-20/III

ქალი: ამ კვირაში გირჩევთ გამოიჩინოთ პრინციპულობა. თუმცა, პრინციპულობა სიჯიუტეში არ უნდა გადაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მეგობრებს გაანაწყინებთ და მერე დიდი დრო დაგჭირდებათ მათ შემოსარიგებლად.

მამაკაცი: მშვიდი კვირა არ გაქვთ, მაგრამ ყველაფრის გამოსწორება შესაძლებელია. თავი შეიკავეთ ალკოჰოლისგან და დაუგეგმავი მოგზაურობისგან. მეტი დრო გაატარეთ ოჯახში.



წინა, რომელიც კარგად იყიდება	ხორცის ნახარში	გ	რუსი ნათელმხილველი	კუდი ალენის ყოფილი ცოლი ... ფეროუ	ი	თვალის გუბა	გ
	გ	ვ	ვ	ე	მ	ი	ა
მუსიკის ტრფიალი აქრე მძღ. და მსხ.	ს	ი	ნ	ა	ტ	ჟ	ა
სახელმწიფო აფრიკაში	ტ	ვ	ბ	ვ	საბკოთა ფიზიკოსი	ა	ძველი, ძვირფასი ნივთი
ი	ს	ნ	ვ	ნ	ე	ჟ	შეცდომა ბანქოს თამაშებში
ბროუს ... რუმინული ვალუტა	ვ	ი	ამერიკელი მსახიობი ჩე ...	ვ	ჟ	ი	შესაფუთი მასალა
ი	პ	ნ	ოპტიკური ბელსაწყო წყალქვეშა ნავში	ა	ჟ	ა	ჩრდილო კავკასიის მოსახლე

ი	პ	ვ	გ	ს	ი	ჟ	ე	ჟ	ი	კ	ე	ვ
რეიგანის ავადმყოფობა	ა	დარტცხისგან ამბურცული აფილი შუბლზე	ა	შტატი აშშ-ში	ა	პ	ჟ	ა	ფრან. სუნამო მღაზ. ქსელი "....-პარი"	ი	კ	ე
ლიანდაგი	ჟ	ე	ვ	ს	ი	ფარდობითობის თეორიის შემქმნელი	ი	ბ	ნ	ი	ტ	ი
ი	კ	ნ	ი	პერუს მირმევი მოსახლე	ნ	სამეჯლისო ცეკვა	პონაროუსკაია, ხაკამადა		მ	ნ	ბ	ჟ
... მორიკონე	ი	ცხოველის კუჭის ნაწილი	ც	ა	მ	ა	ი		ბ	ა	ნ	მ
ე	ნ	ი	ვ	ირანული ფული	ტ	ა	ჟ	მ	ნ	ბ	ჟ	ა
კინოფილმი გაგრძელებებით	ს	ე	ჟ	ი	ა	ვ	ი	მ	ნ	ბ	ჟ	ა
იაპონური ფირმა	ვ	ნაპოლეონის მარშალი	ნ	მდინარე ციმბირში	ი	ს	ნ	მ	ნ	ბ	ჟ	ა
ყაჩაღი გურიკაში	ნ	ე	ი	ფილმი უილსმიტის მონაწილე	ნ	ი	ა	მ	ნ	ბ	ჟ	ა
ც	ი	ჟ	ა	ვ	ი	შეადგინა რამაზ ალანია						

გაგონიერი აზროვნების მოსწრეები გაგონათქაფები



მღვარგადასული სურვილი

ერთხელ პადერევსკიმ ლონდონში კონცერტი გამართა. დარბაზში დასუთული ჰაერი იყო და ორმა ქალმა ითხოვა, ფანჯრები გაეღოთ. დარბაზში გამჭოლი ქარი წარმოიშვა. პადერევსკიმ ქალებს მიმართა:

- იძულებული ვარ, ფანჯრების დახურვა ვითხოვო. შეუძლებელია ერთბაშად ორი სიამოვნების მიღება: კარგი მუსიკის მოსმენა და პიანისტის მოკვლა.

არათანმიმდევრულობა

იტალიელმა კომპოზიტორმა პიეტრო მასკანიმ მილანის „ლა სკალას“ თეატრში თავისი ახალი ოპერის პრემიერის ღირეურობის დროს შენიშნა, რომ ერთი მისი ნაცნობი გრაფინია მეორე მოქმედების შემდეგ თეატრიდან წავიდა. მეორე დღეს კომპოზიტორმა ამის გამო გრაფინიას უსაყვედურა.

- არ გეწყინოთ, ჩემო ძვირფასო, - მიუგო გრაფინიამ, - მე ხომ კარგი ტონის წესი უნდა დავიცვა და მეორე მო-

ქმედების შემდეგ, ყოველთვის დავტოვო თეატრი!..

რამდენიმე ხნის შემდეგ, გრაფინიამ კომპოზიტორი მიიწვია მოყვარულთა საოპერო სპექტაკლზე, რომლის უკანასკნელ მოქმედებაში თვითონ ასრულებდა პატარა პარტიას.

- აბა, როგორ ვიმდერე? - მიმართა გრაფინიამ სპექტაკლის შემდეგ მასკანის.
- ვფიქრობ, რომ თქვენ კარგი ტონის წესი დაარღვიეთ, - უთხრა მასკანიმ - რადგან მეორე მოქმედების შემდეგ თეატრიდან არ წახვედით...

საუკეთესო დრო

XIX - XX საუკუნის ფრანგი კომპოზიტორის, მუსიკაში იმპრესიონიზმის ფუძემდებლის, კლოდ დებიუსის სიმფონიური პოემის „ზღვის“ შესრულებას ესწრებოდა თვით ავტორი და მეორე, ასევე ცნობილი თანამემამულე კომპოზიტორი ერიკ სატი. ორკესტრმა პირველი ნაწილი რომ შეასრულა, რომელსაც ჰქვია: „ზღვაზე განთიადიდან შუადღემდე“, დებიუსიმ თავის კოლეგას ჰკითხა:

- მუსიკა როგორ მოგეწონაო?
- სატიმ ღიმილით მიუგო:
- დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე, მშვენიერი იყო.

ანეკდოტები

ემასის სიდერს. - ვინცა კაცია, შენთან აქვს საქმე!

- კაკოია უბედურო, რავა ბერდები უცოლშვილოდ, შე კაცო?! მაინც რამდენი წლის მეთყარე ახლა შენ?
- ქე ვარ საცხა 55-ის და... ცოტა მეტის კილო.
- მერე, შე კაცო, ითხოვე ახლა ცოლი და მერე შვილი მოგიარს.
- კაი ერთი, რეიზა წამომყოფა ახლა მე ორსული ქალი?



- ექიმო, - შფოთავს პაციენტი, - საქმე სერიოზულადაა?
- არც ისე, - პასუხობს ექიმი, - თუმცა, ახალი სურიალის ყურებას თქვენს ადგილას აღარ დავიწყებდი...

- მამიკო, - კითხულობს პატარა ბიჭი, - მე საიდან გაგჩნდი?
- რაა? ჰო, ისა, ბაზრობაზე გეყიდეთ, - „უსნის“ დაბნეული მამა.
- კი, მაგრამ ვიდრე გამყიდლნენ, ვინცხას ხომ უნდა გავეკეთებინე?..



ჯალათი ჩაფიქრებული პუტავს გვირილას.

- მკითხაობ?
- არა... ვკაიფობ...

- გოგოვ, ზაფხულში ხარ დაბადებული? - ეკითხება მიზო მუგუზალივით შავ მაცვალას.
- როგორ მიხვდი? - კეკლუცობს მაცვალა.

მოსწავლე - მასწავლებელს:

- შეიძლება, ვინმე დაისაჯოს იმისთვის, რაც არ გაუკეთებია?

და ოთახიდან გადის და პატარა ანდრო ეკითხება მის საქმროს:

- ჩემს დასთან რატომ მოდიხარ? შენ რა, შენი და არ გყავს?..

კარზე ზარია. ჭიჭიკია აღებს:

- ვინ გნებავს?
- კარტში წავაგე და თქვენი ოჯახის ერთ-ერთი წევრი უნდა მოგვკლა, - ეუბნება უცნობი.
- გაფიცებ ყველაფერს, ძალიან აუცილებელია?
- ძალიან.
- კაი მაშინ... ოლიფანტოვნა! -



- მაპატიეთ, მუსიე, ეს კოლე რა ღირს? - ეკითხება ქალი საიუველირო მალახის გამყიდველს.
- ასი ათასი, მაღამ.
- ოჰ, ნამდვილი კომმარია, კომმარი!.. ის ბეჭედი?
- ორი კომმარი, მაღამ... - პასუხობს გამყიდველი.

პროგნოზი:

თუ პირველსავე ცდაზე არ გამოგივიდათ, ესე იგი, საპარამუტო სპორტი თქვენი საქმე არ ყოფილა...



გაქვინა მზად ხარ?

მეუღლელობისთვის?

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ადამიანს მთელი დღის განმავლობაში უხდება წერა, არასოდეს აქვს თან საწერ-კალამი. ზოგი კი გამუდმებით ატარებს უამრავ ისეთ ნივთს, რომელიც შესაძლოა, არც დასჭირდეს. მეორე ტიპის ადამიანების აზრით, უმჯობესია, წინასწარ მოიმარაგო ყველა აუცილებელი ნივთი, ვიდრე გაუთვალისწინებელ სიტუაციაში აღმოჩნდე. ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ გაერკვეთ, რამდენად მზად ხართ გაუთვალისწინებელი სიტუაციებისთვის.

უპასუხეთ კი ან არა

- 1) ყოველთვის თან დაგაქვთ თუ არა საწერ-კალამი?
- 2) წავხალთ თუ არა სამოგზაუროდ მანქანით, თუკი სათადარიგო ნაწილებით არ ხართ აღჭურვილი?
- 3) გყავთ თუ არა კატა?
- 4) ხშირად ხდება ისე, რომ წვიმის დროს, თან არც ქოლგა გაქვთ და არც საწვიმარი?
- 5) უბელური შემთხვევაც აღარ გაშინებს ისე, თუკი წინასწარ მოასწარი დაზღვევა. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?
- 6) გაქვთ თუ არა შინ პირველადი დახმარების „ფოთიაქი“?
- 7) ერთი სპეციალობის ქონას, ორი სჯობს. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?
- 8) ფულს ყოველთვის ორ საფულეში ანაწილებთ და ორივე თან დაგაქვთ – იმ შემთხვევისთვის, თუკი ერთ-ერთს დაკარგავთ?
- 9) მიგაჩნიათ თუ არა, რომ ხშირად უნდა გარისკოთ – ყველაფერი სასწოროზე შეაგლოთ, რათა ცხოვრებაში რაიმეს მიაღწიოთ?
- 10) თქვენი მაცივარი ყოველთვის სავსეა სურსათ-სანოვავით?
- 11) მიგაჩნიათ თუ არა, რომ აუცილებელია რამდენიმე მეგობრის ყოლა, რათა ბოლოს მარტო არ ღარჩეთ?

დააჯამეთ ქულები

დადებითი პასუხის შემთხვევაში, 1, 2, 3, 6, 7, 8, 11 შეკითხვებში დაინერეთ თითო ქულა. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, 4, 5, 9, 10 შეკითხვებში დაინერეთ ასევე თითო ქულა.

9-11 ქულა: ქულათა ეს რაოდენობა მეტყველებს იმაზე, რომ ყოველთვის ყველაფერს წინასწარ ითვალისწინებთ და მოსალოდნელ შედეგებზე დაუფიქრებლად ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამთ. გამოუსადეგარ ნივთებსაც კი საგულდაგულოდ ინახავთ, რადგან მიგაჩნიათ, რომ ოდესმე შეიძლება კვლავ გამოიყენოთ ისინი. გირჩევთ, გაითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგჯერ, დაუფიქრებლად გადადგმულმა ნაბიჯმა შესაძლოა, ცხოვრება უფრო გაგახალისოთ.

3-8 ქულა: საკმაოდ წინდახედული ბრძანდებით, მაგრამ ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ ეს თვისება სისხლში მეტისმეტად არ გაქვთ გამჯდარი.

0-2 ქულა: აბსოლუტურად არ გაგაჩნიათ იმის უნარი, რომ წინასწარ განსაზღვროთ მოსალოდნელი შემთხვევა თუ მისი შედეგი.

1. როცა ვინმესთვის უსამოვნო რამის თქმას აპირებთ, ფიქრობთ თუ არა იმაზე, რომ ამან შესაძლოა, გაანაწყენოს თქვენი თანამოსაუბრე?
ა) დიახ - 0; ბ) არა - 1.
2. როცა სკოლაში ან სამსახურში იფვიანებთ, ცდილობთ თუ არა, ისე შეუმჩნეველად შესვლას, რომ ვერავინ დავინახოთ?
ა) დიახ - 1; ბ) არა - 0.
3. სთხოვთ თუ არა ამხანაგს ისეთი რამის გაკეთებას, რის ჩადენასაც თავად უფრთხი?
ა) დიახ - 1; ბ) არა - 0.
4. მიგაჩნიათ თუ არა, რომ აზარტულ თამაშში უპატიოსნო მოგებას, პატიოსნად წაგება სჯობს?
ა) დიახ - 0; ბ) არა - 1.
5. როცა ხუმრობით ვინმეს ხაფანგს უგებთ, მაშინვე ხვდებიან თუ არა გარშემო მყოფები, ვისი ნამოქმედარია ეს?
ა) დიახ - 1; ბ) არა - 0.
6. შეგიძლიათ თუ არა, წინასწარგანზარხულად იცნოთ იმისთვის, რომ აღამიანი გულახდილ საუბარში ჩაითრიოთ?
ა) დიახ - 1; ბ) არა - 0.
7. სკოლაში სწავლისას, შეგეძლიათ თუ არა, გვერდით მჯდომი თანაკლასელიდან

გრძობით თუ არა ეშვებოდა?

- ისე გადავეწერათ საკონტროლო, რომ ვად, რაც სულითა და გულით გსურთ? მასაც კი ვერაფერი შეეძნია?
ა) დიახ - 1; ბ) არა - 0.
8. შეგიძლიათ თუ არა, ყოველთვის ისე, რომ ვერავინ ვერაფერი შეამჩნიოს? ა) დიახ - 1; ბ) არა - 0.

დააჯამეთ ქულები

6 ქულაზე მეტი: შეიძლება ითქვას, რომ უბრალოდ, ეშვები ადამიანი კი არა, დიდად გაქნილი ვინმე ბრძანდებით. ქვეყნად არ არსებობს რაიმე, რის მიღწევასაც ვერ მოახერხებთ. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს: როცა ადამიანი ხშირად ეშვებოდა, ის იძულებული ხდება, ირგვლივმყოფებთან მიმართებაში სულ უფრო ხშირად იყოს არაგულწრფელი. დაფიქრდით — იქნებ, უმჯობესია, ცოტათი მაინც უფრო გულგახსნილი გახდეთ.

3-5 ქულა: ძალზე ჭკვიანი და გამჭრიახი ადამიანი ბრძანდებით. იმდენად ფიზიკურად ალიქვამთ რეალობას, რომ თქვენი მოტყუება პრაქტიკულად შეუძლებელია. აქვე უნდა აღინიშნოს: გარდა იმისა, რომ არ გიყვართ ტყუილი, არც სხვების გაცურებას ცდილობთ. ეს კი უდავოდ, კარგი თვისებაა: გულწრფელობა ხომ ადამიანების დაახლოებას უწყობს ხელს.

3 ქულაზე ნაკლები: სამწუხაროდ, ძალზე გულუბრყვილო ადამიანი ბრძანდებით და საოცრად იოლია თქვენი მოტყუება თუ შეცდენა. ხშირად, მეტისმეტად დაბნეულად გამოიყურებით, ეს კი გარშემო მყოფთაგან თქვენი აზურად ადგების მიზეზი ხდება. გამოიქვეყნეთ ყურები და უფრო ფრთხილად ადევნეთ თვალყურს მოვლენებს.

ყავის მოყვანით ბენძავინოზა ემექიხვით

რა სჭირდება ადამიანს დილაობით საბოლოოდ გამოსაფხიზლებად და საქმეზე ყურადღების კონცენტრირებისათვის? რაღა თქმა უნდა, ერთი ჭიქა მაგარი ყავა. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ამ გამამხნეველ სასმელს, თურმე კიდევ ერთი, საკმაოდ მზაკვრული თვისებაც ჰქონია – მან შესაძლოა გულმავიწყი გაგხადოთ. თუკი თქვენს ცხოვრებაში ხშირია მომენტი, როცა სიტყვა ან რაღაც შეკითხვის პასუხი ენაზე გადავთ და ვერაფრით იხსენებთ, მაშინ იცოდეთ, რომ თქვენ ბოროტად გამოვიყენებთ კოფეინი. მეცნიერთათვის დიდი ხანია ცნობილია, რომ კოფეინი ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს, რომ ეს ხდება იმ მომენტისათვის არასაკმარის ინფორმაციის ბლოკირების ხარჯზე. „კოფეინი იმ შემთხვევაში ააქტიურებს გონების მოქმედებას, თუკი ის ინფორმაცია, რომლის გახსენებასაც ცდილობთ, იმ მომენტში თქვენი აზრების საერთო მიმართულებას ეთანხმება, ხოლო თუ ამ მიმართულებას არ უკავშირდება, მაშინ, მის ბლოკირებას ახდენს, ე.ი. გონების მოქმედებაში ჩარევის ეფექტს იწვევს. ამის შედეგად, კოფეინი არ იძლევა იმის გახსენების საშუალებას, რაც თითქოსდა, ზედმიწევნით კარგად იცით, მაგრამ კავშირი არა აქვს იმ საკითხსა თუ მოქმედებასთან, რაზეც იმ მომენტისთვის



თქვენი ყურადღება კონცენტრირებული“, – წერს ჟურნალი Behavioural Neuroscience-ში გამოქვეყნებულ საანგარიშო მოხსენებაში იტალიელი მეცნიერი ვალერია ლესკა. ე.ი. როგორც ირკვევა, კოფეინის მასტიმულირებელ ეფექტს, თან ახლავს გვერდითი მოვლენა – რაც ყურადღების ერთი საგნიდან მეორეზე სწრაფად გადართვის შეფერხებას იწვევს.

ილბიანი ელექტიკოსი

სერბიელი ელექტიკოსი სლავოლუბ სოსიჩი, ასიათასობლიანი დარტყმის შემდეგ, სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ინციდენტი ქალაქ კრუსევიჩის „ჰენკელ მირაიმის“ ფაბრიკაში მოხდა. 40 წლის ელექტიკოსი სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა, როცა მას დენმა დაარტყა და თვითმხილველთა თქმით, შვიდ მეტრზე მოისროლა. სოსიჩის თანამშრომლები შეძრწუნებულები დაჰყურებდნენ მის გაშემებულ სხეულს, თუმცა არა მარტო მათი, არამედ ექიმების გასაკვირადაც, სლავოლუბი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. გონზე მოსვლის შემდეგ, ის სასწრაფოდ ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც მისი მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდებოდა. მისი მკურნალი ექიმის თქმით, ძალზე იშვიათია, რომ ადამიანი ასეთი სიმძლიერის დენის დარტყმას გადაურჩეს. „მას მართლაც საოცრად გაუმართლა. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, თუ როგორ გადაურჩა სოსიჩი სიკვდილს, მაგრამ ბედნიერები ვართ, რომ ეს ასე მოხდა“, – ამბობს ექიმი.



სიხცა ქვეითად მოსიახვლეთა გასაფხიზილებად

რამდენჯერმე გააფრთხილა ქვეითად მოსიარულენი, რომ მწვანე შუქს დალოდებოდნენ, მაგრამ მათ ყურად არ იღეს მისი შენიშვნა. მაშინ პოლიციელმა ჰაერში რამდენჯერმე გაისროლა, თუმცა, როგორც ჩანს, არც ისე ზუსტი მიმართულებით: მის მიერ ჰაერში ნასროლი ერთ-ერთი ტყვია ქუჩაში მიმავალ მანქანას მოხვდა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. პოლიციელის მიერ სატაბელო იარაღიდან გასროლის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.


ჩეხეთის ქალაქ პლუზენში, პოსტზე მდგომმა პოლიციელმა მას შემდეგ გაუხსნა ცეცხლი ქვეითად მოსიარულეებს, როცა მათ შუქნიშნის წითელ შუქზე ქუჩის გადაკვეთა დააპირეს. მანამდე წესრიგის დამცველმა რამდენჯერმე გააფრთხილა ქვეითად მოსიარულენი, რომ მწვანე შუქს დალოდებოდნენ, მაგრამ მათ ყურად არ იღეს მისი შენიშვნა. მაშინ პოლიციელმა ჰაერში რამდენჯერმე გაისროლა, თუმცა, როგორც ჩანს, არც ისე ზუსტი მიმართულებით: მის მიერ ჰაერში ნასროლი ერთ-ერთი ტყვია ქუჩაში მიმავალ მანქანას მოხვდა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. პოლიციელის მიერ სატაბელო იარაღიდან გასროლის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

ადამიანივით მოსიახვე მამენი

ისრაელის ზოოპარკში ექსტრაორდინარული მოვლენა მოხდა – მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, მამენმა ადამიანივით დაიწყო სიარული. თელავის ზოოპარკის ბინადარი ზუთი წლის მაკაკა ნატაშა, ამჟამად სიარულისას მხოლოდ უკანა კიდურებს იყენებს, რითიც არა მარტო ზოოლოგიურ პარკში მისულ დამოვალეებლებს აკვირებს, არამედ მეცნიერებსაც. ნატაშა კუჭის მწვავე დაავადების გამო, ხანგრძლივი დროის მანძილზე ებრძოდა სიკვდილს, მაგრამ მოულოდნელად მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და მალე გამოჯანმრთელდა კიდევ. ზოოპარკის კლინიკიდან გამოწერის შემდეგ, მაკაკამ ადამიანივით დაიწყო სიარული. ჩვეულებრივ, გადაადგილებისას მამენები თანამიმდევრობით ეწრდნობიან ხან ორ და ხანაც ოთხ კიდურს. ზოოპარკის ვეტერინარი ნატაშას გადაადგილების მანერაში ასეთ მკვეთრ ცვლილებას ვერაფრით ხსნის. მისი აზრით, სავარაუდოდ, შესაძლოა, ეს მძიმე ავადმყოფობის შედეგად ტვინის დაზიანებას უკავშირდებოდეს.



ეთოპოკეთიონებში



გაემოვნება აგვისტოს ნოემბერი

№7, აგვისტო, 2004

ფასი 80 თეთრი

ქართული საზოგადოებრივი

მართლმადიდებლური ჟურნალი

აგვისტოს თვეა:
**სისოოსხლა
მარკაძიულია**

**გამარჯობა,
მოსარული ვარ,
რომ უინ დაგხვდით...**
(იკლოვალთა ინსტრუქციები
აღაპიანთა
გაღაბირაბისათვის)

**რამდენი სიკეთე
ყოფილა ჩვენს
ირგველივ!..**

რატომ უნდა
ვიყო ქრისტიანი

**გონება დიდებული რამა,
მეგრამ ღვთის აღგილის
დაგვიდრება არ უშუქლია**



საზოგადოებრივი

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ